

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი

ლიანა ბერიაშვილი

# ნიადაგების ათვისებისა და დაცვის ტრადიციულ საქართველოში

(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)



„მეცნიერება“

თბილისი

1989

63.5 (2)+40.3 (2)

39 (479.22)+631.4 (479.22)

ბ 525

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ნიადაგების ათვისებისა და დაცვისათვის გამოყენებული საშუალებანი საქართველოში, გამოავლინოს მათი როლი და მნიშვნელობა ინტენსიური მიწათმოქმედების საქმეში, რაც თავის მხრე მოგვცემს ტრადიციული სოფლის მეურნეობის რიგი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული საკითხების წარმოჩენა-გარკვევის შესაძლებლობას.

ნაშრომში შესწავლილი ხალხური ნიადაგდასაცავი საშუალებების გარშემო ჩვენამდე მოღწეული ტრადიციის პრაქტიკაში გამოყენების საკიროება ექვს არ ბადებს. უდავოა, რომ ბევრი მათგანი დღესაც შეიძლება დაინერგოს და სარგებლობა მოუტანოს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრასათვის.

რედაქტორი — ისტ. მეცნიერებათა დოქტორი ჯ. რუხაძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნიერებათა კანდიდატები —

მ. ქანთარია, თ. ცაგარეიშვილი.

0503020906

ბ 158—88  
607 (06)—89

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987 წ.

ISBN 5—520—00158—8

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. მისი მიწათმოქმედების ხანგრძლივი ისტორია ეთნიკური ტრადიციების მრავალფეროვნებითა და სიღრმით ხასიათდება. ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული პრაქტიკული ცოდნის მარაგი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ბუნებათსარგებლობის მრავალ რაციონალურ აგროტექნიკურ ღონისძიებას შეიცავს. მათი მეშვეობით მიღწეული იყო გარემოს უდანაკარგოდ ათვისებისა და სამეურნეო დარგების წარმოების ინტენსიური დონე. ამას მნიშვნელოვნად განაპირობებდა გეოგრაფიული გარემოს ხასიათი, რაც ეთნოსის სამეურნეო ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ მთავარ ფაქტორადაა მიჩნეული. ადამიანების ისტორია ბუნების ისტორიისაგან განუყოფელია და ისტორიის ეს ორი მხარე „ურთიერთის განმსაზღვრელი მხარეებია“<sup>1</sup>.

მარქსიზმის კლასიკოსების მიერ დადგენილია კანონი, რომლის მიხედვითაც ბუნებრივ გარემოში ადამიანის არსებობის მთავარი პირობა ეს არის ბუნებასთან ურთიერთკავშირი შრომითი საქმიანობის ფორმით. ბუნების და საზოგადოების ერთიანობა ყალიბდება როგორც ბუნებაზე ადამიანის საზოგადოებრივი, მატერიალური და პრაქტიკული ზემოქმედების პროცესი. „კაპიტალში“ კ. მარქსი შრომას ახასიათებს როგორც „პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესს, რომელშიც ადამიანი თავისი პირადი მოღვაწეობით აწონასწორებს ნივთიერებათა ცვლას თავის თავსა და ბუნებას შორის“<sup>2</sup>. გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს ადამიანზე იმ წარმოებით ურთიერთობათა მეშვეობით, რომლებიც წარმოშობა ერთ გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ საწარმოო ძალთა საფუძველზე, რომელთა განვითარების უპირველესი პირობა თვით ამ გარემოს ათვისებაა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-е изд. т. 3. с. 16.

<sup>2</sup> Маркс К. Соч. т. 23, с. 188.

<sup>3</sup> Ленин В. И. Философские тетради, ПСС, Т. 29, с. 456—457.

ცივილიზაციის განვითარების, საზოგადოების ტექნიკური, ტექნოლოგიური და ენერგეტიკული აღჭურვილობის სრულყოფის შესაბამისად განუზრელად იზრდება საზოგადოებასა და ბუნებაში მიმდინარე პროცესების ურთიერთკავშირი, ადამიანებისა და ბუნების ურთიერთგავლენის მასშტაბები. ადამიანთა სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის აღმავალმა ხასიათმა ბუნებრივი ეკოსისტემების დარღვევა გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა დარღვეული ეკოსისტემების უკუქმედება ადამიანთა საზოგადოებაზე<sup>4</sup>. ტექნიკური პროგრესის მიღწევათა შესაბამისად კაცობრიობა ბუნების ათვისებისა და მისი მართვის მრავალ ეფექტურ საშუალებას დაეუფლა. მაგრამ ყველა მათგანი არ არის რაციონალური. ეს ითქმის განსაკუთრებით მიწით სარგებლობაზე, რაზეც ასობით ჰექტარი დაკარგული კულტურული ნიადაგები მიუთითებს. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნის მანძილზე ეროზიამ და დეფლაციამ სამეურნეო მიმოქცევიდან გამოიყვანა 20 მლნ კვ. კმ ფართობი ანუ ითქმის საბჭოთა კავშირის ტოლი ტერიტორია<sup>5</sup>. ცივილიზაციის მზარდი ტემპები მკვეთრად უცვლის სახეს ბიოსფეროს; ცოტა ხანში თავს იჩენს ამცვლილებების ბიოლოგიური და გენეტიკური შედეგები<sup>6</sup>. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ისიც, რომ დედამიწა რესურსების ორ სახეს შეიცავს — აღდგენადსა და არააღდგენადს; ამ უკანსკელს განეკუთვნება მიწის საფარი, ნიადაგური ფენა, რომლის მხოლოდ და მხოლოდ დაცვაზე შეიძლება იზრუნოს ადამიანმა.

ადამიანის ნეგატიური ზემოქმედება ბუნებაზე, რომელიც კაპიტალიზმის ეპოქაში მკვეთრად გაიზარდა, სულ უფრო ფართო ყურადღების ობიექტი ხდება. როგორც ვ. კოზლოვი წერს — ეს იმაზე კი არ მეტყველებს, რომ თავის ისტორიულ განვითარებაში ადამიანი უფრო ეკოფობური გახდა, არამედ იმაზე, რომ ბევრ ხალხში ეკოფობურმა ტენდენციებმა საწარმოო ტექნიკური ხასიათი მიიღო<sup>7</sup>. ამასთან ერთად, გარე სამყაროს შენარჩუნებისა და მისი დაცვისათვის ადამიანის მიერ გაწეული შრომა მეტად დიდია, და მის სამეურნეო ტრადიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამიტომ ეთნოსის სი-ცოცხლით უზრუნველყოფის საკითხების ეთნოგრაფიული კვლევის

<sup>4</sup> Голубец М. А., Романенко В. Д., О проблемах взаимодействия на окружающую среду, журн. „Экология“, 1986, № 6, с. 29.

<sup>5</sup> Лаптев И. Д. Социально-философские аспекты взаимодействия общества и природы. М., 1978, с. 90.

<sup>6</sup> Дубинин Н. П., Шевченко Ю. Г. Некоторые вопросы биосоциальной природы человека, М., 1979 с. 141..

<sup>7</sup> Козлов В. И. Основные проблемы этнической экологии, СЭ, 1983, № 3, ст. 13.



დროს, მისი ეკოფილური მახასიათებლების გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა მოვეყილოთ: „ეკოფობური და ეკოფილური ტენდენციების გამომწვევი ფაქტორების ანალიზი, პირველის მოსპობისა და მეორის განვითარების გზების ძიება, უსათუოდ შედის კულტუროლოგიისა და ეთნოგრაფიის მნიშვნელოვან ამოცანათა რიცხვში. იგი საჭიროა როგორც ჩვენი ურბანიზებული კულტურის ახლებურად ორიენტაციისათვის, ასევე ტრადიციულ კულტურებზე ზემოქმედებისათვის; იქ სადაც ისინი კვლავ ინარჩუნებენ ეკოლოგიურ როლს“<sup>8</sup>.

ტრადიციული ნაციონალური კულტურების პრობლემა ტექნიკური რევოლუციისა და მეცნიერების განვითარების ეტაპზე არა თუ კარგავს თავის აქტუალობას, არამედ ახალი შინაარსით იმუხტება — „... თეორიულ და კონკრეტულ-ისტორიულ პლანში უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანია ეთნოსის, როგორც სოციოკულტურული ფენომენისა და კონკრეტული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ურთიერთკავშირის პრობლემა, ეთნიკური კულტურების ეკოლოგიურ ფუნქციათა ცვალებადობა უძველესი ხანიდან თანამედროვეობამდე. წარსულ ისტორიულ ეპოქათა ეთნოკულტურული ტრადიციების განალიზება სასარგებლოა როგორც საშუალება ეკოლოგიურად ფასეული გამოცდილების შენარჩუნებისა“<sup>9</sup>. საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთგავლენათა ნორმების გართულება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის მიერ შემუშავებული პრაქტიკული მიწით-სარგებლობის ღონისძიებათა გამოყენებასა და დანერგვას, სადაც ბუნების სიმდიდრეთა დაცვის ხასიათი, ცალკეული ეთნიკური გარემოს პირობებში ჩამოყალიბებული ტრადიციული ნორმებითა და საშუალებებით არის წარმოდგენილი. როგორც ი. ბრომლეი წერს — „ადამიანის ზემოქმედება ბუნების მოვლენებსა და პროცესებზე, დღეისათვის, როგორც ცნობილია, ბევრი სამეცნიერო დარგის ღრმა ინტერესს იმსახურებს. ეს განსაკუთრებით შეეხება ბუნების დაცვის საკითხებს. ამასთან ერთად, ადამიანის მოღვაწეობის სახეობათა უმეტესობას გარკვეული ეთნიკური სპეციფიკა ახასიათებს. ეთნოსში ისტორიულად დაგროვილი შრომითი ჩვევები, მის ფარგლებში ჩამოყალიბებული საწარმოო და სამეურნეო ყოფითი ტრადიციები, თავის დაღს ასვამს შესატყვისი რეგიონების კულტურულ ლანდშაფტებს. ამიტომ, კულტურული ლანდშაფტების შესწავლა შეუძლებელია მე-

<sup>8</sup> Арутюнов С. А. Культурологические исследования и глобальная экология, Вестник АН СССР, 1980, № 12, с. 97.

<sup>9</sup> Общества и природа, Исторические этапы и формы взаимодействия (под. ред. М. П. Кима), М., 1982, с. 16—17.

ურნეობის ტრადიციული ფორმების შეუცნობლად“, ამიტომაც. ეთნოგრაფიის კვლევის დიაპაზონი განსაკუთრებით ფართოა, და „ბუნებაზე ეთნოსის ზემოქმედების ანალიზის დროს, მკვლევარი ხშირად იძულებული ხდება გაშორდეს ეთნოგრაფიის ჩარჩოებს... მისი „თანამგზავრების“ როლში გვევლინებიან არა მარტო დემოგრაფიის, გეოგრაფიის, ბოტანიკისა და სხვა მონაცემები..., არამედ ბიოქიმიურ ანალიზით მიღებული ინფორმაციაც კი“<sup>10</sup>.

საბჭოური მეცნიერების წინაშე აღნიშნული პრობლემა დიდი სიმძაფრით დგას. ეთნოგრაფიის დარგში კვლევა-ძიების მიმართულება მიზნად ისახავს შეისწავლოს ცალკეული რეგიონებისათვის დამახასიათებელი სამეურნეო საქმიანობის ტრადიციული ფორმები, საწარმოო ჩვევების თავისებურებანი, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების პრაქტიკული ღონისძიებანი და თანამედროვეობასთან შეპირისპირებით შემუშავდეს მათი რაციონალური გამოყენების გზები<sup>11</sup>. სამეურნეო დარგების ფორმათა შესწავლა, თავის მხრივ, გამოავლენს ტრადიციული საწარმოო პრაქტიკული ჩვევების კონკრეტულ ბუნებრივ გარემოში ფუნქციონირებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხასიათსა და ხარისხს, წარმოაჩენს ამ დარგების ინტენსივობის დონესა და განვითარების ეტაპებს.

საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურა განსხვავებულ ბუნებრივ გარემოში ყალიბდებოდა და სამეურნეო დარგების განლაგება ხალხური გამოცდილებით შექმნილ პრაქტიკულ ცოდნაზე იყო დამყარებული. ყველა კულტურას მისთვის შესატყვისი ბუნებრივი გარემო ჰქონდა შერჩეული, რომელიც მრავალი მაჩვენებლის გათვალისწინებით იყო დადგენილი; ერთი მხრივ, ზედმიწევნით იყო შეფასებული ამა თუ იმ სამეურნეო უბნის მონაცემები ნიადაგების, ჰავის, თბური რეჟიმის, წყლითმომარაგების და სხვა მრავალი ფაქტორის მ-

<sup>10</sup> Бромлей Ю. В. Этнос и этнография, М., 1973, с. 261—262.

<sup>11</sup> ამაზე არაერთხელ აღინიშნა ეთნოგრაფთა საკავშირო კონფერენციებზე, რაც ასახულია სპეციალურ კრებულში — *Современные этносоциальные процессы на селе*, М., 1986; საველე ეთნოგრაფიული შესწავლის პრობლემებისადმი მიძღვნილი დისკუსიის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია — „დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში საველე ინფორმაციის ფიქსაციის მასშტაბების შეზღუდულობა აყენებს რიგითობის ან პრიორიტეტის პრობლემას — რა უნდა დაფიქსირდეს პირველ რიგში? ის რაც სწრაფად ქრება, თუ ის, რაც უფრო ფასეულად გვეჩვენება კულტურის ისტორიისა ან დღევანდელი დღის პრაქტიკული საჭიროებისათვის: მაგალითად, კონკრეტულ კულტურულ გარემოში სიცოცხლით უზრუნველყოფის ხალხური ტრადიციული ცოდნა; ამ რიგის ცნობებში ხშირად განიცდის საჭიროებას თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოება“. Старовойтова, Г. В., СЭ, №1, 1985. с. 69.

ხედვით; მეორე მხრივ — მხედველობაში იყო მიღებული თვით კულტურის ხასიათი, მისი ბიოლოგიური თვისებები და სამეურნეო მაჩვენებლები.

ხალხური ცოდნის მარაგი მიწათმოქმედების ცალკეული დარგის სფეროში ღრმად და მრავალმხრივი. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის პრობლემატიკაში სამეურნეო ტრადიციების კვლევის მიმართულება მიზნად ისახავს ცალკეული დარგების შესწავლით, თითოეულის სპეციფიკისა და შემადგენელი ელემენტების გამოვლენის მეშვეობით, ამ ტრადიციების რეკონსტრუქციას და მთლიანობაში წარმოჩენას. მთავარი სირთულე ამ მხრივ საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს მრავალფეროვნებასა და მისი საწარმოო ტრადიციების სპეციფიკური ელემენტებით დატვირთულობაში მდგომარეობს. ამიტომაც არის, რომ სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლა, უმეტესად, რეგიონალური მიდგომით არის განხორციელებული. რასაც არაერთი ნაშრომი მიეძღვნა<sup>12</sup>.

მაგრამ არის საკითხები, რომლებიც პრობლემის ხასიათით, ლოკალურ-ტერიტორიული მიდგომით შესწავლის ფარგლებს აღემატება და ფართო განხილვის ობიექტებს წარმოადგენს, ბუნებრივ-სამეურნეო გარემოსა და საწარმოო ეთნიკური ტრადიციების ზოგად ასპექტში გააზრების საჭიროებით. ასეთი მოვლენები, ერთგვარი არქაულობით გამოირჩევა და განსაკუთრებით მოითხოვს ისტორიულ ჭრილში ჩაღრმავებულ კვლევას. მათ განეკუთვნებიან მიწათმოქმედების წიაღში აღმოცენებული და ხანგრძლივი ემპირიული გამოცდილებით მიღებული ბუნებითსარგებლობისა და ბუნების დაცვის ხალხური საშუალებანი, რომლებიც ნიადაგების ექსპლუატაციის ტრადიციულ ნორმებში და საწარმოო ჩვევებშია ასახული.

წამოჭრილ პრობლემას ჩვენ შევისწავლით ორი მიმართულებით:

I. ტერასული მიწათმოქმედება და მისი როლი ტრადიციული მიწათმოქმედების განვითარების საქმეში.

II. ნიადაგების დაცვის ხალხური საშუალებანი, როგორც სამიწათმოქმედო დარგების განვითარებისა და მათი სრულყოფის აუცილებელი პირობა.

ნაშრომში წინ არის წამოწეული და შეძლებისდაგვარად გაშუქებული ტრადიციული მიწათსარგებლობის ერთგვარი ეკოლოგიური

12 ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933 და სხვა. გ. ჩიტაია, რაქული სახე-წელი, ენიშკის მოამბე, ტ. I, თბ. 1937 და სხვ. გ. ჭალაბაძე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963; ა. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ.,

ასპექტი, სადაც ადამიანი თავისი საწარმოო მოღვაწეობით განიხილება როგორც ბუნებრივი გარემოს განუყოფელი, შემადგენელი ნაწილი. ეთნოსის მიერ ბუნებრივი გარემოს გამოყენების სპეციფიკა და ეთნოსის გავლენის სპეციფიკა ამ გარემოზე, აღნიშნული ასპექტებით, კვლევის ერთ-ერთი მთავარი ხაზია<sup>13</sup>. საბჭოურ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში კარგა ხანია წამოიჭრა საკითხი ე. წ. ეთნიკური ეკოლოგიის შესახებ, რომელიც ცალკეულ პუბლიკაციებში აისახა. როგორც მის ერთ-ერთ განსაზღვრებაშია ხაზგასმული ეთნოეკოლოგია მიზნად ისახავს „ეთნიკური ჯგუფებისა და მთლიანად ეთნოსების სიცოცხლით უზრუნველყოფის ტრადიციული სისტემების თავისებურებათა შესწავლას, მათი სამყოფელის ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ პირობებში, აგრეთვე წარმოქმნილი ეკოლოგიური ურთიერთკავშირების გავლენას ადამიანთა ჯანმრთელობაზე; ეთნოსთა მიერ ბუნებრივი გარემოს გამოყენებისა და ამ გარემოზე მათი ზემოქმედების სპეციფიკის, ბუნებოსარგებლობის რაციონალური ტრადიციებისა და ეკოსისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესწავლას“<sup>14</sup>. ამავე ასპექტშია გააზრებული ნიადაგების დაცვისა და შენარჩუნების, მათი სწორი ათვისების პროგრამის მთავარი მიმართულება: ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის. წარმოებული კვლევის ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს მიწის რესურსებისა და ნიადაგების კომპლექსური გამოყენების მეცნიერული საფუძვლების შემუშავება ოპტიმალური, ეკოლოგიურად დასაბუთებული მიწათსარგებლობით<sup>15</sup>.

---

1965; ი. ნ ა ნ ბ ა შ ვ ი ლ ი, ვაზის კულტურა ქიზიუში, თბ., 1960, ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება დას. საქართველოში (რაქა-ლეჩხუმი), თბ., 1969; ჯ. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში., თბ. 1959; ლ. ფ რ უ ი ძ ე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში (რაქა), თბ., 1974; ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ხ ა, სახელმწიფო მუზეუმის კრებულები: ს ვ ა ნ თ ი, თბ., 1973, ქ ს ნ ის ხ ე ო ბ ა, თბ., 1975. ი მ ე რ ე თ ი თბ., 1978; გ უ რ ი ა, თბ., 1980; ლ ე ჩ ხ უ მ ი, თბ. 1983; და სხვა.

<sup>13</sup> Бромлей Ю. В., Современные проблемы этнографии, М., 1981, с. 285.

<sup>14</sup> Козлов В. Н. Основные проблемы этнической экологии, СЭ, 1983, № 1, с. 8.

<sup>15</sup> Добровольский Г. В., Важнейшие проблемы охраны и рационального использования почв, СБ., „Проблемы взаимодействия общества и природы“, М., 1981, с. 50. ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი კეთდება გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის დასაცავად, ბუნების სიმდიდრეთა შენარჩუნებისათვის. ამის ერთ-ერთი მოწმობაა ყაზბეგის ეკოლოგიური სადგური, სადაც ქართული მეცნიერები, საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებთან თანამშრომლობით, წარმატებით სწავლობენ მაღალმთის რეგიონების ეკოლოგიური გარემოს თავისებურებებს.

რთულ ლანდშაფტურ პირობებში ტერასების შექმნისა და მათი ექსპლუატაციის დროს, ისევე როგორც ნიადაგების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ზედმიწევნით არის გათვალისწინებული ბუნების ყველა კომპონენტის (ტყე, ბუჩქნარი, წყარო-ნაკადულები და სხვ.) მაქსიმალური შენარჩუნებისა და დაცვის პირობა. ტრადიციული სახვნელი იარაღები და ბუნების თავისებურებებით შეპირობებული მათი განსხვავებული კონსტრუქციები ნიადაგების სტრუქტურის დაცვის ფუნქციასაც ითავსებდა. ტერასირებით მიღწეული იყო ბუნების ჰარმონიული ათვისება გარემოს ეკოლოგიური ფაქტორის დაცვით და მასთან შესატყვისობაში, ბუნებათსარგებლობის მკაცრად დადგენილი წესების გამოყენებით. მასში იგულისხმება სამეურნეო ღონისძიებათა მთელი კომპლექსი — ადამიანთა ჯგუფები, სამუშაო იარაღები, გამწვევი ძალა, რწყვის ორგანიზაცია, კოლექტიური შრომის ორგანიზაცია და სხვ. ისევე როგორც ახოს აღების სისტემა, ტერასირებაც ბუნების ათვისების უძველესი სამეურნეო ღონისძიებაა, რომელიც გარემოს შინაგან კანონზომიერებას ემყარება და მასთან შეთავსებით ხორციელდება<sup>16</sup>.

ტერასების ინტენსიური გავრცელება საქართველოს ტერიტორიის ზომიერ სარტყელშია დადასტურებული და სხვადასხვა კულტურას. განეკუთვნება. სპეციალური შესწავლით ნათელი ხდება, რომ ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში მხოლოდ მიწის სიმციროთ გამოწვეული მოვლენა კი არ არის, არამედ შიდალგანვითარებული საწარმოო კულტურის ასახვაა მეურნეობაში. გარემოს თავისებურებათა ყოველმხრივი შეფასების გზით, ხალხური გამოცდილებით მიგნებულია პრაქტიკული გადაწყვეტა იმისა, რომ ფერდობის გარემო უკეთესია ბევრი კულტურის განვითარებისათვის; რომ ამ ფერდობებსაც შერჩევა ესაჭიროება თავისი თვისებებისა და ყველა მონაცემის გათვალისწინებით. ამდენად, გარემო პირობების ხასიათი აპირობებს ტერასული კერების აღმოცენებას<sup>17</sup>, თუმცა იგი ამ მოვლენის მხოლოდ ერთ მხარე, ერთი შემადგენელი კომპონენტია.

<sup>16</sup> ყველაზე ადრე ადამიანმა, ბუნებრივი ტერასები გამოიყენა, რაც შემდგომ ხელოვნურად იქნა მის მიერ ათვისებული სამოსახლოსა და მეურნეობის მოსაწყობად, — Вавилов Н. И., *Мировые очаги важнейших культурных растений*, „Избранные труды“, II, М.—Л., 1960.

<sup>17</sup> „მთური ლანდშაფტი განეკუთვნება გეოგრაფიული გარემოცვის ისეთ სახეობათა რიცხვს, რომელთა ზემოქმედება ეთნოსზე განსაკუთრებით საგრძნობია. როგორც ვიჩივნებს მაგალითები, დედამიწის მკვეთრად განსხვავებულ რეგიონებში და ხალხებშიც კი, რომლებიც ყველა თვალსაზრისით მეტად შორს დგანან ერთმანეთისაგან, შეინიშნება საერთო მოვლენები და პროცესები, მხოლოდ და მხოლოდ

ტრადიციული ნიადაგსარგებლობის საშუალებათა განხილვისას სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი მთური რელიეფისათვის შვედურად დამახასიათებელი ბუნებრივი პროცესების — ნიადაგების ეროზიების საკითხს<sup>18</sup>. ეროზიული პროცესები ისტორიული ხასიათისაა და განსაკუთრებით გაძლიერდა მას მერე, რაც ადამიანი ქმედითად ჩაერია ნიადაგწარმოქმნის ბუნებრივ პროცესში. ბუნებრივი და ანთროპოგენული ეროზიების გარშემო ნაშრომში წარმოდგენილია მასალა განხილულია როგორც მეურნეობის ტრადიციულ დარგებთან, ასევე თანამედროვეობასთან მიმართებაში. სათანადოდ არის გათვალისწინებული საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოსათვის დამახასიათებელი ვერტიკალური ზონალობის მაჩვენებელი, რომელთანაც უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ხასიათი და რომლითაც განპირობებულია თვით კულტურათა ზონალური განლაგების კანონზომიერება.

ნაშრომში სათანადო ყურადღება ეთმობა წამოჭრილი პრობლემების პრაქტიკულ მხარეს. მიწათმოქმედების ტერასული სისტემის შესწავლა, ნიადაგდასაცავი საშუალებების როლისა და მნიშვნელობის გარკვევა ხალხური რაციონალური ღონისძიებების მრავალ მხარეს გამოავლენს, რომელთა უმრავლესობას არა აქვს დაკარგული ქმედითობა და დღევანდელ სოფლის მეურნეობაში შეიძლება იყოს გამოყენებული. ჩვენს რესპუბლიკაში ახლაც არის ისეთი უბნები, სადაც ხალხური ტრადიციის გათვალისწინების გარეშე თავიდან ვერ ავიცილებთ ეროზიებით მიყენებულ ზარალს, კულტურათა არარენტაბელურ დაგეგმარებას, შიშის ფონდის მუდმივ გაღარიბებას და დაკარგვას.

ბუნების რაციონალური სარგებლობის ღონისძიებათა დანერგვისა, მათ შორის ტერასირების ტრადიციის თანამედროვეობაში გამოყენების საჭიროებაზე ბევრი შვედური მტკიცებულება. განსაკუთრებული ყურადღებით ეს პრობლემა სპეციალური დარგების მიერ შეისწავლება და მისი რეალიზაციის ცდებსაც აქვს ადგილი: „პრაქტიკუ-

---

მთური გარემოს ხასიათის ერთიანობით რომ არის გამოწვეული“. Маретина С. А., Роль географической среды в общественном развитии горных народов Индии, сб., Роль географ. фактора в истории докапиталистических обществ, Л., 1984, с. 199.

<sup>18</sup> „ბუნების დაცვის საქმე ქართულ სამართლებრივ ჩვეულებებშიც არის ასახული, ამ მიმართებითაც შეუძლებელია მას გარკვეული წესები და მას ვმსახურება. (მაგ., ხევსურეთში — ღვარცოფის მიერ ნიადაგის ჩამორეცხვის თავიდან ასაცილებლად, ხევში — ტყის გაშენება-მოვლაზე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში — მთის ფერდობის დამუშავებაზე და ა. შ.), გ. ჩ. ი. ტ ა ი ა, აღ. რ. ო. ბ ა ქ ი ძ ე, მ. კ ე კ ე ლ ი ა — ხალხი და ტრადიცია, გაზ. „კომუნისტი“, 1985 წ. 16 ივლისი.

ლად, ყველა მეურნეობას აქვს საშუალება სახნავი ფართობების გაზრდისა, ბუნებათსარგებლობის რაციონალიზაციის მეშვეობით... ერთ-ერთი გზა, პროდუქტიული მიწების ნაწილობრივი გაზრდისა, არის ნიადაგების ათვისება ციკაბო ფერდობებზე ტერასირების მეშვეობით, რაც უკვე განხორციელებულია საბჭოთა კავშირის ზოგიერთ მთის რეგიონში<sup>19</sup>.

ნაშრომში განხილული საკითხები უშუალოდ ეხმაურება ჩვენი პარტიის მთავარ კურსს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაზრდისა და სასურსათო პროგრამის ახლებური მიდგომით გადაწყვეტაში, მთავრობის დადგენილებათა შექმნაში. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წ. წ. და 2000 წ.-მდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტში ცალკე — XI პუნქტად არის შესული „გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება“. მასში საგანგებოდ არის მითითებული: „უზრუნველყოთ მიწების რაციონალური გამოყენება, დავრცვათ ისინი ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან, ლეარცოფებისაგან, მეწყერისაგან, წებბორცის, დაქაობების, გამოწრობისა და გაქუჩყიანებისაგან. გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის გაუმჯობესების, მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნის სამუშაოები. მოვახდინოთ ნნმ ათასი ჰექტარი მიწის ფართობის რეკულტივაცია“<sup>20</sup>... საქართველოს რესპუბლიკაში დაგეგმილია სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობის 14—16% -ით გაზრდა, რაც უსათუოდ ძველი, მიტოვებული სავარგულების კვლავ ათვისებითა და დამუშავებით უნდა განხორციელდეს, ახლის ათვისება კი ხალხური გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ჩატარდეს. XXVII ყრილობაზე კვლავ საგანგებოდ იქნა ხაზგასმული სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ნიადაგების დაცვისა და მათი რაციონალური გამოყენებისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ<sup>21</sup>.

ზემოთ დასახელებული პრობლემები, მათი კვლევის ხასიათი და მიზანი წინამდებარე მონოგრაფიაში პირველად არის გამხდარი სპეციალური შესწავლის საგნად.

ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს საველე-ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დამკვიდ-

---

<sup>19</sup> Лаптев И. П. Сельское хозяйство и охрана природы, М., 1982, с. 214.

<sup>20</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1985 წ., 10 ნოემბერი, № 260.

<sup>21</sup> Материалы XXVII съезда коммунистической партии Советского Союза, М., 1986, с. 316.

რებული ზოგადთეორიული პრინციპების საფუძველზე და სავსე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის (გ. ჩიტაია) გამოყენებით არის მოძიებული, საქართველოს რაიონებში 1975—88 წლებში მივლინებებისა თუ ექსპედიციების (ერწო-თიანეთი—1972—1976, მესხეთ-ჯავახეთი — 1975<sup>22</sup>. 1986; კახეთი — 1977; მთიულეთ-გუდამაყარი — 1978; გურია — 1969; ქიზიყი — 1981<sup>23</sup> 1985; ქვ. ქართლი—1980—1987; იმერეთი — 1981-82; სამეგრელო — 1983-84; ქართლი — 1983-1986), ასევე ამ რეგიონებში სხვადასხვა დროს შესრულებულ მოკლევადიანი გასვლების დროს.

მონოგრაფიაში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალების დიდი ნაწილი ახალია და პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. კვლევის მოცემული ასპექტები მარქსისტული მეთოდოლოგიის პრინციპებს ეყრდნობა და თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემების შუქზეა განხილული. ნაშრომში გამოყენებულია როგორც სპეციალური, ასევე მომიჯნავე დარგების სამეცნიერო მონაცემები.

საქართველოს ბუნებრივი გარემოს, მისი გეოგრაფიული ვითარების, მიწაწყლის თავისებურებებისა და ტერასული მიწათმოქმედების ფორმათა შესწავლის აუცილებლობაზე ყურადღება გაამახვილა თავის ნაშრომში და იგი სპეციალური კვლევის ობიექტად აქცია ივ. ჯავახიშვილმა<sup>22</sup>.

ქართული სამიწათმოქმედო ყოფისა და კულტურის შესწავლისას გ. ჩიტაიამ დიდი ყურადღება დაუთმო წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოდგენილ საკითხებს. იგი საგანგებოდ მიუთითებდა როგორც ბუნებრივი გარემოს დაცვა-შენარჩუნების ხალხურ ღონისძიებათა, ასევე ტერასული მეურნეობის თავისებურებათა შესწავლისა და მასში სპეციფიკური ელემენტების გამოვლენის აუცილებლობაზე<sup>23</sup>. ტერასული მეურნეობის განხილვისას იგი წერს: „...როგორც ვხედავთ მემინდვრეობა (აქ) მაღალ განვითარებას აღწევს, რამდენადაც მცირე ტერიტორიის დამუშავება ინტენსიურ ხასიათს ატარებს, სადაც მრავალმხრივი გონებამახვილური მეთოდაა გამოყენებული... საჭიროა დეტალურად იქნას შესწავლილი როგორც საქართველოს,

22 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბ., 1940; მისივე, ქართველი ერის ისტორია, წ. II., თბ., 1948.

23 გ. ჩიტაია, ქართული ეთნოგრაფიული ატლასი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1964; 11; ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმოხილველი I, თბ., 1949; ქსნური მთის გუთანი, ენიმკ-ის მოამბე V—VI, თბ., 1940; პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობაში მივლინების ანგარიში, ენიმკ-ის მოამბე, XI, თბ. 1941; დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1953; მესხური ჭილა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, თბ., 1935; და სხვა.



ასევე დადესტინისა და სომხეთის მომქმედელი და ნაშალი ტერასული მეურნეობა. უნდა გამოვლინდეს როგორც მისი შემადგენელი ელემენტები, ასევე მისი თანამყოლი სოციალური და სულიერი კულტურის მოვლენები<sup>24</sup>.

საქართველოს სამიწათმოქმედო ყოფისა და მეურნეობის საკითხები გაშუქებულია ს. მაკალათიას შრომებში<sup>25</sup>.

ტერასული მეურნეობის საკითხებს განიხილავს მ. გეგეშიძე მესხეთის მაგალითზე, საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების შესწავლისას და ამავე საკითხს ეხება ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემების კვლევის დროს<sup>26</sup>.

საქართველოს და კავკასიის მთიანეთის სამიწათმოქმედო ყოფის შესწავლასთან დაკავშირებით ტერასული მეურნეობის ფორმებს იკვლევს ა. რობაქიძე<sup>27</sup>.

ტერასული მიწათმოქმედების ეთნოგრაფიული შესწავლა აჭარის რეგიონისა და საქართველოს ზოგი სხვა რაიონის მაგალითზე განხორციელებულია ნ. ჩიჭავაძის მიერ<sup>28</sup>.

წინამდებარე ნაშრომში, საკვლევი პრობლემის გაშუქებასთან უშუალო კავშირშია სამეურნეო ყოფისა და კულტურის მთელი რიგი საკითხი, რომლებზე მსჯელობისას ავტორი სარგებლობს ჯ. რუხაძის, გ. ჯალაბაძის, ნ. ბრეგაძის, ლ. ფრუიძის, ლ. გაბუნიას, ჯ. სონღულაშვილის, გ. ელიავას, ი. ნანობაშვილის, ნ. კახიძის და სხვათა ნაშრომებით<sup>29</sup>.

---

24 გ. ჩიტაია, ტერასული მეურნეობა (1985 წ. შესრულებული ნაშრომი), იბეჭდება „შრომებში“, ტ. I.

25 ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1930; მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938; ატენის ხეობა, თბ., 1957; თეძმის ხეობა, თბ., 1959; ლეხურის ხეობა, თბ., 1964.

26 მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1962; მისივე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1982; მისივე, Террасное орошаемое земледелие на Кавказе, М., 1964. (материалы VII международного конгресса).

27 ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, კეკ, I, თბ., 1964; მისივე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბათუმის სამეცნიტის შრომები, თბ., 1960; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

28 ნ. ჩიჭავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971; 1964; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები წ. VIII, თბ., 1975.

29 ჯ. რუხაძე, ხალხურა აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976; მისივე, დასავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო ტრადიციები (ხელნაწერი), 1970; გ. ჯალაბაძე, მევენახეობა ქსნის ხეობაში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 30, თბ., 1974; მისივე, მემინდვრეობის კულტურა საქართველოში, თბ., 1965; ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969;

ტერასულ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული და სოციალური ხასიათის მოვლენათა გაშუქებისათვის ავტორი ეყრდნობა და იყენებს ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევებს<sup>30</sup>. სათანადოდაა გათვალისწინებული და გამოყენებული ისტორიული გეოგრაფიის სფეროში ჩატარებული კვლევის შედეგები და შესატყვისი პუბლიკაციები თ. ტატიშვილის, დ. მუსხელიშვილის, ჯ. გვასალიას, დ. ბერძენიშვილის, გ. ცქიტიშვილისა<sup>31</sup>.

მნიშვნელოვანია საკითხის პოზიტიური მხარის წარმოსაჩენად არქეოლოგიური კვლევის შედეგები, რომელთაგან ნაწრომში სათანადოდ არის გამოყენებული ტ. ჩუბინიშვილის, ა. ბოხოჩაძის, ი. კიკვიძის, ი. გაგოშიძის, ო. ლორთქიფანიძის, ლ. ქილაშვილის, ო. ჯაფარიძის, ა. აფაქიძის, ე. გოგაძის, გ. გამყრელიძის და სხვათა ნაშრომები<sup>32</sup>.

სამიწათმოქმედო კულტურათა ადგილობრივი თავისებურებებია სა და მათი ზოგადქართული ტრადიციების ეთნოგრაფიული კუთხით ვაშუქების პროცესში ვეყრდნობით და ფართოდ ვითვალისწინებთ ვ. ვავილოვის, პ. ყუკოვსკის, ვ. მენაბდის ნ. კეცხოველის, ნ. მაყაშვილის, გ. რამიშვილის, შ. წიკვაძის და სხვათა სპეციალურ გამოკვლევებს<sup>33</sup>.

ნაშრომი დაწერილია თანამედროვე სპეციალური და ზოგადი ლიტერატურის მონაცემების გათვალისწინებით<sup>34</sup>. ნიადაგების ერო-

---

ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მელენეობა საქართველოში, I, რაკა, თბ., 1974; ლ. გაბუნია, საწნახელი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1985; ი. ნანობაშვილი, მევენახეობა ქიზიყში, თბ., 1961; ჯ. სონღულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, თბ., 1959; გ. ელიაძე, აღმოსავლეთ სამეგრელოს მოსახლეობის ოქტომბრის რევოლუციამდელი სამეურნეო ყოფა (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1968; ნ. კახიძე, აჭარის მთიანი მხარეების ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა, თბ., 1967 (საკანდ. დისერტაცია).

<sup>30</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები წ. VIII, თბ., 1975.

<sup>31</sup> ასახულია და მითითებულია სათანადო თავებში.

<sup>32</sup> ასახულია და მითითებულია სათანადო თავებში.

<sup>33</sup> ასახულია და მითითებულია სათანადო თავებში.

<sup>34</sup> Биосферные заповедники и глобальный мониторинг окружающей среды, М., 1983, т. 14; Международная программа ЮНЕСКО „человек и биосфера“, МАБ (Mankind and Biosphere) в СССР. вып. I, и др., М., 1981—1986; Почвозащитное земледелие на склонах (под. ред. А. Н. Каштанова), М., 1983; В защиту земли (основные документы по окружающей среде принятые на симпозиуме в Фуне и Коккойоке и конференция в Стокгольме), М., 1981—84; Научно-техническая революция и решение экологических проблем, М., 1978; Проблемы взаимодействия общества и природы, М., 1978; М., 1981; Общество и природа:

ზიისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე მდგომარეობის შეფასებისათვის მოხმობილია შესატყვისი გამოცემები როგორც კავშირის მასშტაბით, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე; ავტორი გაცნობილია იმ დიდ პროგრამას, რომელიც განხორციელდა ბუნების რესურსების დასაცავად „იუნესკოსა“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.

პრობლემათა არეალური მიდგომით კვლევისა და სხვა რეგიონების პარალელური მონაცემების შეფასებისას, სათანადოდ არის გათვალისწინებული როგორც ჩრდილო კავკასიის (დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, სამხრეთი და ჩრდილო ოსეთი...), ასევე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი არსებული მონაცემები<sup>35</sup>.

მეურნეობის საკითხების ისტორიულ კრილში განხილვისას ნაშრომში გამოყენებულია ქართული წერილობითი წყაროები, სოციალური ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და ლექსიკოგრაფიული მონაცემები. ფართოდაა გათვალისწინებული ისეთი გამოცემები, რომლებიც შეიცავენ მასალებს გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობისა და ყოფის ცალკეული მხარეების გარშემო:—ЭО, НО, КСУ, МИЭБГ-КЗК, СМИБГКЗК, СМОМПК, ЗИРГО, ЗКОИРГО და სხვა; ასევე გასული საუკუნის ეურნალ-გაზეთებში დაცული ცნობები.

---

Исторические этапы и формы взаимодействия, М., 1984; Роль географического фактора в истории докапиталистических обществ (по этнографическим данным), Л., 1984; Проблема взаимодействия человека с окружающей средой, К. 1987, Пирсон Р., Природа предъявляет счет (охрана природных ресурсов США); М., 1969 (на англ. яз.). Мириманов Х. П., Охрана природы горных территорий, М., 1980; Oliver S. Owen, Natural resource conservation an ecological errg. N. York 1977; Бойченко М. Д., Напашные валы-террасы и борьба с эрозией почв на склонах, К. 1983; Казанкин А. П., Оценка степени антропогенной деградации горных экосистем, журн. Экология, № 6, 1984; Егоров В. П., влияние деятельности человека на продуктивность травяных систем, П, № 1, 1984; Анучин В. А., Географический фактор в развитии общества, М., 1985; Андрианов Б. В., Географическая среда и проблема зарождения земледелия, Материалы Всесоюзного симпозиума (сборник), М., 1978; მისივე, К изучению агроэтнографии, СЭ, 1976: № 3; Козлов В. Н., Покишишевский В. В., Этнография и география. СЭ, М., 1973, № 1. с. 3—13.

<sup>35</sup> Читая Г. С., Горное земледелие на Кавказе, XI, Тб., 1960; აღ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, კეკ, I, თბ. 1964; ვ. ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კეკ, I, თბ; 1964; Агларов М. А., Андийская группа народностей XIX—начала XX вв. Мах. 1965; Калоев Б. А., Земледелие народов Северного Кавказа, М., 1981; Гаглоева З. Д., Очерки по этнографии Осетии, Тбилиси, 1974; Мухиддинов Н., Особенности традиционного земледельческого хозяйства припамирских народностей

ნაშრომის მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომები.

ეთნოგრაფიული მასალები XIX საუკუნის სიღრმეში იძებნის დოკუმენტურ დასაბუთებას, რაც ასაკოვანი მთხრობელების ხელშეწყობით იქნა დადგენილი. საკითხების გარშემო მოტანილი ცნობების სანდოობას ნაწილობრივ, მაგრამ მაინც აძლიერებს ის ფოტომასალა, რომლის ფიქსირებაც შესაძლებელი გახდა წლების მანძილზე.

---

XIX—XX веков, Душ. 1984; Б. В. Андрианов, Этнос и историко-этнографические области, Сб. „Ареальные исследования в языкознании и этнографии (под ред. Н. И. Толстого). Л., Наука, 1983; Кантария М. В., Агркультурные способы полеводства в Чечено-Ингушети. КЭС, I, Тбилиси 1986; Б до я н Г. Д., Земледельческая культура в Армении (докторск. дисс.), Тбилиси 1968.

საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს  
თავისებურებანი და სამიწათმოქმედო კულტურათა  
ზონალური განლაგების ტრადიცია

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. მისი რელიეფი რთული და მრავალფეროვანია. ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტია და მისგან ბევრად არის განპირობებული ქვეყნის კულტურულ-ისტორიული განვითარების მიმართულება. ეს ფაქტორი მუდამ დიდ როლს თამაშობდა კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და მას შეიძლება თვალი გავადევნოთ ბევრი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონისა და მისი ეთნოსის სამეურნეო და კულტურული თავისებურებების ცალკეული მხარის განხილვის დროს<sup>1</sup>. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება ეთნოსის „ბუნებრივ სამყოფელში“ (естественная ниша) შეგუების პერიოდში, მისი სამეურნეო ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის ჩამოყალიბების პროცესში<sup>2</sup>.

ტრადიციული მიწათმოქმედების სამეურნეო უბნები ძირითადად მთიან ზოლშია კონცენტრირებული. ისინი ყველაზე ადრე ათვისებულ ობიექტებად წარმოგვიდგებიან, სადაც საძიებელია სამიწათმოქმედო კულტურების ადრეული ჩანასახები და მათი მალალგანვითარებული ელემენტები. თუ მიწათმოქმედების განვითარების ისტორიულ პროცესს მივადევნებთ თვალს, რომელიც ყველა კონტინენტზე თავისებურად მიმდინარეობდა, დავინახავთ, რომ თავის მაქსიმალურ განვითარებას მიწათმოქმედებამ სწორედ ძნელად მისადგომ რაიონებში მიაღწია. როგორც ნ. ვავილოვი წერს „როგორც ჯერ კიდევ მარქსი აღნიშნავდა, კაცობრიობამ კულტურის განვითარების უმადლეს წერტილს იქ მიაღწია, სადაც ბუნების დამორჩილება ძნელი მისადწვევია

<sup>1</sup> Сергеева Г. А. Природно-географическая среда и этнографические контакты в Дагестане, СЭ, 1981, № 3. с. 90.

<sup>2</sup> Бромлей, Ю. В. К изучению этнических аспектов экологии человечества, „Хелеური“, Тбилиси, 1985, с. 65.

იყო, სადაც საქირო იყო დიდი კოლექტიური შრომის გამოყენება. კოლექტივის დაძაბული ნებისყოფა... უდიდესი მიღწევები სამიწათმოქმედო წარმოებაში კაცობრიობამ წარსულში მოიპოვა არა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ დაბლობ რაიონებში, არამედ პირიქით, მთებში, უდიდესი დაბრკოლებების გადალახვით მიწის თითოეული მტკაველის დაპყრობისათვის. ითვისებდნენ რა მალაღმთიან რაიონებს უძველესი დროიდან, სრულიად განსხვავებული ჰავის, ნიადაგების. მცენარეული და ცხოველური სამყაროს პირობებში, სხვადასხვა ხალხები დამოუკიდებლად აყალიბებდნენ თავიანთ ჩვევებს. შემოპქონდათ კულტურაში ახალი მცენარეები, ქმნიდნენ თავის აგროტექნიკას და ამგვარად აგროვებდნენ უდიდეს გამოცდილებას თავის ისტორიულ განვითარებაში“; ამასთან ერთად, „მთური რელიეფი განსაკუთრებია ხელშემწყობი იყო ადამიანთა მცირე ჯგუფების დამოუკიდებელი ცხოვრების განვითარებისათვის, რაც თავისუფლად გვევლინება იმ ფაზად, საიდანაც დაიწყო ადამიანთა საზოგადოების განვითარება“<sup>3</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე, მის ყველა კუთხეში განვითარებულ მიწათმოქმედებას ღრმა ფესვები მოეპოვება ისტორიულ წარსულში<sup>4</sup>. აქაური მიწათმოქმედების სიძველესა და დაწინაურებულ მდგომარეობაზე მიუთითებენ როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. საქართველო მრავალი ენდემური კულტურის სამშობლოდ, ხორბლებისათვის კი თავისებურ მუზეუმადაა მიჩნეული<sup>5</sup>. ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან იგი წარმოადგენს მძლავრ სამიწათმოქმედო კერას, სადაც ღრმა და მრავალფეროვანი ტრადიციებია შემონახული<sup>6</sup>.

ინდივიდუალური მიდგომა ნიადაგის ცალკეული სახეობისადმი აპირობებდა საქართველოში მიწათმოქმედების ინტენსივობის ხარისხს. რთულ რელიეფურ პირობებში მოქცეული ტრადიციული უბნების ათვისებასა და მათ თანამედროვეობაში გამოყენებას თან ახლავს სოციალური თუ ტექნიკური ხასიათის სირთულეები (მოსახლეობის მიგრაცია ბარის ცენტრებში, ადგილზე დასაქმების დაბალი კოეფიციენტი, უგზოობა, დაბალი კულტურული აღჭურვილობა, არასრულყოფილი ტექნიკა, სამეურნეო კულტურათა შეუსაბამო განლაგება და სხვ.). სპეციალისტების აზრით „ის კულტურული რე-

<sup>3</sup> В а в и л о в, Н. И. Мировой опыт земледельческого освоения высокогорий „Природа“, 1936, № 2, с. 76. მისივე, Проблема происхождения мировогорий, земледелия, М.—Л., 1922, с. 13, 41.

<sup>4</sup> გ. ჩობია, რაჭული სახენჯო, ენმკ-ის შოამბე, I, გვ. 287—288.

<sup>5</sup> М е н а б д е В. Пшеницы Грузии, Тбилиси, 1948, с. 9—10.

<sup>6</sup> Ж у к о в с к и й, П. М. Культурные растения и их сородичи, М., 1950, с. 24.

ზერვები, რომლებიც მთის ზოლს გააჩნია, გამოუყენებელია მეურნეობებში შექმნილი მძიმე სამუშაო პირობებისა და ტექნოლოგიური პროცესების აღჭურვილობის დაბალი დონის გამო. ვერტიკალური ზონალობა, ფერდობთა ციცაბო განლაგება, ნაკვეთების ძლიერი დანაწევრება განაპირობებენ მთური მიწათმოქმედების მექანიზირების სირთულეებს<sup>7</sup>. ბუნების განსაკუთრებული მრავალფეროვნება აძნელებს როგორც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციას, ასევე ახალი სავარგულების გამოყენების ეფექტს. დღეისათვის, როდესაც ქიმიზაციის მეშვეობით ნიადაგებზე ექსპლუატაციის ახლებური ფორმები მოქმედებს, ტრადიციული მიწათმოქმედების წესები დავიწყებას მიეცა. სოფლის მეურნეობის ხასიათი, კულტურათა განლაგების ახალი მეთოდები სხვა საფუძველს უქმნის დღევანდლობას. დაუმუშავებელი, აუთვისებელი და მიტოვებულია მიწის დიდი მასივები, რომლებიც ცალკეულ მიკროზონალურ მონაკვეთებად არიან განლაგებული და გაფართოებული ექსპლუატაციის ნორმებს ვერ აკმაყოფილებენ. მათი დიდი უმრავლესობა მთაგორიანი რელიეფის გარემოშია მოქცეული. სათანადო ღონისძიებათა მეშვეობით ეს მიწები მომავალშიც ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული სამეურნეო დანიშნულებით.

მთის რეგიონებში მიწის რეზერვის ათვისებას აძნელებს მისი ნიადაგური საფარის სტრუქტურული არაერთგვაროვნება: გამოღალული, დაშლილი, დამეწყერებული მონაკვეთები. ეს არის ახლო წარსულში მოქმედი კულტურული ფართობები, რომლებიც ბუნებრივი თუ ხელოვნური მიზეზების გავლენით განადგურებამდეა მისული. ნიადაგების თვისებათა ხალხური ცოდნა და მის საფუძველზე შემუშავებული ტრადიციული ნიადაგსარგებლობის წესები უშუალო კავშირში განიხლება ბუნების ზონალობის საკითხებთან. სპეციალისტების მიერ ცოცხალი ბუნების კომპონენტების სარტყლებად დაყოფა კვალიფიცირებულია როგორც ვერტიკალური ზონალობა. ბოლო დროს დაგროვილი ფართო საკვლევამდებო ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სხვადასხვა ვერტიკალური ზონის შესატყვის პორიზონტალურ ზონებს შორის ანალოგს, როგორც ეს ადრე იყო მიღებული, არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ერთი მთიანი ქვეყნის ან რომელიმე გეოგრაფიული გარემოს ვერტიკალური ზონის შესაბამისი პორიზონტალური ზონები მეორე მთიანი ქვეყნის იმავე ვერტიკალურ სარტყელში იგივე არ იქნება. ეს მაჩვენებელი მრავალი კომპონენტის კომპლექსური ერთიანობით არის განსაზღვრული და ყოველ

<sup>7</sup> Хохлов И. М. Горное земледелие СССР и задачи... Сб., докл. М., 1974, с. 7.

ცალკეულ გარემოში ადგილობრივი მაჩვენებლებით არის შეპირობებული.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს, როდესაც ბუნების გეოგრაფიული ზონალობის მოძღვრება ყალიბდებოდა ნათელი გახდა, რომ მისი განსაზღვრისათვის ამოსაეაღს წარმოადგენს არა მარტო კონკრეტული გეოგრაფიული ზონის დადგენის ფაქტი, არამედ კანონზომიერებათა იმ ურთიერთკავშირების გამოვლენა, რომლებიც არსებობას მთის რელიეფის, კლიმატის, ნიადაგების, მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროსა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობას შორის. გაირკვა, რომ ყოველ გეოგრაფიულ გარემოში მოქმედებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერი კავშირი ბუნებას მოვლენებს შორის, ერთი მხრივ, და ბუნებასა და ადამიანს შორის — მეორე მხრივ. ამის საფუძველზე ყოველი გეოგრაფიული ზონა დამოუკიდებელ გენეტიკურ სფეროდ იქნა მიჩნეული და ფართოდ გააზრებული ისტორიულ კრილში. ვ. დოკუჩაევის განმარტებით, „არა მარტო სოფლის მეურნეობის საკითხების შესწავლა, არამედ მისი ორგანიზაცია და სინთეზიც წარიმართება, ძირითადად, ვერტიკალური ზონალობის ნიშნით. მათთან უშუალო კავშირშია კანონზომიერებათა სხვა რიგი — ქვეზონები და მათი ინვერსია, ფერდობების დახრილობითა და ექსპოზიციით განსაზღვრული“<sup>8</sup>.

კავკასია და, კერძოდ, საქართველო კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ატმოსფეროსა და ბიოსფეროს ცალკეულ ზონათა შორის არსებული კანონზომიერი ურთიერთკავშირების თვალსაზრისით<sup>9</sup>. ვერტიკალური ზონები საქართველოში რამდენადმე ავსებს ერთმანეთს როგორც მთელი ტერიტორიის, ასევე ცალკეული მიკრორაიონის შიგნით. თითოეულ ზოლს თავისი მთა და ბარი გააჩნია, ამიტომ ზონალობის პრინციპი მიკრორაიონის ფარგლებშიც იჩენს თავს. აქვე მკაფიოდ არის გამოხატული ზონათაშორისი ინვერსია, რომელიც სხვადასხვა ზონალურ სარტყელშია დადგენილი მიწათმოქმედების სპეციალური საკითხების ძიების პროცესში<sup>10</sup>.

<sup>8</sup> Докучаев В. В. Горизонтальные и вертикальные почвенные зоны Кавказа, „К учению о зонах в природе“, СПб, 1899, с. 19.

<sup>9</sup> Захаров С. А. Вертикальная зональность почв на Кавказе, „Почвоведение“, 1936, № 6. ვ. ჩიტაია, ქართული ეთნოგრაფიული ატლასი, მეცნ. აკად. მოამბე, 1960, 1, გვ. 209.

<sup>10</sup> ინვერსია გამოხატება ზონათა არასწორ, არაკანონზომიერ მიკროზონალურ გამოვლინებებში. მისგანვეა შეპირობებული კულტურულ მცენარეთა არაშესატყვის ზონალურ სარტყელში გავრცელება და მათი ლოკალური ფორმების წარმოქმნა.



საქართველოს მთიანი ბუნების ხასიათი, მისი მთისა და ბარის ურთიერთშერწყმის თავისებურებანი თვალნათლივ არის გადმოცემული ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში. იგი მიმართავს ვერტიკალურ-ზონალური ნიშნით ერთგვაროვანი სამეურნეო-გეოგრაფიული არეების დანაწევრებას, და თითოეულს, მისთვის დამახასიათებელი კულტურული მცენარეულითა და სხვა შესატყვისი მონაცემების დადგენის მეშვეობით გამოყოფს. როგორც ივ. ჭავჭავაძის მიუთითებს, „კულტურულ მცენარეთა არეებისა და ზონალობის შესახებ, ასი წლით დეკანდოლზე უწინარეს, სახელოვან ქართველ მეცნიერს ვახუშტს ჰქონდა მოძღვრება წამოყენებული. რა თქმა უნდა, ვახუშტს ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოს ასპარეზით ჰქონდა მოზღუდვით“<sup>11</sup>. როგორც ვახუშტის ნაშრომებიდან ირკვევა, ქართველი მეურნე ბუნების ზონალურ თავისებურებებს უძველესი დროიდანვე თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში იყენებს. ყველა ზოლს მისთვის შესაფერისი დარგი და საქმიანობის ხასიათი შეესატყვისება, და ადამიანის შრომით, ხშირად მწირი და მიუვალი მიდამო აყვავებულ ბაღნარად არის ქცეული. მეცნიერის მიერ 4 გეობოტანიკური არე ანუ ზონაა გამოჩნული მრავალი მახასიათებლის მიხედვით, რომელიც, ექვგარეშეა, ემყარება იმჟამად ხალხში მოქმედ სამეურნეო კანონებსა და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში მთა და ბარი დაპირისპირებულია ერთმანეთთან თავისი ნაყოფიერებითა და კულტურულ მცენარეთა გავრცელების ინტენსივობით. ყოველი დასახლებული რეგიონი ხეობების მიხედვითაა დახასიათებული და აღწერილი. მაგალითისათვის დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს — დებედას ხეობა, სკვირეთის ანუ ვერეს, ჭივჭავას, ხოჯორნის, დბანის, ტანის, ფინეზაურის, ზურტაკეტის, თქმის, სკრისა და ხვედურეთის ხეობა, ცხრამის ხევი, დვანის, ლიგანის ხეობა და სხვა, ასევეა დასავლეთ საქართველოსათვის. ამავე დროს, ცალკე აღწერილი დიდ მდინარეთა ხეობები და მისი მიმდებარე მიწები, მთისა და ბარის ცალკეული კუთხეები.

მთისა და ბარის შესატყვისობა ამ ნაშრომში ყოველი ხეობის ტექტონიკური აგებულების ხასიათით, ზონალობით, გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით არის შეფასებული. ყოველი ცალკეული ხეობის მთა და ბარი საკუთრივ იმ ხეობისათვის დამახასიათებელი მონაცემებით არის გადმოცემული — ხილიანი, ვენახიანი ან უვენახო; ველიანი ან მცირედ ველოვანი და ა. შ. ამდენად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მთა და ბარი ზონალობის სხვადასხვა არეს შეესატყვისება და მკაცრად დადგენილ ნორმებს არ გულის-

<sup>11</sup> ივ. ჭავჭავაძის, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, თბ., 1930, გვ. 297.

ხმობს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში ხეობათა ადგილობრივი გეოკლიმატური პირობები განსხვავებულია და განსაზღვრულია ბუნებრივი მაჩვენებლების მთელი კომპლექსით — რელიეფი, ჰიდროგრაფია, მცენარეული საფარი, მზის რადიაციის ხასიათი, ხეობის აგებულების ხასიათი, და მისი დახრილობა, ნიადაგების შემადგენლობა და სხვა<sup>12</sup>. ვახუშტი ბატონიშვილთან, მთელ საქართველოს მიწა-წყალი ვერტიკალური ზონალობის მიხედვით არის განსაზღვრული და შეფასებული ხეობათა დეტალური შიდა სამეურნეო მონაცემებით. ამ ხეობათა მთა და ბარი ურთიერთის მიმართ შეფარდებითი გაგებით არის დადგენილი — აქვს თავისი არე, თავისი სამეურნეო კულტურული პროფილი, აქვს თავისი მთისწინეთიც, თუკცა ის ცალკე ტერმინად და ცნებად არ არის გამოყოფილი.

ეთნოგრაფიული კვლევით დადგენილია, რომ საქართველოს ბუნების ვერტიკალური ზონალობის, მისი გეოგრაფიული სარტყელების, მთისა, გარდამავალი ზოლისა და ბარის ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს ხასიათის შესატყვისად დიფერენცირებულია მიწათმოქმედების დარგების განლაგებაც. მათი ზონალური შესატყვისობა კარგად მყლავნდება წლიური სამიწათმოქმედო ციკლის მთელ სისტემაში, სამეურნეო წესების დინამიურობაში, შრომის იარაღების მრავალფეროვნებაში და სხვა, რაშიც ზონალობის სტადიალურ შესატყვისობაში მყოფი მეურნეობის ფორმათა სურათია ასახული. ბუნებრივი მრავალფეროვნებით შეპირობებული სახვნელი იარაღების სახეობანი განსაკუთრებით კარგად წარმოაჩენენ ზონალური დაქვემდებარების ფაქტორთა საყოველთაო მოქმედებას საქართველოს მიწა-წყალზე. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახვნელთა განსხვავებული ფორმებია შემონახული — დიდი ქართული გუთანნი, ჯილდა-გოგორა, ორხელას ტიპის სახვნელები და კავწერა, კავის ტიპის სახვნელები და სხვ. ყოველ მათგანს კონსტრუქციულ-ფუნქციური თავისებურებანი ახასიათებს, რომლებიც კარგად ასახავენ ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეყნის შინაგანი განვითარების პროცესს, საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შესაბამისად. ეს სახვნელები თავისი კონსტრუქციული ელემენტებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და წარმოგვიდგებიან რთულ, შუალედურ და მარტივ ფორმათა სახით, რაც გარემოს თავი-

12 „სხვადასხვა კლიმატური პირობების მქონე რაიონებში მდებარე ხეობათა მონაკვეთები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გენეტიკური და მორფოლოგიური თვისებებით. ამ სხვადასხვაობას ხელს უწყობს ხეობათა ამგებელი ქანებისა და ტექტონიკური სტრუქტურების თავისებურება, რაც მათ ზონალურ გავრცელებაში გამოიხატება“ — ს. ნეშანაშვილი, საქართველოს მდინარეული ტერასები, თბ., 1976.

სებურებით არის განპირობებული და ყოველ ზოლში ბუნებრივი პირობების შესაფერი მოთხოვნილებით პოვებს გამოყენებას. ამ სასაქოთხებს გ. ჩიტაიას ფუნდამენტური ნაშრომები მიეძღვნა, სადაც იმასაც ექცევა ყურადღება. რომ „სახენელი იარაღების თითოეული სახეობა შეგუებული იყო ჰაეის, ნიადაგების, ტენიანობის, რელიეფის თავისებურებებთან, ქვეყნის ამა თუ იმ მიკრორაიონის სპეციფიკაჟთან და საზოგადოებრივი განვითარების დონესთან. იმის გამო, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები და ადამიანის მიერ მასში შეტანილი ცვლილებები ნაირსახისაა, მრავალი მიკრორაიონია წარმოდგენილი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობის მიხედვით. ამის შესაბამისად, სახენელი იარაღის ნაირი სახეობა და მათი ვარიანტებია გამომუშაებული“<sup>13</sup>. განსხვავებული აგებულების სახენელ იარაღებს შეესატყვისება შესაბამისი შრომის გაერთიანების ფორმები, რომლებიც როგორც რთული, ასევე მარტივი სახით წარმოვეიდგებთან<sup>14</sup>. ამდენად. განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი სახენელი იარაღები კონკრეტული გეოგრაფიულ-სამეურნეო ბუნებრივი სფეროს მოთხოვნილებათა შესაბამისად დიფერენცირებულად გამოიყენება და ზონალობის შესატყვის მიკროგარემოს ფარგლებში მეტ-ნაკლები ინტენსივობით გვხვდება. ხშირ შემთხვევაში, და ეს უპირატესად გარდამავალ ზოლს შეეხება, სხვადასხვა ტიპის სახენელი იარაღის ერთდროულ გამოყენებას აქვს ადგილი, ყოველი ცალკე სავარგული-სათვის შესატყვისი მოთხოვნილების მიხედვით.

ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში „მთითა და ბარით შემკობა“ მხოლოდ იმაზე არ მიუთითებს, რომ მიწა-წყალს აქვს ეს ორი მაჩვენებელი, მისი ორი, როგორც გეოგრაფიული, ასევე მეურნეობრივი მსაზღვრელი. მთა არ არის მუდამ იმ მნიშვნელობით, რაც გეოგრაფიულად ახასიათებს ამ გაგებას, არამედ მთათავისი ბარისა, ისე რომ ყოველ ბარს თავისი მთა გააჩნია. ეს პრინციპი საყოველთაოდ ჩანს გატარებული. ამას ისიც ადასტურებს, რომ ლეჩხუმში მაგალითად, „თუმცა არს მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი“. ასევე სამცხე — „მთიანი, გორიანი, ღრატოიანი, ხევიან-კლდიანი“, მაგრამ ბუნებითა და მოსავლით მდიდარი და მრავალფეროვანი.

13 გ. ჩიტაია, საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემა და სახენელი იარაღები, შრომები, I (ხელნაწერი).

14 გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმოხილველი, თბ., 1949, ტ. 1. გვ. 361—388; ქსნურო მთის გუთანი, ენიშკის მოამბე თბ., 1940. ტ. V.—VI, გვ. 479—508. Геладзе Т. Ш. формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии, Тбилиси, 1987.

ჩვენს სინამდვილეში შემორჩენილი ხალხური ტრადიციული ნორმების დადასტურების მეშვეობით კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდ კანონზომიერებას შეესატყვისება საქართველოს მოსახლეობის ზონალური განლაგება მისი ტერიტორიის ნებისმიერ მონაკვეთში. ამ მოვლენას დღესაც შეიძლება გავადევნოთ თვალი ბევრი რეგიონის მიკროზონალურ მასშტაბებში. მაგალითისათვის მოვიხმოთ თეძმის ხეობაში ახალციხე-გოსტიბეს მონაკვეთში დადგენილი მონაცემები: ახალციხე და ახალქალაქი, ადგილობრივი განმარტებით, ბარია. თავის მთად აქაურებს მიაჩნიათ ერთაწმინდა და ნოსტე. ნოსტეში გვიდასტურებენ, რომ ახალციხე-ახალქალაქის მცხოვრებთ, წინათ, „ბარის ხალხს“ ეძახდნენ, თვითონ კი მათთვის მთად ითვლებოდნენ. ნოსტესაც ჰქონდა თავისი მთა და წინათ იქ „მთის ხალხი“ ცხოვრობდა. მათზე მიუთითებს ნასოფლარების ტოპონიმები — ზვარი-კოტმანი, კლდე-კაპნები, გოგოთა, გოსტიბე... სიმაღლეთა მაჩვენებლებით დადგენილია შემდეგი ზონალობა: ახალქალაქი-ახალციხე 550—600 მ. ზ. დ.; ერთაწმინდა და ნოსტე 800—850 მ. ზ. დ.; ზვარი-კოტმანი, ცხავერი, გოსტიბე 1200—1450 მ. ზ. დ. ამ ტერიტორიაზე ხეობის შიდა ზონალობა სრულიად თვალსაჩინოდაა გამოხატული, როგორც ადგილობრივი მთაბარობის განმსაზღვრელი გარემოება.

ანალოგიური სურათი იქმნება კავთურას ხეობის ერთ მონაკვეთზე დაკვირვებით, კავთის ხევი — ეზატი — გუდალეთი. 15 კმ-ის განფენილობაში მდებარე პუნქტებისათვის. მათი სიმაღლის მაჩვენებლებია: კავთისხევი — 600 მ. ზ. დ.; ეზატი — 750 მ. ზ. დ. გუდალეთი — 960 მ. ზ. დ. თავის მხრივ გუდალეთს ასევე გააჩნია „მთა“, რომელიც ამჟამად მოსახლეობისაგან დაცლილია და მხოლოდ მათი სახელებია შემორჩენილი ხალხის ხსოვნაში — პარეტისი, ბოტისი. სამტრედო...

ასეთივე ვითარებაა ლეხურის ხეობის (სამთავისი — ქვეკალა — საკორინთლო) მაგალითზე (450—800 მ. ზ. დ.), სადაც საკორინთლოს (ძველი რეხა) თავის მხრივ საკუთარი მთა გააჩნდა. იგივე შეორდება კავთურის ხეობის ზემო წელის, ქსნის ხეობის ქვემო წელის, მეჭუდის ხეობისა და სხვა მრავალ მონაკვეთში. აქ მთავარი მაჩვენებელია თითოეული ხეობის აგებულიების ტექტონიკური ხასიათი, კლიმატი, ადგილობრივი ზონალური და ინვერსიული პროცესები, მზის რადიაციის ადგილობრივი მახასიათებელი და სხვ. ზონალურ რეჟიმში გასათვალისწინებელია ასევე ხეობათა რეგიონალური კუთვნილება. მაგალითად, მესხეთში რუსთავი მდებარეობს 1000 მ. ზ. დ., ასპინძა — 1340 მ. ზ. დ. და ხიზაბაკრა, რომელიც ამათი მთაა 1590—1600 მ. ზ. დ. ასევე ტოლოში

—1150მ. ზ. დ. ნაქალაქევი — 1380 მ. ზ. დ.; აგარა — 1600 — 1650 მ, ზ. დ, განსხვავებული სურათია ქიზიყში: ვ ა ქ ი რ ი — 320 მ. ზდ.; ზ. ბ ო დ ბ ე — 840 მ. ზ. დ. ამგვარად, თუ შიდა ქართლში (1200 მ. ზ. დ.) მდებარე ზვარი-კოტმანში არც ვენახია და არც ხილის ბაღები, მესხეთში იმავე სიმაღლეზე განლაგებული ტოლოში ბაღებშია ჩაფლული და მისი მიდამო მოფენილია უძველესი ნავენახარი ტერასებით. ასე რომ, ერთი რეგიონის მთური დასახლება მეორე რეგიონის მთისწინეთს ან სულაც ბარს შეესატყვისება. ამიტომ მთა და ბარი, საქართველოს მიწა-წყლის მაგალითზე, უნდა განიხილებოდეს არა როგორც ამ გაგებისადმი მკაცრად დაქვემდებარებული ზონალური არეები, არამედ დიდი მრავალფეროვნების მქონე თითოეული დასახლებული პუნქტისათვის უნდა შეფასდეს მიმართებითი გაგებით. სადაც მთისწინეთი, გარდამავალი ზონალობის მქონე არეალი, რომელიც ხან ბარად და ხან მთად არის მიჩნეული ხალხის მიერ და ასევეა გადმოცემული წერილობით წყაროებში, თავისი დიდი ეკონომიკური და სოციალური ფუნქციის მატარებლად გვევლინება.

გარდამავალი ზონალობის განფენილობის თავისებურებაზე (სხვადასხვა რეგიონის ტერიტორიაზე) ვახუშტი ბატონიშვილთან მთისა და ბარის განსაკუთრებული სიახლოვის აღნიშვნაც მიუთითებს. საქართველო შემკობილია მთითა და ბარით „რამეთუ არ არს ადგილი, რომლის მთა-ბარი არ იყოს ესრეთ ერთი მეორეზე ახლოს“.. „მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, რომ... ჟამისა, ანუ ნახევარჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყველანი ნაყოფნი“. ამიტომ ეს მთა და ბარი უნდა განიხილებოდეს როგორც ურთიერთგანმსაზღვრელ-განმაპირობებელი გეოგრაფიული ზონები, რომლებიც ყოველი ცალკე ხეობისათვის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მონაცემების საფუძველზეა არსებული. აქ ბარს თავისი მთა შეესატყვისება, რომელიც მისი შესატყვისი მთისათვის შეიძლება ბარი იყოს. ისე რომ, ყოველი რეგიონის ტერიტორიაზე გარდამავალი ზონალობის როგორც ეკოლოგიური, სამეურნეო-ეკონომიკური და ეთნიკური ნიშნის მქონე ფაქტორის არსებობას ამის მამტიციებელი არაერთი საბუთი გააჩნია<sup>15</sup>. ამას ვახუშტის მიერ მთისა და ბარის განსაკუთრებული სიახლოვის ხაზგასმა უქერს მხარს.

ცხადია, მთისწინეთის ცნება არ შეიძლებოდა შემუშავებულიყო ადამიანის ფსიქიკაში ამგვარი, დღევანდელი ფორმულირებით. ეს არის უკვე მისი მეცნიერული კვალიფიკაცია, ეს არის ისტორიული

<sup>15</sup> ამ საკითხზე იხ. გ. ჩიტაია, ქართული ეთნოგრაფიული ატლასი. საზოგ. მეცნ. განყოფ. მოამბე, 2, თბ., 1960.

წარსულის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე მიღებული ზოგადი შეფასება, რომელიც რეალურ ვითარებას ასახავს. მთა და ბარი მუდამ ერთი მთელის გაგება იყო და იქ მესამე მსაზღვრელი ვერ მოთავსდებოდა. ბარს მთა სკირდებოდა და მთა უბაროდ ვერ იარსებებდა. ხეობათა ზონალურ განფენილობაში ამ „მთისა და ბარის სიახლოვეს“ საყოველთაო ხასიათი აქვს და ხშირად ერთ პატარა ხეობაში ორი ბარი და ორი მთა შეიძლება მოინიშნოს<sup>16</sup>. „ხევით მარტო მცირე ქვეყანა არ აღინიშნება, მთელი კახეთიც ხევია“ მიუთითებს ნ. ბერძენიშვილი; მაგრამ „საფიქრებელი ისაა, რომ „ხევი კახეთისა“ ერთი განსაკუთრებული ხევის სახელია კახეთში. და თუ ეს მართლა აღმოჩნდებოდა, მაშინ „კახეთიც“ ნიშანდობლივ გვეცოდინებოდა თუ საუბრისსმებოდა თავდაპირველად“<sup>17</sup>. ამიტომ, „მიუხედავად ტენდენციისა გაფართოებისაკენ ცნება ხევი უპირატესად გეოგრაფიული ნიშანდობლიობის მომენტს საბოლოოდ ვერ იცილებს“<sup>18</sup>, განვითარების ახალ ეტაპზე ხევი „საეროსთავო ქვეყანამ“ შეცვალა; ისე რომ „სახელმწიფო წყობისათვის ვითარება ხევებში შემზადდა“<sup>19</sup>. ამდენად „ქართლის სამეფოს წარმოქმნა ეს იყო ხევებში განვითარებული ურთიერთობის ნიადაგზე წარმოქმნილი კლასობრივი ორგანიზაცია“<sup>20</sup>... ნათელი ხდება, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ნაწრომში, მთა ბარის სიახლოვეში, საზოგადოების ხევებად ცხოვრების სოციალური სტატუსია გადმოცემული, და როგორც აღვნიშნეთ, ამ ერთეულში, ხევის შიგნით მიმდინარე ცხოვრების, მისი ერთიანობის, ერთ მთელად შერწყმის სურათია ასახული. ნათელი ხდება, რომ „მთა გარდუვალი“ და „საშინელი“ გვიან ხანაში გახდა, როცა კულტურის ცენტრი ბარში გადმოვიდა, როცა მიწათმოქმედება მთავარი, წამყვანი მეურნეობა გახდა. ძველად კი, როცა კულტურა უპირატესად მთიანეთისა იყო, როცა კულტურის ცენტრები მთისპირა ზოლში იყო... ამ დროს მთა უეჭველია უფრო ათვისებული იყო და ურთიერთობა მთის გადაღმა-გადმოღმის შორის უფრო ნორმა-

16 „მთიულეთში, ისევე როგორც ხევში, ხალხი თავის სამეურნეო ტერიტორიას ყოფს მთად და ბარად, რაც შეესაბამება ადგილის მდებარეობისა და სიმაღლის ურთიერთშეფარდებას. ამის მიხედვით ბარი ეწოდება სოფლის ახლო ტერიტორიას, რომელიც შესაძლოა ზღვის დონიდან საკმაოდ დიდ სიმაღლეზე (1500—2000 მ) მდებარეობს. მაგრამ, რამდენადაც მთებთან შედარებით ის დაბალია, ამდენად ის მთიელისათვის ბარია“, ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974, გვ. 23.

17 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 63.

18 იქვე, გვ. 62.

19 იქვე, გვ. 75.

20 იქვე, გვ. 76.

ლურია“...<sup>21</sup> და მართლაც, ამ ხეობათა განსახლების კანონზომიერების. მისი ხასიათის მიხედვით მრავალ მონაკვეთში ხეობის ბარი უკვე მისი მთისპირეთი, მთისწინეთი იყო.

ვახუშტი ბატონიშვილის ზონალობაში მთისა და ბარის გამიჯვნის მთავარი კრიტერიუმი, მათი დაპირისპირებისა და განსხვავებული ხასიათის ამოსავალი არის საქართველოს უმთავრესი კულტურა — ვაზი, რომლის გავრცელების ზონალურ საზღვრებს მეცნიერი უქვემდებარებს მთისა და ბარის გაგებათა დადგენის მთავარ მაჩვენებელს. ამაზე ივ. ჭავჭავიძე წერს: „ამ ორი ბოტანიკური არისა და მეურნეობის განმასხვავებელი ვაზი ყოფილა. უძველესი დროითგან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე წროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრივ უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსაჯლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას კი — სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და მოსავლიანობა“<sup>22</sup>. საკითხის ამგვარი ფორმულირება ორი გარემოების გათვალისწინებას საჭიროებს. პირველი: თუ მხოლოდ ვაზის კულტურის მიხედვით ვიგულისხმებთ მთისა და ბარის სასაზღვრო ზონებს, მაშინ საჭირო გახდება იმაზეც მივუთითოთ, რომ საქართველოში ვაზის ზონალური გავრცელება 200—1500 მ ზ. დ. ფარგლებს მოიცავს. მეორე: არის ვახუშტი ბატონიშვილთან ისეთი უბნები თუ რეგიონები (ეს მისივე ნაშრომშია ხაზგასმული), სადაც ზემოთ აღნიშნული ტრადიცია რამდენადმე ირღვევა; აქ სადაც მთაა, და არ უნდა იყოს ვენახი, არის ვენახი, მისი უძველესი ტრადიციული ფორმებითა და ჯიშობრივი სიმრავლით (მესხეთი, რაჭა, ზემო იმერეთი, შიდა ქართლი და სხვა.).

საქართველოს სხვადასხვა ბუნებრივ-სამეურნეო არეებში არსებული ვაზის კულტურის გარშემო ქართველ ეთნოგრაფებს ფართო საკვლევადიებო მუშაობა აქვთ ჩატარებული, რის საჭუძველზეც საშუალება გვძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ტრადიციული მეურნეობისათვის ვაზი მთისწინეთის კულტურაა და არა ბარის, იმ გაგებით, როგორც დღესაა მიღებული. შიდა ქართლში, კახეთში, ზემო ქართლში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში ვაზის საუკეთესო ჯიშები და მისი კულტურის მთავარი ობიექტები ფერდობებსა და მთის ზომიერ კალთებზეა განლაგებული, სადაც ძირითადად ხეობათა ტერიტორიები იგულისხმება. ამაზე მეტყვე-

21 იქვე, გვ. 641.

22 ივ. ჭავჭავიძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბ., 1930, გვ. 29.

ლებს უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის მქონე რეგიონში — მესხეთში — მისი მთისწინეთის ზოლში გამოვლენილი უდიდესი სამეურნეო პოტენციალი, რომელიც ოდითგან ვაზის ტერასული კულტურით არის აღსანიშნავი. შიდა ქართლის ვენახის უძველესი, საუკეთესო ჯიშები ასევე ფერდობებზე და ხეობათა მთის კალთებზეა კონცენტრირებული. ამავე მიმართებით ყურადღების ღირსია ი. გოგებაშვილის მიერ კახეთის მევენახეობის დახასიათება — „... ტყიანი მთები კახეთს თავის რიგზე წვიმას არ აკლებს. მეტადრე ყურძენს, ამგვარი ბუნება ძლიერ უხდება და რგებს. იმისთანა ფერდობ. ადგილებში, რომელთაც მზის შუქი და სითბო უხვად მოსდის და წვიმა ხშირად არა რწყავს, ჩინებული თვისების ვაზი ხარობს“<sup>23</sup>. კახეთის მევენახეობაში სავენახე ადგილების ფერდობზე განლაგებას აღნიშნავს ა. ლეკიაშვილი „...სავენახე მზვარეშია, მზეს მიფიცებულ სამხრეთის ფერდობზე. ვაზს, მზის შვილს აქ დილიდან საღამომდე არ მოაკლდება მისი სხივი... მას არც ავდარში მოვარდნილი ნიაღვარი ემუქრება, ზომიერად დაქანებულ ფერდობს ვერ ჩამორეცხავს“<sup>24</sup>. რაჭის მევენახის მიერაც ამგვარი მიდგომით ხდება სავენახე მიწის შერჩევა: „...დიდი ყურადღება ექცევა „ალაგის მოყვანილობას“, „მზიგულობას“ და მდებარეობას. საუკეთესო სამამულედ ითვლება „გვერდი“ ანუ „ფერდი“ ადგილი, რომელსაც ზომიერი დაქანება აქვს... ფერდზე ყურძენი უკეთესი მოდის, მეტი მზე ხვდება, წყალი არ ჩერდება. „პაერი ტრიალებს“<sup>25</sup>. ამავე დროს ხშირი იყო, როცა — „...ნაკვეთი მთლად „ბითუმ“ კლდეზე იყო მოწყობილი... მეურნე ციცაბო ფერდობზე გაშენებულ ვენახს განსაკუთრებული გულისყურით ამუშავებდა ...დამრეც ფერდობებს წარმატებით იყენებდა...“<sup>26</sup> ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. მაგალითად, იმერელ მევენახეს ფერდობის ვენახი გაცილებით უკეთესად მიაჩნია, ვიდრე დაბლობის. აქ ვაზი უკეთეს პირობებშია მოქცეული — ნიადაგი ქვიშიანია და ნაკლებად ირეცხება, თერმული რეჟიმი უფრო სტაბილურია, მზის მცხუნვარება — ზომიერი და ა. შ. სპეციალური კვლევითაც დასტურდება, რომ ფერდობზე დაბლობთან შედარებით ვაზის ზრდა-განვითარებისათვის უკეთესი პირობებია, დაბლობში ყინვას დიდი ზიანი მოაქვს მცენარისათვის...<sup>27</sup> ამავე თვალსაზრისითაა შეფასებული ქართლის მევენახეობის განვითარება სახელმწიფო გლეხთა

23 ი. გოგებაშვილი, „საგანძური“, თბ., 1982, გვ. 227.

24 ა. ლეკიაშვილი, „შენ ხარ ვენახი, თბ., 1972, გვ. 65.

25 ლ. ფრუიძე. მევენახეობა და მელვინეობა საქართველოში, რკვა. თბ., 1974, გვ. 50—51.

26 იქვე, გვ. 69.

27 კ. ქარცივაძე, ფერდობი ადგილის ათვისებისათვის, თბ., 1959, გვ. 27.



ეკონომიური მდგომარეობის ამსახველ აღწერაში. „...მეღვინეობის განვითარების ესა თუ ის ხარისხი გარკვეულ სოფელში უმთავრესად შეპირობებულა ადგილის სიმაღლით, მისი დაცულობით ქარის ზემოქმედებისაგან და ადგილის დაფერდებით“<sup>28</sup>. ამავე წყაროში საყურადღებოა გორის მაზრაში შემავალი ტერიტორიის ზონალური პრინციპის მიხედვით დახასიათება „როგორც ჰავისა და ადგილის ტოპოგრაფიის, ასევე სიმდიდრის წყაროს მიხედვით გორის მაზრის გლეხები სამ ძირითად რაიონადაა დაყოფილი 129. აქვე მოტანილია ამ რაიონების სამ ზონად დაყოფის მაჩვენებლები და სოფელთა აღწერა. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ავტორის დაკვირვება მიკროზონალური გეოგრაფიული თავისებურებების გარშემო, რომელიც შემდეგნაირადაა ფორმულირებული, „...ძალიან ხშირად ერთმანეთისაგან სულ რამდენიმე ვერსით დაშორებული ორი სოფელი იმდენად განსხვავებულ პირობებშია, რომ არ იძლევა საშუალებას მკაცრად განსაზღვრული რაიონები გამოვყოთ“<sup>30</sup>.

აქ მოხმობილი მაგალითებიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ბარი, ისევე როგორც მთა, არ შეიძლება იყოს საქართველოსათვის ერთგვაროვანი, ერთნიშნა გაგება<sup>31</sup>. ამგვარ თავისებურ, მრავალფეროვან ზონალურ განფენილობაში ძნელია და შეუძლებელიც მთისა და ბარის მკვეთრი საზღვრების გამოყოფა, მათი დადგენა. ასევე კულტურულ მცენარეთა გავრცელების უდიდესი დიაპაზონი ყოველი რეგიონისა და რეგიონს შიგნით, ცალკეული უბნების მიწა-წყალზე გამოავლენს ლოკალური მაჩვენებლებით შეპირობებული მთისა და ბარის ნიშან-თვისებათა კომპლექსს, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული მსაზღვრელით უნდა შეფასდეს. ასეთ სიტუაციაში, მეურნეობის ფორმათა და კულტურათა ზონალური განლაგების ერთფეროვნებას არა აქვს ადგილი და მისი ვარირება დიდ ზონალურ დიაპაზონში ხდება.

ამ გარემოში გარდამავალი ზოლი, მთის წინეთი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების დამოუკიდებელ კატეგორიად იჩენს თავს,

---

<sup>28</sup> С. В. Мачабели, Экономический быт госуд. крест. Горныйского у. МИЭ-БГКЗК, Т. VI. Тифл. 1886. с. 203.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 202.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 222.

<sup>31</sup> საინტერესო განმარტება მივიღეთ, ამ საკითხის ძიებისას ქსნის ხეობის სოფ. საკორინთლოში: „ქსოვრისამდე, ჩვენი ხეობა, ბარის ხალხია. ქსოვრისიდან ლენინგორამდე ველის ხალხია, ლენინგორიდან ლარგვისამდე და ზევით — მთისა“. 1985 წ. I. დ. 3. ამ მიმართებით ინტერესს იმსახურებს მ. მაკალათიას მონოგრაფიაში, ქსნის ხეობის მევენახეობის დახასიათებისას, შემდეგი

რომელსაც ღრმა ისტორიზმი ახასიათებს და საზოგადოების განვითარების მსვლელობაში თვალსაჩინო როლს თამაშობს. „მთისა და ბარის შუა ტერიტორიული ზოლი, ზეგანი, ორი მეურნეობის დაახლოების სარბიელია. ზეგანით ახერხებს ბარი მთიანეთზე გავლენას. ზეგანითვე ეზიარება მთა ბარის ურთიერთობას“ — წერს ნ. ბერძენიშვილი და აქვე ასახელებს ამ ზოლის პუნქტებს — პერეთის ჩრდილოეთი, კახეთის გაღმა მხარი, ქართლის ქსან-არაგვი, ცხინვალ-გვერდისძირი და სხვ<sup>32</sup>. მთისწინეთის გაგება ზონალური მაჩვენებლის მიხედვით მთასა და ბარად გაყოფის საზღვრების მთავარი მაჩასიათებლის — ფარდობითობის ატრიბუტს აძლიერებს და ყოველ ცალკეულ უბანზე მათი შესატყვისით არსებობის ფაქტს წარმოაჩენს. ყოველი ცალკე რეგიონისა თუ კუთხის შიგნით, როდესაც საქართველოს ზონალური ბუნებრივ-სამეურნეო არეალის დიაპაზონი 200-2500 მ ზ. დ. (!) მოიცავს, რელიეფური თავისებურებებით გამიჯნული, მთიან და ბარის შესაყარზე განლაგებული მიწა-წყალი მთისწინეთის ფართო და ღრმა შინაარსით არის დაჯილდოებული, რომელიც არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიკური მობილურობითა და ამ მიმართულებით თავისი დანიშნულებით გამოირჩევა<sup>33</sup>.

ამდენად, გარდამავალი ზოლი არ არის რეგლამენტირებული ატრიბუტების შემცველი ნიველირებული ცნება. სხვადასხვა რეგიონისა და რეგიონს შიგნითა ტერიტორიის ყოველი მიკროლოკალური გარემოს შიგნით ხდება მისი დადგენა. გარდამავალი ზოლი მხოლოდ ვენახის კულტურით არ არის განსაზღვრული გარდამავალ ზოლს, მთისწინეთს, ისევე როგორც მთასა და ბარს, თავისი სპეციფიკური თავისე-

---

განმარტება: „... აქ მთლიანობაშია მოცემული ხეობის ბარი//მინდორი, მთისძირა ზოლი და მთა. ამის მიხედვით ქსნის ხეობაში განასხვავებენ მინდვრის ხალხს, ტყის ხალხს და მთის ხალხს“. მ. შაკალათია, მეცხოველეობა, კრებ. „ქსნის ხეობა“, თბ., 1975, გვ. 62.

32 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 241.

33 ადარებს ჩა ერთმანეთს ქსნისა და არაგვის ხეობებს ჯ. გვასალია წერს: — „თუ შევადარებთ ქსნისა და არაგვის ხეობას ნათელი გახდება, რომ მიუხედავად მათი ერთსადაიმავე გეოგრაფიულ განედში მდებარეობისა, ქსანი სოციალური და ეკონომიკური განვითარებით გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას...რაც უნდა აიხსნას მისი ბუნებრივი პირობებით. ქსანში მოცემულია ტიპური მთა და ბარი, ვრცელი და განვითარებული მთისწინეთით, რომელიც ხელს უწყობდა მთასა და ბარს შორის შეუფერხებელ ურთიერთობას... ვრცელი მთისწინეთის მეშვეობით ქსნას მთიანეთში ბარადან ადვილად აღწევდა ეკონომიკური, კულტურული და სოციალური იმპულსები“. Гвасалия Д. Г. Историческая география Восточной Грузии (авторреф. докт. диссерт.), Тбилиси, 1985, с. 39.

ბურებანი გააჩნიათ, რომელთაც მიწათმოქმედების სისტემის მთელ კომპლექსი შეესატყვისება და კულტურის ელემენტების შემცველობით მთისა და ბარის ღონეს გაცილებით აღემატება, ეს დაყოფა, სამეურნეო მაჩვენებლებთან ერთად კარგად ეჯუება ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის ძირითად პროცესს.

ეთნოგრაფიული ძიებით ვლინდება, რომ ამჟამად, გარდამავალი ზონის შესატყვისი ტერიტორიული მონაკვეთი კვლავ ძლიერად განიცდის იმ ფართო მიგრაციული პროცესების გავლენას, რომელთაც მთიან რეგიონებში სავალალო ხასიათი აქვთ მიღებული. ამიტომაც, ამ ზონის ფარგლებში, მიტოვებული კულტურული ნიადაგების უკუღაზე დიდი პროცენტული ოდენობაა დადგენილი. მათ დიდ ნაწილს არ დაუკარგავს ქმედითი მნიშვნელობა. მაგრამ მოსახლეობისაგან მიტოვებული სოფლების სავარგულები მთლიანად აუთვისებელია და ეროზიისაგან განადგურება ელით. ნიადაგების სტრუქტურის შენარჩუნების პრობლემის კვლევისას დადგინდა, რომ ეროზიული პროცესები განსაკუთრებით გაღრმავდა XX საუკუნის მანძილზე.“ „...რესპუბლიკის მთიან რაიონებში წყლის ეროზიის პროცესების გაძლიერების შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება, და ზოგან მთლიანადაა ამოვარდნილი სასოფლო-სამეურნეო მიმოქცევიდან, სახნავი მიწების დიდი ფართობები. ასე, მაგ., საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით სათესი ფართობის მოცულობა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში 1955—1968 წლებში 35—40 %-ით შემცირდა<sup>34</sup>.

ეროზიები განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ადამიანი ქმედითად ჩაერია ნიადაგწარმოქმნის ბუნებრივ პროცესში<sup>35</sup>. ე. ვილიამსის დახასიათებით: „მას შემდეგ რაც ადამიანმა დაიწყო პურის მოყვანა, ნიადაგების დამუშავება, იგი უფრო მეტად ერევა ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობაში და ცვლის მას. იგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე ან ამდიდრებს ნიადაგის ნაყოფიერებას, ან ძარცვავს მას: ნაყოფიერება კი ნიადაგის არსებობის მთავარი ხარისხობრივი თვისებაა“. ეროზიებს განსაკუთრებით ძლიერად განიცდიან მთის რელიეფის პირობებში განლაგებული კულტურული ნიადაგები, რაც მათი ფიზიკური თვისებებით არის

<sup>34</sup> Т. А. Алавидзе. К вопросу обработки почв и борьба с эрозией в условиях горного земледелия: Пленум ВАСХНИЛ, М., 1974, с. 33.

<sup>35</sup> ამ საკითხს ეძღვნება 1976 წ. დარმშტადტში გამოსული სქელტანიანა კრებული „ნიადაგის ეროზია ცენტრალურ ევროპაში“. მასზე რეცენზია მოთავსებულია ჟურნალში: „Petermann Geographische Mitteilungen“, Leipzig, 1979.

განპირობებული: წყალგამტარობა, ქიმიური შემადგენლობა, მდებარეობა, თბური რეჟიმი, სტრუქტურული აღნაგობა და სხვა<sup>36</sup>.

ეროზიულ პროცესებს ადამიანის წარმოშობამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი ბუნების შიგნით უფრო ნელა მიმდინარეობდა და ამიტომ იწოდება გეოლოგიურ ანუ ნორმალურ ეროზიად; თანამედროვე, ანუ ისტორიული ეროზია დიდი დამანგრეველი თვისებებით ხასიათდება<sup>37</sup>. სპეციალისტები ეროზიის ცალკე გაგებად გამოჰყოფენ ანთროპოგენულ ეროზიას, რომელიც, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სამეურნეო მოქმედებას<sup>38</sup>. ამ ზემოქმედების შედეგადაა წარმოქმნილი ასევე „ანთროპოგენული ლანდშაფტები“, რომლებიც ლანდშაფტმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის ლ. ბერგის განსაზღვრებით — „...არის ცალკე ორგანიზმი, სადაც ნაწილები განსაზღვრავენ მთელს და მთელი კი მოქმედებს ყველა ნაწილზე. თუ ჩვენ შევცვლით ლანდშაფტის შემადგენელ რომელიმე ერთ ნაწილს, მაშინ შეიცვლება მთელი ლანდშაფტიც“<sup>39</sup>.

ანთროპოგენული ლანდშაფტების კვლევის სფეროს საქართველოში ბევრი მეცნიერი შეეხა. განსაკუთრებით დიდია ამაში ნ. კეცხოველის წვლილი, რომელიც 30-იანი წლებიდან სწავლობდა საქართველოს მცენარეულ საფარს ცალკეული ისტორიული პერიოდების მიხედვით<sup>40</sup>. ამავე საკითხებს შეეხება წლების მანძილზე ჩატარებული ძიებანი მ. საბაშვილის, ნ. ამბოჯაძის, ა. ჯავახიშვილის, დ. გოგატიშვილის, ვ. მირზაშვილს და სხვათა მიერ. სპეციალურ გამოკვლევათა საფუძველზე დადგენილია, რომ ანთროპოგენული ლანდშაფტი ადამიანის ზემოქმედებით შექმნილი, ჩამოყალიბებული გარემოა, რომელიც თავის მხრივ ორ გაგებას შეესატყვისება; ამ თეზისის გარშემო სპეციალისტების აზრი განსხვავებულია: ერთ ნაწილს ანთრო-

36 გ. მირზაშვილი, ნიდაგის დაცვის ღონისძიებანი მთური რელიეფის პირობებში, თბ.; 1955, გვ. 31.

37 Заславский М. Н. Эрозия почв и земледелие на склонах. М.-1966., с. 10.

38 „ანქარებული“ ანთროპოგენული ეროზიის კლასიკური მაგალითია აშშ, სადაც 80 მლნ ჰექტარზე მეტი ფართობი მისგან სრულიად განადგურდა.

39 ავტორს მოაქვს მაგალითი: სტეპის ათვისება, მისი სახვნელით დაუშავება არა თუ სობს იქ არსებულ ყველა მცენარეულს, არამედ მოქმედებს ასევე მიწისქვეშა წყლების რეჟიმზე, თოვლის საფარის განაწილებაზე, მიკროკლიმატზე, ეროზიის ხასიათსა და ხარისხზე, ამდენად მთელ რელიეფზე.

40 ნ. კეცხოველი, მორბის არავე არავეიანი, თბ., 1971; მისივე კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, მისივე, მკერდში დაჭრილი ბუნება, თბ. 1973, და სხვა.

პოგენული ლანდშაფტი მიაჩნია კულტურული ლანდშაფტის იდენტურად, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, იგი მკვეთრადაა გამიჯნული კულტურულ ლანდშაფტად და დარღვეულ ლანდშაფტად. ორივე ადამიანის ზემოქმედების შედეგია, მხოლოდ სადღეისოდ სხვადასხვა სახითა და შინაარსით წარმოგვიდგება. ამ ბოლო თვალსაზრისს ფართოდ ავითარებს დ. უკლება, რომელიც აღნიშნულ პრობლემას სპეციალურად შეისწავლის<sup>41</sup>. ანთროპოგენული კულტურული და დარღვეული ლანდშაფტების გაიგივება დაუშვებელია. ისინი ორი შემადგენელი ნაწილია ერთი მთელისა — ორივე ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედებით არის წარმოქმნილი. მაგრამ ზემოქმედების სხვადასხვა გზითა და მიზანდასახულობით. კულტურული ლანდშაფტის მკვეთრი უბანია კოლხეთის მთისწინეთის სახეცვლილი ბუნებრივი გარემო, რომელიც მცენარეული საფარისა თუ ნიადაგების ხასიათით ბევრად განსხვავდება მათი ადრინდელი სახეობიდან. ამავე ხასიათის ცვლილებებს აქვს ადგილი აღმ. საქართველოს მთისწინეთის ლანდშაფტებშიც<sup>42</sup>.

კულტურული ლანდშაფტის სპეციალური კვლევით რამდენიმე გენეტიკური ტიპია დადგენილი: სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო, სატყეო, სატრანსპორტო და სხვ<sup>43</sup>. ანთროპოგენული კულტურული ლანდშაფტების სტადიალური მორფოტიპის კვლევაში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენებას. სახელდობრ, სასოფლო-სამეურნეო ტიპის შიგნით, მიწათმოქმედების ტრადიციული ფორმების შესატყვის კრილში განხილვის საფუძველზე. კულტურული ლანდშაფტის გაგება ზოგიერთ დაზუსტებას მოითხოვს. ეთნოგრაფიული დაკვირვება სამეურნეო სავარგულებისა და მათი შემონახვის ცალკეული ხარისხის გარშემო საჭიროს ხდის გაიმიჯნოს, ამჟამად ქმედითი პოტენციალის კვლავ შემცველი მიწის ნაკვეთები, უკვე ფუნქციონირებულ უბნებისაგან, რომელთაც „დარღვეულის“ კატეგორიაშიც ვერ შევიყვანთ. ამიტომ, საჭიროება მოითხოვს ყოველ კულტურულ ლანდშაფტში გამოიყოს მოქმედი და უმოქმედო უბნები, რაც კარგად ასახავს არსებულ ვითარებას. ამავე დროს, აუცილებელია განსხვავებული მიდგომით შეფასდეს ე. წ. პირველადი და მეორადი კულტურული ლანდშაფტები. მხედველობაში გვაქვს ისეთი სამეურნეო

<sup>41</sup> უკლება დ. ბ. *Антропогенные ландшафты Грузии*, Тбилиси, 1983.

<sup>42</sup> უკლება დ. ბ. დასახ. ნაშრომი, გვ. 13. კოლხური ტიპის ტყეებს ახლა მეტად მცირე ფართობი უჭირავს და მხოლოდ ნაკრძალებში და მიუვალ პუნქტებშია შემორჩენილი.

<sup>43</sup> უკლება, დ. ბ. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

მოქმედი ან უმოქმედო მონაკვეთები. რომლებიც ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოსულან. არამედ დღეისათვის უკვე გარდაქმნილი გარემოს პირობებში სრულიად განსხვავებულ გენეტიკურ შინაარსს გადმოსცემენ. ამის მაგალითია მესხეთში ლარები. მთისძირა ზოლის სახნავეები, რომლებიც ამჟამად მცენარეულსავეან შიშველ მთებსა და ფერდობებზეა შეფენილი. იქმნება შიშველ მთებზე, რომ ეს ფერდობები ამ სახით იქნა ათვისებული ჩვენი წინაპრების მიერ და ამჟამად კი მიტოვებულია უგზობისა და მთური სახენელის უქონლობის გამო. მაგრამ ცნობილია, რომ მესხეთის ტერიტორია რამდენიმე საუკუნის წინ ხშირი, გაუვალი ტყეებით იყო დაფარული, ამაზე, ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად ბევრი ისტორიული საბუთი თუ წყარო მიუთითებს. ამდენად, ცხადი ხდება, რომ ლარები ადრე ეწყობოდა ტყეებში, მათი განსაზღვრული სახით ათვისების მეშვეობით. რაც ახოს ალების უძველეს წესთან იყო დაკავშირებული, და მეურნეობის ინტენსიურ ხასიათს შესაბამისობოდა. ისე რომ, დღევანდელი ლარები მესხეთში არის მისი მეორადი კულტურული ლანდშაფტი — მცენარეულსავეან შიშველ მთებზე გამოხსული სახნავ-სათესი გრძელი ყანები. ასევე კულტურული მეორადი ლანდშაფტის კარგი მაგალითია კახეთისა და ქიზიყის სავენახე ზერები, რომლებსაც ასობით ჰექტარი ფართობი აქვთ დაკავებული ალაზნის ვაკეში. ეს მიწები ოდითგან მხოლოდ მარცვლეულ კულტურებს განეკუთვნებოდა და ვაზი კი მთისწინეთის გორაკ-ბორცვიან ზოლში იყო გავრცელებული. ამიტომ, დღევანდელი ვითარება კახეთისა და ქიზიყისათვის მეორად კულტურულ ლანდშაფტს ასახავს. რომლის ჩამოყალიბებამ ინტენსიური ხასიათი 50-იანი წლებიდან მოილო.

გარკვეულ გრადაციას მოითხოვს ასევე ანთროპოგენული დარღვეული ლანდშაფტის განსაზღვრება. მის შიგნით, ტრადიციული სამეურნეო უბნების მიწის ფონდიდან შესაძლებელი იქმნება 3 სახის გამოყოფა: 1. ფართობები, რომლებიც სათანადო ტექნიკის მეშვეობით სრულ ფასოვან სავარგულებად იქნება ათვისებული. 2. რთული რელიეფის ძნელად მისადგომი უბნები, რომელთა ათვისებანაწილობრივ შეიძლება განხორციელდეს (მათი საძოვრებად გადაქცევა და გატყიანება სრულიად ხელმისაწვდომია). 3. ძლიერად ეროზირებული, დარღვეული ნიადაგები, აღდგენის მცირე პერსპექტივით.

საგანგებო აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ სპეციალისტების აზრით, ჩვენამდე მოსული ეროზირებული, ანთროპოგენული ლანდშაფტები, ძირითადად შედეგია იმ სამეურნეო საქმიანობისა, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენი წინაპრები. მათი შეხედულებით, ტრადიციულ მიწათმოქმედებაში ნიადაგის შესანარჩუნებლად გარკვეულ

ლონისძიებებს მიმართავდნენ, მაგრამ ისინი ერთიან სისტემას მოკლებული იყვნენ და საერთო პროცესში რადიკალური ცვლილებებს შეტანა არ შეეძლოთ. ეს მოსაზრება რამდენადმე გაზვიადებულია. ქართველი მეურნის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა, ნიადაგების მოვლის, დაცვის. გამდიდრების მრავალფეროვანი ხერხები სწორედ იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ, შემუშავებული რაციონალური მიწათსარგებლობის მეშვეობით, ნიადაგის დამცველი მრავალი აგროტექნიკური ღონისძიება იქნა შემუშავებული, რომელიც საყოველთაოდ იყო გამოყენებული ყველა მეურნის მიერ. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს — „ადამიანის მიერ მიწის ათვისებული ნაკვეთების მიმართ „სახმარი“ და „უხმარი“ ტერმინების არსებობა უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ დროთა მანძილზე გამოფიტვისა და ეროზიის გავლენით ნაყოფიერი ნიადაგი გაღარიბდა და უვარგისი გახდა დასამუშავებლად“. მაგრამ, თავის დროზე, უხმარი მიწებიც უნდა გამოყენებული ყოფილიყო — „უხმარი მთლად უვარგისს არ ნიშნავდა და შესაძლებელი იყო შრომითა და მედგარი ბრძოლით, მუშაობით, სახმარად ქცეულიყო. ზოგჯერ მიწა მხოლოდ იმეტომ ითვლებოდა უხმარად, რომ „კორდთა გაუტეხელი იყო“ და სოფლის მეურნეს შეეძლო სწორედ ასეთი „კორდთა გაუტეხელი“ უხმარი სახმარად ექცია“<sup>44</sup>. ხალხში დღემდეა შემონახული დახარამული, დარეცხილი მიწის ტერმინოლოგია — ნაღვარევი, ფლატე, მეწყერი, აღრანტალი. ღრილო და სხვა მრავალი.

საქართველოს მიწა-წყლის განსაკუთრებულ ნაყოფიერებას ხანჯასმით აღნიშნავენ როგორც უცხოელი მოგზაურ-მკვლევარები, ასევე ქართული ისტორიული წყაროები. საუკუნეთა მანძილზე ათვისებული ნიადაგების ნაყოფიერება უთუოდ შემცირდებოდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, როგორც ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ განხილვის საფუძველზე ასკენის ივ. ჯავახიშვილი, „სახნავი მიწის მოსავლიანობა აღმ. საქართველოში XVIII ს. დამლევს რვაჯერადი ყოფილა... ა.უ ყველა ზემომოყვანილ ცნობებს გავითვალისწინებთ მიწის დიდი ნაყოფიერება ძველ საქართველოში უეჭველი შეიქმნება“<sup>45</sup>. იმ ღონისძიებათა რიგში, რომელსაც ქართველი მეურნე ნიადაგების შესანარჩუნებლად მიმართავდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწის დასვენების წესი. ექსტენსიური მეურნეობის დასრულების დროიდან აველმა მეურნემ უფრო ახალი, გომივრული გზა გამოძენა მიწის უკეთ მოსახმარად. დროთა მანძილზე ხალხში შემუშავდა მეურნეობის წარმოების უფრო რთული და აზრიანი მეთოდები, რომელთა მეშვეობით

<sup>44</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 379.

შესაძლებელი იყო არსებული რესურსების ახლებურად გამოყენება და ამ საფუძველზე მოსავლიანობის მკვეთრი გაზრდა. ეს ღონისძიება ნიადაგების დასვენებაში გამოიხატება, რომელსაც საქართველოში ანეულს უწოდებენ<sup>16</sup>.

ამდენად, ქართველი მიწათმოქმედის მოღვაწეობას ათეული საუკუნეები უძღვის წინ. იმ პერიოდში ყალიბდებოდა მიწათმოქმედების მაღალგანვითარებული კულტურა, რომელიც ჩვენ ქვეყანას უძველესი, მაღალი ცივილიზაციების დონეზე წარმოაჩენს. ამიტომ, როდესაც ტრადიციულ მეურნეობასთან დაკავშირებულ ეროზიულ პროცესებზე და მის მავნე გავლენაზეა ლაპარაკი, არ უნდა იქნას მცდარად შეფასებული ჩვენი წინაპრების დიდი ნამოღვაწარი, რომელმაც თუგინდ დღევანდელი სახით შემოგვინახა ჩვენი მიწა-წყლის დოვლათი. ბუნებაზე ზემოქმედება, მისი არასწორი ექსპლუატაცია, ტყის საფარის გაჩანაგება გამოწვეული ადამიანის სამეურნეო ქმედებით, განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური გარემოებით აღმოჩნდა შეპირობებული, მის წიაღში ყალიბდებოდა და მიმდინარეობდა (ამაზე საგანგებოდ მიუთითებს ფ. ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში“). ამიტომ, პირველ რიგში, გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნას ის პროცესები, რომლებიც სოციალური ურთიერთობის სფეროში და პოლიტიკურ სარბიელზე მოხდა ბოლო სამი საუკუნის მანძილზე.

მნიშვნელოვანმა ანტროპოგენულმა ცვლილებებმა, რომლებიც შეეხო მთელ ბიოსფეროს, ბუნებრივი ეკოსისტემების დარღვევა გამოიწვია. ამან, თავის მხრივ, წარმოშვა დარღვეული ეკოსისტემების უკუქმედება ადამიანთა საზოგადოებაზე. ამიტომ ეკოლოგიური მეცნიერების სოციალური ასპექტი წინა პლანზე აღმოჩნდა და ჰუმანიტარული მეცნიერებების პრობლემურ ორგანიზმად იქცა. დღეისდღეს ეკოლოგიური მეცნიერების წინაშე დგას თანამედროვეობის აქტუალური ამოცანა — შეისწავლოს არა მარტო ამ დარგის საბუნებისმეტყველო სფერო, არამედ მისი ეკონომიკური, სოციოლოგიური და ტექნოლოგიური მხარეები, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის საკითხები, ბუნების რაციონალური სარგებლობისა და დაცვის გზები და ა. შ. ეკოლოგია, ისეთი ისტორიული დისციპლინისათვის, როგორცაა ეთნოგრაფია, მეცნიერული შეხების უშუალო სფეროს წარმოადგენს. ყველა ის მხარე, რომელიც ეხება ადამიანის ყოფიერების, მისი ბუნებასთან ურთიერთკავშირის ყველა სფეროს — სოციალურ, სამეურნეო, ფსიქოლოგიურ და სხვ. ეთნო-ეკოლოგიური მიდგომით შესწავ-

<sup>16</sup> გ. ნოტაია, რაქული სახენელი, გვ. 276.



ლას საჭიროებს. ამიტომ ზემოთ მოტანილი განხილვის მნიშვნელობა ამ კუთხითაც უნდა შეფასდეს და უფრო რაციონალური, ქმედითი და-ნიშნულებით იქნეს რეალიზებული მომავალში. ნაშრომში დასმული პრობლემა და მისი ეთნოგრაფიული შესწავლა მიზნად ისახავს მუ-წათმოქმედების სფეროში ეკოლოგიური დისკომფორტის გამომწვევ-ზოგი მიზეზის გამოვლენას, რაც ტრადიციის ქმედითობის თანამედ-როვე ასპექტებს წარმოაჩენს და მიუთითებს მათი პრაქტიკული რეა-ლიზაციის პერსპექტივაზე.

ტერასული მეურნეობა, ნიადაგის ათვისებისა და  
დაცვის ტრადიცია შიდა ქართლში

შიდა ქართლი, რომელიც ისტორიულად განსაზღვრულ გეოგრაფიულ ფარგლებს შეესატყვისება. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს ხაშურის, ქარელის. კასპის, გორის. მცხეთის და ლენინგორის რაიონებს. საქართველოს ტერიტორიის ეს ცენტრალური ნაწილი უძველესი დროიდან იყო ცნობილი სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის დაწინაურებით (მემინდვრეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და სხვა). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ახასიათებს „... ბრინჯ-ბანბას გარდა ყოველნი მარცვალნი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი...“

თავისი ტექტონიკური აგებულებით შიდა ქართლი მდიდარი ბუნებითა და საკმაოდ რთული რელიეფით ხასიათდება. ამას აპირობებდა კავკასიონის ცენტრალური ქედისა და ლიხის ანუ სურამის ქედების, ასევე საგურამოსა და ქართლის ქედების სიახლოვე. ჰიდროგრაფიულად უხვად მომარაგებული მისი ტერიტორია, რომლის მთავარი არტერიაა მტკვარი, დასერილია მდინარეებით — ქსანი, არაგვი, დიდი და პატარა ლიახვი, თერგი და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადებით — ძამა, ტანა, კავთურა, ფრონე, მეჯუდა, ლეხურა, სურამულა და სხვ.

შიდა ქართლის რელიეფის შესაბამისად მრავალფეროვნებით ხასიათდება ნიადაგური საფარი, რომელიც მიკროლანდშაფტებთან შეხამებაში მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალიზაციას უწყობს ხელს. ამჟამად ვენახისა და ბოსტნეულისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელადაა მიჩნეული დაბალი ზონის მდინარეული ტერასების ნიადაგურ-კლიმატური პირობები<sup>1</sup>.

დიდი და მცირე ხეობების სიმრავლე შიდა ქართლში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აპირობებს ვერტიკალური ზონალობის პრინციპზე დამყარებული მეურნეობის დარგობრივი დიფე-

1 დ. უკლება, აღმ. საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები, თბ., 1974, გვ. 44.

რენციაციის ხასიათს, რაც რეგიონის წიგნით არსებული ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებათა კომპლექსით არის განსაზღვრული. მაგალითად, არაგვის ხეობა, მასში შერწყმულია მიწათმოქმედების, მემინდვრობისა და მევენახეობის დარგები: ზემო წელში მემინდვრობა ქარბობს ხვედრითი წონით, ქვევით კი მევენახეობაა წამყვანი, მაღალი ხარისხის ვაზის ჯიშებით. ლეხურის ხეობაში, მის დაბლობში, როგორც მევენახეობა, ასევე მემინდვრობა სარწყავ ფართობებშია მოქცეული. მთისძირა ზოლში ქარბობს ურწყავი კულტურები შესატყვისი გვალვაგამძლე საგანაფხულო ჯიშებით — ასლი, დიკა, თავთუხი. მეჯუდის ხეობის ქვემო წელში მევენახეობას ენიჭება პირატესობა. ზემო წელი კი მემინდვრობისათვის ხელსაყრელ დარგობებს შეიცავს. დღეისათვის მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აუცილებელია არახელსაყრელი მდებარეობის გამო, რაც შეეხება ვაზს — ეს კულტურა წამყვანია ხეობისათვის, იგი მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ხეობის მთის მოსახლეობა უძველესი დროიდან მეჯვრისხევისა და ხელთუბნის ღვინით მარაგდებოდა; ვენახები მეჯვრისხევი ჰქონდათ და ღვინოს ადგილზევე წურავდნენ. მთელი წლის მანძილზე სარგებლობდნენ როგორც ღვინით. ასევე ყურძნის სხვა პროდუქტებით. თქმის ანუ ძამას ხეობა ძველთაგან ცნობილია მევენახეობა-მელვინეობით, მაღალ ზოლში კი — პურეულების უხვმოსავლიანი საშემოდგომო და საგანაჯსულო ჯიშებით. დღეისათვის მემინდვრობის ხვედრითი წონა მეურნეობაში მინიმუმამდეა მისული ხეობის მაღალი მდებარეობის გამო. მთავარი მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს ვენახს. მხოლოდ აბორიგენული ჯიშების კულტურა დაკნინდა და უბრალო ჯიშების სპეციალიზაციას აქვს ადგილი. ანალოგიური ვითარება შეინიშნება კავთურას, სურამულას, ფრონის, ხეკორძის და სხვა ხეობებში.

ზონალობის ტრადიციული ნორმები დღეისათვის დარღვეულია. ისევე როგორც სხვაგან, ქართლის მთისწინეთშიც ამ პროცესს აშკარად გამოხატული სახე აქვს. მეურნეობის დარგების ჯადანაწილებამ, მათი იზტიენსივობის დაწინაურება-გაქრობამ თავისი ასახვა დასახლებათა ზონალურ მიგრაციაშიც პოვა. ამაზე არა ერთი ფაქტი მიუთითებს. ასეთებია სოფ. ჯარიანში, რომელიც მთის კალთებზე იყო შეფენილი. 30-იანი წლებიდან მოყოლებული სოფელმა თანდათანობით ქვევით, გაშლილ მინდორზე ჩამოინაცვლა, მთებში გაბნეული მამაპატრი სახნავი ადგილები — ოლეები, ადურის პირები, ჩაკიდულა, სურები, ახლა მიტოვებულია და აღარ იხვენება. ძველ ნასახლარზე დროთა მანძილზე ოსური სოფელი აღმოცენდა. სოფ. ასალუბანი წინათ ფერდობის ძირში იყო გაშენებული და დროთა მანძილ-

ზე მანაც გამოიყვალა მდებარეობა, ქვემოთ ჩამოსახლდა მთელი სოფელი. ძველი ნამულები ახლა გამოუყენებელია. სოფ. მეჭვირისხევი ასევე ქვემოთაა ჩამოსახლებული. ძველი საცხოვრისის სიახლოვეს განლაგებული საეარგულები აქაც მიტოვებულია და ძლიერადაა ეროზირებული. პატარა ფლევი მანლობზე. ეკლესიის სიახლოვეს მდებარეობდა და სოფელი რომ ქვემოთ ჩამოსახლდა სამამულედ გაქრილი ახლები. ბალ-ვენახები, სამუდამოდ მიატოვა იმ ადგილებში ახლაც პოულობენ ძველ ქვევრებს; სოფ. ქვემო ჰალა ჩრდილო-აღმოსავლეთის ქედზე იყო შეფენილი, რომელიც ტირიფონის ველს ესაზღვრება. 20-იანი წლებიდან ჰალელებმა ამილახვრების ადგილ-მამულზე იწყეს დასახლება, სადაც დღემდეა შემორჩენილი მათი ციხე-დარბაზები<sup>2</sup>. ასეთივე გარემოებაა ლამისყანაში, წეროვანში, ძეგვში, ნიჩბისში და სხვ. ქართლის რაიონებში ძველი ნასოფლარები ოსი მოსახლეობით შეივსო; ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, მოხდა მთისწინეთის ტერიტორიაზე განლაგებული ბევრი პუნქტის ზონალური ჩამონაცვლება, რაც შეეხება მაღალი მდებარეობის მთის სოფლებს. მათი უმრავლესობა დაიცალა მოსახლეობისაგან. ამ სოფლების კუთვნილი სამეურნეო ნაკვეთები ამჟამად გამოუყენებელია. ახალ პირობებში, შესატყვისი სახენელისა და შრომის ორგანიზაციის უქონლობის გამო, მიტოვებული და განადგურებულია კულტურული ნიადაგების დიდი მასივები. მიწათმოქმედების ინტენსივობა, მეურნეობის მრავალი დარჯის აყვავება, ხალხის მიერ მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული რაციონალური ღონისძიებების დანერგვითა და მათი მუდმივი განახლებით იყო მიღწეული. ახალი ეთნოგრაფიული მასალები შიდა ქართლიდან ამ ტრადიციის ერთ მონაკვეთს აშუქებენ.

ახალი სახნავი ადგილების შექმნის ზალხურ ღონისძიებათა შორის ქართლის მემინდვრეობისათვის საყოველთაოდ დამახასიათებელია ნიადაგების ლარებად ათვისების წესი, რომელიც მთავორიანი გარემოს პირობებში პოულობს გავრცელებას. ამ მიზნით სხვადასხვა სიმაღლის ფერდობები განივი მიმართულებით დასერილია სახნავებით, რომელთაც ერთი მთავარი მახასიათებელი აქვთ — ეს არის მუდამ ვიწრო და გრძელი მიწის მონაკვეთები, მარცვლების სხვადასხვა სახეობისათვის განკუთვნილი. თავისი აგებულებით, ლარი ფერ-

2 ს. მ. ალათია, ლეხურის ხეობა, თბ., 1964. გვ. 42.

3 ლარების შესწავლას მესხეთში 1960-70 წწ. მოძიებული ეთნოგრაფიული მასალები დაედო საფუძვლად, რაც შემდგომ მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა. იხ. ლ. ბერიაშვილი, „მიწათმოქმედება მესხეთში“, თბ., 1973.






3



4









დობში ჰორიზონტალურად შექრილი. ბრტყელი ზედაპირის მქონე სახნავი ფართობია, რომელიც მთური სახენელის მეშვეობითა და ზენის განსაზღვრული წესის გამოყენებით არის შექმნილი. რელიეფის დახრილობის მაღალი კოეფიციენტი (ზოგჯერ 40—50°) სიგანეში მისი გაზრდის შესაძლებლობას გამოიწვევს. რის კომპენსირებას ახდენს ლარის სიგრძე: იგი ხშირად 300—400 მეტრს აღემატება.

თავის ახსნას ლარი მისთვის განკუთვნილ სახელწოდებაში პოულობს. ხალხური დახასიათებით „ლარია, იმიტომ რომ ლარივით სწორია“, „ლარივით ვიწროებია“, „სიგრძეზეა გაუღებელი ლარივით“. „წვნიკი, გრძელი მიწებია“. „გრძელი, სწორი მამულებია“ და სხვა — მეტად მრავალფეროვანია ეს განმარტებანი.

ლარების საყოველთაო გავრცელებას შიდა ქართლის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სიცხადით ასაჯაჟს ტოპონიმიკური მონაცემები. მოგვაქვს საველე მასალის რამდენიმე მაგალითი: ლარები. პირდაპირება. ჭიდაურას ლარები. ზაქაროს ლარები<sup>4</sup>; გრძელი მიწები, ლარის მამულები, წვრილი მიწები<sup>5</sup>. ლარებო, წვრილი მიწები<sup>6</sup>; ლარის მიწები. ტევრები, ლარის ახოები<sup>7</sup>; გრძელები. სალარეები. ორთელის ლარეები<sup>8</sup>; ლარის მიწები, ტყის სალარეები. ხატის ლარები, სამყვირვალო<sup>9</sup>; ლარები, ნინიურთ ლარები, ტყის მამულები<sup>10</sup>; დაპრილი მამულები. ხაჯის ლარები<sup>11</sup>; ლარზე გაყოფილი მიწები. ლარას ახოები<sup>12</sup>. ნაკაფი ლარები, საჯვარეს ლარები<sup>13</sup>; გარდიგარდმო მიწები, ცაცხვის გორის ლარები<sup>14</sup>. და ბევრი სხვა, აქ მხოლოდ მანი მკურე ნაწილია გადმოცემული.

ტოპონიმიკური მასალა ფონოგრაფიული კვლევასთვის პირველწყაროს მნიშვნელობის მქონეა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება კულტურის არქაულ ელემენტებს და მათ გარეშო

მისივე, ტერასული მეურნეობის საკითხისათვის საქართველოში, მსე, თბ. 1975, გვ. 13—22, მისივე ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1986; მისივე, ტერასული მიწათმოქმედება სამეგრელოში, ურბ. „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1984.

4 სოფ. ზაქარო, კასპის რ-ნი;

5 სოფ. ბიწმენდი, მცხეთის რ-ნი

6 სოფ. ჭებირი, გორის რ-ნი.

7 სოფ. ატენი, გორის რ-ნი.

8 სოფ. ჭარიაშენი, გორის რ-ნი.

9 სოფ. პატარა ფლევი, ხაშურის რ-ნი.

10 სოფ. მეჯვრისხევი, გორის რ-ნი.

11 სოფ. აძვი, გორის რ-ნი.

12 სოფ. ქვეში, კასპის რ-ნი.

13 სოფ. ბნაეისი, გორის რ-ნი

14 სოფ. წინამძღვრანთკარი, მცხეთის რ-ნი.

არსებული მასალის დადგენა-რეკონსტრუქციას. ამ საკითხის შესახებ მ. გეგეშიძე შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „წმინდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით სამეურნეო ტოპონიმიკას, ჩვეულებრივ, გეოგრაფიულ ნომენკლატურასთან შედარებით, ის უპირატესობა აქვს, რომ ის ცოცხალ სინამდვილესთან უფრო ახლო დგას, ხშირად ამ სინამდვილით არის გაპირობებული და მისი არეკვლის კარგ საშუალებას წარმოადგენს. სახელწოდებებს, რომლებიც ეტიმოლოგიურ ახსნას პოულობენ იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობენ მოცემულ ტერიტორიაზე ამჟამადაც, შეუძლიათ მოგვცენ წარმოდგენა ლანდშაფტის უკვე გამქრალ თავისებურებებზე, მეურნეობის ყოფილ ფორმებზე, და სხვა, ეთნოგრაფიულად საინტერესო საკითხებზე. პირველ რიგში ასეთ სახელებს შეიცავს სამეურნეო ტოპონიმია. ამრიგად, სამეურნეო ტოპონიმია ამა თუ იმ ხალხის სამეურნეო აწმყოსთან ერთად სამეურნეო წარსულსაც გადმოსცემს“<sup>15</sup>. ამდენად, ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთ პირველწყაროდ ტოპონიმოკური მაჩვენებლები უნდა მივიჩნიოთ. ასეთივეა, ტოპონიმოკის, როგორც ისტორიული წყაროს შეფასება: „მიწისზედა თუ წიაღისეული მატერიალური ხასიათის ნაშთებს გარდა ჩვენს წინაშეა აურაცხელი მასალა, რომელიც თავისი ხასიათით ოდნავადაც არ ჩამოუვარდება სხვა რიგის წყაროებს. ეს არასადგოლ-სახელები (ტოპონიმია)... ისიც კი. რასაც ჩვენამდე ძველი დროიდანვე მოუღწევია, ამოურწყველი მასალაა — მეტყველი და უტყუარი. სატომო სახელები, ტომთა განსახლება, დასახლების სახეობა, მოსახლეობის შრომა-მეურნეობა... და სხვა მრავალი სახე წარსული ცხოვრებისა ცხოვლადაა არეკლილი ამ თავისებურ წიგნში და ელის წამკითხველს“<sup>16</sup>.

სამეურნეო ტოპონიმოკური მონაცემების, როგორც სარწმუნო წყაროს სანდოობაში არა ერთი ფაქტი გვარწმუნებს. მართალია, მოსახლეობის მიგრაციების დროს ხშირად აქვს ადგილი მათ გადატანას, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს ადგილზე არსებული, დამახასიათებელი მონაცემების სრულ გაქრობას. ამის მაგალითი არაერთია. განსაკუთრებული სიცხადით ამაზე ხაშურის რაიონში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი მიუთითებს. თირითადად იმერული მოსახლეობით დასახლებული ხაშურის რაიონის ტერიტორია წარმოადგენს ე. წ. ლიმიტროპულ ზოლს, სადაც ქართლურ-ზემოიმერული ყოფითი ელემენტების ურთიერთმეღწევისა და ადგილზე მათი ასიმილაციის

<sup>15</sup> მ. გეგეშიძე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმია, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, XXXVII, თბ., 1949, გვ. 155.

<sup>16</sup> ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კრებული, ტ. I, თბ., 1960, გვ. 358.

საფუძველზე სრულიად თავისებური გარემოა შექმნილი. სწორედ აქ ექნა მოძიებული მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული მონაცემები ადგილობრივი მიწათმოქმედების ტრადიციული დარგების შესახებ. რომლებიც მრავალფეროვნებით ხასიათდებიან და სწორედ ქართლურის სპეციფიკას ასახავენ, მას ემყარებიან. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით ფასეულია ყოფითი კულტურის ისეთი ელემენტების შესწავლისათვის, რომელთაც დღეისათვის დეზექცია დაკარგული აქვთ და მხოლოდ შემორჩენილი ცნობების მიხედვით უნდა მოხდეს მათი თავდაპირველი სახის აღდგენა. მათ რიცხვს განეკუთვნება ლარები. ლარების გარშემო დადასტურებული ეთნოგრაფიული ცნობები, სადაც დიდი ადგილი სწორედ ტოპონიმიკურ მონაცემებს ეკუთვნის. შემოწმებული და შეჯერებული ქართლის სხვა რაიონების მონაცემებთან, ამ ელემენტის აბორიგენულობაზე მიუთითებს, რაც მათი ადგილობრივი წარმომავლობის უტყუარი მოწმეა.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ახასიათებს ლარებს ქართლის უზუტეესი მოსახლეობა, როგორი განწყობით არის დაცული მის ფსიქიკაში მამა-პაპისაგან მიღებული ინფორმაცია, თუ საკუთარი შორეული გამოცდილება, ამისათვის მოგვაქვს რამდენიმე დოკუმენტური ტექსტი: „სახლები იყო წინათ გამკვარტლული, თორემ მამულები ბევრი გვქონდა. ლარები ფერდობშია — გორი-ხევი, დაკოდილები, ნაგომურალი, შვინდიანები, ილტვი-თავეები, გრძელები: ვიწრო ადგილები იყო ლარა მამულები, ორი გუთნის გაშლა არ იქნებოდა, იმაზე იყო ვინ როგორ გატეხავდა ტყეს...“ (ლ. დორეული, 94 წ., სოფ. ზაქარო); „ლარი სწორი მიწაა ფერდაში, არც პატარა მამული იყო, მამაჩემს 4 დლიური ჰქონდა, ამაზე გადაბმა ვიცოდით ხენის დროს“ (ი. სუხიაშვილი, 101 წლის, ს. ბიზმენდი); „პატარ-პატარა მიწებს ეძახდნენ ლარებს, გრძელი ადგილები იყო, ყველას თავისი სახელი ჰქონდა — ხატის მიწა, ნინუაანთ-კარი... თითო ლარი ნახევარი დღოსა იყო, ერთი დღისა. ორხელა გუთნით ეხნავდით“. (ნ. გინტური, 84 წ.; ს. მეჭვრიტხევი); „ლარის მიწები ფერდობებია, მთებია საცა ლარის მიწებია იქ ახლებიც არის. ლარი ხალხმა ეარქვა, გრძელი მიწებია, 100—200 მეტრი და მეტი. საშემოდგომოსაც თესდნენ და საგაზაცხლოსაც“ (ი. გაჩეჩილაძე, 85 წ., ს. პატარა ფლევე); „გლები უნდა დასდგომოდა და გაევაკებინა ფერდა, ტყის პირებშია ჩვენი მიწები — თეთრობის ლარები, მაღალანთ ლარები, ორდანისეული ლარები, ჩვენი მთა ქსილისი, იქაც იყო ლარები, 16 სოფლიდან ახლა ცარიელია ყველა. სადაც ლარებია, იქ წარაფებია, ადრე დაყოფილი იყო. ზოგ ოჯახში 5 ძმა იყო და იყოფდნენ მამულებს. ლარები ყველა ნატეხია. ლარებს შუა საზღვარი ან ჭავი იყო, ან ტყე — წარაფი“. (ი. ქეშელაშვილი, 88 წ.; შ. ქეშელაშვილი,

86 წ.; თ. ლეკიაშვილი, 81 წ., ს. წინარეხი); „ლარები ჩვენი წინაპრების ადგილებია, ვიწრო მიწებია, ლარზეა გაყოფილი. სალარეები დანახვისში და ღვიარაში ეხლაც არის დარჩენილი, ტყეებია მაგის ადგილებში“ რ. საუარი, 79 წ., სოფ. ჯებრი); „ლარეები მთიულთა უბნის მხარის მიწებია — დიდ-ვაკე, ხოხობაური, გრძელი მიწები, დიდი წითლობი — ესენი ყველა ლარებია (დ. მექნარიშვილი, 97 წ., ს. თვალადი). მოტანილი მასალა აშკარას ხდის, რომ ნიადაგების ლარებად ათვისება ფართოდ მიღებული უძველესი სამეურნეო ხერხია. ასევე თვალსაჩინო ხდება, რომ მიუხედავად მდებარეობისა და სივიწროვისა<sup>17</sup>, ცალკეულ შემთხვევაში ლარები შეიძლება ერთი მოსახლის კუთვნილებაში 4—5 დღიურ სახნავს შეეცავდეს, რაც კერძო მეურნეობაში მათი ხვედრითი წონის მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ლარების დამუშავება და მოვლა საერთოდ მიღებული წესის მიხედვით ხდებოდა — მაღალი მდებარეობის ლარებში ორხელა სახენელი გაქონდათ, დაბალი ზოლის ლარებში კი 4 ულელს უბამდნენ. მთებზე მდებარე ძნელად მისადგომ ადგილებში მიწის დასამუშავებლად ჩუთი ან კავი იყო გამოყენებული; ხელმოკლე გლეხებმა ამ დროს „გადაბმა“ იცოდნენ. მიღებული იყო ასევე ლარების ნიადაგის საქონლის პატივით გამდიდრება; იქ სადაც უგზოობის გამო ნაკელის გატანა უჭირდათ, მიღებული იყო საქონლისათვის დროებითი ბაგის მოწყობა: „ლარებში საქონელი გავრეკე, საქონელი დავაყენეო“ — იტყოდნენ ადგილობრივ. იქ, სადაც სარწყავი წყალი იშოვებოდა, ლარებს მულამ რწყავდნენ, მაგრამ მათი უმრავლესობა მაინც ურწყავი იყო.

ლარის მიწა მოხსენიებულია ისტორიულ დოკუმენტებში. ნასყიდობის წიგნში, რომელიც მე-17 საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება, ნათქვამია: „ნონიკა ალაპიშვილმა ცხოველ იმნაძეს მიჰყიდა თავისი ნასყიდი 1 დღის მიწა ბარდაული, ბუზაურის გვერდით. იმნაძემ ამ მიწის ნახევარში ფული გადაიხადა, მეორე ნახევარში მისცა მიწა ლარი წითელა“<sup>18</sup>. ჩვენს მასალებში ყურადღებას იქცევს ასევე ლარის მიწებისა და გრძელი მიწების იდენტური მნიშვნელობით ხმარება. ძველ საბუთებშიც ხშირია ამ განმარტებით მიწის ნაკვე-

<sup>17</sup> ლარის სამეურნეო დახასიათებისათვის საყურადღებოა მისი განმარტება — „იწრო არს გზა და მისთანა უგანური, ხოლო ვიწრო — ლარი და მისთანანი უგანო“. ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

<sup>18</sup> მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის (X—XVII სს. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), წიგნი I (გამოსაც. პრამზადა ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ), თბ., 1964, გვ. 131.

თის დახასიათება: გ რ ძ ე ლ ა, გ რ ძ ე ლ ა ს მ ი წ ა, გ რ ძ ე ლ ე ე ბ ი, გ რ ძ ე ლ ა უ რ ი... მაგალითად. გ რ ძ ე ლ ი — „ოსმანას თამაზან ბერ გოგიაშვილს მიჰყიდა გრძელში თავისი განაყოფის მესამედი მამული“; ან გ რ ძ ე ლ ი მ ი წ ე ბ ი — იორდანამ მიჰყიდა მერაბ ყორღანაშვილს სასახლე და 4 დღის მიწა. 2 დღისა სასახლის კარში და ორიც შარას ზედათ გრძელ მიწებში“<sup>19</sup>; ასევე — საბუთი № 39, 1836 წ. მიწის ნასყიდობის წიგნი. „რომე დაგვექირა და ზოგყიდეთ ჩემი ყმის გელიტაშვილის ნასყიდობის მიწა, გზას ზეით გ რ ძ ე ლ ი მ ი წ ა თავისის საწლავითა, საწყლისპიროთი“<sup>20</sup> და ა. შ. როგორც ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ეს ორი ტერმინი უმეტეს შემთხვევაში ანალოგიური გაგებით არის გამოყენებული. ამავე დროს ლარის მიწებს, თითქმის მუდამ გააჩნია დამატებითი სახელი — ადგილის, ადამიანის კუთვნილების (სახელით ან გვარით), სოფლისა თუ ადგილის ტოპონიმის მიხედვით. გ რ ძ ე ლ ე ე ბ ი, გ რ ძ ე ლ ი მ ი წ ე ბ ი — ლარების უფრო ზოგადად აღმნიშვნელი ტერმინი ჩანს, რომელიც ხშირად მას ცვლის ან თან ახლავს, მთლიანობაში კი იმავე შინაარსს გადმოსცემს.

სამეურნეო ტერმინების თვალსაზრისით და, კერძოდ, ლარის ბუნების ძიებისათვის ინტერესს იმსახურებს საქართველოს სოციალური ისტორიის ამსახველ დოკუმენტებში ნახსენები გ ა რ დ ი გ ა რ დ მ ო<sup>21</sup> მიწები, რაც თავისი ხასიათით ლარის პრინციპით შექმნილ მახსენებებს უნდა შეესატყვისებოდეს. ასე, მაგალითად, მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის საბუთი № 8. 1651 წ., ყმა-მამულის ნუსხა. „ქ. ეჭუბაშვილი ნასყიდასი და სეხნისა სახლ-კარი და ვენახი... რუს პირზედა გ ა რ დ ი გ ა რ დ მ ო ოთხი დღისა; სამნების მიწა ოთხი დღის გ ა რ დ ი გ ა რ დ მ ო“; „ქ. სულთანაშვილი ზაქარია, დოხორია, ნაღება სამათ არიან ერთ საკომლოზედ. მათი სახლ-კარი და ვენახი იქნების... გ ა რ დ ი გ ა რ დ მ ო რეხის გზაზედ რუს პირს ორის დღისა... დიდრსა რუს პირს ექვსი დღისა. ძეძენარიანი ორის დღისა; სამი დღისა მოკლე მიწაში... სახატო ვენახი ორის დღისა.“; „ქ. თანდილა შეღვაშვილი, თევდორე, ბერუა, ესენი სამათ არიან ერთ საკომლოზედა. ამათი ვენახი და სახლკარი იქნება... ფშანის პირს რვა დღისა, გარდი-

19 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის. გვ. 64. გრძელეები, გრძელ-მიწა, გრძელ-ველი, გრძელა, გვერდ-მიწა ქსნისა და არაგვის ხეობებში დამოწმებულია მ. გეგეშიძის მიერ. დასახ. ნ.მ.რომი, გვ. 167.

20 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ნ. ბერძენიშვილის რედაქციით), თბ., 1953, გვ. 27.

21 „გარდიგარდმო არს არა სიგრძელ, არამედ განისად“. ს-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966 წ. 1.

გარდმო ექვსის დღისა...<sup>22</sup>. იმავე წყაროში საბუთი № 23. 1723 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი ნათქვამია „...მოგვიდე ჩემი ალალი ნასყიდი ლამის მიწა ტინისხიდს ოთელანთაგან მოსყიდული. თავი გარდო-გარდმო ხიზანას შვილის მიწის მიდგამი, ბოლო მტკვრამდი, საზე-ნაქრო გვერდი კიდევ ხიზანას შვილის მიწის მიდგამი, საქვენაქრო გვერდი ბაღჩიას შვილის მიწის მიდგამი“<sup>23</sup>. აქვეა საბუთი № 385. 1814 წ. გარდაწყვეტილობის წიგნი. სადაც ვარ-დი გარდმო მიწის ფართობის მდებარეობის აღწერილობა და ზომე-ბია მოცემული: „...ამ მიწის ნიშანი არის: თავი ჩრდილოეთისაკენ... ბოლო სამხრეთისაკენ თუმანიშვილის ზურაბის გარდიგარდმო მიწას მიდგამი. რომ ამ გარდიგარდმო მიწის თავი მოადგება ხევსა. ერთი გვერდი აღმოსავლეთის მხარეს — რუს წყალი რომ მომდინარე-ებს იმის მიდგამდინ..., ამ მიწის სიგრძის ზომა არის ადლი ორას ოცდაოთხი. ამ მიწასვე თავის სიგანე არის ოთხმოცი ადლი, შუა წე-ლის განი არის სამოცდა ოთხი ადლი... რადესაც ეს ჩემი გარდა-გარ-დმო მიწა და ზევითა აღმა სახნავი მიწა ერთმანეთს. შევართე და სვრავ შემოვლობე, მაშინ თავადის ეგნატაშვილის...“<sup>24</sup>. თუ აქ მოტანილ ზო-მებს გამოვივლით. საბუთში ნაჩვენები ნაკვეთის სიდიდე იქნება: სიგრძე (საშ.) — 190 მ. სიგანე (საშ.) — 60 მ. რაც თავისი ხასიათით სწორედ ლარის მონაკვეთს შეესაბამება. ამას ადასტურებენ ასევე ეთნოგრაფიული მონაკვეთები, რომელთა მიხედვით ლარი „ვიწრო“ მიწებია. მაგრამ ლოკალური არტუტ პატარა მამულებია და 4—5 დღის სახნავიც შეიძლება იყოს: ამას კარგად გადმოსცემს საბუთებში მო-ტანილი მათი აღწერილობა და ზომებიც. თავისი მოცულობით ისინი განეკუთვნება დიდი ზომის ლარებს, სადაც 4 უღელა სახვნელი თავი-სუფლად მუშაობს. ლარების შექმნის სამეურნეო ვითარების წარმო-სადგენად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: საზოგადო-ების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ქვეყნის აღმავლობის პერა-ოდებს თან სდევს მოსახლეობის რიცხვის განუზრელი ზრდა-მატე-ბა. მოსახლეობის საარსებო მიწა-წყლის ფონდი ახალი რესურსებით შევსებას მოითხოვს. მაგრამ, როგორც არაერთი მეცნიერულად შე-ვსებადი ფაქტი მოწმობს, ახალი ფართობების ათვისება არა უსი-ტემოდ, სტიქიურად, არამედ ხალხური ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით ხდება. ეს კარგად ჩანს ლარების-მაგალითზე: ამ დროს ტყე და ბუჩქნარი იჭრება არა დიდი მოცუ-

22 დოკუმენტები საქართველოს სოციალურ-ისტორიდან... გვ. 6.

23 იქვე, გვ. 23.

24 იქვე, გვ. 241—242.

ლობით, არამედ განსაზღვრული წესის მიხედვით. რაც ფერდობებზე. გარდიგარდმო გავლებული დავაკებული მონაკვეთების სახეს იღებს<sup>25</sup>. როგორც ლარის ხალხური დახასიათება გვამცნობს, მას ორივე, ხედა და ქვედა მიწაზე ტყე ესაზღვრებოდა<sup>26</sup>. დროთა მანძილზე, ნიადაგის გამოფიტვის, გაღარიბების გამო ლარს ყამირად ტოვებდნენ; რამდენიმე წელიწადს მიწა „ისვენებდა“, ძალას იკრებდა. განსაზღვრული დროით, ნასვენად დატოვების შემთხვევაში, ლარის მომიჯნავე ტყის ზოლის ასოდ გადაქცევა ხდებოდა იმავე მიმართულებით. დროთა მანძილზე, ფერდობის დახრილობის შესატყვისად ტერასულად განლაგებული სწორი ზედაპირის მქონე ვიწრო და გრძელი ვაკისი იქმნებოდა და საჭიროების დროს შედიოდა მოქმედებაში. ტყესთან ახლოს განლაგებული ეს ნაკვეთები ბუნებრივი რეჟიმით რეგულირებულ გარემოში ხვდებოდა — ტყე როგორც ნიადაგის და წყლის რეჟიმის დაძველ-მარეგულირებელი; ტყე გვალვის პერიოდში ტენის შენარჩუნების წყარო: თავსხმა წვიმებისა და თოვლდნობის დროს ტყე ნიღვრით მიწის წალეკვისაგან დამცველი საშუალება.

მემინდერეობაში გამოყენებულ ლარებს სახელწოდება მიღებული აქვს იმ კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე, რომელიც მისთვის საყოველთაოდ დამახასიათებელი მთავარი ელემენტია. ამავე დროს, თვით ტერმინი მრავალი მნიშვნელობით არას ცნობილი. მოვიტანთ ზოგ მათგანს: ლ ა რ ი - კ უ მ ა ჩ ი, ფარჩა<sup>27</sup>; ლ ა რ ი — ალყა, ძალი; ლ ა რ ი — წელი შეგარებილი<sup>27</sup>. ლ ა რ ი — განძა, ხაზინა<sup>28</sup>, ლ ა რ ი ხვასტაგთ ნაწლევი შეგარებილი მწვილდისა ლაქბაჟ, გინდა ძალად საკრავთა<sup>28</sup>. ლ ა რ ო (ყოფაში ლ ა რ ი ა) — ბაღის პირი, კალატოზთ ბაწარი კედელთ საშენებლად გასაბმელი, რომელსაც გააბწორებენ თარაზოს შვეულთ<sup>28</sup>; ლ ა რ — ლ ა რ ე — სათიბი მიწები სვანეთში<sup>29</sup>; ლ ა რ ი — საპნეტი ზემო რაჭაში (მინაძრეწველობის მასა-

25 ახს ალება მკაცრად იყო განსაზღვრული. მით უმეტეს, ფეოდალურ საქართველოში. ბატონის ნებათაღვის გარეშე ახოს ვერაფერს ვაქროდა. ხშირად გლეხობა ემშაობას მიმართავდნენ, ვისაც პატარა „ნეკი“ ექნებოდა ტყეში. მას მიწა იკებდა, ნელ-ნელა გაზრდოდა; ლარებს ადგლებში უფრო ოდნად უმატებდა სივრცეს.

26 „წარათი — წვრილი მოგრძე ტყე“ — ს.ს. ორბელიანი. მიწის ლარებად ათვისებასთან ჩანს დაკავშირებულა წარათება. ტყის გრძელი მონაკვეთება ფერდობზე. ძველად საქართველოში ცნობილი იყო წარათის დედა, რაც ფერდობს შევენახობაზე უნდა მიუთითებდეს. ამაზე კახურა მასალა იტყვევებს: „...მეტადრე განთქმულია კაოდანახის წარათებას“ და წინანდლის „გრძელ ბინდვრის“ რქაწითელი. ეს უსემოსავლიანი ჯიბი იშვიათი გამძლეობითაც გამოირჩევა...“ ა. ლეკიაშვილი, „შენ ხარ ვენახი“, თბ., 1972, გვ. 50.

27 ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966.

28 მ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

29 მ. გეგეშიძე, მორწვევის სისტემა ზემო სვანეთში. მსე, თბ., 1960, გვ. 23.

ლები): ლარი — საპენტი მოწყობილობა მესხეთში<sup>30</sup>; მეგრული ლარი — შარვალი, მეგრული ლარით (ხვანჯრით) შეკრული (შინამრეწველობის მასალები, გურია); ლარი — ღვედი ქალაზნის ამოსაკოქავი (შინამრეწველობის მასალები, აქარა); „რალი“ (ლარი), „დარალვა“ — მატყლის ნართით შეგრებილი წვრილი თოკი<sup>31</sup>; ლარი (მონ.) გრძელი და განიერი სკამი, რომელზედაც კიდევაც წვებიან<sup>32</sup>. ლარი, ლარული (იმერ.), ფაცხი წნელით დაწნული სახლა (жилище из плетня);<sup>33</sup> ლარე — ველი<sup>34</sup>; ლარები — სოფელი ბორჯომის ხეობაში და სხვა. ტერმინის საკითხზე არ შეეჩერდებით, მისი ზოგი მნიშვნელობის გარშემო ჩატარებულია სპეციალური ძიებანი<sup>35</sup>. ეჭვს გარეშეა, რომ ქართულ ლექსიკაში მას ფართო და მრავალმხრივი მნიშვნელობა გააჩნია, რომელიც გამდიდრდა ახალი შინაარსით. ეთნოგრაფიული ძიებით პირველად მესხეთში გამოვლენილი ტრადიცია ნიადაგების ლარებად ათვისების გარშემო, დამახასიათებელ მოვლენად გამოიკვეთა მთელი აღმ. საქართველოსათვის. ამას კარგად გადმოსცემს შიდა ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ნიადაგების ლარებად ათვისების ტრადიცია, რომლის გარშემო მრავალფეროვანი მონაცემებია შემორჩენილი.

უახლესი ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ლარების პრინციპით ნიადაგების ათვისება ფართოდ ინერგება თანამედროვე მიწათმოქმედებაში და დიდი პრაქტიკული პოტენციალი გააჩნია. ისინი იწოდებიან ნახნავ ტერასებს (напашные террасы) და დღევანდელ სასოფლო მეურნეობაში მათი გამოყენება მიზნად ისახავს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. ნახნავი ტერასების შექმნა. როგორც უახლესი ტექნიკის მეშვეობით ხორციელდება, უძველესი დროიდან მომდინარე სამეურნეო ხერხია და ემყარება იმ ტრადიციას, რომელიც განვითარებულ სამიწათმოქმედო ხალხებს გააჩნია მსოფ-

30 ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 96.

31 ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, წ. 1, რაჭა, თბ., 1974, გვ. 144.

32 ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა (აღ. დლონტის გამოც.), თბ., 1984.

33 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

34 ვ. გვახარია, ი. ტაბაღუა, ბასკური ხალხური სიმღერები, თბ., 1983, გვ. 74.

35 ნ. აბესაძე, ლარულისა და ორხაულის გაგებისათვის, შ. რუსთაველის ებოქის მატერიალურ-კულტურა. თბ., 1976. ლარი — Снурок, Веревочка, завязка, канат, струна, тетива у лука, Гаффаров, М. А. Персидско-Русский словарь, М., 1975. სხვა მნიშვნელობასთან ერთად, რომაელებთან ლარები (L a r e s) აგრარული რელიგიის ღმერთებად არიან მიჩნეული —



ლიოს ბევრ რეგიონში. ამაზე მეტყველებენ ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებიც.

შიდა ქართლში მიწათმოქმედების ტრადიციულ ფორმად გვეკლინება ტერასული მიწათმოქმედება. ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება ორი სახის ტერასები — ქვისკედლიანი და უკედლო, რომლებიც რამდენიმე სახელწოდებითაა ცნობილი — ბაქანი, ტახტი, ეტი. ტერასის აღმნიშვნელად ქსნის ხეობაში ყორეს ხმარობენ, როდესაც გადმოსცემენ ფერდობზე მდებარე ქვისკედლიანი ნაკვეთების დახასიათებას<sup>37</sup>: კავთურას ხეობის რამდენიმე პუნქტში ბაქნის მნიშვნელობით ასევე ყორე იქნა დამოწმებული<sup>37</sup>. ამავე მნიშვნელობით ხაშურის რაიონში დადასტურებულია სახელწოდება ნაკიდული<sup>38</sup>, რომლის გარშემო ეთნოგრაფიული მასალა მეტად მცირეა.

ქართლის ტერასული უბნების ხალხური დახასიათების გადმოსაცემად მოგვაქვს დოკუმენტური მასალა საველე დღიურებიდან: „ბაქნები ვიცოდით, ბაქან-ბაქან მიწას ვეტყოდით, ფერდას ვასწორებდით. ზემოდან ვიწყებდით გამოთხრას, გამოკაფვას და ქვემოთ მოვყვებოდით. 3—4 რიგად გამოდიოდა, ფერდას სიმალლეს გააჩნდა. ბაქანზე უფრო ვაზი გვქონდა“<sup>39</sup>; „მიწა ბაქნებად გვქონდა, ეტი და ეტი იყო — ბოსტანი, ვაზი, მწვანელი. ფერდობი აქ მაღალია, ვიწრო კვლებია, მაღალი ზღვრები აქვს 2—2,5 მეტრი. ძველად იტყოდნენ —

---

„...ლარები უკავშირდება ქვესკნელს, ანუ დედამიწის წილს, ისინი შემდგომში აღქმული იქნებიან უკვე აგარაული მნიშვნელობით, როგორც დედამიწის, და უფრო გვიან კი, როგორც სამიწათმოქმედო რელიგიის ღმერთები. მინდვრის სამუშაოების დასრულების შემდეგ მათთვის მოქონდათ შესაწირავი გოქის, ღვინისა და საგანგებოდ შემზადებული ღვეზელის სახით... ლარებს განეკუთვნებოდა ნიშა კედელში ან შენობა ოთხი შესასვლელით, რასაც „სივრცის“ კოსმიური მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის შარეების შესატყვისად“. Фрейденберг, О. М. Миф и литература древности, М., „Наука“, 1978, с. 40.

38 ა. დავითური, სოფ. ქურთა (ლენინგორის რ-ნი). მისივე ცნობით ცხავეატისა და ალევის მიდამოებში დიდი რაოდენობით ამოდის ქვევრები, ტყეში კი ხშირად ხვდებიან გაველურებულ, ძველ ვაზის ჭიშებს — თავკეერს, ბუდეშურს, საბატონოს, ს. დ. № 4, 1985 წ.

37 დ. მექნარიშვილი 88 წ.; ს. მექნარიშვილი 68 წ. ს. დ. № 1, 1985 წ. სოფ. გუდალეთში გადმოგვცეს — ქვის ყორეს ხევის პირებზე ფიჩხის კონებთან მონაცემლობით აგებდნენ. შ. მოღრეკილაძე, 86 წ. ს. დ. 1, 1985.

38 ცნობა მოგვაწოდა ვ. ბანცაძემ, 95 წ. სოფ. ქვიშხეთი, გოგოლაშვილის უბანი. ს. დ. № 2 1983 წ.; ნაკიდური — ს. ნაპირი; სამზღვარი. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

39 ლ. ლეღაშვილი, 93, ს. ხოვლე, კასპის რ-ნი.

ფერდობი ბაქნად გაკეთდაო“<sup>40</sup>; „შეფენილი ფერდობია ჩვენთან, მა-  
„მაპაპური ადგილებია, იმათ უშენებიათ ეს ბაქნები ჩვენც ვაკეთებ-  
დით, რკინის კეტი, ქორჩი, ბარი — ამითა ვთხრიდით“<sup>41</sup>. „ძველი ბაქ-  
ნები ადრე გატეხილი მამულებია, ტყის პირებია, სოფლის გარშემო  
ბევრია დარჩენილი, ზოგან ესლაც ვენახია“<sup>42</sup>; „ბაქნები აქ ბევრია —  
ზემო ხანდაკი, ხოვლე, ფაშიანი — მანდ ბაქნებიც იყო და სარწყავი  
წყალიც. თეძმის ხევიდან ამოდიოდა არხები. ბაქანზე ვაზი გვქონდა,  
ვაშლი, ატამი. ესლა ვაზი მეურნეობასა აქვს და ვისაც ძველი ბაქნები  
შემორჩა, იქ უფრო ლობიო და სიმინდი უთესია. ზოგან ვენახიც  
შემორჩა“<sup>43</sup>; „ბაქანი ნაკადულით არის შემოსილი, მომარაგებული.  
წყალი რო ნაწილდება მიწას ნაკლებად ფიტავს. ეს ეტები მიწა რო-  
არ წაილეკოს ნიაღვრის დროს — იმითაც კარგია“<sup>44</sup>.

ბაქნების გავრცელებაზე და მათ მნიშვნელობაზე ძველ მეურნე-  
ობაში მიგვიჩვენებენ სოფლებში: ჭებირი, ბოშური, ახალციხე, ერთა-  
წმინდა, სასირეთი, ქვ. ნიჩბისი, მეჭვრისხევი, ხეკორძი და საზოგადოდ  
მეჭუდის, თეძმის, კავთურას, ხეკორძულას, ლე-  
ხურას, ქსნის და სხვა ხეობებში, სადაც ნიადაგის ტერასირების  
ტრადიცია დღემდეა შემონახული. ძველ მოქმედ ბაქნებზე უფრო ბალი  
და ბოსტანია გაშენებული, ზოგან ვენახსაც ვხვდებით. მაგალითად,  
ქვ. ნიჩბისში ოსეთაშვილების ეტები ბოსტანს უჭირავს. ეტებად მოწყ-  
ობილი, მეზობლად მდებარე გოგიაშვილის საკარმიდამო კი ვენახს  
ეთმობა; აქ ხუთიარუსიანი კარგად დაცული უბანია შემორჩენილი.  
ასევე საბოსტნედ არის განკუთვნილი 7 იარუსად მოწყობილი ეტები  
სოფ. წინარეხში. კარგად შემონახული ტერასული უბანი დავადასტუ-  
რეთ სოფ. ქვ. ჭალაში, იმხანად 100 წლის იოსებ ილიას ძე ტოგონი-  
ძის საკარმიდამო ნაკვეთში. მისივე დახასიათებით ეს ბაქნები დიდი  
ხნისაა, მამა-პაპის აგებულია. ფერდობის დახრილობა 25°-მდეა, მთლად  
დაბურულია ხილის ხეებითა და ნარგავებით. პირველი, მაღლა მდებ-  
არე ნაკვეთის სიგანე 5 მ-ია, სიგრძე — 18 მ. მიჯნის ქვევით განლა-  
გებული მეორე ტერასა უფრო ფართოა, 12—15 მ-ია, მისი სიგრძე  
30 მ-ს აღემატება. მესამე ტერასა 8 მ სიგანისაა და 20 მ-მდე სიგრძის.  
ნაკვეთებს შორის პირველი მიჯნის სიმაღლე 3 მ-ია, მეორისა კი 2  
მეტრამდეა. სამივე ტერასაზე ბოსტანია მოწყობილი. კედლით შემავ-  
რება არა აქვს, მხოლოდ პირველი ტერასის ძირში, გაყოლებაზე აქა-

40 ე. მონასელიძე: ბ. მოდრეკილაძე სოფ.: კავთისხევი, კასპის: რ-ნი.

41 ვ. შატაკიშვილი 96 წ., სოფ. ატენი (ფუხანთ უბანი), გორის რ-ნი.

42 მ. ქიტიაშვილი, 79 წ., სოფ. სასხორი, მცხეთის რ-ნი.

43 დ. კანდელაკი 81 წ., სოფ. ხანდაკი, კასპის რ-ნი.

44 ი. ხატისკაცაძე, 71 წ., ს. მარანა, გორის რ-ნი.

იქ მოჩანს ქვის წყობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ძველი ნაკედლა-რი უნდა იყოს.

ტერასების გავრცელებით გამოირჩევა ქსნის ხეობა<sup>45</sup>. უძველესი დროიდან მჭიდროდ დასახლებული მისი მიწა-წყალი განვითარებული მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით ხასიათდება. ქსნის ხეობას მრავალი ხევი მიერთვის. ტერასული მეურნეობის ნაკვალევი ყველა-ზე მკაფიოდ ცხავატის ხეობაშია შემორჩენილი. ცხავატი უძველესი დასახლებული პუნქტია. იგი ქსნის ხეობის გარდამავალ ზოლშია მოქცეული. ამ ზოლისათვის დამახასიათებელია როგორც პურეული კულტურების მრავალფეროვნება, ასევე ვენახის არსებობა. ცხავატი-სა და მის მიმდებარე სოფლებში ძველად ღვინოს აყენებდნენ, ხოლო თვით ხევის ფერდობები ვახის კულტურას ჰქონდა დაკავებული. ამა-ზე მიუთითებენ ხალხში დღემდე შემონახული თქმულება-გადმოცე-მანი ცხავატური ღვინის სიკეთის შესახებ<sup>46</sup>. გ. ჩიტაიას დახასიათე-ბით „ქსნის ხეობაში მიწის სიმციროს გამო მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისაგან გამოეგლიჯა საყანედ გამო-სადეგი მიწის თითოეული ნაკუწი... ცხავატურას ხეობის ზერებში დღესაც ჩანს ტერასისებურად აგებული ყორეები, რომლებიც ფერ-დობებში ნიადაგის დაქანების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული“<sup>47</sup>. ცხავატის ხეობის მზვარე ტერასებზე ძველად ვენახი იყო გაშენებუ-ლი და უხვ. მაღალი ხარისხის მოსავალს იძლეოდა<sup>48</sup>. ამჟამად ტერა-სული კედლები ძლიერადაა დაზიანებული, მაგრამ მათი განლაგება და

---

45 ქსნის ხეობაში დასახლება შემჩნევა მთის ფერდზე, მთის ძირში, ხევას გასწვრივ და ბარში, სადაც მიწის სიმცირე იყო, მოსახლეობა ფერდობებზე სახლ-დებოდა და კარმიდამო ღებულობდა ტერასულ ფორმას — კ. ქ ა ხ ი ა ნ ი, დასახლე-ბა ქსნის ხეობაში, კრებ. ქსნის ხეობა, თბ., 1975, გვ. 25.

46 „ძველ ხანაში ქსანზე მეტი სათესი ფართობი იყო. ნიადაგის ეროზიისა და დახრამვა-დამეწყერების პროცესი სულ ახალ-ახალ ფართობებს სტაცებს სოფ-ლის მეურნეობას. ამიტომაც, რომ ქსნის ზედა წელზე ხრამებს ხშირად „ნადი-კვარის“, „ნაქერალის“, „ქვავის მინდორის“ სახელით მოიხსენიებენ. ქ. გ ე ა ს ა-ლი ა, ქსნის ხეობის ისტ. გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გე-ოგრაფიის კრებული, თბ., 1967, გვ. 20.

47 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გუთანი, ენიმქ-ის მოამბე, თბ., 1940, გვ. 484 —485.

48 გ. წ ა ლ ა ბ ა ძ ე, მევენახეობა ქსნის ხეობაში, საქართველოს სახ. მუზეუ-მის მოამბე, 30, თბ., 1974.

კონფიგურაცია. ფერდობზე მაინც კარგად შეიმჩნევა. შემონახული ფრაგმენტების მეშვეობით შესაძლებელი ხდება როგორც ქვით მშრალად ნაგები კედლების ზომის დადგენა, ასევე ფერდობზე განლაგებული მრავალიარუსიანი კომპლექსების დადასტურება. ფერდობის უმაღლეს განფენილობაში კედლები 7 იარუსადაა მოწყობილი, მათი სიმაღლე 1—1,5 მეტრის ფარგლებშია. ერთ-ერთი. ყველაზე ქვევით მდებარე კედელი, რომელიც მდინარის დინებიდან 2 მ სიმაღლეზეა ფერდობს გასდევს 9 მეტრის სიგრძეზე; ასეთი, შემორჩენილი მონაკვეთები მცირეა. რაც უფრო ღრმავდება ხეობა, მით უფრო მატულობს ტერასულ ფერდობზე მცენარეული და მალე ხშირი ტყით იფარება. ხეობის მკვიდრი მოსახლეობის გადმოცემით, ეს ადგილები ძველი ნავენახარია, რომელიც ნიაღვრისაგან დაიშალა, ჩამოიჩხატა და გავერანდა. ვენახი ჰქონიათ ასევე ცხავატურას ქალაში, გოგოჩაანთ უბანში, რომელიც მზვარე ადგილია, მურყანის ტყით იყო დატული და უხვად გააჩნდა სარწყავი წყალი. ს. ცხავატის ახლოს მდებარე ქვემო მზვარეში დღემდეა შემორჩენილი ქვის ყორეები და ზედ გაგარეულებული ვაზის ნაშთები.

ფერდობი ადგილების ქვის კედლებით შემაგრების შესახებ საინტერესო ცნობები ქსნის ხეობის სხვა პუნქტებშიც შემორჩა. ასეთია ალურას პატარა ხეობაში სოფ. ალევო, რომელიც ცხავატთან ახლოს მდებარეობს. აქ რამდენიმე ადგილას შემორჩა ტოპონიმი ნავენახარო, თუმცა ერთიანი ტერასული კომპლექსის მიგნება გაჭირდა. კედლებით ფერდობის შემაგრება მიღებული ყოფილა ისეთ ადგილებში, სადაც მიწა „ზლოვდებოდა“, მეწყერის საშიშროების დროს<sup>49</sup>. კიბე-კიბე სკოდნიათ ასეთი ფერდობების მოწყობა, სადაც ვენახის არსებობაზე მიუთითებენ დღესაც<sup>50</sup>. ქვის კედლებით ფერდობის მამულების შემაგრების შესახებ საინტერესო ცნობები. ქსნის ხეობის სხვა უბნებზეცაა შემონახული. მაგალითად, ლარგვისის ძველ მამულებში აღრე ხკოდნიათ ფერდობზე ქვების გარეგება, კედლების შენება, სადაც პური და ქერი ეთესათ\*.

49 ი. პავლიაშვილი, 77 წ. სოფ. ქურთა; თ. მილაძე, 65 წ., სოფ. ალევო.

50 წინათ სასნავი მიწის წეობს წყლისაგან დასაცავად აწყობდნენ კელებს. ანგ. რ ნაგებობათა ნაშთებო დილა რაოდენობით გვხვდება ცხავატისა და ალევო სეობებში, მითითებს ვ. შალიკოვი (შალიკაშვილი). Шаликов К. Р., ЗКОИРГО, к. XVI, 1894 г., с. 247.

\* გ. ჩიტაიამ სამეურნეო ტერასები ქსნის ხეობაში დაამოწმა სოფ. ლარგვისთან, 1931 წელს, სადაც ფერდობზე ნაშენი ქვის კედლები, უკვე ნაშალა კარგად შეიმჩნეოდა. ტერასულა მიწათმოქმედების უბნები მან მიაკვლია 40-იან წლებში გარე კახეთში (სოფ. მანავი), და ქვემო ქართლში, სამშვილდესთან 1924—26 წლებში. (გ. ჩიტაიას არქივის მასალები, იბეჭდება „შრომებში“).

ტერასული მევენახეობის უზნებზე ქართლში სწორად დასტურდება მარან-საწნახლის არსებობა. მაგალითად, ციხე-დიდის ხეობაში, ძველი ბაქნების მიდამოში ხალხური გადმოცემით 7 საწნახელი მოქმედებდა; დღესაც ამოდის ღვინის უზარმაზარი ქვევრები, რომელშიც წინათ ღვინოს აყენებდნენ. ამ ადგილებში ძველად ბევრი სოფელი არსებობდა მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. ეს მამულებიც მათ მიერ იყო დამუშავებული. ასევე ძველთაძველი საცხოვრისიანად არბაზევის ხეობა; მის შემოგარენში, ფერდობებზე დღემდეა შემორჩენილი ძველი ნვენახარი ბაქნები, ასლა იქ ხილის ხეებილაა აქა-იქ დარჩენილი, ვენახი კი მთლიანად გადაჭიშდა.

ძველად ვენახში მიღებული იყო საზედაში ქვევრის ჩადგმა. ასეთი ქვევრის ნაშთები მრავლად დასტურდება ძველ ნვენახარ ადგილებში, მათ შორის ტერასულად მოწყობილ სავენახე ფართობებში. ამ საზედაში ქვევრებს ხალხი დიდი სასოებით უვლიდა და მათთვის განკუთვნილ წეს-ჩვეულებას მტკიცედ იცავდა<sup>51</sup>. ზედაშის ძალა, რწმენა მისი სიძლიერის, სიკეთისა და წყრომის მიმართ დღემდეა შემონახული. სოფ. ქვ. ნიჩბისში ამის შესახებ შემდეგი გადმოგვცეს: „ამ სოფლის მაცხოვრებელს, ნიკოლოზ ოსეთაშვილს ვენახის ეტში საზედაში ქვევრი ჰქონია ჩადგმული, რომელიც მაგათი საგვარეულოსი ყოფილა. ოჯახის ბიძაშვილს, სანდრო ოსეთაშვილს, ახალი სახლი რომ გაიკეთა, ეს ქვევრი ამოუღია და თავისთან გადაუტანია. ცოტა ხნის მერე ყოფილა. ოჯახს შვილი გაუხდა მძიმედ ავად — 20 წლის ბიჭი დაკუტდა. სოფლის მოხუცებულებმა უთხრეს, საზედაში ქვევრი რომ თავის ადგილს მოაშორეთ და სხვაგან გაატანეთ, იმის ბრალიაო. ამის მერე სანდრო ოსეთაშვილმა ის ქვევრი თავის ადგილზე დააბრუნა და ამბობენ ბიჭი ცოტა მომჯობინდაო“<sup>52</sup>. ამავე აზრს გადმოსცემს ივანე წამალაშვილის მონათხრობი (სოფ. ძეგვი): „ამ ჩვენი ოჯახის საზედაში ქვევრი, სამკოკიანი, გვარის კუთვნილ ვენახშია დაბრძანებული, იქ სადაც ეტებია. ახალი სახლი რო გავაკეთეთ, აქ მოვიდნომე იმის ჩადგმა და ამოვიტანე კიდევ. ცოტა ხანში ცოლქმარი ძრიელ ავად გავხდით. რო გამოვკეთდი, ის ჩვენი ქვევრი წავიღე და ძველ ადგილას დავაბრძანე“. ქართლში არაერთგან მიგვითითეს ძველ ნვენახარ ბაქნებში საზედაში ქვევრებზე. კარგად დატული ასეთი ქვევრი დღემდეა შემორჩენილი სოფ. ბიისში, ძველი ვენახის ეტებში რომელიც მიტოვებული კარმიდამოს შეზობლადაა.

51 „სამამო ზედაშეები მამებს ან ძმებს ერთად ჰქონდათ ერთ-ერთი ძმის ოჯახში. საგვარო ზედაშეები საერთო ქვევრში იხსმებოდა, რომელიც სალოცკეთან ან გვარის რომელიმე წევრის საყანე ადგილას იყო დაგდებული“. ნ. თოფურიძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 76.

52 ჩავაწერინა ა. ოსეთაშვილმა, სოფ. ქვ. ნიჩბისი.

ტერასების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩევა ატენის ხეობა. მისი „განსაკუთრებულობა“ იმაშიც მდგომარეობს, რომ ქვის კედლებით ნაშენ ტერასებზე აქ დღემდე შემორჩენილი ინტენსიური მეურნეობა — მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, რაც სხვა ხეობებში შედარებით სუსტად ვლინდება. ქ. ატენის დახასიათებისას ხეობის თავისებურებაზე ყურადღებას ამახვილებს ლ. ქილაშვილი: „ატენი თავისებურ გეოგრაფიულ გარემოში წარმოქმნილი ქალაქია. იგი ჩაფლულია მაღალ კლდოვან მასივებში, განლაგებულია ხეობის ორსავე მხარეს, სადაც შესანიშნავი პირობებია მწიფეობისათვის. მთლიანად ატენის ხეობა არ არის გრძელი, ამასთანავე სამეურნეოდ ვარგისი მიწები მის ქვედა წელშია განლაგებული... ძნელია ზუსტად დადგინდეს ატენის, როგორც პუნქტის საზღვრები. მოსალოდნელი კი არის იგი ხეობის გასწვრივ ყოფილიყო განლაგებული. რადგანაც მაღალი კლდოვანი ნაპირები ხეობისა გამორიცხავდა დასახლების გავრცელებას სივრცეზე“<sup>53</sup>. აქ კარგად არის გადმოცემული ხეობის სურათი, რაც საგანგებოდ გასათვალისწინებელია ტერასული მეურნეობის საკითხების ძიებისათვის.

ატენის ხეობაში ბაქნების სიმრავლით ხასიათდება უფრო მისი შუა წელი. ბაქნები განლაგებულია მდ. ტანას ორივე ნაპირზე. ამჟამად მჭიდროდაა დასახლებული მარცხენა სანაპირო, რომელსაც მაღალი მდებარეობა აქვს (15—35° ფარგლებში). ხალხური დახასიათებით, აქ განლაგებული ვენახები „მზის მხარეა“, „მზის გულია“ და ამიტომაც კარგი გემოვნებისა და მაღალი ხარისხის ღვინო იცის. ქვისკედლიან ნაშენობათა დიდი პროცენტიც ამ მხარესაა თავმოყრილი. ხეობის მარჯვენა სანაპიროს ბაქნები მდინარის დინების ნაპირს გასდევს, „ჩრდილის მხარედ“ ითვლება, მარცხენა სანაპიროზე გაცილებით დაბალია. ტერასულ უბნებს აქ მეტი ფართობი უჭირავს, მაგრამ ასათვისებელი მიწა აქაც ცოტაა. მდინარის მიმდებარე სანაპირო ტყითა და ბუჩქნარითაა დაფარული.

ორივე სანაპიროზე, ბაქნების დიდი ნაწილი ძველია, კედლები ნაგებია ქვის მშრალი წყობით. მათი სიმაღლე ფერდობის განსხვავებული დახრილობის შესატყვისად 1-დან 1.75 მ ფარგლებშია. მაღალი ექსპოზიციის მონაკვეთებში კედლების სიმაღლე იზრდება და შესატყვისად მცირდება შექმნილი ფართობის მოცულობაც. ნაკლები დახრილობის ფერდობებზე ბაქნების კედლები შედარებით დაბალია და ნაკვეთის ფართობიც გაცილებით დიდია, ზოგი მათგანი ამ ადგილებში 8—15 მეტრი სივანისაა. ბაქნები ფერდობზე უმეტესად 3—4-ი-

<sup>53</sup> ლ. ქილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 102.

არუსიან მონაკვეთებადაა განლაგებული. მაღალი ექსპოზიციის ადგილებში მათი რიცხვი 7-მდე აღის. ძლიერი დაფერდების კლდოვან ფერდობებზე მდებარე ბაქნებზე ძველად მიღებული ყოფილა მწირა, გამოფიტული ნიადაგის ნოყიერი მიწით შევსება, რომელიც ხშირად შორი მანძილიდან მოჰქონდათ. ეს ღონისძიება დიდ დროსა და ბევრ მუშახელს მოითხოვდა, ამიტომ თანასოფლელთა გაერთიანებული ძალებით იყო განხორციელებული. სავაზედ შერჩეულ ბაქნებზე სცოდნიათ ქვასთან შეზავებული მიწის დაყრა, რათა მცენარე დაეცვათ გვალვისაგან და ნიადაგისათვის ტენის შენარჩუნების უნარი გაეზარდათ. ვენახის ტერასულ მონაკვეთში ვაზის მწკრივები ადგილის სიდიდით იყო განსაზღვრული — ზოგზე 5 პირი ვაზი თავსდებოდა, ზოგზე — ორი პირი და ზოგზე — მხოლოდ ერთი<sup>54</sup>.

ქართველი მეურნე ფერდობის ვენახსა და მევენახეობას იმთავითვე დიდ უპირატესობას ანიჭებდა. ამაზე, ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, ბევრი სხვა საბუთი მეტყველებს. ამ გარემოებაზე ივ. ჭავჭავაძე იხილავს საგანგებოდ მიუთითებს: „ქახეთის მევენახის აზრით, რომელიც მრავალსაუკუნოვან დაკვირვება-გამოცდილებაზეა დამყარებული, სავენახე ადგილად ფერდობი, ოღნავ, 10—20° დაქანებული და მზვარე ადგილი, ე. ი. ისეთი, რომელსაც მზე უხვად ანათებს, სჭობია. ამიტომ სამხრეთისა და აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეზე მდებარე ფერდობი დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფერდობზე უფრო უკეთესად იყო და არის ახლაც სავენახე მიწად მიჩნეული. ქართლში კი, რომელშიც უფრო მშრალი ჰავაა, სავენახე მზვარე ადგილსავე რჩებოდნენ, მაგრამ ვაკე ადგილსაც არ გაუბობდნენ, ისევე როგორც ფერდობსაც“<sup>55</sup>.

ატენის ხეობის ტერასები უმთავრესად ვაზსა აქვს დათმობილი, რაც ტრადიციით მომდინარე გარემოებას ასახავს. ხეობის სამეურნეო ხასიათით შეპირობებულია ვერტიკალური ზონალობის, ხალხური გამოცდილების საფუძველზე „მზისა“ და „ჩრდილის“ მხარეებად სამიწათმოქმედო კულტურათა დანაწილების პრაქტიკული ღონისძიებანი: მზის მხარეზე განლაგებულ ბაქნებზე ყურძენი აღრე მწიფდება, ახასიათებს მეტი შაქრიანობა, მაღალი გემოვნებითი მაჩვენებელი. ჩრდილის მხარის ვენახებში ნაყოფი გვიან შემოდის, კრეფის ვადებიც აქ 15—20 დღით იგვიანებს. მოსავლის ოდენობაც მზის მხარეს ჭარ-

54 ქართლში ატამი და ყაისი ვენახის ეტებს შორის ან შიგ ვაზებში იყო დარგული. ბევრგან, ღობის ძირას გაყოლებულ ხეებზე გაშვებული იყო ბაბილო, ხშირად ბუდეშური და სხვ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 17.

55 ივ. ჭავჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

ბობს. ბაქნებზე სათანადო ადგილი დათმობილი აქვს ხილის ხეებსა და საბოსტნე კულტურებს. განსაკუთრებით ხშირია ვენახში ატამი, რომელიც აქ საუკეთესო თვისებებით გამოირჩევა და XIX ს. ბოლოს დიდი რაოდენობით გაჰქონდათ გარე ბაზრებზე<sup>56</sup>. ვენახი ხშირად ხეივანად იყო მოწყობილი და შემდეგი წესით იყო აგებული: ხეშეშორებარე ბაქნის ნაპირიდან გადადიოდა ლატნები ქვემოთა ბაქნის თავზე და ქვემოთა ბაქნის ბოლოზე, მის ნაპირში ჩაყრილ ბოძებს ეყრდნობოდა. ყურძნის რქას გადააწვდიდნენ ლატანზე და მის მთელ სიგრძეზე გაუშვებდნენ. მიაღწევდა რა ნაპირს, ვაზის ყლორტები ქვემოთ ეშვებოდა და ეფინებოდა როგორც ხეივნის ბოლომდე, ასევე ქვედა ბაქნის მოსაზღვრე კედელზეც. ასეთი ხეივნები უფრო მაღალი კედლების მქონე მონაკვეთებში იყო მიღებული. ხეივანზე ძველი ქართული ჯიშები ჰქონდათ გაშვებული — მწვანე, ჩინური და სხვ.

ატენის მევენახეობის ამსახველი ცნობები მრავალფეროვანია. ღვინის წარმოების მაღალ კულტურაზე ამ ხეობაში მიუთითებს როგორც საქართველოში განთქმული ვაზის ჯიშები, ასევე დღემდე შემორჩენილი უზარმაზარი საწნახლები და მარნის კომპლექსები<sup>57</sup>. აქვე უნდა მივუთითოთ ცნობილ „საცივე მარანზე“, რომელიც თავისი დანიშნულებით უნიკალური მოწყობილობაა<sup>58</sup>. თუ ხეობის შიგნით მიმდინარე ცხოვრების სურათს განვიხილავთ ისტორიულ ქრილში, ყველა მონაცემის შეჯამებით შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ატენის ხეობაში მევენახეობა იმთავითვე ხლოვნურად მოწყობილ ბაქნებზე ვითარდებოდა და აქაური ვაზის განსაკუთრებული ღირსება, რაც მისი ღვინოების საქვეყნო აღიარებაში გამოხატა, ამით იყო შეპირობებული. ამ გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს ნ. ბერძენიშვილი, „...ჩვენ ვიცით მაგალითად, რომ ატენი ქალაქად იქცა XI საუკუნეში, მაგრამ განა VII საუკუნეში, როცა იქ იმ სიონს აგებდნენ, ეს

---

<sup>56</sup> მთელი რიგი ბიოლოგიური თვისებებით ვაზი და ატამი ახლოს დგანან ერთმანეთთან და მათ თანაცხოვრებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს გარემოება კარგადაა ასახული ძველსა თუ ახალ მწერლობაში — „უეცრად აღავს მივადექ, ტურფსა ლამაზიანსა, მსხმოიარესა ბღნარსა, ატმანს და ვაზიანსა“ (დავითიანი). ა. მათიაშვილი, ვაზი და ღვინო „დავითიანში“, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1968 № 16, გვ. 69. ამგვარი ძველი ნავენახარი ტალავერი დღემდე შემორჩენილი სოფ. ქვემო ნიჩბისის შესასვლელში, ვაზის მარჯვენა მხარეს, რასაც აქ ხეიბანს უწოდებენ.

<sup>57</sup> Вина Атенской долины довольно известны своими хорошими качествами — «С дороги», газ. Кавказ, 1961, № 2.

<sup>58</sup> „...არს დანახვისის მთის ძირს, მონასტერი კეთილშეშენიერი ყოვლად წმიდისა. ამას ზეით ატენი, მცირე ქალაქი... ციხის გორის სამხრით არს საცივი, ვი-ჯარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული“. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 76.



სოფელი უმნიშვნელო იყო? და თუ არა, მაშ რით უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი; განა მარტო იმით რომ ის თრიალეთიდან შიდა ქართლში შემოსავალ გზაზე იყო? სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ატენის მევენახეობა იყო, უპირველეს ყოვლისა, ის მიმზიდველი მომენტი, რომლის საფუძველზე აქ ასეთი მშენებლობა გაიშალა VII—X თუ XI საუკუნეებში (ტაძარი, ციხე-ქალაქი)<sup>59</sup>. ატენის ხეობის მევენახეობის თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ხეობის ბევრ მონაკვეთში ტერასული ვენახების უმეტესი ნაწილი საკარმიდამო ნაკვეთთაა, ისე რომ დასახლება და სამეურნეო ფართობი ერთ სივრცეზეა განლაგებული. აქვე გასათვალისწინებელია შემდეგი ვითარება: როგორც ცნობილია, ქართლისათვის საერთოდ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს შეჯგუფული დასახლება<sup>60</sup>. ამ დროს, ბალი, ვენახი და ბოსტანიც კი სახლიდან მოშორებით არის გამართული; სხვა სავარგულებთან ერთად ტერასული უბნებიც სოფლიდან მოშორებით მდებარეობს. ეს დაშორება რამდენიმე ასეული მეტრი, და შეიძლება კილომეტრიც ყოფილიყო. სხვა რაიონებისაგან განსხვავებით, ატენის ხეობაში და საკუთრივ სოფ. ატენში ცალკეული უბნის ტერასები საკარმიდამო ნაკვეთში არის მოქცეული, აქ, დასახლება და სამეურნეო ნაკვეთები ერთ კომპლექსში თანაარსებობს. ამასვე წარმოაჩენს. ატენის მეზობელ პუნქტებში მრავალი ნამოსახლარი, რომელთა ტერასული განლაგება დღემდე კარგადაა შემორჩენილი.

ეთნოგრაფიული კვლევით დადგინდა, რომ კედლიანი ტერასები დამახასიათებელია არა მხოლოდ სოფ. ატენისათვის, არამედ გავრცელებას პოულობს მთელ ხეობაში, და ისეთ ზონაშიც, სადაც ვაზის კულტურა არ დასტურდება (ხეობის სიგრძე 35 კმ-ია). მაშასადამე, ტერასირების პრაქტიკა გამოყენებული ყოფილა ხეობის მაღალ ზონალურ სარტყელშიც, სადაც ტრადიციული მეურნეობის მთავარი დარგი მემინდვრეობაა და საგაზაფხულო მარცვლეული ჭარბობს საშემოდგომოს. ასეთია სოფ. ბობნევი, რომელიც გამოირჩევა ბაქნების სიმრავლით, სადაც სამეურნეო ნაკვეთები, დასახლება თუ გზისპირები ქვის ტერასული ნაშენობით არის ათვისებული და დაცული. ყურადღებას იმსახურებს სოფლის ცენტრში მდებარე ეკლესიის ნანგრევი, რომელიც სამიარუსიან ტერასულ მოედანზეა განლაგებული. ბობნევიში ამჟამად რამდენიმე ქართული ოჯახი-ლა სახლობს, უმეტესად

---

59 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული, I, თბ., 1960, გვ. 160.

60 ნ. თოფურია, ახალი საცხოვრებელი ნაკებობანი გორის რაიონში, მსე, თბ., 1959, X, გვ. 68.

შატაკიშვილები და არჩვაძეები, სოფლის ძირითადი მოსახლეობა კი ოსურია.

ტერასული სამეურნეო უბნები დასტურდება სოფ. ბოშურში, სოფ. ბიისში. ამასთან, ატენის ხეობის სხვადასხვა პუნქტში გამოვლინდა ტერასული დასახლების ფორმა. ატენშივე დავადასტურეთ დღემდე დაცული ტერასული სასაფლაო. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისტორიულად ცნობილი ატენის სამეფო ზვრები და „ღვწო აქაური, უმჯობესი ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“<sup>61</sup>. ატენური ღვინის გამორჩეულ ღირსებებზე მიუთითებს ს.-ს. ორბელიანი თავის ევროპაში მოგზაურობის დღიურში, სადაც ტერასულად გამართულ ვენახზე ამახვილებს ყურადღებას და მისი ღვინის საუკეთესო თვისებების გადმოსაცემად, მას ატენურს ადარებს: „ეტნის მთა გამოჩნდა. გარშემო ადგილი ხირხატი, ქვიანი, ნახიდურის და აღმართების მსგავსი იყო. დია კაი ქალაქები, ციხეები.. ერთს ლიმანზე კლდე იყო, შეკაფულივით. დიად, დიდსა და გრძლად მიგრებხილ-მოგრებხილი. ასეთი ღვინო იყო ატენურის ღვინის მსგავსი, სხვაგან არ გვინახია“<sup>62</sup>.

ტანას ხეობას რამდენიმე მცირე ხევი მიერთვის. ერთი მათგანია წეროს-ხევი, სადაც საინტერესო ტერასული კომპლექსი იქნა მოძიებული. ხევის სიღრმე მცირეა, მისი მიდამო სრულიად უკაცრიელია, ს. მაკალათიას 40-იან წლებში აქ ნასოფლარი დახვედრია, რომლის კვალი ამჟამად ძნელად შეიმჩნევა<sup>63</sup>. მთის წვეროზე, უზარმაზარი ფილებისაგან შეკრულ მოედანზე ნახევრად დაშლილი ეკლესიაა შემორჩენილი. მის გარშემო ფერდობის ჩაღმართი კალთები, საკმაოდ დიდ სივრცეზე, ქვისკიდიანი ტერასებით არის მოფენილი. ძლიერი ეროზიის გავლენით მათი დაუზიანებელი მონაკვეთის ნახვა გაძნელდა, შემორჩენილი ფრაგმენტებით კედლების სიმაღლე 1.5 მეტრს არ აღემატება. ზოგიერთ მათგანზე ხილის ხეები და ვაზის გაველურებული ბუჩქებია შემორჩენილი.

სამეურნეო ტერასები გამოვლინდა ვერესხევში, რომელიც ატენის ხეობას ერთვის გარდატენთან, იქ სადაც მდ. ვერე უერთდება ტანას. ტერასული ნაშენობანი აქ კარგადაა შემონახული, კედლების ქვის წყობაც დაუზიანებელია, ზოგან აღდგენის კვალი ეტყობა. მათი დიდი ნაწილი სავენახეადაა გამოყენებული.

61 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა.

62 ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, „ფედერაცია“, ტფ., 1940,

63. 123.

63 ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957.

უკვს არ იწვევს, რომ წეროს ხევში და ვერეს ხევში გამოვლენილი საჩუქრნეო ტერასები თავისი ხასიათით ტრადიციული მიწათმოქმედების ადგილობრივ სპეციფიკას ასახვენ. მაშასადამე, ტერასირების პარქიტკა შეიძლება მივიჩნიოთ უძველეს სამეურნეო საშუალებად და საყოველთაოდ დამახასიათებელ მოვლენად მთლიანად ატენის ხეობისათვის, შემდინარე ხევების ჩათვლით. საკითხის ამ კუთხით განხილვისას საყურადღებოა ტანას ხეობის ისტორიული გეოგრაფიის ჭრილში შესწავლის შედეგები, რომელიც თ. ტატიშვილს ეკუთვნის<sup>64</sup>. იგი ყურადღებას ამახვილებს ხეობის უძველეს სამოსახლოებზე რომლებიც გორებზე, ბორცვებზე და მდინარისპირა კონცხებზეა დადასტურებული და კულტურის უწყვეტი განვითარების სურათს ასახავს. მათი ტოპოგრაფია ხშირ შემთხვევაში ტერასულ ხასიათს ატარებს (ბობნევი, ბნავისი). სპეციალური კვლევის საფუძველზე, საკითხის კომპლექსური განხილვის შედეგად, ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ატენის ხეობის ინტენსიური დასახლება გვიან ბრინჯაოს ხანაში ივარაუდოს. სხვა მონაცემებთან ერთად, მოტანილ არგუმენტაციაში ხაზგასმულია ხეობის სამეურნეო საქმიანობის „კომბინირებული ხასიათი“ — შეზავებული კლიმატური ზონები, რომელსაც თავისი ბარი და თავისი მთა გააჩნია, სარწყავი სისტემები, მემინდერეობისა და მევენახეობის დარგების დაწინაურება და სხვ. რამაც ხელი შეუწყო მთელი ხეობის როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, „ქვეყნის“ ჩამოყალიბებას<sup>65</sup>.

საკითხის აღნიშნულ ჭრილში განხილვისას, სათანადო შეფასებას შოითხოვს ხსენებულ ტერიტორიაზე ტერასული მიწათმოქმედების აღმოცენებისა და შემდგომი განვითარების მნიშვნელობა, რასაც თან უნდა მოჰყოლოდა მხარის სამეურნეო პოტენციალის მკვეთრი აღმავლობა; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბენუბრივი პირობების ადგილობრივი რეჟიმით განსაზღვრული ხეობის სამეურნეო პროფილი, მით უფრო მიწათმოქმედების ინტენსივობის ხარისხი, ბევრად იყო დამოკიდებული მთის კალთებისა და ფერდობის მიწების ათვისებაზე. ამიტომ, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოში ტერასული მიწათმოქმედება გვიანი ბრინჯაოს ხანიდანაა სავარაუდებელი, მაშინ ატენის ხეობაში ტერასების აღმოცენება და გავრცელება აქაური მიწათმოქმედების განვითარებისა და მისი დაწინაურებისათვის ხელშემწყობ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ტერასული მეურნეობის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია მისი ამსახველი სახელწოდებანი. როგორც ეთნოგრაფიული ძიებით გა-

64 თ. ტატიშვილი, მასალები ტანას ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის, „ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, II, თბ., 1964.

65 თ. ტატიშვილი, დასახ ნაშრომი, გვ. 56.

ირკვა, შიდა ქართლში ტერასის აღსანიშნავად რამდენიმე ტერაპი-  
ნია გავრცელებული, რომელთაგან უპირატესობა ბაქანს ენიჭება.  
იხილავს რა საქართველოს ტერასულ მიწათმოქმედებას, ივ. ჭავჭავაძის  
შვილი მისი სახელწოდების შესახებ მიუთითებს: როდესაც „წალ-  
კოტა და საყანურთა ხარისხი მოვაკებულად გამართული იყო“, რო-  
დესაც „მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებულ იყო“, ამას ოროკი ეწოდე-  
ბოდა „მამასადამე, აქ ხელოვნურად გაკეთებული, ტერასებიანი ნია-  
დაგის სწორედ ძველი ქართული ტერამინი გვაქვს დაიუღლი“<sup>66</sup>.

მიემართოთ ლექსიკონებს:

მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებულ იყო — ოროკო<sup>67</sup>.

წალკოტა და საყანურთა ხარისხნი მოვაკებად — ოროკო<sup>68</sup>.

ქვითა და კირით შეკებულვიით სხვადასხვა აღსავალი — ხარისხნი<sup>69</sup>.

ძელით ფრიალო გვერდი ბაქან-ბაქანად მოასწოროს დასათეს-  
ველად — კადონი<sup>70</sup>.

ფიცართა და ძელთაგან ხარისხული აღსავალი, გინა გვერდობა  
ბაქან-ბაქანად (ბაქან-ბაქანილად) ქმნილი — სხუნი<sup>71</sup>.

ხარისხი ბაქან-ბაქანად — მექონოთ<sup>72</sup>.

მრავალთ სასხლომელი ბაქან-ბაქანად — ტუქიანუტოგუნი<sup>73</sup>.

სრათა და ტაძართა კართ შესავალი ხარისხული ბაქან-ბა-  
ქანად გარემოვლებული — აღსავალი<sup>74</sup>.

ხარისხი შემზადებული ხეთაგან, ქვათაგან... ქვე-ზეობით კიბესა-  
ვით — მენაკი<sup>75</sup>.

როგორც მასალიდან გამოჩნდა, მიწის დატერასების მთავარი სა-  
ხელია ბაქანი. რაც შეეხება ხარისხს, იგი განმარტებულია რო-  
გორც დასაყრდენი, საფუძველი, რომელიც შექმნილია სათანადო მა-  
სალით — ქვით, ქვიტყირით, ლითონით და სხვ. ბიბლიაში არაერთ-  
ხელაა მოხსენიებული — „ქმენ ემბაზე რვალისა და ხარისხი მისი  
რვალისა“,... „და სუეტნი მისნი ოცნი... და ხარისხნი მისნი ოცნი —  
რვალისანი“<sup>76</sup>, „დადგა ზედა ქვებსა ხარისხსა“<sup>77</sup>... და ა. შ. ხარისხი

66 ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქ. ეკ. ისტორია, წ. 11, თბ., 1941 გვ. 135.

67 ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი 1, თბ., 1966.

68 იქვე.

69 იქვე.

70 იქვე.

71 იქვე.

72 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

73 იქვე.

74 იქვე.

75 ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

76 მცხეთური ხელნაწერი (ტექსტი გამოსაც. მოამზ. და გამოკვლევა  
დაურთო ე. დოჩანაშვილმა), გამოსლუათა, 30, თბ., 1981 გვ. 98.

77 იქვე, შესავალი, 17, გვ. 12.

ნ. ჩუბინაშვილთან — ქვიტიკირის კიბეთა ფეხის დასადგმელია, საფე-  
:ხურია<sup>78</sup>.

ამავე დროს, ხარისხი მიმართებითი გაგების ამსახველი სახელოა-  
რაღაცაზე მაღალი, ზემდგომი, აღმართული.

ს.-ს. ორბელიანთან ხარისხი იგივეა რაც მექონოთი; სხვა განმარტე-  
ბით კი „ეწოდების ზე აღსავალსა და აღსავალსა ტ ა ხ ტ-ტ ა ხ ტ ა დ“<sup>79</sup>.  
აქ კიდევ გამოჩნდა ახალი ტერმინი — ტ ა ხ ტ ი.

ზემოთქმული შეიძლება შემდეგნაირად დავაზუსტოთ: ხარისხი  
არის საყრდენი, საფუძველი, კვარცხლბეკი. ამავე დროს სიბრტყის  
მნიშვნელობით იგი ერთიარუსიანი ტერასული მოედნის ამსახველი-  
ცაა. ხარისხი გადმოსცემს ამასთანავე შედარებით გაგებას აღმატების  
ნიშნით — აზიდული, ზემდგომი, ზეაღმართული და აუცილებლად რა-  
ღაცა მასალით ნაგები. თვით ხარისხი არ არის მოწყობილი ტერასუ-  
ლად. როდესაც საჭიროა გამოიკვეთოს მისი ტერასულობა, ლექსიკო-  
ნებში ამაზე საგანგებოდაა მითითებული; „ხარისხი ეწოდება ზე აღსა-  
ვალსა და აღსავალსა ტახტ-ტახტად“, ან „ხარისხი ქვიტიკირის კიბეთა  
ფეხის დასადგმელი“, ან „ხარისხი ბაქან-ბაქანად“. ამდენად, როდესაც  
ნიადაგი „ხარისხებრ“ მოვაკებულია, ეს იმას აღნიშნავს, რომ შექმ-  
ნილია სათანადო სიბრტყის, მაღალი ექსპოზიციის მქონე ფართობი  
საყრდენის, თუგინდ ტერასის გაგებით და ნებისმიერი დანიშნულე-  
ბით, მაგრამ „წალკოტთა და საყანურთა ხარისხნი მოვაკებად“ — აქ  
სრულიად თვალსაჩინოა ხარისხის სამეურნეო პროფილი.

რაკი ოროკო არის „მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული“, აქ ორო-  
კი უკვე არის მცენარის დასანერგად ხელოვნურად შექმნილი იარუ-  
სული განლაგების ტერასული ნაკვეთი, რომლის დასაფეხურება, ტე-  
რასათა სიმრავლე მიწის „ბაქან-ბაქანად მოვაკებით“ არის ახსნილი.  
ისე რომ, ბაქანი ამ გაგებისათვის ძირითად მსაზღვრელს წარმოადგენს.

მივმართოთ ეთნოგრაფიულ მასალას — რას გვაძლევს იგი? შე-  
საძლებელია თუ არა ამ უკვე კანონზომიერად აგებულ სქემაში რაი-  
მე ახალი მიმართებების მონახვა? აქ ისიც უნდა დაემატოს, რომ სა-  
უკუნეთა მანძილზე კვლავ ჰქონდა ადგილი იდენტური ტერმინების  
წარმოქმნას, რომელთა ნაწილი დღესაც დასტურდება ყოფაში — და-  
რიჯი, საქვე, დუქანი, ყათარი, ეტი და სხვ. დღეისათვის, ტერასული  
უბნების ძირითადი სახელწოდებაა ბაქანი, რომელიც აღმოსავლეთ  
საქართველოს ყველა რეგიონში მოწმდება. ამ ტერმინითვე ხდება  
სხვა იდენტური მნიშვნელობის მქონე სახელების განმარტება — საქ-  
ვები, ტახტები, ეტები... აღმოსავლეთ საქართველოში ტერმინი ოროკი

78 ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

79 ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV<sub>2</sub>, თბ., 1966.

ამჟამად მხოლოდ აჭარაში იხმარება უკედლო ტერასის აღმნიშვნელად, ეთნოგრაფიული ცნობებით, ზემო და შიდა ქართლში წარსულში, ეს იყო დაბაქნებული ნიადაგის საყოველთაოდ გავრცელებული სახელწოდება. ამდენად თვალსაჩინოა, რომ ეს ორი ტერმინი — ბაქანი და ოროკო გარკვეულ პერიოდში თანაარსებობდა. მაგრამ, რადგან ოროკოს მნიშვნელობა ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონშივე ბაქნის მეშვეობით არის ახსნილი. ჩანს უკვე იმ დროსვე ბაქანმა მოიპოვა უპირატესობა და სამეურნეო ტერასირებული ნიადაგის აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად იქცა.

როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებენ, ბ ა ქ ა ნ ი შიდა ქართლის რაიონებში სხვადასხვა დანიშნულებით არის დამოწმებული<sup>80</sup>. ქსნის ხეობაში ბაქანი საცხოვრებელი სახლის კომპლექსში თაროს დანიშნულებით არის გამოყენებული. იგი მოწყობილია ასევე მარანში, მის უკანა კედელთან სხვადასხვა ჭურჭლისა და მარნის ინვენტარის მოსათავსებლად<sup>81</sup>. იგი კეთდება როგორც ხისა, ასევე ქვითგან (ქვის ბაქანს უფრო სახლებში აშენებენ). მარანში ხის ბაქნებს მოწყობის შესახებ მიგვითითებს სოფ. ოკამში (კასპის რ-ნი): „დასტავით იყო, ხისა. ჯამ-ჭურჭელს ვალაგებდით, რაც ადამიანი შესწვდებოდა ისეთი სიმალლისა იყო“<sup>82</sup>. აქვე მოძიებული ცნობით, ბაქანი სახლის კომპლექსშიც იქნა დადასტურებული. ბაქანის, როგორც საწოლის დანიშნულებაზე მიგვითითებს ლ. ბედუკიძე „საწოლად და დასაჯდომად, ზოგან ფიცრულ ბაქანს იყენებდნენ“<sup>83</sup>. მესხეთში ბაქანი ფურნის ნაწილია „...ფურნეს წინიდან პატარა ბაქანი და ორი დიდი და პატარა სანათური ჰქონდა დატანებული. ბაქანი პურის მოხერხებულად შესაწყობ-გამოსაწყობად იყო განკუთვნილი. ამ ბაქანზე არსებული ორი სანათურიდან დიდი პურის გამოსაყრელად გამოიყენე-

80 ბ ა ქ ნ ის კონსტრუქციულ მხარეს კარგად ასახავს მისი შემდეგი განმარტება: „ბაქანი — კაქალაობის სათამაშო ორმოს ზემოთ ვაკე ადგილი. ორმოს ფერდოზე აკეთებენ, ესვრიან კაკალს და ის ორმოში ვარდება“. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი

81 თ. მილაძე, 67 წ., სოფ. ალვეი. ა. დ ა ვ ი თ უ რ ი, სოფ. ქურთა. „ამავე რეგიონში ბაქანი საჩუჩლის ხის რკალს ეწოდება“ — ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

82 ზ. თათარაშვილი, 82 წ., ი. ნავროზაშვილი 92 წ., თ. ნავროზაშვილი 87 წ., სოფ. ოკამი.

83 ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1973, გვ. 38. ამავე მონოგრაფიაში შემდეგ ცნობას ვხვდებით: „...საგულისხმოა უძველესი ხიმიწებიანი სახლების მაგალითზე ზოგად ეთნოგრაფიაში არსებული მოსაზრება, რომელიც „პლატფორმების“ შექმნასა და საწოლ ავეჯად მათ ჩამოყალიბებას შეეხება (Г. Шурц, История первобытной культуры, СПб, 1896, т. IV, с. 379).

ბოდა, პატარა კი საჭრაქეს წარმოადგენდა, აქ დგმული კრაქი ანათებდა ფურნის შიდა ნაწილს<sup>84</sup>.

ბაქანი არის აგრეთვე ქართული მარან-საწნახლის შემადგენელი ნაწილი: „ბაქანი — ყურძნის საწური ნაეის (საწნახლის) პირზე სიგრძივ გაკეთებული ფიცარი, რომელსაც ყურძნით სავსე გოდორს ადგამენ და ნავში ყრიან“<sup>85</sup>. ანალოგიურია კახეთის მევენახეობაში ბაქანის შემდეგი განმარტება: „ნავები მთლიანი ხისაა. ზოგი მათგანი სამცვრიან-ბაქნიანია, ნავებს გვერდებში, მთელ სიგრძეზე ჩამატებული აქვს ფიცარი — სამცვრევი, წინიდან კი, ფიცარისავე ბაქანი აქვს ბრტყლად დაკრული ყურძნიანი გოდრების დასადგმელად („გოდრებს ბაქანზე დაედგამთ და ისე მოვაპირქვეავებთ“)<sup>86</sup> ქართლის მასალით, „საწნახელს წინ უშეხებდნენ ბაქანს ყურძნის გოდრების დასალაგებლად, საიდანაც ყურძენი საწნახელში იცლებოდა“<sup>87</sup>. ამოწურავი ცნობებია მის შესახებ ლ. გაბუნიას ნაშრომში „საწნახელი“, სადაც გარკვეულია, რომ ბაქანი საწნახლის ერთ-ერთი ორგანული ნაწილია და ერთ-ერთი ნიშან-თვისება, რომელსაც ემყარება ხის საწნახლის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია<sup>88</sup>. ბაქანი ქვიტკირის საწნახლის ატრიბუტიცაა“... საწნახელს წინ ბაქანი აქვს მიშენებულ, რომელიც გოდრების დასადგმელად გამოიყენება. ძირში მრგვალი მილი აქვს დაყოლებული, რომელიც წინ ბაქანში გამოდის“<sup>89</sup>.

აქ განხილული მონაცემებით მეტად საინტერესოდ იკვეთება ბაქნის ყოფაში დამოწმებული ფუნქცია. იგი გვევლინება კულტურის უძველეს ელემენტად, რომელიც თავისი კონსტრუქციით გარკვეულ შინაარსს შეესატყვისება. ზემოთ მოტანილი ცნობები ბაქნის ფუნქციონალური დანიშნულების გარშემო იმაზე მიუთითებს, რომ ყოფაში ტერასული ნიადაგის აღმნიშვნელი მისი სახელწოდება შინაარსითაც შეესატყვისება და ასახავს ამ ელემენტის მთავარ მახასიათებელს —

<sup>84</sup> თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 71.

<sup>85</sup> სტ. მენტეშაშვილი, ქიზიურის ლექსიკონი, თბ., 1943.

<sup>86</sup> ა. ლეკიაშვილი, ქ. რუხაძე, ი. ქყონია, სოფელი აყურა, თბ., 1964, გვ. 154.

<sup>87</sup> ქ. სონდულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, თბ., 1974, გვ. 146.

<sup>88</sup> ლ. გაბუნია, საწნახელი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980, გვ. 229.

<sup>89</sup> ლ. გაბუნია, დასახ. ნაშრომი, გვ. 135. ამაზე იხ. ლ. სუმბაძე, ქართული მარნის ხუროთმოძღვრება, მსე, XVI—XVIII, თბ., 1972, გვ. 134. სომხურ მარნებს ბაქნის მსგავს აქვს არასტაკი, რომელიც იატაკშია ოდნავ ჩაღრმავებული, Халпахчян О. Х. Сельскохозяйственные сооружения Армении, „Архитектурное наследие“, М. 1968, с. 13.

და სწორედ ამით უნდა იყოს შეპირობებული მისი კონსტრუქციის გამეორება როგორც საცხოვრებლის ინტერიერში, ასევე მარნის კომპლექსში. ამ მიმართებაში თავის მხრივ ახსნას საჭიროებს მეორე, მთავარი საკითხი — რა იყო ის სამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც თავდაპირველად ტერასულ ნაკვეთზე დაინერგა; ან უკეთ — რა იყო ის სამეურნეო სტიმული, რომელმაც ხელი შეუწყო ამ შრომატევადი საყრდენი ნაგებობების, მასიურ მშენებლობას? დროთა მანძილზე ბაქანი კარგავს როგორც კონსტრუქციულ მთლიანობას, ასევე ცვლილებას განიცდის საბაქნე კულტურების ხასიათი. დიდი სარწყავი სისტემების განვითარების შესაბამისად რეგიონის მთავარი კულტურა — ვაზი — სულ უფრო მეტ არეალს იკავებს და ინაცვლებს დაბლობას ადრე აუთვისებელ მიწებში. ამ პერიოდიდან ბაქნებზე, სადაც ნაწილობრივ რჩება ვენახი, ადგილს იმკვიდრებს საბაღე და საბოსტნე კულტურები, რომლებიც ბევრგან გაბატონებულ მდგომარეობასაც აღწევენ. თავდაპირველი სამეურნეო პროფილით სავენახე ტერასული ფართობები ოაზისური ფორმით განაგრძობენ არსებობას.

ბაქნის ანალოგიური მნიშვნელობით შიდა ქართლში დასტურდება სახელწოდება ტახტი, რომელიც უფრო მეტადაა გავრცელებული მცხეთის რაიონში, და თბილისის შემოგარენში. ს.-ს. ორბელიანი ამ სიტყვას ასე განმარტავს — „ტახტი ეწოდების მალალსა საგდომსა, ვიდრე ორ მტკაველამდე სიმაღლე ჰქონდეს“<sup>90</sup>. ივ. ჭავჭავიძის სომხეთის მევენახეობის საკითხების განხილვისას აღნიშნავს — „ვენახები იქ „ტახტაკებად“ ანუ ოთხკუთხ ზოლებად არის დაყოფილი და თითოეული ტახტაკი 30-მდე თუმბს შეიცავს“<sup>91</sup>. მ. გეგეშიძე ტერასული მონაკვეთის აღმნიშვნელად ქართლში ასახელებს ტახტსა და ყათარს: ავტორი „ტახტის“ ყოფაში შემონახული სახის, როგორც დასაფხუბრებული ნაკვეთის განხილვისას ამ მოვლენას უკავშირებს გეოგრაფიული სახელწოდებების შინაარსობლივ ახსნას, როგორცაა „ტახტის ძირი“, „ტახტის გვერდი“, „ტახტის წყარო“, „ნატახტარი“. მას მიაჩნია, რომ ჩამოთვლილ სახელწოდებებში, თუ მათს გეოგრაფიულ-სამეურნეო მნიშვნელობასაც გავითვალისწინებთ, უნდა გვქონდეს სამიწათმოქმედო ადგილების დასაფხუბრების წესი<sup>92</sup>. აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხმოთ ნ. ბერძენიშვილის მიერ „ტახტისა“ და „ნატახტარის“ გარშემო ჩატარებული ძიება. მისი დაკვირვებით ქართლში მოძიებული „ნატახტარის“ ყველა ობიექტი წარმოადგენს მოზ-

90 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი

91 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბ., 33. 548.

92 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, 33. 47.



რდილ ბორცვს ან გორას, რომელიც თავწაყვეთილია და წანაკვეთი საკმაოდ ფართო ვაკესა ქმნის. „შეიძლება ერთ-ერთ ასეთ გორაზე მართლაც იდგა ტახტი („მეფის საჯდომი“) და ამის ანალოგიით სხვა ასეთ გორებსაც ნატახტარი უწოდეს“<sup>93</sup>. მეცნიერის აზრით „ნატახტარი“ ამ გორებისათვის გვიანაა შერქმეული. და „ტახტიც“ გვიანი ელემენტი უნდა იყოს. ტახტს თავისი დანიშნულება ჰქონდა ქართულ ეკლესია-მონასტრებში. მაგალითად, „გელათის ღვთისმშობლის ტაძარზე აღმოსავლეთის მხრით მიშენებულია ორსაფეხურიანი კმის ტახტი, რომელსაც გუმბათოვანი სახურავი და ოთხი სვეტი აქვს. ტახტის ზურგის კედელზე გამოსახულია ეპისკოპოსი. ადრე ტახტი მორთული ყოფილა ძვირფასი ქვებით“<sup>94</sup>. ს. შაკალათიას ცნობით, ქორწილის დროს ნეფე-დედოფლისათვის საგანგებოდ მორთული და მოწყობილი იყო ტახტი ანუ აჯილაკი<sup>95</sup>. ტახტი არის დგამის, ავეჯის ელემენტი, რომელიც საცხოვრებლის ინტერიერში საწოლის ფუნქციას ასრულებს. საწოლი ანუ საძილე ავეჯის სახეობათა განხილვისას ივ. ჭავჭავაძის მიუთითებს — „სარეცელი და ცხედარი X ს. წერილობით ძეგლებში უკვე აღარ გვხვდება, სამაგიეროდ, სპარსეთით შემოდის ტახტი, პირველ ხანებში როგორც მეფისთვის განკუთვნილი საჯდომი, ხოლო შემდეგში უკვე საზოგადოდ დასაწოლი ავეჯი“<sup>96</sup>. ტახტის როგორც დასაწოლად განკუთვნილი ავეჯის შესახებ შაჰნამეშიც არის ნახსენები<sup>97</sup>. ამჟამად ტახტი სახეცვლილი, მაგრამ საწოლი ავეჯის სახით ნიუთიერად ხევსურეთის ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოგვინახა<sup>98</sup>.

როგორც მივეუთითეთ, ქართლში ტახტი ტერასის აღსანიშნავად უფრო მის აღმოსავლეთ რაიონებში გვხვდება. მესხეთში ეს ტერმინი არ არის ცნობილი. ჩვენი შეხედულებით და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, ტახტი შიდა ქართლში უფრო დიდი ფართობის მქონე ტერასებს უნდა რქმეოდა; აქ გადმოცემული ანალოგებითაც იგი სიბ-

<sup>93</sup> ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიული გეოგრაფიის დღიურიდან, „საქართველოს ისტორიის საკითხები“. წ. I, თბ., 1964, გვ. 380.

<sup>94</sup> ბ. ლომინაძე, გელათი, თბ., 1955, გვ. 31.

<sup>95</sup> ს. შაკალათია, მესხეთ-ჭავჭავთი, თბ., 1938, გვ. 87.

<sup>96</sup> ივ. ჭავჭავაძის მიუთითებს, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბ., 1965, გვ. 22.

<sup>97</sup> ვსარგებლობთ ლ. ბედუქიძის მონოგრაფიაში მოტანილი ცნობით, ლ. ბედუქიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1973, გვ. 41.

<sup>98</sup> ლ. ბედუქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41. საყურადღებოა ასევე შემდეგი ცნობა „...ქაქყარის დარბაზის ინტერიერის უკანა სართავსოში, კედელთან, ქვის ტახტი იყო მოწყობილი...“ — რ. გვერდწითელი, თ. ნემსაძე, დარბაზი სოფ. ქაქყარიდან, „ძეგლის მეგობარი“, № 25, თბ., 1971, გვ. 66.

რტყის მნიშვნელობით უფრო ჩანს გამოყენებულზე; ტახტი, არც ერთ-  
თავისი მნიშვნელობით არ გადმოსცემს ტერასულობას. სამეურნეო  
დანიშნულებით ტახტი დიდი სიბრტყის მქონე ტერასულ ან სხვა მდე-  
ბარეობის მქონე ათვისებულ მიწის ნაკვეთს უნდა აღნიშნავდეს და  
ყოფაშიც ასევე მოწმდება. ამდენად ტახტი ქართულ სამეურნეო  
ლექსიკონში უნდა გადმოსცემდეს ნაკვეთის აგებულებას, მის სის-  
წორეს, სიბრტყეს, დიდი მოცულობის ფართობს, ერთიარუსიან ტერა-  
სულ მოედანს.

შიდა ქართლში ბაქნის ანალოგიურად გვხვდება ასევე სახელ-  
წოდება ე ტ ი. ზოგ შემთხვევაში ამავე მნიშვნელობით იხმარება  
ბაზო<sup>99</sup>. მ. გეგეშიძე ტერასის აღმნიშვნელ ტერმინად ასახელებს  
ტ ა ხ ტ ს ა და ყ ა თ ა რ ს. „ე ტ ი ყანაში წყლის საქცევია, ხოლო  
ბ ა ზ ო ტ ა ხ ტ ზ ე ანუ ყათარზე მორწყვის საჭიროებისათვის შექმ-  
ნილი შემადლება“<sup>100</sup>. ჯ. სონლულაშვილის ნაშრომში „ყათარი ტა-  
ტის ანუ ჩეჩმის კვალია, რომლის სწორად დაყენებაა საჭირო მორწყ-  
ვის საჭიროებისათვის, ბ ა ზ ო კ ი ყათარის ერთ-ერთი ელემენტია“<sup>101</sup>.  
ისე რომ, თუ ყათარი მ. გეგეშიძეს ტახტის იდენტურად მიაჩნია,  
სონლულაშვილის მასალით ის ტახტის ერთ-ერთი ელემენტია და ტახ-  
ტის იდენტურად კი ჩ ე ჩ მ ა აქვს დასახელებული. მასვე მიწის დამუ-  
შავების ერთ-ერთ წესად გამოყოფილი აქვს საბოსტნე მიწის „შარე-  
ბად დაყენება“ ანუ დაშარვა — „მიწის შუა ნაწილზე, გარდიგარდმო,  
თხით ან ბარით გაავლებენ სწორ ბაზოებს, ხოლო შარიდან შარამ-  
დე სტოვებენ ერთი ან ორი მეტრის სიგანის „გულს“... როგორც ტექ-  
სტიდან ჩანს, შარი აქ ტახტის მსგავსი ნაკვეთია, შედარებით მცირე  
მოცულობის. შარების შესახებ ცნობებს ვპოულობთ ლ. ფრუიძის მო-  
ნოგრაფიაში, „შარი ვენახის მწკრივს ეწოდება, რომელიც „სრიელის“  
ნაწილია? შარი ვენახის უმცირესი ერთეულია“. ლ. ბოკორიშვილის  
მასალებით შარი კახეთში „ვაზის რქით შეესებული არხია“<sup>102</sup>. ეთნო-  
გრაფიული მასალისა და არსებული ცნობების ურთიერთშეჯერების  
საფუძველზე განხილული ტერმინების დაზუსტებისა და მათი უნი-  
ფიციციების შესაძლებლობა გვეძლევა.

1. შიდა ქართლში ტერასის აღმნიშვნელი ძირითადი და საყო-  
ველთაოდ გავრცელებული სახელწოდებაა ბაქანი. იგი იხმარება რო-

---

<sup>99</sup> ბ ა ზ ო — სამწვანოლე კვლებს შუა დარჩენილი ადგილი. ი. კუონია, სიტ-  
ყვის კონა, СПБ, 1910, გვ. 74.

<sup>100</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

<sup>101</sup> ჯ. სონლულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, თბ., 1959.

<sup>102</sup> ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა. საქართველოში (რკა), თბ.,  
1974, გვ. 27.

გორც კედლიანი, ასევე უკედლო ტერასული ნაკვეთების აღსანიშნავად.

2. ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც საკითხის გარშემო იყრიან თავს, იმაზე მიუთითებენ, რომ ბაქანი თავდაპირველად კედლიან ტერასას ეწოდებოდა, რომელზეც ვენახი იყო გაშენებული. სხვა მონაცემებთან ერთად ამას საფუძველს უმაგრებს ატენის ხეობაში შემონახული ჯერ კიდევ მოქმედი ტერასული მევენახეობის უბნები, რომელთაც ბაქანი ეწოდება. თუ მოვიხმობთ ჩვენ ხელთ არსებულ მონაცემებს ზემო ქართლიდან, ეს თეზისი მეტ საბუთიანობას შეიძენს: მესხური ტერასების განხილვის დროს ჩვენ განსაზღვრულ გეოზონალურ სარტყელს დავუკავშირეთ ვაზის ტერასული კულტურა მესხეთში; ამავე დროს მოვახდინეთ ტერასული უბნების სახელწოდებათა დიფერენცირება, რის საფუძველზეც ბაქანი ქვით შემოზღუდული სავენახე ნაკვეთების ზოგად სახელწოდებად მივიჩინეთ. ამის დასაბუთება მესხეთში მოძიებული ეთნოგრაფიული მონაცემებით შესაძლებელი ხდება; მითუმეტეს, რომ ამ რეგიონში კედლებით შემოზღუდული დაკორდებულ ზღვრებიანი ტერასები მევენახეობა-მეზღვრებაში არა გვხვდება<sup>103</sup>.

3. საკვლევ რეგიონში ტერასული ნაკვეთების გავრცელებული სახელწოდებაა ტახტი: იგი ამჟამად ეწოდება ქვის კედლით შემოზღუდულ ტერასულ ფართობს, ტახტებად წოდებული ტერასული ნაკვეთები თავისი სიდიდითაც გამოირჩევა და ძირითადად მებაღეობა-მეზღვრებაშია მოხსენიებული ჩანს გამოყენებული.

4. ეტი<sup>104</sup>, ყათარი, ბაზო, შარი, ჩეჩმა — ეს არის ბაქნისა და ტახტის შემადგენელი ცალკეული ელემენტები, რომლებიც კონკრეტული ფუნქციის მატარებელი არიან გარემო პირობებთან და სხვადასხვა კულტურასთან შესატყვისობაში (ვენახი, ბოსტანი, ხილის ბაღი). ტერასული მეურნეობის დაკნინების პერიოდში ისინი კარგავენ კონკრეტულობას და ცალკეულ შემთხვევაში მთლიანად ტერასის გაგებით იხმარებიან. ქართლისათვის დამახასიათებელი მიწათმოქმედების ტერასული ფორმა, ტრადიციული მეურნეობის დალა-დაკნინების შე-

<sup>103</sup> ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ. 1973.

<sup>104</sup> ეტი სხენებას ვხვდებით ისტორიულ საბუთებში, სადაც ზღ. ბაქნის მნიშვნელობას უნდა შეესატყვისებოდეს: — № 250, 1876 წ. პირობის წიგნი „ქ. ნებთა და ღვთისათა ესე პირობის წიგნი მოგართით... ასე რომ ეამთა ვითარებისაგან ჩვენი სახლის კაცნი კახეთს წასულიყვნენ, ახლაც ველსიკბენსა დგანან. იმათი ვენახის ნახევარი ზეთით ეტი ერთს რაქველს იმერელისათვის ქველდე შო. შიტასათვის გებოძებინათ, რადგან ჩვენი სახლის კაცის სიმკვიდრო ვენახი იყო... დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“. 11, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 177.

სატყვისად კარგავს საფუძველს. ეს პროცესი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე სოციალური ძვრების ანარეკლია, საუკუნეთა სიღრმეშია საძიებელი და სპეციალურ გაშუქებას საჭიროებს.

შიდა ქართლში, ხელოვნურად შექმნილი ტერასული სამეურნეო ნაკვეთები, მცირე გამონაკლისის გარდა, სარწყავი იყო. ეთნოგრაფიული ძიებით ირკვევა, რომ ხელოვნურად შექმნილი ბაქნები მომარაგებული იყო ტრადიციული სარწყავი საშუალებებით, რისთვისაც გამოყენებული ჩანს მდინარეთა დაბალი დინებიდან გამოყვანილი ფშები<sup>105</sup>, წყარო-ნაკადულები, ხევისა და ღელის წყლები, შთის მდინარეები, და ზოგან ხელოვნურად მოწყობილი რუები. მცირე რეგიონალურ მასშტაბებში ყოველ დასახლებულ პუნქტს და მის ბალ-მინდვრებს საკუთარი სარწყავი საშუალებანი გააჩნდა, რასაც ბევრი მონაცემი ადასტურებს. მაგალითად, სოფ. ერთაწმინდას სარწყავად ჰქონდა ცხირეთის წყალი და უსტრათული წყარო — „ეტზე გაუგდებით წყალსა და მოგვყავდა ვენახი, სიმინდო, ბოსტანი“<sup>106</sup>. სოფ. კავთისხევში კავთურას ხევის წყლები იყო გამოყენებული, სოფ. ნოსტეში მდ. ნოსტურადან ჰქონდათ რუები სარწყავად გამოყვანილი. სოფ. მუხრანს ქსნიდან სამი არხი ჰქონდა გამოყვანილი და სარწყავად იმას იყენებდა. სოფ. ძეგვს ნაკურთხევეზე ჰქონდა ბალ-ბოსტანი, ნაკურთხი-ხევის წყლით რწყავდა თავის ადგილებს, რომელიც ფერდობზე ტაბჭებად იყო მოწყობილი. სოფ. ლამისყანას ჩაუდის ნატრიულას წყალი და ის იყო ძველად გამოყენებული სასმელად და სარწყავად, ისე რომ ყველა დასახლებულ ადგილს ჰქონდა თავისი სარწყავი წყალი; ხშირად რამდენიმე სოფელი ერთი წყლით სარგებლობდა ან ერთ სოფელს რამდენიმე სახის სარწყავი საშუალება გააჩნდა. ეს გარემოება, თავის მხრივ, აპირობებდა მთისძირა ზოლისა და ხეობების ტერიტორიების ათვისების უწყვეტ პროცესს და კულტურათა ჯიშობრივი შერჩევის სტიმულსაც წარმოადგენდა, ქართლის მიწა-წყალზე დღესაც შეიძლება ასეთი უზნების გამოვლენა და მათი შესწავლა.

აღნიშნული გარემოება სათანადოდაა ასახული ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში. ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ ამახვილებს ამახე ყურადღებას: „ვახუშტი უშუალოდ, საკუთარი თვალით იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს და მისი გეოგრაფია წარმოდგენილი აქვს არა როგორც უცვლელი ბუნებრივი წარმონაქმნი, არამედ როგორც

<sup>105</sup> ფშა დიდი მდინარის ნაჟურია. მაგალითად, სოფ. ლამისყანის ფშა ქსნის ნაჟურა.

<sup>106</sup> ი. ნაკროზაშვილი, 86 წ., სოფ. ეზატი.

შედგევი ადამიანის აქტიური ზემოქმედებისა ბუნებრივ პირობებზე... ბუნებრივი პირობების ხელოვნურად გამოყენება ვახუშტის „აღწერის“ იქამდე ჩვეულებრივი პრინციპია, რომ ავტორი ადამიანის ასეთ ჩარევას მრავალ შემთხვევაში არც აღნიშნავს<sup>107</sup>. რაც შეეხება მორწყვისა და წყლით მომარაგების საკითხს, ამას ნ. ბერძენიშვილი შემდეგნაირად განმარტავს: „თუ ვახუშტი მცირე სასოფლო არხებისა და მშენებელთა შესახებ ჩვეულებრივ არა ლაპარაკობს, ეს იმას კი არ მოწმობს, თითქოს ეს არხები ჩვენს მეცნიერს ქართული მეურნეობისათვის უმნიშვნელოდ მიაჩნია, არამედ მხოლოდ იმას, რომ ეს მცირე სარწყავი ნაგებობანი ჩვეულებრივია და ძველი ის ძველია, ხოლო მათი შენების ინიციატორი მთელი ხევია“<sup>108</sup> (ხაზი ჩემია, ლ. ბ.).

აქ, პირველ ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, რაც საქართველოს ბუნებას გააჩნდა ახლო წარსულში. ის ადგილები, რომლებიც ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში გაუვალი და ხშირი ტყით არის დაფარული, სადაც „არიან წყარონი მშვენი“ და ნაყოფიერებს მრავალი მარცვლეული, ვაზი თუ ხილი, დღეს, უმეტესად შიშველ, ან მცენარეულით ღარიბ გარემოდ არის ქცეული. ამიტომაც ცხადია, რომ წარსულში ტყითა და მცენარეულით მდიდარი ლანდშაფტის პირობებში სარწყავი წყლის ადგილობრივი რესურსები გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანი იყო, ვიდრე დღეს.

აღნიშნული ვთარება კარგადაა გადმოცემული ფეოდალური ხანის ისტორიულ საბუთებში, სადაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ყოველი დასახლებული პუნქტის მიერ გამოყენებული სარწყავი საშუალებების ხასიათსა და მოცულობას. ძველ სიგელ-გუჯარებში დაცული ცნობები კარგად წარმოაჩენენ მთისა და ბარის შერწყმული მეურნეობის სურათს და მრავალი საკითხის გარშემო გვაწვდიან მნიშვნელოვან მასალას, რაც სპეციალური შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს (ეთნოგრაფიული თვალთახედვით). ჩვენ მხოლოდ რაპდენიკე საბუთის გადმოცემით შემოვიფარგლებით: 164. სიგელი მეფისა სვიმონ II-ისა, ბოძებული თამაზ სააკაძისადმი. 1629; თებერვლის 3. „...ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ... მამული ჰქონებოდეს მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ნასყიდითა და უსყიდითა...“<sup>109</sup> 156.. გუჯარი როსტომ მეფისა, ბოძებული იტრიის

107 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

108 იქვე.

109 საქართველოს სიძველენი (ტყუთიშვილ თაყაიშვილის რედაქცია), ტ. III, ტფ., 1910, გვ. 141.

ეკლესიასადმი. 1645 წ. „...შემოგწირეთ მცირე და უნდი ესე შესაწი-  
რაეი სურანს ჴეთ... მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა ტყითა,  
მინდვრითა... ბიჯნისის საკალმახემდის. . მთის და ბარის სანადირო.  
წყლას სანადირო, რაც ამ სამძღვრებში საკალმახე ხევი ჩამოდის,  
ისიც ასე რიგად შემოგვიწერავს...“<sup>110</sup>. 176. სიგელი რუსუდან დედოფ-  
ლისა, მეფის ვახტანგ VI-ის მეუღლისა ზოდებულისა ზახუტა, ივანე და  
ნიკოლოზ სააკაძეებისადმი... 1717 გიორგობისთვის 20. „ქ. ნებითა  
და შეწვევითა.. მოგიბოძეთ. ეს გლახნი დღეს, რასაც მამულის მქო-  
ნებელნი იყვნენ მიწითა, წყლითა, სახლკარითა, ჴურ-ბარნითა, კა-  
ლო-საბაღლითა, ველითა, ვენახითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წის-  
ქვილითა...“<sup>111</sup> 189. სიგელი კათალიკოსის ანტონ I-ისა, ზოდებულის  
ნიკოლოზ თუხარელისადმი, 1780. მაისის 16. „ქ. წყალობითა... თქვენ  
ის მამული მამუკაშვილის ნაქონი რომლისაც მქონებელი ყოფილიყოს,  
მიწისა. წყლისა, თავისის წილის წისქვილისა, ველისა ვენახისა, სა-  
ჯალჯისა, სახნავისა და უხნავისა. ყოველივე ხელშეუვალია თქვენთვის  
გვიბოძებია“<sup>112</sup>. ამავე წყაროში მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საბუ-  
თები №№ 200. 201.202, 208, 209, 214 და სხვა. ასევე საინტერესო  
მონაცემებია სარწყავი წყლისა და სამეურნეო ხასიათის ბევრ სა-  
კითხზე XVII—XIX საუკუნის დოკუმენტებში. მოვიტანთ  
რამდენიმე მათგანს: № 14 1670 წ. ნასყიდობის წიგნი „...ესე ნას-  
ყიდობის წიგნი დაგიწერე ...და გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთნან  
მისის წილითა მთითა და ბარითა, წყლითა და წისქვილითა, სახლითა,  
კარითა, ველითა, ვენახითა, სასარითა, სახნავითა, უხნავითა, ყოველს  
მისის მამულითა...“<sup>113</sup> № 59. 1751 წ წყალობის წიგნი. „ქ. ნებითა  
ესე... წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონმან თქვენ-  
მან... რისაც მამულის მქირავნი ყოფილიყვნენ თავის სასაფლაოთა,  
სახლკარით, კალო საბაღლით, მინდვრითა, წყლითა. მთითა, ბარითა.  
საქნავითა საკაფითა და უკაფითა, ვენახითა, ქვევრ-მარნითა, საწნახ-  
ლითა... გვიბოძებია“<sup>114</sup>. № 385. 1814 წ. გარდაწყვეტილობის წიგნი,  
„...გარნა ესე ბოსტნების ადგილი წამოხდარა მიზეზითა მით, რომე-  
ლიც შეუტრავს თავადს შიოშ თუმანოვს მომდინარე იგი წყარო

110 იქვე, გვ. 130.

111 იქვე, გვ. 153.

112 იქვე, გვ. 165. ჟალჯი ს. მოკრეფილი ეკალი კონებად შეკრული.  
ნ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 1984.

113 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ნ. ბერაკე-  
ნიშვილის რედაქციით). II, თბ., 1953, გვ. 10.

114 იქვე, გვ. 42.

ავასკუტისა და სხვა წყაროები, რომელიც მომდინარეებს ზემოხსენებულს ხევზედ და გაუყვანია სარწყავად მამულსა თვისსა. არც სოფელს სასმელი წყალი წაუხდესთ და სადაც უწინ... თუმათვის წისქვილის რუს წყალი შეჰყრია მომდინარე ხევსა, ისევე იქვე შეეყაროს. ...თუ ასე ვერ გააკეთებს... მაშინ სადაც ძველად ხევზედ წყალი დეხილა და ამავე ხევის წყლით ჰიკარტაშვილსა ბუჰულა ბრუნებია, იმაზედ გაიყვანოს<sup>15</sup>.

წერილობითი წყაროების მეშვეობით შესაძლებელი ხდება საუქუნეთა სიღრმეში გავადევნოთ თვალი სამეურნეო ყოფისა და კულტურის მრავალ საკითხს. განსაკუთრებით კარგად ჩანს ვერტიკალური ზონალობით შეპირობებული განსახლებისა და (ეურნეობის მთაბაროიზის ხასიათი, ამ ორი ტერმინის განუყოფელი თანაარსებობა, რომელიც ყველა მიწა-წყალს გააჩნია. ტრადიციული სარწყავი სისტემაც წყარო-ნაკადულებითა და ხევის წყლებითაა ძირითადად წარმოდგენილი. აქ განსაკუთრებით კარგად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ბარის ინტენსიური ათვისების მერეც ხეობის სამიწათმოქმედო პროფილი ძველი რჩება და არ კარგავს თავის სამეურნეო პოტენციალს. იქ სადაც ხელოვნურად შექმნილი სარწყავი რუების ტრასა არ გადის, სამეურნეო ნაკვეთები მამაპაპური სარწყავი საშუალებებით არის მომარაგებული, რაც მათი არსებობის მთავარი სტიმულია. იმისდა მიუხედავად, რომ ძველი სარწყავი საშუალებები დიდ ნაწილში დაკარგულია და განადგურებული, მათ შესახებ ეთნოგრაფიული ცნობების მოპოება შესაძლებელია, მითუმეტეს ისეთ უბნებზე, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ვაზის უძველესი კულტურული ჯიშები.

ხალხური გამოცდილება ნიადაგების დაცვის საქმეში მელაგვდება წყლის დასაოკებელი და ნიადაგარსაწინააღმდეგო ნაგებობათა შექმნაში, რაც ადგილობრივ გეოკლიმატურ და რელიეფურ პირობებთან შესატყვისობაშია განხორციელებული; დიდი და პატარა ხევ-მდინარეებით დასერილი მიწა-წყალი ძოითხოვდა იმ სამეურნეო ნაკვეთების დაცვას, რომელთაც მდინარეთა მოდიდებისა თუ ღვარცოფების დროს წალეკვის საშიშროება ელოდათ. ეს იყო როგორც სახნავ-სათესი ადგილები, ასევე სავენახე ფართობებუ. ბაღ-მოსტანი და ეზო-კარმიდამო. ქართლის ხევისპირა სოფლების მოსახლეობა ორგვარ საშიშროებას, სტიქიის ორმაგ შემოტევას უმკლავდებოდა — მათ მუდმივად უხდებოდათ ხევისპირებზე განლაგებული სავარგულებისა თუ საკარმიდამო ნაკვეთების დაცვა წლით წალეკვისაგან და ასევე ფერდობზე განლაგებული კულტურული ნიადაგ-

ბის შენარჩუნებისათვის ზრუნვა. სოფ. მეჭვრისხევი — მეჭუდახე. სოფ. მარანა-ლიახვზე, სოფ. სასირეთი — თეძამზე, სოფ. ქვა-ხვრელი — მტკვარზე, სოფ. ლამისყანა — ქსანზე და ამგვარად ქართლის სოფლების უმეტესობა სათანადო დაცვითი ნაგებობების მუდმივ შენებასა და განახლებას საჭიროებდა<sup>116</sup>. მათი მთავარი დანიშნულება იყო წლის ნაკადის დაოკება, მისი ძალის შენელება, სანაპირო ზოლ-ს დაცვა და ასევე სათანადო ღონისძიებათა მეშვეობით სარწყავად გამოყენება. ამ ნაგებობათა მრავალი სახე არსებობდა, რომელთა მოხმარება შეესატყვისებოდა კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებათა ხასიათს. მათ შესახებ მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემებია შემონახული ხალხის ყოფაში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ზოგი მათგანის გამოვლენისა და დახასიათებისათვის.

მდინარის სანაპიროს დამცველი ნაგებობაა ბუ რ ჯ ი, რომელიც შემოეგი წესით არის მოწყობილი: მუხის ხის მსხვილ სარებზე — შ ა ნ ე ბ ზ ე იწყნება გოდრისმაგვარი ფორმის სათავსი, რომელსაც ადგილობრივ ჯ ი ნ ი<sup>117</sup> ეწოდება (რამდენიმე პუნქტში მას ჯიხური უწოდეს). მისი საშუალო ზომაა 3—4 მ სიგრძე და 2—2.5 მ სიგანე. მოწნული ჯინი მოაქვთ წყლის ნაპირზე და ამავრებენ სათანადო ადგილზე<sup>118</sup>, რის მერეც იწყება მისი ქვეით ამოვსება. დროდადრო შივ

---

<sup>116</sup> ამგვარი ნაშენობანი იყო გამოყენებული ძველ საქართველოში გზების დასაცავად, რაზედაც „დასტურალმალი“ ვხვდებით მითითებას, „დასტურალმალი“, გვ. 22.

\* მანუელის წარმოების მასშტაბურობაზე მისი დამამზადებელი მანუფაქტურების არსებობა მიუთითებს XIX საუკ. II ნახევარში.

<sup>117</sup> ჯინი — გოდორ-მარბილი. ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი; ვახტანგ IV-ის დასტურალმალი ჯინი იხსენიება როგორც „ნახვის საზომი“. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ჯინს განმარტავს „საზომი ერთეული რაჟაში“. ჯინი ერწოში სასუქის საზოდა და ცნობილია როგორც „ნახვის ჯინი“. გუდამაყარში მარბილზე დადგმულა ჯინით სხვადასხვა ტვირთი გადააქვთ. ვ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ თ ა ნ ჯინზე ნათქვამია — „ჩვეულებასთვის... ჯინა შინა მსხდომარენი, ძაძითა მოყრულითა, იმღერვიან მწუხრასა ხმითა“ — ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 18. ქართლში სასიმინდის შესატყვისად ძარიშხარი, ჯინი და ჯინგოდორია ცნობილი — ჯ. რუხაძე, მ. ხაზარაძე, სამეურნეო სათავსებო, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ. 1980, გვ. 107.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საძილე ავეჯის ნარჩაბეობას განეკუთვნება წნელი ავეჯი — ჩ ა ფ ი დ ა ჯ ი ნ ი. მას ოხლას ნერგით (წნელი) წნაედნენ. მწიში ოკალური თანმიმდევროთ ჩაასობდნენ დაახლ. სამტკაველიან ნერგს (მას ბოძებსაც უწოდებენ) და წნელით იწყებდნენ ქსოვას (წენას). ჯინას საწოლად ს. აბასის უპირატესობა აქვს, რომ ხელს უწყობს პაერის მოჭრაობას, ქვეშაჯის წინააღიწინაბავს — ლ. ბედუქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, 45.

<sup>118</sup> მე-18 საუკ. საბუთში ვხვდებით გამოთქმას „წყლები სიდიდის დრო“. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 445.



ყოლებენ ნერგის გრძელ სარებს, რომელიც ნედლი უნდა იყოს და უფოთლო<sup>119</sup>. დროთა მანძილზე იგი ფესვებს გაიდგამს ბურჯის ძირში და ამით სიმაგრეს შემატებს. ბურჯისათვის საჭირო მასალის დამზადება წინასწარ ხდება და რამდენიმე კვირით უსწრებს სამუშაოს დაწყობას. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეირჩეს საღრურ სარები, რომელთა სიგრძე 2 მ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს; სათანადო ჯიშის ხ-საგან არის საჭირო წნელის მოკაფვა, განსაკუთრებით მიღებულია ნერგი, წითელი, ფშატი, აკაცია, რცხილა; თუ რიყე ახლოს არ არის. ქვის დაგროვებაც წინასწარ უნდა მოხდეს (ერთი საბურჯე ჯიშის 10—12 ურემ ქვას საჭიროებს). ბურჯი ქვით ივსება, „თავმოღვმელი“ კეთდება. რადგან დროთა მანძილზე ქვა დაიწვეს. „დაჭდება“ დაიტკეპნება<sup>120</sup>. საშუალო სიდიდის ბურჯის აგებას 5—6 მუშა ესაჭიროება (1 კვირაში რომ შესრულდეს სამუშაო). განსაკუთრებული ყურადღებით ხდება ბურჯის ჩასადგმელი ადგილის შერჩევა. რადგან წყლის მთავარი დაწოლა ბურჯზე იქნეს გაანგარიშებული. სანაპიროს ვეულ ადგილებში სკოდნიათ „ბურჯის ძირის ჩადენა“; დიდი ზომის კალათებში ყრიდნენ ქვას და თოკებით მდინარის ფსკერზე უშვებდნენ, ბურჯს საძირკველს უმზადებდნენ, რაზეც შერე ედებოდა ბურჯის დამაგრება.

სოფ. ქვახვრელში დღემდეა შემორჩენილი ბურჯის ფრამენტები, საცალფეხო ხიდიდან 300-ოდე მეტრის დაშორებით. სოფ. ახალბანში მიგვითითებენ „ქიტესას ბურჯის“ ნანთებზე, ასევე გიორგი სუმბულიძის ნამოსახლართან შემორჩენილი ბურჯის ნაწილებზე. საკარმიდამო თუ სამეურნეო ნაკვეთების დამცველი ბურჯები ფართოდ იყო გამოყენებული შ. ქართლის ბევრ სოფელში. როგორცაა სკრა, მარანა, ქვახვრელი. აძვი, მეჭვრისხევი. ლამისყანა, უფლისციხე, ქვ. კალა.

ყოველი მოსახლე თავის ადგილში ბურჯს საკუთარი რიციატით აკეთებდა, რის დროსაც საყოველთაოდ იყო მიღებული მეზობლების ურთიერთდახმარება. ერთი ოჯახი, თავისი ძალებით ვერ მოე-

<sup>119</sup> სოფ. მეჭვრისხევიში ცხოვრობს საბურჯე ჯიშების მქსოველი 56 წლის პეტრე ბუაშვილი. მისი გადმოცემით, 30-იან წლებში, კერძო მფლობელთა გარდა, კოლმეურნეობაც აშენებდა ბურჯებს სოფლის კუთვნილი საეარკულების დასაცავად. მან წინასწარ იცოდა რამდენი ჯიშის უნდა დაეზადებინა სეზონზე და გაწეულ შრომას კოლმეურნეობა უნაზღაურებდა. მისი დახასიათებით „ეცლი წყალია მეჭვლა, წარამარა იცოდა აღიდება, გლეჯამდა ბურჯებს, ხარ-კაზერით შებმული ურემი მოუტაცინია.

<sup>120</sup> დიდი ყურადღება ექცეოდა ქვის ჯიშსა და ზომებს. ქვა წყალში არ უნდა იხსნებოდეს; რაც უფრო დიდი ზომის ქვები იქნება გამოყენებული, მით უფრო მდგრადი იქნება ნაშენობა.

არეოდა ამ მძიმე და შრომატევად სამუშაოს. როდესაც წყალი სოფლის საერთო სარგებლობის ადგილებს (ხიდს, გზას, შენობას) აზიანებდა, ბურჯების ასაგებად მთელი სოფელი გამოდიოდა. გაერთიანებაში უმბავრესად მონაწილეობდნენ ერთი უბნის ან რამდენიმე მეზობლად მდებარე ნაკვეთის პატრონები. იქ, სადაც მკვეთრად იყო გამოკვეთილი ხევისპირა დასახლება, რაც ქართლში ბევრგან გვარებად დასახლებას წარმოადგენს, მშენებლობაში ყველა სამოსახლოს წევრი ერთნაირად მონაწილეობდა და შრომაც აუნაზღაურებლად წარმოებდა.

ბურჯის პრინციპზე შექმნილი, სანაპირო ზოლის დამცველი ნაგებობაა გოდორი<sup>121</sup>. რომელსაც ქართლის ზოგ სოფელში ჯინგოდორასაც უწოდებენ. მისი ფუნქცია მდგომარეობს წყლის მიმართულების შეცვლით, წყლის დინების აქცევით, ნაპირთან ახლოს მდებარე სავარგულების დაცვა. ამიტომ, ბურჯებთან შედარებით გოდორი უფრო მეტი რაოდენობით (დიდ ფართობზე) უკეთდება საპირო ადგილებში. თითო ნაგებობა 8—10 მეტრის სიგრძეზე არის ჩადგმული წყლის კალაპოტში და საპიროების დროს ნაპირთან მათი რიცხვი ათეულს აღემატება.

გოდორი უფრო მარგილებზე დაწნული, ოვალური ფორმის დიდი გოდორია, რომლის სიმაღლე 2—2,5 მ და გარშემოწერილობა 8—10 მეტრამდეა. უკვე მოწნული სათავსი მიაქვთ ნაპირზე და საპირო ადგილებში დგამენ. ყოველი მომდევნო გოდორი უფრო პირველთან შედარებით მეტადაა წყალში შეზიდული. ამგვარად, თანდათანობით ნაპირის განსაზღვრული მონაკვეთი წყლის დინებას შორდება, იტბორება, წყალი აღარ რეცხავს ნიადაგს და წალეკვის საშიშროებაც მოხსნილია, „წყალს ძალა ეკარგება“. გოდორი უფროს ჩადგმა, ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით, შემდეგი წესით ხდებოდა: „უკვე მოწნული ზარი<sup>122</sup> ურმით მიჰქონდათ წყლის ნაპირზე. ურემში კამეჩები იყო შემბმული, ხარი არ იყო მიღებული. კამეჩიც გამოცდილი უნდა შეერჩიათ, წყლისა არ შეჰშინებოდა. ურმითვე შევიდოდი წყალში და ძარს თავის ადგილას დაუშვებდით, თან ორი-სამი კაცი ნაპირებზე ებლაუტებოდა, წყალმა არ წაგვართვასო; ზოგიც ურემზე რჩებოდა და ჭვას უყრიდა. რო დაიცილებოდა, ახლა მეორე ურემს მივაყენებდით, უნდა გაგვევსო ძარი. ჭვას დიდი ზომისას ვურჩევდით, რასაც

121 მ. გეგეშიძე გოდორი უფროს შესატყვისად მიიჩნევს ბურჯს და მათ სარწყავად გამოყენებულ ნაგებობებად ახასიათებს. მ. გეგეშიძე, სარწყავი მართობელები საქართველოში, თბ., 1961. გვ. 34.

122 ზარი, ძარი, ს. გოდორი, შესანახი სიმინდისა ან ქორთი საჭდომი გალა... დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

შოერეოდი, უფრო კარგა დაიჭერდა. რიყეზე ბევრია ეგეთი ქვა. შიგადა შიგ ქოქყაც უნდა ჩაგვეყოლებინა<sup>123</sup>.

საყოველთაოდ მიღებული, ნიადავის დამცველი საშუალებაა საკვლევე რეგიონში ჯებირი<sup>124</sup>. იგი ეწყობა როგორც მდინარის სანაპირო ზოლზე, ასევე ფერდობზე, რთული მდებარეობის სამეურნეო ნაკვეთების დასაცავად: იგი „სახმელეთო“, მიწისზედა ნაგებობაა. აქ საჭიროდ მგვაჩნია გავმიჯნოთ ბურჯისა და გოდორყურის ფუნქცია ჯებირის ფუნქციისაგან. 1. ბურჯი და გოდორყური უკეთდება მდინარის სანაპირო ზოლს იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელია მიმდებარე ტერიტორიის წალეკვა. ისინი წყალში მოწყობილი ნაგებობებია. რომელთა დანიშნულებაა წყლის ნაკადის მიმართულების შეცვლა, წყლის შემოტევითი ძალის შესუსტება, სანაპიროს დაცვა და მისი ნიადაგური ფენის შენარჩუნება. ჯებირი ასევე უკეთდება წყლის სანაპიროს, მაგრამ იგი ხმელეთზეა მოწყობილი, მიწის ზედაპირზეა განლაგებული. 2. ჯებირი უკეთდება არა მარტო წყლის პირებს, არამედ ფერდობზე მდებარე ყველა სამეურნეო ფართობს ღვარცოფის მოკარდნის განსაკუთრებით საშიშ ადგილებში, რაც წვიმებითა და თოვლიანობით გამოწვეულ, მთიანი რელიეფისათვის დამახასიათებელი ხშირ ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. 3. ჯებირი ბურჯისა და გოდორყურისაგან განსხვავებით უფრო ხანგრძლივი დროით გამოსაყენებელი დამცველი საშუალებაა. იგი განსხვავდება თავისი კონსტრუქციით და მისი მოწყობის რამდენიმე ხერხი დასტურდება — ქვით, ქვა-ფიჩხით, ფიჩხ-კონით.

ჯებირის მშენებლობა, ჩვეულებრივ, გვიან შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე „როცა წყალი დამცხრალი იყო“<sup>125</sup> წარმოებდა. ქვის ჯებირის მოსაწყობად „გამძლე ხის ბოძებს დასხავდნენ ორ რიგად“ წინასწარ მონიშნულ ადგილას, ისე რომ „ნახევარი არშინით მაინც უნდა ჩასულიყო მიწაში“. ამის მერე ბოძებზე, რომელთა დაშორება ნახევარ მეტრს არ აღემატებოდა, იწვნებოდა ღობისმაგვარი წნური კედელი, რომელიც 2 მეტრამდე სიგანის მონაკვეთს ქმნიდა; მისი სიგრძე ადგილის შესატყვისად იფარგლებოდა. შემოზღუდული ადგილი

123 ვ. რუსთაშვილი, 89 წ. სოფ. მუნარი.

124 ჯებირების მეშვეობით სანაპიროს დაცვა და წალეკვით გამორეცხილი ადგილების ხელოვნურად შეესება 30-იან წლებში კვლავ ფართოდ იყო გამოყენებული სამშენებლო პრაქტიკაში. ს. გოქსაძე, კავკასიური ტიპის ფიჩხ-ქვის ნაშენები, ტფ. 1926, გვ. 29.

125 ბასილ ზარზმელი წერს — „დასცხრა მდინარეთა მის ღიდროაჲ“ („ცასა სრონ ზრზლს“). ციტირებულია ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 9.

ქვით ივსებოდა და საბეკნელითა და უროთი იტკეპნებოდა. წყლისპირა ჯებირები ხშირად იტბორებოდა. ასეთ ადგილებში ძველ ჯებირს ზედა ნაპირიდან უშენებდნენ მომცრო, 40—70 სმ-ის სიმაღლის კედელს, რომელიც ძველ ნაშენობას სიმაგრეს მატებდა და თან ფუნქციას უბრუნებდა.

ფერდობზე მდებარე ნაკვეთებს ჯებირი შემდეგი წესით უკეთდებოდა: ფერდობის ქვედა ნაპირიდან ჩაუყრიდნენ მსხვილ სარებს და საცავი ადგილისათვის წინასწარ გაანგარიშებული მიმართულებითა. ზედ გაუდებდნენ გარდიგარდმო ხის მსხვილ მორებს, დაუწყობდნენ ფიჩხის მომცრო კონებს და ზევიდან ქვას მიაყრიდნენ. პირველივე წვიმის ზერე ასეთი ნაგებობა ულამით<sup>126</sup> იფარებოდა და მეტ მღვრალობას იქნდა. ხშირად ამგვარი ჯებირის მოწყობაში ქვას არ იყენებდნენ, მხოლოდ ფიჩხის კონებს, და მაშინ ამას ჩ ა ფ ი ჩ ხ ე ა ე რ ქ ე ა <sup>127</sup>.

ძლიერი ნიაღვრის ადგილებში ჯებირის მოწყობა წნელის, ჯარჯისა და ქვის გამოყენებით შემდეგი წესით იყო მიღებული: დახრამული ფერდობისა და ხევის სანაპიროზე მონიშნულ მონაკვეთში ადგილს გაწმენდნენ ქვა-ლორღისაგან და მოასწორებენ. ამის მერე ჩაყრიან მ უ ხ ი ს მ ა რ გ ი ლ ე ბ ს, თითო არშინის დაწორებით, შემოსაზღვრავენ ოვალურ მონაკვეთს, და მსხვილი წნელით იწყებენ მარგილებზე შემოწვნას. ძირში, თავიდანვე ერთ ფენა ქვას 2 მტკაველზე „ჩაუფენენ“ და წნის პროცესში, ყოველი წნელის ბოლოს ჯებირის მთელ სიგრძეზე გადაფენენ. ამრიგად ქვის ფენას ზევით მოექცევა წნელის ფენა, რომელსაც ზევიდან ისევ ქვა ეყრება. გამოდის ქვითა და წნელით შექმნილი მკვიდრი ნაგებობა. „მარგილები ჩავყარეთ და იწყება ზედა დასტის წვნა. ნახევარი არშინი რო ამოვიღოდა, ფიჩხი უნდა გადააწვინო ქვაზე. ფიჩხი-წნელი-ჯარჯი — ეს იყო მასალა. ერთი ტოტით წნელი ეხვევა მარგილს და მეორე ტოტით გადააწვინე ქვაზე: ავიღე მეორე წნელი, მოვახვიე, გავატარე ორ მარგილში და ისევ გადააწვინე. ეს ხვეული წვნა არის, მარტო ჩვენ ვიცოდით...“<sup>128</sup> მიღებული იყო ასევე მარგილებზე წნელით გვერდების შემოწვნა,

126 შიდა ქართლის მდინარეები განსაკუთრებით გამოირჩევა ლამის ქარბი შემცველობით, რაც წყლისპირა ნიადაგების დარეცვის შედეგია, ამაზე იხილეთ ნაშრომში, МИЭБГКЗК, т. VI, Тифлис, 1887 წ., გვ. 138.

127 „ფიჩხ-კონის სამუშაოებს აწარმოებდნენ საგუბრების ვასამართავად, წყლის ნაპირების და ფერდობების შესამაგრებლად, რაშიც იყენებენ ტირიფის ან ალვის ტოტებს — ი. ზ. ანდრონიკაშვილი, საადმშენებლო ხელოვნება, ტ. III, ტფ., 1931, გვ. 162.

128 ი. მილაძე, სოფ. კორინთა. ს. დ. 1, 1986.

რის შემდეგაც ხდება ჯებირის ამოვსება ქვითა და შეკრული ჭარჯი-კონეზით (მონაცვლეობით).

ყოველი ნაგებობა ნედლეულის დიდ რაოდენობას მოითხოვდა, სადაც დიდი ყურადღებით იყო შერჩეული როგორც მარგილისა და წნელისათვის საჭირო ხის ჯიში, ასევე ქვის ზომები და მისი ხარისხი. მშენებლობა, ძირითადად, კოლექტიური ძალებით წარმოებდა, მეზობელ-მოკეთებების, ერთი უბნის თუ წყლისპირა დასახლებათა გაერთიანებით. ხშირად ასეთ სამუშაოებში (როდესაც ნიაღვარი აზიანებდა საერთო სარგებლობის ობიექტებს) მუწა-ხელითა და გამწვევი ძალით მთელი სოფელი მონაწილეობდა. ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს ამგვარ სამუშაოებში აგრეთვე სოფელთა გაერთიანებას. მაგალითად, ქსნის ადიდების დროს მის სანაპიროზე მდებარე სოფლები ერთიანდებოდნენ და ქსნის „დასაქერად“ ერთობლივი ძალებით ამგრებდნენ სანაპირო ზოლს<sup>129</sup>. ამ დროს წყლისაგან დამცველ ნაგებობათა ოდენობა ასეულობით განისაზღვრებოდა. პირველ რიგში ამგრებდნენ ისეთ მონაკვეთებს, სადაც ნაპირის გადმორღვევა დასახლებულ ადგილებს ემუქრებოდა წალეკვით. ამასთანავე ამგრებდნენ სანაპირო ზოლს, სადაც წყალი ემუქრებოდა ბალ-ვენახსა და სხვა კულტურულ ნარგავებს.

სამეურნეო დანიშნულება, რომელიც ამ ნაგებობებს გააჩნდა, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ შიდა ქართლის სოფლების უმრავლესობის ხევისპირულ განლაგებას, რაც მისი დასახლების მთავარი ტოპოგრაფიული ნიშანია<sup>130</sup>. მაგალითად, სოფ. წინამძღვრიანთკარში სამი ხევია — ნაქვრიმლის ხევი, წმინდაწყლის ხევი და რუსების ხევი. მათი ადიდების პერიოდში მთელი სოფელი განიცდიდა წალეკვის საშიშროებას. ამიტომ ამ სოფელში ნიაღვარდასაცაევი ნაგებობანი ყოველ ცალკეულ უბანზე დიდი გულმოდგინებით იყო მოწყობილი; ასევე სოფ. მისაქციელ-

129 იგივეს ჰქონდა ადგილი პატარა ლიახვზე; იმისდა მიუხედავად, თუ როგორი სიძლიერით აზიანებდა წყალი ამა თუ იმ სავარგულს, სანაპიროს ყველა სოფელი მაინც მონაწილეობდა ამ ღონისძიებაში. როგორც სოფ. ქვ. ჰალაში გვითხრეს — „ახმაჯში მიდიოდა, იკრიბებოდა ხალხი, იქ უნდა დაეკირათ ქსანი“. წყალდიდობის დროს ვინც უარს იტყოდა მონაწილეობაზე, არ მოაწყვევიანებდნენ, არ დააფქვევიანებდნენ, გაუდგებოდა სოფელი.

130 ქართლის ხევების ხასიათს კარგად გადმოსცემს (საბუთი № 224. 1756 წ. ავლისი) განჩინება კრწანულებისა და თელელებისა სამამულო დაეაზე — „...ვარდანას ჰალის ბოლოს ზეით კლდიდამ რომ სამი ჰევი ჩამოვარდება და მერმე ერთად შეიყრება და ის ხევი მტკვარს შეეყრება... იმას ზეით აქეთ კრწანულებს დარჩა და იმ ხეის გაღმა თელელებსა“. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, წიგნი პირველი, (შეადგინა ნ. ბერძენიშვილი და მ. ბერძენიშვილი), თბ., 1962, გვ. 271.

ში 2 ხევია — აღდგომელაანთხევი და მისაქციელის-ხევი. აღდგომის დროს ამ ხევის წყლებს მიჰქონდა გზები, კარმიდამო, ბალი, ბოსტანი... ს. ძე გვ შ ი ცხედლის ხევმა და ნაკურთხევის ხევმა ასევე დიდი ზარალი იკოდა აღდგომის დროს. ს ო ფ გ უ დ ა. ლ ე თ შ ი ასევე სამი ხევია — გუდალეთის ხევი, თავიანთ ხევი და წიფორის ხევი; ს ო ფ. თ ე ლ ა თ გ ო რ შ ი — ლავრისხევი, ქოთახევის ხევი; ასე იყო ყოველი ხეობისათვის<sup>131</sup>, თუ არა და მტკვრის, დიდი ლიახვის, ქსნის სანაპირო ზოლის სოფლები ხომ მუდმივად ბურჯებითა და გოდორყურებით იყო გამაგრებული<sup>132</sup>.

მცირე მთის მდინარე, რომელიც დიდი მდინარის შენაკადი ხდებოდა, თავისთან მრავალ მცირე მდინარესა თუ წყარო-ნაკადულს იკრებდა, რაც მას წყალუხვს და გაზაფხულის პერიოდში მიმდებარე მიწებისათვის საშიშს ხდიდა. მათ შორისაა მდინარე კავთურა, რომლის ხალხური დახასიათება ერთი ხეობისა და აქედან გამომდინარე მთელი რეგიონის წყალმომარაგების რეჟიმის სურათს კარგად გადმოსცემს<sup>133</sup>: „მდინარე კავთურა შუბათიდან გამოდის, პატარა წყალია; გამოივლის ნასოფლარ ბოტისზე და პარეტისში უერთდება მას ქსილისის წყალი. პარეტისს ქვევით ჩამოუვლის იგი მამუკაანთ უბანს და იქ უერთდება ქვათახევის წყალი, რომელიც მონასტრიდან გამოდის. კავთისხევში, კეწერაანთ უბანში მას ვარჯაანთ წყალი და გუდალეთის წყალი მიერთვის, რომელიც ტყემლოვანიდან გამოდის. ამის ქვეით, თავისი ამალით კავთურა ქვემო ხანდაკთან მტკვარში ჩადის, მტკვარს უერთდება“<sup>134</sup>.

წყლის სანაპიროს დამცველ ნაგებობათა შორის ყურადღებას იქცევს აგრეთვე შედარებით მარტივი საშუალებანი. მათ განეკუთვნება ხ ვ ი რ ი, რომელიც შემდეგი წესითაა მოწყობილი: იქსოვება ჭინ-გოდრის მაგვარი საშუალო ზომის სათავსი, რომელიც მიაქვთ წყლის სანაპიროზე და იქ ქვით ავსებენ. ბერკეტისა და თოკების შეშევებით მას ამაგრებენ დაშლილი სანაპიროს გასწვრივ პორიზონტა-

131 „ნაირნარი ფორმის ფიჩხ-ქვის ჯებირები უნივერსალურ საშუალებად ჩანს და მათი გამოყენების სარბიელი ბევრად სცილდება მდინარის სიერტეს. ამ ღონისძიებით სტიქიურ ძალთაგან შესაძლო გამანადგურებულ შედეგს თავიდან აცილებდნენ ტყეებს, ნათესებს, სათიბ-საძოვრებს და სხვ.“ ნ. კვეზერელი-კოპაძე, გზათა მშენებლობა საქართველოში, თბ., 1974, გვ. 132.

132 „საკურადლებოა, რომ ქართული ნაგებობანი არსებითად განსხვავდება სხვა ქვეყნებში, მაგ., პოლანდიაში თუ რუსეთში არსებული მსგავსი დანიშნულების ნაგებობებისაგან“, ნ. კვეზერელი-კოპაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

133 ამავე ხასიათისაა მდ. აძვის ხალხური დახასიათება — „აძურა ტყიდან გამოდის პატარა წყაროდ, შერე თანდათან იზრდება, ხევში გროვდება და სოფელთან უკვე მდინარეა, ბევრა ზარალი მოჰქონდა ხალხისათვის“ — ს. დ. № 3, 1984. 134 ა. მონასელიძე 99 წ. ს. ეზატი. ს. დ. № 3, 1985.

ლური მიმართულებით. გოდორს ყელი ვიწრო უკეთდება და ქვეს გადმოყრის საშუალებას არ აძლევს. თუ ნაპირი ღრმა იყო და ძლიერად დარღვეული, რამდენიმე ხვირს ერთად შეკრავდნენ და სე ამარებდნენ საპირო ადგილზე. ასეთ შემთხვევაში ხვირის საძირკვლას მოწყობაც იცოდნენ. ხვირი შედარებით მდორე დინების მონაკვეთებში უკეთდებოდა ნაპირს. ხალხური დახასიათებით „ხვირის მეშვეობით წყალი ცერად აუვლიდა ნაპირს, ტალღა აღარა ლოკამდა მიწას, არა შლიდა, ძირს არ უთხრიდა“. „საშიშ“ ადგილებში მიყოლებით რამდენიმე ხვირის ჩადგმა იყო მიღებული.

ყურადღებას იქცევს ამ მოწყობილობის სახელწოდება: ს. ორბელიანთან ხვირი სამღვდლო თავსახურავია. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც „ჩინი, გინა გოდორყური“. რაც სავსებით ესატყვისება სამეურნეო ყოფაში მის ზემოთ გადმოცემულ ფუნქციას. რაჭაში ხვირი წნელისაგან მოწნული ნავისმაგვარი ჭურჭელია. მასში ჩაყრილი ნაკელი ურმით ან მარხილით მოქქონდათ უანაში<sup>135</sup>. იხმარება ასევე სიმინდის გადასაზიდად (ურემზე იდგმება), ან სიმინდის გამოსაფშენლად — მასში იყრება დასაბეგვი ტაროები... რაჭულ ხვირს შეესატყვისება ლეჩხუმური ჩეო<sup>136</sup>. ხვირის//ჩინის ან ძაროს//ძარის სახელითაა ცნობილი სიმინდის უფებო საფშენელი<sup>137</sup>. რაჭა-ლეჩხუმში გამწევი ძალით გადასატანი ჭურჭელი ჩელტი — ძარი — ხვირი, ჭოჯობინა, ხელხვირა და ჭანაბერა ერთი ფორმის ჭურჭლებია — მოგრძო და ოვალური, მათი მოთავსება ყოველგვარ საზიდზეა შესაძლებელი<sup>138</sup>. ნათელია, რომ ხვირი დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ყოფაში გამოყენებულია როგორც სათავსი. ჭურჭელი, გადასაზიდი საშუალება და საფშენელი. აღმ. საქართველოსათვის ამ ტერმინის სამეურნეო მნიშვნელობა დღემდე უცნობია. ეთნოგრაფიული მონაცემების მეშვეობით იგი გამოვლინდა თავისი ახალი მნიშვნელობით, როგორც წყლისაგან ნიადაგის დამცველი მოწყობილობა. მთხრობელთა აღწერილობით ნათელი ხდება, რომ ხვირი გოდორისმაგვარი სათავსის სახეს განეკუთვნება, რომელიც გარკვეული დანიშნულებით ყოფაში ადრეც უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

მარტივი კონსტრუქციის მქონე ნიადაგდასაცავი მოწყობილობაა ხ ი ს ბ უ რ ჯ ი, რომელიც ასევე წყლის სანაპიროს უკეთდება. ხალ-

135 ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბ., 1969' გვ. 124.

136 ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, იქვე.

137 ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 150.

138 ლ. ფ რ უ ი ძ ე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, რაჭა. თბ., 1974, გვ. 75.

ჯური დახასიათებით ხის ბურჯი ერთი ან რამდენიმე ხისაგან შემდგარი მოწყობილობაა. ამისათვის ტყეში საგანგებოდ ხდება დიდი ზომის კუნძიანი ხის მორების წერჩევა, რომელიც მარხილის ან ნალოს მეშვეობით ჩამოაქვთ ქვევით. ნაპირზე მორებს კარგად „გამოცხვირავენ“ ერთი ბოლოდან და იქ ჩაუბამენ წნელის ჩირჩვალისაგან მოქსოვილ საბელს. მისი მეშვეობით საბურჯე ხეს მიამაგრებენ ნაპირის შორიანლო მდებარე წინასწარ მონიშნულ ხეზე. მორებს წყალში უშვებენ ისე, რომ ისინი წყალზე ტივტივებენ. უშუალოდ ნაპირის გასწვრივ და მხოლოდ ერთი თავით ებჯინებიან მიწას. „ხის ბურჯი წყალში ცერად არის შეყვანილი“<sup>139</sup>. ჩქარი დინების ადგილებში, მიყოლებით, რამდენიმე ბურჯის მობმა იკონდნენ. თუ თოკის, საბელის სიგრძე არ იკმარებდა (ამას ხშირად ჰქონდა ადგილი, რადგან ბურჯის დასამაგრებლად ძლიერი ხის მონახვა ჰქონდა), მის დასაგრძელებლად შემდეგ ხერხს მიმართავდნენ: მოჰქონდათ ტყიდან ლატანი, კავიანი ერთი მხრიდან და ორკაპა — მეორედან. რომ არ „წაიცუროს“ საბელი, ორკაპა ბოლოსაკენ ტოტებს მოკლედ შეაჭრიდნენ და წნელს იქ ჩააბამდნენ. თუ კავიან ხეს ვერ მიავნებდნენ, მაშინ ორკაპა ხეს, ისევე როგორც საბურჯე მორს მეორე ბოლოდან ღრმად „გამოცხვირავდნენ“, წნელი კარგად რომ გამოსდებოდა და იმითი მიამაგრებდნენ მორს. ხის ბურჯი წყალს ირეკლავდა, წყლის ტალღას ნაპირს აცილებდა და ამით ნიადაგის დარეცხვას უშლიდა ხელს, ნაპირს იცავდა დაშლისა და ეროზიისაგან.

ნიადაგის ეროზიის შესამცირებლად საყოველთაოდ მიღებული წესია წყლის სანაპიროს შემაგრება მწვანე ნარგავების საშუალებით. ამისათვის საგანგებოდ არჩევდნენ შესაფერის ჯიშებს — ტირიფი, ფშატი, რცხილა. განსაკუთრებული თვისებით გამოირჩეოდა ნერგი<sup>140</sup>, რომელიც ძლიერი ფესვთა სისტემის განვითარების მეშვეობით ინტენსიურად უწყობს ხელს წყლიანი ნიადაგის გაშრობას. სანაპირო ზოლზე ხშირი იყო ნერგისა და კაკლის ხეების დარგვა, რაც კარგად ჩანს ძველი სარწყავი არხების შემორჩენილ მონაკვეთებზე<sup>141</sup>. ფერდობზე მდებარე კულტურული ნიადაგებისათვის ასევე და-

139 ვ. ჩანდირი, 94 წ. სოფ. მისაქციელი. ამგვარი წესით მოწყობილი და ნაპირზე კალაპოტის გასწვრივ დამაგრებული ხის მორებით არის მოფენილი კავთურას, მეჭუდის, ნიჩბურას ხეობები.

140 „ნერგის მოკრილი ტოტი ნესტიან მიწაში პირდაპირ ხარობს, სხვა ესე არაფერა არ იხარებს. მეერ ფესვს რო გაიდგამს მიწას იქერს, აკავებს“ — გადმოგვცემენ მთხრობლები.

141 ა. იჩქითი, 84 წ. სოფ. მეჭვრისხევი ი. ხატისკაცი 72 წ. სოფ. მარანა. ქართული ნერგი — Salix კახეთი, — წნორი; ჯავახ. — ტილიფი, მესხ. — ძეწნი... ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი; თბ., 1961, გვ. 66.



დი სარგებლობა მოჰქონდა ტყის სიახლოვეს. ხალხური გამოცდილებით ასეთ ადგილებში, მის მახლობლად მდებარე „წვრიმლიანი ტყე“ იყო უფრო სასარგებლო, რადგან ის მაღალ ტყესთან შედარებით „ქარგად იჭერს ავდარს“.

როგორც ეთნოგრაფიული შესწავლით ვლინდება, წყლისაგან დამცველი ხალხური საშუალებანი შიდა ქართლის სამეურნეო ყოფის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ეს ტრადიცია იქმნებოდა და ყალიბდებოდა ხალხური ემპირიული ცოდნის საფუძველზე, მისი ეტაპობრივი ფორმების პრაქტიკული განხორციელების გზით. ჩვენამდე მოღწეული ეთნოგრაფიული მონაცემების მეშვეობით, ჯერ კიდევ შესაძლებელია გამოვავლინოთ ნიადაგდამცველი საშუალებების არა ერთი სახეობა, ურთულესიდან მარტივ ფორმებამდე. წყალი, ადამიანისათვის ბუნების მთავარი წყალობა, მისი არსებობისა და კეთილდღეობის ძირითადი წყარო, მისი მეურნეობის განვითარების მთავარი სტიმული, ხშირად უდიდესი ზარალის მომტანი ხდებოდა. ეს გარემოება ძველი მეურნის მიერ არ იყო უგულებელყოფილი: ხალხური გამოცდილება, მისი პრაქტიკული საქმიანობა, მეურნეობის ინტენსიური ფორმებისა და საშუალებების გვერდით, მათთან ტოლფასოვანი მნიშვნელობით, ეძიებდა, ქმნიდა და ახორციელებდა ბუნების საშიშ მოვლენებთან, სტიქიასთან ბრძოლის ღონისძიებებს. ამ ხაგებობათა შესწავლა, მათი დეტალური განხილვა ამჟღავნებს იმ ფართო პროგრამას, რომელიც ბუნებათსარგებლობის ტრადიციულ საშუალებებს ახასიათებს. ბუნების კანონების ღრმა ცოდნით, მისი შემადგენელი ელემენტების თავისებურებათა გათვალისწინებითა და მათი ურთიერთშესატყვისობაში გააზრების შედეგად იყო მიღებული ბუნების მოვლენათა დაოკების, უვნებელყოფისა და მათი სასარგებლო მიზნებით გამოყენების გზები.

პირველ ყოვლისა, მთლიანობაში იყო შეფასებული თვით ხეობის გეოგრაფიული გარემო — ხეობის სიღრმე და მისი ნაპირების დახრილობის კოეფიციენტი, მცენარეული საფარის განლაგება და სიხშირე, წყლის დინების ხასიათი (მდორე, სწრაფი), კალაპოტის აგებულება, სანაპირო ზოლში ნარგავებისა თუ საკარმიდამო ნაკვეთების მდებარეობის სურათი, ნიადაგების შემადგენლობა და თვისებები და ა. შ. ამასთანავე ზედმიწევნით იყო გაანგარიშებული წყლის ჩვევები, განსაკუთრებით აღიდების დროს, მისი ყველაზე საშიში მონაკვეთები, მოსალოდნელი ზარალის ხასიათი. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით ხდებოდა როგორც სანაპირო ზოლის, ასევე მთა-ფერდობებზე განლაგებული ნაკვეთების გამოყენება და საჭირო დამცველი ნაგებობებით მათი მომარაგება. ამავე დროს განსაკუთრებული გულისყურით იყო შეფასებული თვით ნიადაგების შედგენილობა და

ზარისხი. წყლის სანაპირო ზოლზე უფრო მეტად ქვიშიანი ნიადაგები ზიანდებოდა, წყალს ადვილად მიჰქონდა ასეთი ნაპირი, და პირიქით, თიხნარი შედგენილობის მიწა უკეთ უძლებდა წყლის მოქმედებას, ამის საპირისპიროდ მთური მდებარეობის ნაკვეთებში, წყლის ეროზიას ქვიშნარი და ნაკლებნოყიერი მიწები უკეთ უძლებდა, ნაკლებად ზიანდებოდა ნიაღვრების დროს, შავმიწა და თიხნარი ნიადაგი კი, რომელიც წყლის ცუდი გამტარიანობით ხასიათდება, ძლიერად ექვემდებარებოდა წყლისმიერი ეროზიის გავლენას. აქვე, არამცირე როლი ენიჭებოდა თვით კულტურათა ხასიათს. კარგად იყო ცნობილი, რომ პარკოსანი მარცვლეულების ნიადაგი კარგად უძლებდა ეროზიებს; აქ თვით მცენარე თამაშობდა გაპანოყიერებლის როლს და ნიადაგის სტრუქტურის აღდგენისა და დაცვის ფუნქციასაც ატარებდა, მრავალწლიან კულტურათა ნიადაგები კი პირიქით, ძლიერად ზიანდებოდა. განსაკუთრებით ვაზის კულტურა, რომელიც ფერდობის მევენახეობის სახით ფართოდ იყო გავრცელებული.

ამგვარად, ნიადაგდამცველი მოწყობილობები, ყველა კონკრეტული მონაკვეთის არსებული მონაცემების გათვალისწინებით იყო განხორციელებული. ამის შესაბამისად ბურჯი და გოდორყური წყლის განსხვავებული დინების მქონე მდინარეებს განეკუთვნებოდა, თუ ორივე იყო გამოყენებული, მაშინ სხვადასხვა მდებარეობის მონაკვეთებში: ბ უ რ ჯ ს წყლის გამჭრელის, წყალთან შეტაკების ფუნქციას ეკისრება და უკეთდება ისეთ ადგილებს. სადაც აღიდებული მდინარე დიდი ძალით უტევს ნაპირს; ბურჯი გაშლილი კალაპოტის მდინარეებშია უფრო მიღებული, ხევისა და მთის წყლების ვიწრო კალაპოტს ის არ უკეთდება. გოდორყური უკეთდება როგორც გაშლილ, ასევე ვიწრო კალაპოტის მდინარეებს, მისი შედარებით მდორე დინების მონაკვეთებში, ნაპირის უშუალო გაყოლებაზე. გოდორყური იცავს ნაპირს ეროზიისაგან, ამიტომ ის უკეთდება ყველა წყლისპირა სავარგულს მუდმივ დამცველ საშუალებად და არა მხოლოდ მოდიდებული წყლის დასაოკებლად. მისი მეშვეობით ხდება ასევე დაზიანებული სანაპირო ზოლიდან წყლის გადაგდება „წლის მოწყვეტა“ და დარეცხილი ნაპირის მიწითა და მცენარეულით აღდგენა. აქვე განსხვავებული ფუნქცია განეკუთვნება ჯებირს, რომელიც როგორც სანაპირო ზოლის, ასევე ხმელეთზე მდებარე ფერდობის მიწების დაცვა-აღდგენის უმთავრეს საშუალებად გვევლინება. ასეთ ადგილებში (რთული რელიეფის პირობები იგულისხმება) ნიაღვართან ბრძოლა განხორციელებულია ჯებირით „წყლისათვის ყელის შეკრთა“. „წყლის დაქვრით“. „წყლის აქცევის“ მეშვეობით.

ამ სახის სამუშაოთა ხასიათისა და მათი ჩატარების ორგანიზაციის შესახებ გამოვლენილი ეთნოგრაფიული მონაცემები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

1. შიდა ქართლის ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ნიაღვარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარება და დასაცავ ნაგებობათა მოწყობა ძირითადად კოლექტიური შრომის გამოყენებით იყო განხორციელებული. ერთი ოჯახის მიერ ამგვარი სამუშაოს შესრულება მხოლოდ ცალკეული შემთხვევის სახით ვლინდება და საყოველთაო ხასიათს არ ატარებს.

2. აღნიშნული სახის სამუშაოები და მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები და მასშტაბი განსაზღვრულია ნიაღვრისა და წყალდიდობის წარმომქმნელი მიკროკლიმატური გარემოს შეფასებითა და ადგილობრივი ბუნებრივი პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით: ხალხური გამოცდილება, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ამა თუ იმ სამეურნეო ფართობებისათვის იძლევა წყალდიდობის მასშტაბისა და მისი მოქმედების კოეფიციენტის ოპტიმალურად სწორ განაგარიშებას. აქ, უპირველს ყოვლისა, განსაზღვრულია ხეებისა და ხევისწყლების, წყარო-ნაკადულების, ფშების, მდინარეებისა და თავსხმა წვიმებით შექმნილი საშიშროების ხარისხი და სათანადო ღონისძიებათა გამოყენებით განხორციელებულია მოსალოდნელი ზარალისაგან სამეურნეო ფართობების დაცვის ეფექტური საშუალებანი.

3. შრომის გაერთიანების ფორმები ნიაღვარსაწინააღმდეგო ნაგებობათა შესაქმნელად ხორციელდებოდა შემდეგი ერთგულების მიხედვით: ა) მეზობლად მდებარე კარმიდამოსა და სამეურნეო ნაკვეთების მფლობელთა გაერთიანება წყლისაგან დამცველ ნაგებობათა შესაქმნელად; ბ) ერთი უბნის მოსახლეთა მიერ სამოსახლოსა და სამეურნეო სავარგულების წყლისაგან დასაცავად შექმნილი შრომითი გაერთიანება. გ) მთელი სოფლის საერთო ძალებით სოფლის საერთო კუთვნილებისა თუ ტერიტორიის დაცვა-შემავრება — შარაგზა, სასმელი წყლის ტრასა, სასოფლო ნაგებობები და სხვა; დ) ხეობისა და სოფელთა (2,3 და მეტი) ერთობლივი მონაწილეობა მდინარეთა დინების მიმდებარე ტერიტორიისა და სოფლის სავარგულების დასაცავ მოწყობილობათა შექმნაში გაერთიანებული ძალებით, მუშახელისა და სამშენებლო საშუალებათა კოლექტიური მონაწილეობით. აღნიშნული სამუშაოების შესრულება გაერთიანებაში შემავალ მხარე თავის მკაცრად იყო რეგლამენტირებული თითოეული მონაწილის მიერ გაწეული შრომისა და მშენებლობაში გამოყენებული შრომის საშუალებათა მონაწილეობის შესატყვისად.

სხვადასხვა კონსტრუქციის მქონე ნიადაგდასაცავი საშუალებანი მუდმივ განახლებასა და შენებას მოითხოვდა. მართალია, შიდა ქართლის უმეტეს ტერიტორიაზე მათი მიგნება ძნელია, მაგრამ არის ისეთი უბნებიც, სადაც მთა-ფერდობებზე განლაგებული სამეურნეო ნაკვეთების დამცველი და წყლისა და ხევისპირების გასამაგრებელი საშუალებანი — „ქვის ყორეები“ და „ხის ნაკედლარები“ დღემდეა შემორჩენილი. ამას გარდა, ინჟინერული ნაგებობანი ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებენ ხალხური ტრადიციული ხერხების გამოყენებას, განსაკუთრებით წყლის სანაპირო საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, „თანამედროვე სრულყოფილი ტექნიკური აღჭურვილობის მიუხედავად (იმის მიუხედავად, რომ ყველგან ფიჩხ-ნაშენთა ნაცვლად შექმნილია და იქმნება უახლესი ტიპის საგზაო ელემენტები) სასწრაფო საშუალებად ისევ ძველებურ ფიჩხ-ქვების საშენებს იყენებენ. ფიჩხ-ქვების ნაშენთა ასეთი შეუნაცვლებლობა განპირობებულია იმით, რომ ისინი სწრაფად, „ოპერატიულად“ იქმნება, რადგან საშენი მასალა ადგილზეა და დახელოვნებული ოსტატებიც გზის გაყოლებით თითქმის ყველა პუნქტში ბინადრობენ“<sup>142</sup>.

---

<sup>142</sup> ნ. კვეზელი-კობაძე, გზათა მშენებლობა საქართველოში, თბ., 1974, გვ. 135.

ბერასული მეურნეობა, ნიადაგების ათვისებისა და დაცვის  
ტრადიციულ ზემო და ქვემო ქართლში

ისტორიული მესხეთი ანუ ზემო ქართლი თავის დროს საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მდიდარ ბუნებრივ პირობებთან ერთად, ეს მხარე გამოირჩეოდა განვითარებული მიწათმოქმედებით: მესხეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველ ტომებს პური იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ; მისდევენ ისინი მევენახეობა-მელვინეობასაც, აშენებდნენ შინაურ საქონელს<sup>1</sup>. მესხეთის დახასიათებას კარგად გადმოსცემს ვახუშტი ბატონიშვილი. „...ჰავით მშვენი და შემკული, აგარაკოვანი... ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან... და ხილნი რომელნიცა აღვსწერეთ არიან მრავლად... მდინარენი მრავალნი დიდნი და ჩქარად მომდინარენი, წყარონი ტკბილნი, მშვენი და კარგნი...“<sup>2</sup>. მთელი მხარე განვითარებული სააწყავი ქსელით იყო დაფარული, ხოლო მთის კალთებზე და ძნელად მისადგომ ფერდობებზე მოწყობილი იყო ქვეთ ნაშენი ხელოვნური ტერასები. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, მესხეთს გააჩნდა თავისი ადგილმდებარეობით უპირატესობა, გამოხატული მისთვის „მთა-ბარის სიახლოვეში“, რაც მისი მეურნეობის მრავალდარგიანობას განაპირობებდა. ამიტომ, მიუხედავად რელიეფის სირთულისა, აქ განვითარება პოვა მრავალმა დარგმა, რომელთა შორის მიწათმოქმედებას განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება. მესხეთის ტრადიციული მიწარმოქმედებისათვის დამახასიათებელია როგორც დიდი გუთანი, ასევე ჭილღავოგორა, ფერდობის სახენელი და უფრო მარტივი მთური სახენელი—არონა; მარცვლეულებიდან—დოლისპური, თავთუხი, ქერი ჭვავი, სიმინდი, ასლი, დიკა, ფეტვი, პარკოსანი კულტურება: მუხუდო, ოსპი, ცერცივი, ზეთოვანი კულტურა სელი და სხვა. შესა-

1 საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946, გვ. 153;

2 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 120.

ბამისად გაშლილ სახნავ-სათეს ადგილებს ენაცვლება მთის სახნავებო. აქვეა მრავალფეროვანი მარცვლეულის დასამუშავებელი სამეურნეო იარაღები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მაგალითად, არქაული მოწყობილობა — ასლის საცხეველი „სანაყავი ქვა“ და მისივე ადგილობრივ ჩამოყალიბებული, განვითარებული კონსტრუქციის ხელსაწყო — დინგი. და სხვა.

მე-16 საუკუნეში მესხეთი მიტაცებული აღმოჩნდა თურქ და-მპყრობელთა მიერ და საუკუნეთა მანძილზე მოწყვეტილი იყო საქართველოს, მისი ზოგი რაიონის განთავისუფლება შესაძლებელი გახდა მე-19 ს. პირველ ნახევარში, რუსეთის სამხედრო მოქმედებათა შედეგად თურქეთის მიმართ; 1929 წელს, ოსმალეთთან დადებული ზავის ძალით, რუსეთმა შემოიერთა საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიის ნაწილი<sup>3</sup>. მესხეთში შემავალი 9 პროვინციიდან დღეისათვის საქართველოს ფარგლებში ორიღა შემორჩა — სამცხე და ჯავახეთი. საუკუნეთა მანძილზე უცხოელთა ბატონობამ ამ მხარეს ძალიან მძიმე დაღი დაასვა<sup>4</sup>. ერთმა ნაწილმა მაინც შესძლო არსებულ პირობებში ქართველობა შეენარჩუნებინა, ქრისტიანობასთან ერთად დაეცვა თავისი ხალხის თაობიდან თაობაში გადმოსული კულტურული მონაპოვარი.

მესხეთის ტერიტორია დაღარულია მათა გრეხილებით, რომლებიც აჰარის, გურია-იმერეთისა თუ მესხეთის მთიანეთის მცირე განშტოებაა. აქ ბევრია დიდი თუ მცირე ხეობა, რაც ბევრად აპირობებს ამ კუთხის სამეურნეო საქმიანობის ხასიათს. ყველაზე დიდია მტკვარის ხეობა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება. მტკვარს, მესხეთის ტერიტორიაზე, მთელ სიგრძეზე ორივე მხრიდან მოერთვიან დიდი თუ მცირე ხეებო, რომელთაც მდინარეთა დინების შესაბამისად აქვთ სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულება: სოფ. მინაძესთან მტკვარს მოერთვის ურაველის წყალი, რომელიც სათავეს ერუშეთის მთებში იღებს, მისი მიმყოლი ხეობა ნაწილობრივ ტყითა და ხშირი ბუჩქნარითაა დაფარული. ხეობა ღრმაა, მის სიღრმეში განლაგებული სოფლები (ურაველი, ანდრიაწმინდა და სხვ.) მაღალი მდებარეობით ხასიათდება. ადიგენის რაიონში მდ. ქვაბლიანისწყალი ქმნის ქვაბლიანის გაშლილ ხეობას, რომლის ნაპირები ტყეებით არის დაფარული. სოფლების უმეტესობა მდ. ქვაბულიანის მარცხენა სანაპიროზეა განლაგებული. ხეობა ფართო ზონალური მაჩვენებლია

3 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუშბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 416.

4 მ. ჭანაშვილი, მესხეთი, თბ., 1915, გვ. 11.

ზასიათღება და სიგრძით ორჯერ აღემატება ურაველის ხეობას. მდ. ქვაბლიანი ქ. ახალციხესთან მტკვარს ერთვის. ფოცხოვის ხევი ვალის ქალებთან უერთდება მდ. ჯაყისწყალს, მიემართება აღმოსავლეთით და უერთდება მტკვარს სოფ. წნისის მისადგომებთან. წნისისავე მაბლობლად მტკვარს ერთვის წნისის ხევი, რომელიც ფერსათის მთებში იღებს დასაბამს. ხერთვისის ხეობა ჯავახეთის მტკვარის შიშართულებითაა გადაჭიმული და წარსულში განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებული მონაკვეთია. აქვე უნდა დაეასახელოთ ოშორის ხეობა, ტოლოშის ხევი, ქვაბის ხევი, წრიოხის ხევი, ვარნეთის ხევი, მლაშე ხევი, ღრეჯის ხევი და სხვა.

სპეციალურ ლიტერატურაში მესხეთის გეომორფოლოგიური აღნაგობა და ნიადაგური სტრუქტურა საფუძვლიანად არის შესწავლილი. ამ კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ზედაპირის მოყვანილობით მესხეთი გვევლინება მთიან ქვაბურად, რომელიც ზღვის დონიდან 1000—2500 მ. სიმაღლეზე მდებარეობს<sup>5</sup>. მესხეთის კლიმატი ხასიათდება მკაცრი ზამთრით, ცხელი ზაფხულითა და ჰაერის მნიშვნელოვანი სიმშრალით, რომელიც წლის სხვადასხვა დროს მკვეთრი ცვალებადობით აღინიშნება. მესხეთის ძლიერად დანაწევრებული რელიეფის პირობებში თავს იჩენს კლიმატური ფაქტორის მრავალფეროვნება როგორც ცალკეული რაიონის ფარგლებში, ისე თითოეული დასახლებული პუნქტის შიგნით<sup>6</sup>.

მესხეთის ზონალურ მრავალგვარობას შეესატყვისება მისი ნიადაგური საფარი, რომელიც 9 ძირითად ტიპად არის წარმოდგენილი<sup>7</sup>. ეს ხელს უწყობს მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას მევენახეობა-მებაღეობიდან — მესაქონლეობამდე, და განაპირობებს ამა თუ იმ მიკრორაიონის სპეციალიზაციას კულტურათა შესაბამის სახეობაში. ახალციხის ქვაბურში, განსაკუთრებით მის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში ძლიერად იჩენს თავს ნიადაგების ეროზია, რაც ბევრად განაპირობა აქ არსებული ტყეების მოსპობამ და თიხა-ფიქალების გავრცელებამ, რომელიც ადვილად განიცდის ზედაპირულ გადარეცხვას<sup>8</sup>.

<sup>5</sup> გ. გეხტმანი, სამცხის ბუნებრივი სიმდიდრენი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, გვ. 79.

<sup>6</sup> Ковалевский Г. Н. Вертикальное распространение главнейших культур растений в респ. и автон. областях Кавказа, Труды по прикладной генетике и селекции, т. XXII, № 5, 1930; Азарпетов А., Ахалцихский уезд, гз. Кавказ, 1872, № 19.

<sup>7</sup> მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1965, გვ. 445.

<sup>8</sup> ი. კორძაბია, საქართველოს ჰავა, თბ., 1961, გვ. 83.

მესხეთში განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული ვერტიკალური ზონალობის მაჩვენებელი, რაც განაპირობებს როგორც სამიწათმოქმედო კულტურათა, ასევე მეურნეობის დარგების ხასიათს. სპეციალური მონაცემებით, მესხეთის ტერიტორია იყოფა 4 ვერტიკალურ ზონად, რომელიც 900—1000 მეტრიდან 2000—2500 მეტრამდე (ზ. დ.) მერყეობს<sup>9</sup>. პირველი ზონა (900—1100 მ. ზ. დ.), ძირითადად, ახალციხის ქვაბულის ფსკერის ცენტრალური ნაწილით არის წარმოდგენილი და მოიცავს აგრეთვე მდინარე მტკვრის სანაპირო ზონას, მასში შემდინარე წყლების შესართავებთან ახლომდებარე ფართობებით. მისი რელიეფური და კლიმატური პირობები ხელს უწყობს მევენახეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებას. ამ ზონაშია განლაგებული ხეობათა დაბალ კალთებზე მოწყობილი ტერასები; მარცვლეულიდან ჰარბობს საშემოდგომო ჯიშები. მეორე ზონა (1000—1400 მ. ზ. დ.) ქმნის შესაძლებლობას როგორც მემინდვრეობის, ასევე ზოგ რაიონში მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებისათვის. ამ ზონის დასახლებანი ხეობათა სიღრმეშია კონცენტრირებული. პურეული კულტურებიდან საშემოდგომო ფორმათა გვერდით თანაარსებობენ საგაზაფხულო ჯიშები. მესამე ზონა (1500—2000 მ. ზ. დ.), ტერიტორიით უდიდესი, მაღალმთიანი მდებარეობითა და მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვით ხასიათდება. მეურნეობის ფორმებიც შედარებით ერთგვაროვანია: მევენახეობა თითქმის აღარ ჩანს, მებაღეობა სუსტადაა განვითარებული, გაბატონებული მდგომარეობა უკავია პურეულის საგაზაფხულო ჯიშებს. ეს ზონა შედარებით მდიდარია ტყის საფარით, რომელსაც ძირითადად კლიმატური და ნიადაგების ნალექთა დაცვითი მნიშვნელობა ენიჭება<sup>10</sup>. მეოთხე ზონა (2000 მ. და მეტი ზ. დ.) ძირითადად მთის თხემებითა და მწვერვალებით ხასიათდება, რომელიც ზაფხულობით ბალახით იფარება და მნიშვნელოვანია მეცხვარეობისათვის<sup>11</sup>.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ მიწათმოქმედება მესხეთში ისტორიულად ვითარდებოდა თავისებურ სამეურნეო გარემოში და შეფარდებული იყო ბუნებრივი პირობების ადგილობრივ ხასიათთან. ამ თვალსაზრისით აქაური მიწათმოქმედება ბარულ ხასიათსაც ატარებდა (ახალციხის ქვაბული), და ნახევრადმთურ და მთურსაც (მესხეთის მთათა მთისწინების ზოლი, მთიანეთი). მიწათმოქმედების დარგებიდან ყველაზე უფრო განვითარებულ და საყოველთაოდ გავრ-

<sup>9</sup> ლ. კარბელაშვილი, სამცხის რაიონების ეკონომურ-გეოგრაფიული მდებარეობა და აღმ. დაყოფა, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, გვ. 35—36.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 36—37.



ცლებულ დარგად გვევლინება მემინდვრობა. ცალკე დარგია ასევე მევენახეობა-მებაღეობა. ამ სფეროში იჩენს თავს მესხეთის რელიეფის თავისებურებანი, ბარის ზოლში აღნიშნული დარგები საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ ტრადიციას ემყარება; მთისწინეთის ზოლში კი განვითარებულია ამავე სახის მეურნეობის ტერასული ფორმები. ამას ოდითგან აპირობებდა მესხური ვაზის განსაკუთრებული თვისებები, რომელსაც ახასიათებს გარემო პირობებთან შეგუების იშვიათი უნარი. ამიტომ ეს ტერიტორია, მევენახეობა მეღვინეობის ფართოდ გავრცელებასთან ერთად, ვაზის მთელი რიგი აბორიგენული ჯიშების კერად არის მიჩნეული; მათი უმრავლესობა შეგუებულია მაღალმთის კლიმატურ პირობებს. მიუხედავად იმისა, რომ ვაზი სითბომოყვარული მცენარეა, მესხური ჯიშები უფრო სიგრილეს არიან შეჩვეულნი და საუკეთესო მსხმოიარობით ხასიათდებიან<sup>12</sup>. ამას აპირობებს ცალკეული ჯიშების შეგუების უნარი კონკრეტულ ნიადაგურ და კლიმატურ პირობებთან, ასევე მევენახეობის ფორმები — მაღლარი, დაბლარი, განრთხმული. ასევე განთქმულია მესხეთი ხილის მრავალფეროვანი მაღალხარისხოვანი ჯიშებით, რომელიც არა მარტო შინა ბაზრისთვის იყო განკუთვნილი, არამედ საექსპორტო დანიშნულებაც ჰქონდა (ვაშლი და მსხალი)<sup>13</sup>.

მესხეთის დანაწევრებული რელიეფის პირობებში განსაკუთრებულ ასახვას პოულობს მზის ენერჯიის სამეურნეო დანიშნულებით შეფასება: ხალხში დაცულია ღრმა ცოდნა ფერდობზე განლაგებული ნაკვეთების მზისა და ჩრდილის მხარეებად დანაწილებისა და სათანადო კულტურათა შერჩევისა. მზიანმა მხარემ, „მზის გულმა“ უკეთესი მოსავალი იცის, მაგრამ ზოგი კულტურა ჩრდილიან მხარეს უკეთ აღმოცენდება (მაგალითად, ქერი). ამიტომ მარცვლეულები მათი ბუნებისა და გარემო პირობებისადმი მომთხოვნელობის მიხედვით, შერჩევით ითესება, რაც მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობისა და სახნავი ფართობის ექსპოზიციის შესაბამისადაა განსაზღვრული.

მზის ენერჯიის სამეურნეო შეფასების ხალხური გამოცდილება თავის ფართო, პრაქტიკულ გამოყენებას ახლს აღების წესებში. პოვებს, რაც მესხეთის მიწათმოქმედებაში უძველესი, ტრადიციული საშუალებაა. ახოს აღება წარმოებდა როგორც ხნოვანი ტყის გაკაფ-

12 მ. რამიშვილი, მევენახეობის განვითარება მესხეთში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, მე-14, თბ., 1943, გვ. 11.

13 ი. უთურაშვილი, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია... მაცნე, № 6, თბ., 1966, გვ. 182.

ვით. ასევე წლების მანძილზე მიტოვებული ნასვენ მიწების (კო რ დი. ჰაროსი) ათვისებით. მე-19 საუკუნის ბოლოსათვის უკვე მცენარეულითა და ტყით ღარიბი მესხეთის მიწა-წყალი წარსულში ზშირი. გაუვალი ტყეებით იყო დაფარული<sup>14</sup>. ამის დადასტურებას წარმოადგენს ამჟამად სრულიად შიშველ მთა-გორებზე გამოვლენილი ძველი ნახთარი ადგილები, რომელთა ტოპონიმები ხალხის ხსოვნაში დღემდეა დაცული.

ახოს ალების სისტემას მესხეთში უკავშირდება ნიადაგებს ათვისების საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა — ლარები<sup>15</sup>; რომელთა ინტენსივობა ადგილობრივი გეოზონალური რეჟიმის თავისებურებებით არის შეპირობებული. მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებები ახალი სახნავი ადგილების შექმნის პრაქტიკულ ღონისძიებაში გამოიხატება. ამ მიზნით გორაკ-ბორცვებზე, მთის კალთებზე და ხეობათა სანაპიროს მიმდებარე ფერდობებზე სახნავად ათვისებული იყო მიწის ნაკვეთები, რომლებიც ახოს ალების საგანგებო წესითა და ხენის სათანადო ორგანიზებით იყო მიღწეული. ლარი მთის კალთაზე სიგრძეზე განლაგებული სახნავი ფართობაა, რომელიც ნიადაგშივეა გამოხნული და მოსწორებული. ფერდობას დახრილობა მისი სიგანეში გაზრდის შესაძლებლობას ამცირებს, ამიტომ ჩვეულებრივ 3—4 კაბდოს სიგანეს არ აღემატება<sup>16</sup>. სიგანის კომპენსირებას ავსებს სიგრძე, რომელიც ლარს 200—300 მეტრი და მეტიც შეიძლება ჰქონდეს. შემაგრება ან ჯებირი ლარს არ უკეთდება; იარუსულად განლაგებული მონაკვეთები ერთმანეთისაგან ბალახითა და ბუჩქნარით დაფარული დაკორდებული ზოლით არის გამოიჯნული. ამდენად, ორ ლარს შორის მოქცეული მიწის ზოლი ზღვარია, რომელიც დიდ როლს ასრულებს ეროზიისა და ნიადაგარული წყლებისაგან ლარების ნიადაგის დასაცავად. ზღვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ განსაზღვრულ დახრილობას ქმნიან ფერდობის ხასიათის შესაბამისად, რაც პრაქტიკულ გამოყენებას პოულობდა; ეს იყო ხელოვნური სათიბი, ასევე საქონლის საძოვარი ხენის დროს.

ლარებზე მარცვლეული კულტურები შერჩევით ითესებოდა. ამას განაპირობებდა როგორც მათი მდებარეობა (ზონალური კუთვნილება, მზისა და ჩრდილის მხარე), ასევე ნიადაგის ხარისხი. ლარების უმეტესწილად მაღალი მდებარეობის გამო, მათი გამოყენება ძირითადად

<sup>14</sup> ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1924, გვ. 253.

<sup>15</sup> ლ. ბერიანელი, მიწათმოქმედება მესხეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1973, გვ. 96—99.

<sup>16</sup> ადგილობრივი კაბდოს ზომებია 1.75—2 მ.

მარცვლელის საგაზაფხულო კულტურებისათვის ხდებოდა (ასლი, დიკა). საყოველთაოდ იყო მიღებული ლარებში ქერისა და დიკას შე-რეული ნათესი, ე. წ. ქ ე რ - დ ი კ ა ა ნ უ ქ ე რ ქ რ ე ლ ი. იშვიათი იყო განოციერება, ასევე მორწყვა<sup>17</sup>. ნიადაგის გაუმჯობესების მიზნით მარცვლელ კულტურებს უნაცვლებდნენ მრავალწლიან (ოს-პი, ცერკვი) ან ზეთოვან მცენარეებს. მოსავლის აღების შემდეგ მისი გამოტანა ხდებოდა მარხილით, უფრო მისადგომი ადგილებიდან კი — ურმით. ხალხური დაკვირვებით ლარების მოსავალი განსაკუთრებულ სიუხვეით გამოირჩეოდა და შალალი ხარისხისა იყო<sup>18</sup>.

ადგილობრივი მოსახლეობა ლარებს ასე ახასიათებს: „ლარები ფერდი ადგილებია, უკედლო. ჩვენი საპურე ადგილები თითქმის სულ ლარებად იყო — საშეშები, ზიარეთის გვერდები კაპარკა, ქაბრულეები, პანტი ლარები, ლევაზას ლარები, კნაპი-ყანები სულაც ლარები არ არიან!“ (აწყვიტა). „გვერდი ადგილები, სადაც არის საპურე, იმას ჩვენთან ლარებს ვეტყვი. ამ ლარებს შორის ადგილი ზღვარია. ზღვარი ფერდი იყო და ლარი სწორი, იმ ფერდაში იყო გამოხნული“ (ტოლოში). „ლარი ის არის რომა ქვევიდან ბრეკია და ზე-იდანაც ბრეკი, შუაში სწორია, ლარია“, „ლარებში ადრე ტყე იყო, გადმოცებით გამოიგია, ეხლა აღარ არის. სოფელში ადგილობრივი წყაროც ბევრი იყო, ეხლა გაშრა“ (ხიზაბაჯრა); „ლარები დანაწილებული იყო — ზოგს 10 ლარი ჰქონდა, ზოგს — 5... აქ სულ ლარებადაა პატარა ყანები, წმინდა ყანებია“. (ნაქალაქევი); „ლარი არ არის ადგილის სახელი, პატარა ყანებს ვეძახდით, ვიწრო იყო და გრძელი. ლარს ისა ჰქვია რო ზღვარსა და ზღვარს შორის ლარივით გასდევს. (მუსხი); „ლარები გვერდებზეა, ნაკვეთებია ვაკე და ვაკე. ზევით-ზევით, სწორად მიდის; ჯერ — ერთი, მერე — მეორე; ზოგი განიერია და ზოგი

<sup>17</sup> მიღებული იყო ასევე რამდენიმე წელიწადში ერთხელ ამ ნაკვეთების ნასვენად, ყამირად დატოვება, რომ ნიადაგს ნაყოფიერება დაებრუნებინა. მთელი რა-გი მთის სოფლებისათვის ლარები ძირითადი სახნავი ფართობები იყო. ადგილობრივ დადასტურდა მათი მოხსენება „გარე ყანებად“, როგორც ურაველის ხეობის XIX საუკ. აღწერილობაშია ნათქვამი — „მოსახლეობა მისდევს ძირითადად პურის მოყვანას... სოფელთან ახლოს მდებარე მიწების გარდა, მათი სიმცირის გამო, მიწას ამუშავენ მთა-გორებზე, სოფლიდან 8—10 ვერსის დაშორებით, სადაც თესენ საგაზაფხულო ხორბალს, ასევე იყენებენ სათიბად და საქონლის საძოვრად. მიწა ურწყვიან“. Андроникашвили Л. Д., Описание 3-го Уравельского полиц. участка Ахалцихского У., ЗКОИРГО, кн. XVI, тифл. 1894, стр. 259. დაღესტანში ლარის მავარად შექმნილი ტერასების უმრავლესობა სარწყავია, რისთვისაც საგანგებოდ მოწყობილი არხებია გაყვანილი, М. А. Агларов. Андийская группа на-родностей XIX-начала XX вв., Мах. 1965, стр. 70.

<sup>18</sup> ბ. ნადირაძის ცნობით (99 წ. სოფ. ტოლოში), იფნიეთში და კულუღეთში სოფელს კილომეტრამდე სიგრძის ლარები ჰქონია.

ვიწრო“. (ჭობარეთი) „ლარი თოკი რო ვააბა გრძელი, ეგეთი იყო ვიწრო, მატყლის საპენტელა ხესა ჰვიან ლარი“ (თმოგვი).

ლარების ჩამოყალიბება, მათი ფართობის გაზრდა ხდებოდა არა ერთბაშად, არამედ წლების მანძილზე, ხვნის გარკვეული წესის გამოყენებით. სახვნელად გამოყენებული იყო მესხური ჯილა, რომელიც მიწას გუთანთან შედარებით მცირე სიღრმეზე აბრუნებდა და მის გაფხვიერებას სახნისის ორმხრივად, ხნულის სიგრძეზე ახდენდა<sup>19</sup>. ჯილის თავდაპირველი ფუნქცია სწორედ ლარების, მაღალი მდებარეობის მქონე ნაკვეთების დამუშავებით უნდა ყოფილიყო შემოფარგლული, თუმცა მე-19 საუკუნის მონაცემებით მას რეგიონში უკვე გაბატონებულ მდგომარეობა უკავია. ნაფუძვრების, გაშლილი ველების დასამუშავებლად ოდითგან გამოყენებული იყო დიდი გუთანი 10—12 უღელი ხარკამეჩით, რომელსაც ადგილობრივ შავ გუთანს უწოდებენ. მაგრამ გარკვეული პერიოდიდან გუთანი თანდათან ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ჯილის პრიორიტეტის გაზრდის გამო გადის ხმარებიდან; ამ მოვლენას სპეციალური კვლევით სათანადო ახსნა აქვს მოცემული<sup>20</sup>. განსაკუთრებით ძნელად მისადგომ ლარების ნაკვეთებში ნიადაგის დამუშავება კავით წარმოებდა, რომელსაც ადგილობრივ არუნა/არონას უწოდებენ მართალია, არონათი ნიადაგის ღრმად დამუშავება არ ხდებოდა, მაგრამ სათესი კულტურების მოთხოვნილებათა შესაბამისად (ქერ-დიკა, ქერ-ჰრელი, ასლ-დიკა), სრულიად აკმაყოფილებდა მათ ნორმალურ აღმოცენებას<sup>21</sup>.

ლარების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩევა მესხეთის შემდეგი პუნქტები: უღე, ჩორჩანი, მლაშე, საყუდაბელი, აწყვიტა. ოშორა იღუმალა, ნაქალაქევი, ხიზაბავრა, წყორა, ანდრიაწმინდა, ტოლოში და ბევრი სხვა, რომელთაგან უმეტესად მხოლოდ ნასახლარებია შემორჩენილი. ყოველი ცალკე სოფლის ლარულ სახნავებს თავ-თავისი სახელი გააჩნდა, რომლითაც ხდებოდა მოსახლეობის ორიენტირება მათი ტერიტორიული მდებარეობის გასარკვევად. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სოფ. ხიზაბავრის კუთვნილი ლარები — სახიზრები, ბეგოთ-ლარები, დედოფალა-ღელე, ლარეები, ვერხნალი, სანამქრები, ხმელ-ხევი, ოდის-წყარო... ლარების საინტერესო კომპლექსია ურაველის ხეობაში, ელიას მთის აღმოსავლეთი

<sup>19</sup> ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 144.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 137—142.

<sup>21</sup> მესხეთში ოდითგან დიდი პრიორიტეტი გააჩნია დოლის პურს, რომელიც აქ „მესხური დოლი“ სახელითაა ცნობილი. იგი განსაკუთრებულ დამუშავებასა და ღრმად ხვნას მოითხოვს. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საუკუნის დასაწყისისათვის მესხური დოლის ნათესები პროცენტულად საგრძნობლად შემცირებულია და დოლ-კვავის შერეულ ნათესსა აქვს მოპოვებული უპირატესობა. ლ. ბერიაშვილი, დასახ. ნაშრომი.

ფერდობის გაყოლებაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „დაწყობილ ყანებს“ უწოდებს. ლარების უძველესი ნაშთები შემონახულია ვერთაყანაში (ბერთაყანა), სოფ. თმოგვის ჩრდ.-დასავლეთი მიმართულებით, მტკვრის ხეობაში. ლარების კარგად დაცული ნაკვეთები ფუნქციონირებს სოფ. ჰობარეთის მიდამოში, მისი სამხრეთი ფერდობების მონაკვეთში, რომელზეც ახლაც ხორბლეული მოჰყავთ. ქვაბლიანის ხეობა ლარებად ათვისებული ფერდობების სიმრავლით ხასიათდება, განსაკუთრებით მის შუა ნაწილში და ზემო წელში. ლარებად მოწყობილი ყანები კარგად ჩანს ვალის გადმოსახედიდან, საზღვარს გადაღმა ძველი ქართული სოფლების კუთვნილ ტერიტორიაზე, როგორცია სტეფანწმინდა, გადაღმა ალი, ბადელა.

ლარებად დამუშავებული მიწის ნაკვეთები დასტურდება ასევე ბორჯომის ხეობაში. მათი სიმრავლე განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოფ. ლარებისა<sup>22</sup> და ჰობისხევის მიდამოებში. სოფ. ლარები ამჟამად უკაცრიელია: მოსახლეობამ ომის შემდგომ პერიოდში დატოვა იგი უგზობობის გამო და ბარში ჩასახლდა. მთების მაღალ კალთებზე დღესაც კარგად შეიმჩნევა სიგრძეზე გამოხნული მონაკვეთები, რომელთაგან ყოველ ცალკეულს ტყის ზოლი გასდევს სიგრძეზე, ტყე ესაზღვრება. აქ კარგად შეიძლება გავაღვიწყოთ თვალი ლარების ათვისების ადრინდელი გარემოს ხასიათს ტყიან მთა-გორებზე გამოხნული ნაკვეთების სახით, რომლებიც მესხეთის სხვა უბნებზე მხოლოდ მცენარეულით შიშველ მიდამოშია შემორჩენილი<sup>23</sup>. ადრე ლარებად ათვისებული ადგილები ამჟამად ხშირი ტყითა და ფარული და მისაგნებად ძნელი ხდება. ჰობისხევიდან სოფ. შინაძეში გადმოსახლებული ინფორმატორების ცნობით ლარები, რომელთაც ჯილდით იყო დამუშავებული, დიდი მოსავლით ხასიათდებოდა<sup>24</sup>. სახელწოდება ლარი მესხეთში სხვა დანიშნულებითაც არის ცნობილი: ჩონგურზე გაბმული სიმი — ლარია<sup>25</sup>; ლარი ეწოდება აგრეთვე იმ

<sup>22</sup> ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ არქეოლოგ ო. ლამბაშიძეს.

<sup>23</sup> შიდა ქართლში და კახეთში ზოგან ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ უბნებს, სადაც ლარების სახნავეს ტყისა და ბუჩქნარის მიჯნები აქვს შემორჩენილი, რომელთაც ხალხი წარათებს უწოდებს. ეს ახოს ადების იმ პერიოდის ანარეკლია, როდესაც ლარების ათვისების დროს ყოველ ნაკვეთს გაყოლებაზე ტყის ზოლს უტოვებდნენ, რომელიც მისთვის ნიადაგისა და წყლის დამკველ-მარეგულირებელ საშუალებას წარმოადგენდა. ბორჯომის ხეობის ლარები კარგად გადმოსცემენ ამ სურათს.

<sup>24</sup> ი. ზედგინიძე, 90 წ., სოფ. შინაძე.

<sup>25</sup> „ლარი ცხვის წლებისაგან დამზადებული სიმი, ჩონგურს უკეთებენ“ — გადმოგვცემენ მთხრობლები. მიუხედავად იმისა, რომ ეთნოგრაფიულ ყოფაში

მოწყობილობას, რომელიც ამ რეგიონში მატყლის საპენტადაა გამოყენებული; მისი მთავარი ელემენტია გრძელი, მსხვილად დაგრეხილი სიმი — ლარი, იგი ორივე ბოლოთი მაგრდება ხის ჩარჩოზე, რომელიც ოდნავ მოღუნულია, „მოდრეკილია“. ლარის მეშვეობით წარმოებს მატყლის დამუშავება. „ხელის გამოკვრით ვპენტავდით“ — მიგვითითებენ მოხუცები. ისე რომ საპენტი მოწყობილობის სახელწოდებაც ამ ელემენტისაგან წარმოდგება. ის ანალოგია, რომელიც მქლავნდება ლარის სამეურნეო ტერმინოლოგიაში, სწორედ მისი სისწორის, სიწიროვისა და სიგრძის გაგებასთანაა დაკავშირებული, მისი მეშვეობით არის დახასიათებული. მოტანილი მასალა ნათელყოფს ლარების სისტემის მნიშვნელობას მესხეთის სამეურნეო ცხოვრებაში. ადგილობრივი რელიეფისა და კლიმატის კონკრეტული მონაცემების გათვალისწინებით, ათვისებულია სახნავი მიწების მნიშვნელოვანი ფართობები, მთისა და მთისწინა. ზოლში გამოჩნდება დამატებითი სახნავ-სათესი მიწები. ლარების გამოყენების ფართო მასშტაბი მესხეთში მიუთითებს როგორც მის დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ადგილობრივ მემინდვრობაში. ასევე ამ უკანასკნელის მაღალ დონეზე, მის ინტენსიურ ხასიათზე.

მესხეთის მრავალდარგოვან მიწათმოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნება ტერასულ მეურნეობას, რომელიც ამ კუთხის გეოგრაფიული თავისებურებებით არის შეპირობებული და ხეობათა ტერიტორიებზეა კონცენტრირებული. რელიეფური, კლიმატური და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობის გარდა. ტერასების აღმოცენება მზის ენერჯის სამეურნეოდ გამოყენების ეფექტანაც არის დაკავშირებული. ისევე როგორც მემინდვრობაში. აქაც მქლავნდება ხალხური ცოდნა მზის ფაზებისა, მისი დახრილობისა და ნაკვეთების განათების ხარისხისა წლის სხვადასხვა დროის მონაკვეთში, რაც ტერასების აღმოცენებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. სატერასედ შერჩეული ფერდობები მუდამ „მზის გულია და არა ჩრდილის მხარე“. შესატყვისად, გაზაფხულზე ეს ნაკვეთი სითბოს სხვასთან შედარებით ადრე ღებულობენ. ზაფხულის თვეებში ფერდობზე მზას მცხუნვარება ნაკლებია. ამის ხელშემწყობია ნიავე, სუსტი ქარი, რომელიც თავისი მოქმედებით თბურ რეჟიმს აოეგულირებს. ზამთრის ყინვების დროს. დაბლობთან შედარებით. ფერდობის ნარგავები ნაკლებ ზიანდება, თბური ბალანსის ამგვარი ხასიათი, ფერდობის

---

მესხეთში აქამდე ჩონჯურ არ მოწმდება, ტერმინის ძიებისას საყოველთაო მითითება იმაზე, რომ ლარი ჩონჯურის სიმი, ამ საკრავის წარსულში არსებობას უტყუარ მოწმობადაც შეიძლება მივიჩნოთ. შდრ. „ლარი — წელა“ შეგვრჩალი — ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.

დახრილობის მაჩვენებელი, ქარების თვისებები სხვა მონაცემებთან ერთად ტერასების ტიპოლოგიურ მრავალსახეობას განაპირობებს; შესაბამისად ტერასები განირჩევიან ერთმანეთისაგან სიდიდით, კონფიგურაციით, დახრილობის ხარისხით, სამეურნეო კუთვნილებით. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტადაა დაქანებული ფერდობი, მით უფრო მცირეა სატერასედ შექმნილი ფართობი, რომელიც ნაკლებად ზეუღლ მონაკვეთზე გაცილებით მეტი მოცულობისაა.

ტერასების აღსანიშნავად მესხეთში რამდენიმე სახელწოდებაა დადასტურებული — დ ა რ ი ჭ ი, ბ ა ქ ა ნ ი, ს ა ქ ე ე, დ უ ქ ა ნ ი, ო რ ო კ ო. ეთნოგრაფიული კვლევით შესაძლებელი ხდება ამ ტერმინების შინაარსობრივი და ფუნქციონალური კონკრეტიზაცია<sup>26</sup>, რაც შემდეგში მდგომარეობს: 1. მესხეთის ტერიტორიაზე ტერასული ნაკვეთის ზოგადად აღმნიშვნელი და ფართოდ გავრცელებული სახელწოდებაა ბ ა ქ ა ნ ი. ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს შეხედულებით, წარსულში ამავე მნიშვნელობით უნდა არსებულიყო სახელწოდება ო რ ო კ ი რომელიც დადასტურებული აქვს შ. წიქვაძეს<sup>27</sup>, და ჩვენი მასალათაც მოწმდება. 2. დ ა რ ი ჭ ი და ს ა ქ ე ე ასევე ტერასულ უბანს ეწოდება (ან ცალკე ტერასას) მხოლოდ საჭიროა მათი გამიჯნვა შემდეგი მონაცემებით: ა.) დარიჯის ფართობი გაცილებით აღემატება საქეის ფართობს, ბ) დარიჯები განლაგებულია მდინარეთა დინების გაყოლებით ან ხეობათა ზომიერი დახრილობის ფერდობებზე. საქეები — პირიქით, მაღალი ექსპოზიციის ადგილებშია მოქცეული. გ) დარიჯები ნაყოფიერ ნიადაგებზეა მოწყობილი. მაშინ როდესაც საქეები ქვიშარია და ნაკლებნოყიერი, ამიტომაც წარსულში საქეების ნიადაგს ქვისაგან გაწმენდა და ნოყიერი ფენით შევსება ფართოდ იყო მიღებული. დ) დარიჯებთან შედარებით საქეები მრავალიარუსიანი ნაგებობებია, რომელთა რიცხვი ხშირად ათეულს აღემატება... 3. დ უ ქ ა ნ ი<sup>28</sup> მცირე ფართობის მქონე ერთი ან ორიარუსიანი ტერასის აღმნიშვნელია. რაც შეეხება ტერასული მიწათმოქმედების დარგობრივ პროფილს, ყველა მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ იგი ვენახს, ვაზის კულტურას ჰქონდა დათმობილი.

<sup>26</sup> მხედველობაში გვაქვს 1975—86 წლებში გამოცემული მონაცემები აღრე მღელბული დასკვნების გათვალისწინებით.

<sup>27</sup> შ. წიქვაძე, მევენახეობა: მესხეთში... თბ., 1958.

<sup>28</sup> კალოანი სახლის აღწერას დროს გ. ჩიტაია მიუთითებს — „... ბინაში მოთავსებულია სხვადასხვა დანიშნულებასა და სახის „კასრება“, „კარადება“ და სხვ. კედლებში დატანებული „დუქნები“ (განჯინება) გამოყენებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთის მოსათავსებლად. — გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის სენე, „ანალები“, I, თბ., 1947, გვ. 150.

ამჟამად კულტურულ ნარგავები მხოლოდ დიდი ზომის ბაქნებზეა შემორჩენილი, რომელთაც წყლის მიმდებარე განლაგება აქვთ; იგულისხმება ძირითადად თუთისა და ვაშლის ხეები, ასევე კენკროვანი ხილი. სავარაუდოა რომ ადრე ამგვარ ბაქნებში ანუ დარიჯებში<sup>29</sup> მალარია ვენახი იყო გაშენებული, რომელთანაც ხილის ზოგიერთი სახეც თანაარსებობდა. „ხეხილის ბალის ქვეშ რაც არ უნდა დარგო, არაფერი მოვა“ — გადმოგვცემენ უხუცესი მთხრობლები. საქვებად წოდებული მონაკვეთები ამჟამად შიშველია მცენარეულისაგან და მხოლოდ ზოგან შეიძლება გაველურებული ვაზის ნაშთის მიგნება<sup>30</sup>.

ფერდობის დახრილობის შესაბამისად, ტერასული ნაკვეთების ფართობი, მათი ამგები კედლების სიდიდე, განსხვავებულია: მაღალ ფერდობზე სატერასე კედელი შეიძლება 3 მ აღმატებოდეს; დაბალი და ზომიერი დახრილობის მქონე ფერდობზე კი 1—1,5 მეტრი იყოს. ტიპური ბაქანის სიგანე 5—10 მეტრია, სიგრძე — 30—35 მ. ყველაზე ვიწრო მონაკვეთი 1,5—2 მ სიგანისაა დამოწმებული.

ბაქნების მშენებლობა შემდეგი წესით იყო განხორციელებული: პირველ ყოვლისა შეარჩევდნენ სათანადო მდებარეობის ფერდობს, სადაც წინასწარ იყო გაანგარიშებული როგორი სიმაღლის კედლები უნდა აგებულყო, რა სიდიდის ფართობი იქნებოდა დაკავებული, რა რაოდენობის ქვა მოუნდებოდა, რამდენი მუშა იქნებოდა საჭირო და სხვ. სამუშაოს იწყებდნენ მიწის გამოთხრით, ფერდობის გასწვრივი მიმართულებით და თან ქვას უწყობდნენ; შემდეგ იწყებოდა ფერდობის „გამოკაფვა“. ამ დროს ამოსული ქვა და ღორღი კედლის შენებაში პოვებდა გამოყენებას, ერთდროულად მიმდინარეობდა მიწის გამოღება და კედლის შენება. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ქვის მშრალი წყობის ხასიათს, მის სიმჭიდროვეს, ასევე სათანადო დახრილობას, რაც მშენებლისაგან სპეციალურ ცოდნას მოითხოვდა (ცუდად აგებული კედელი პირველივე წვიმის მერე იშლება). როგორც ადგილზე გადმოგვცემენ — „ქვებით კედელი ისე უნდა ამოივსოს, რომ ცარიელი ადგილი არ დარჩეს, ზოგან ბალახიან კორდს ჩავაყოლებდით, ბალახი ფესვებს გაიდგამს და კედელს გაამაგრებს“<sup>31</sup>,

29 ნიჭორას ბაღების მიდამოში მაგვიითთეს ძველი ვაზის არსებობაზე, რომელსაც ხალხი „დარიჯების ვაზს“ უწოდებს.

30 ვაზის სიყვარული შემოინახა ადგილობრივმა ფოლკლორმა „მიგრეხილო, მოგრეხილო, ზედ მიკრულო მაგრა ხეო, ცოცხალი ვარ შენ მაცხოვრე, მოკვდები — შენ დამარხეო“ — ჩაიწერა ნოდარ ივანიძემ 1984 წ. სოფ. აწუვიტაში 85 წ., თ. ფ. ივანიძისაგან.

31 ნ. ჭინკველაძე, 85 წ.; ა. ინასარიძე, 80 წ., ვ. ქურდაძე, 83 წ., სოფ. მუხხი. გ. გოგალაძე, 89 წ., სოფ. ხიზაბავრა.



სატერასედ შექმნილი ფართობი, სათანადო კულტურათა დანერგვამდე, გარკვეული სახის სამუშაოს ჩატარებას საჭიროებდა: პირველ ყოვლისა ხდებოდა მიწის გასუფთავება ქვა-ლორლისაგან, ე. წ. „გამოკარკვლა“; იწმინდებოდა იგი ასევე ბუჩქნარისაგან მცენარეულის ფესვებისაგან. მიღებული იყო მწირ ნაკვეთებზე „მსუქანი“, ნოყიერი მიწის დამატება, რომელიც ხშირად შორი მანძილიდან მოჰქონდათ; მიწას ეზიდებოდნენ ურმებზე დამაგრებული ძარები, რომელთაგან ზოგი 100 ფუთი ტევადობისა იყო. გაკულტურებული ფენის სიმაღლე კლდიან გრუნტზე 1 მეტრამდე აღიოდა<sup>32</sup>. სხვა შემთხვევაში, ყველა ტერასულ უბანს ნაკელით ამდიდრებდნენ. ამა თუ იმ ნაკეთის შესაქმნელად დახარჯული დრო და მუშასხელის რაოდენობა დამოკიდებული იყო სატერასე ფართობის სიდიდეზე და სირთულეზე. ხელით სამუშაო იარაღად გამოყენებული იყო რკინის კეტო, ხის ნიჩაბი, წერაქვი, ხის ფიწალი. განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ე. წ. თაროიანი ტერასების მოწყობა<sup>33</sup>, ფერდობის დიდი დაქანება საჭიროს ხდიდა მაღალი კედლის ამოყენას. დროთა მანძილზე მისი გადმონგრევის თავიდან ასაცილებლად შემდეგ ხერხს მიმართავდნენ: კედელს, 1,5—2 მ სიმაღლემდე ამოიყვანდნენ, შემდეგ შეთხრიდნენ ფერდობს ისე, რომ 40—60 სმ-ით ჩამოჰკრილიყო მიწა და კვლავ განაკრძობდნენ შენებას. ამგვარად გამოდიოდა მიწის საფეხურიით ორად გაყოფილი. გამიჯნული კედელი, რომელიც მას მდგრადობას ანიჭებდა. თაროიანი ტერასები ეხლაც მოწმდება ს. ბნელას გამოღმა ნაპირზე, გომის ქალებთან შემორჩენილ უბნებზე.

ტერასული ნაკვეთების ექსპლუატაციის საკითხში მორწყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც მიუთითებდით, მესხეთის ტერიტორია მრავალი ხეობითა და ხევითაა დასერილი. მაგრამ მდინარეთა დინების ხასიათი, ხეობათა ღრმა ნაპირები, სავარგულების მაღალი განლაგება, დიდ ნაწილში გამორიცხავს მათ სარწყავად გამოყენებას<sup>34</sup>, ამ მიზნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთის წყა-

<sup>32</sup> აღნიშნული ღონისძიება XIX ს. II ნახევარშიც არის დადგენილი. X. Вермишев, დასახ. ნაშრომი, გვ. 11. ანალოგიური წესია გამოყენებული დაღესტნის ტერასულ მიწათმოქმედებაში, Никольская Э. А., Шиллинг Е. М., Горное пахатное орудие террасовых полей Дагестана, СЭ, 1952, № 4.

<sup>33</sup> თაროიანი ტერასები მესხეთში დამოწმებული აქვს მ. გეგეშიძეს, იხ. მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 94. ამავე სახელწოდებით ვხვდებით მათ აკარაში—ნ. ჩიქავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აკარაში, თბ., 1971.

<sup>34</sup> ამგვარი ვითარება ბევრი მთიანი ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი, Шапошников Д. Г., Горное орошение, М., 1955.

რო-ნაკადულებს, რომელთა ხვედრითი წონა მესხეთის სარწყავ მეურ-  
ნობაში უდიდესი მნიშვნელობისა იყო<sup>35</sup>. მათ ინტენსიურ გამოყე-  
ნებას მ. გეგეშიძე მესხეთის საირიგაციო სისტემის თავისებურად მიიჩ-  
ნევს<sup>36</sup>. როგორც სახნავ-სათესი ადგილები, ასევე ყველა სავენახე და  
საბაღე ფართობი მიკრორეგიონალური დანიშნულების მქონე ადგი-  
ლობრივი წყარო-ნაკადულებით ირწყვებოდა<sup>37</sup>. მათი სიმრავლე დი-  
დად განაპირობებდა ბევრი კულტურის არსებობას მესხეთის ცალკე-  
ულ რაიონში. მთის წყლები სპეციალური სადინარების მეშვეობით.  
მალალი ადგილებიდან დაბლა ჩამოჰყავდათ. მთავარი სადინარიდან —  
რუდან წყალი ნაწილდებოდა როგორც სოფლის უბნების, ასევე ცალ-  
კეული ნაკვეთების მიხედვით<sup>38</sup>. მესხეთის სარწყავი წყლით მომარა-  
გებისა და რწყვის ორგანიზაციის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს  
გვაწვდის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ამ  
რეგიონში ადრე არსებული წესების გათვალისწინებითა და მასზე  
დაყრდნობით არის შედგენილი<sup>39</sup>. მოგვაქვს რამდენიმე ნიმუში: „ვი-  
ნაიდან მკოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდ. ბორბალოდან მომდინარე  
წყალი, რომელიც სოფ. ორალიდან მოდის, ძველი დროიდან სოფ. ვა-  
ლეს საზღვრამდე მდებარე ადგილების, ვენახებისა და ბაღის სარწყავი  
წყალი იყო, ამიტომ ეს გარემოება განმარტებულის შესაბამისად ჩაი-  
წერება ახალ დავთარში“<sup>40</sup>. ან „ვინაიდან მკოდნე პირნი იუწყებიან,  
რომ სოფ. ოშორადან მომდინარე წყლით (მორწყვა) ძველი დროი-  
დანვე ხსენებული სოფლის უფლებას შეადგენდა, ამიტომ ჩაიწერა  
დავთარში, რათა (შემდეგშიც) ირწყვებოდეს ისე, როგორც აქამდის  
იყო“<sup>41</sup>. ზოგი პუნქტისათვის მოხსენიებულია სარწყავი არხები, რო-  
გორცაა: „...არხი ზემოხსენებული სოფლისა და სოფელ ურეჯის  
მცხოვრებთა მფლობელობაშია სანახევროდ“<sup>42</sup>, „...არხი ზემოხსენე-  
ბული სოფლისა და სოფ. ქამრისა მფლობელობაშია ძველი დავთრის  
მიხედვით“<sup>43</sup>, „არხი (ველის სახელით ცნობილი) სოფელ გუგუბასი,

35 აღნიშნული თავისებურება ასახულია ლ. ანდრონიკაშვილის წერტილში —  
Андроников Л. Д. Описание урвельского участка Ахалцихск. уезда-  
ЗКОИРГО, кн., XVI, Тифл., 1894, с. 259.

36 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

37 ეს კარგად ჩანს ვარძიის წყალსადენის მაგალითზეც, რომელიც ზედა  
ვარძიის წყაროებით იყო მომარაგებული.

38 Вермишев Х., დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

39 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (ს. ჭიქიას გამო-  
ცემა), II, თბ. 1943.

40 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 42.

41 „გვდღ“, გვ. 140.

42 იქვე, გვ. 374.

43 იქვე, გვ. 181.

სოფელ ზემო ბორჯისა და სოფ. ველის მფლობელობაში; ეს არხი ახალშენიდან და ორუშეთიდან მომდინარე წყალია. ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ არხით ზემოხსენებული სოფლები საზიაროდ სარგებლობდნენ, ამიტომ ახალ დავთარში ჩაწერილ იქნა, რათა შემდეგშიც ისარგებლონ ისევე, როგორც აქამდე ჩვეულ იყვნენ<sup>44</sup>. ასევე მდ. წყალთბილა ერთი კვირის მანძილზე უნდა მიკუთვნებოდა სოფ. ზემო და ქვემო ნიორხებს, 2 კვირის მანძილზე კი სოფ. ვალეს. სოფ. ორჭოშანიდან მომდინარე წყლით ირწყვებოდა სოფ. ირაქი, რომელიც უდის ლივაში შედიოდა და ფართოდ მისდევდა მღვინახობა-მებაღეობას; ასე მეორედებოდა ბევრი პუნქტისათვის.

ტერასული ნაკვეთების მორწყვა გარკვეულ წესზე იყო დამყარებული: ტერასებიანი ნაკვეთის თავამდე მოყვანილ წყალს ტერასების გასწვრივ, ფერდობზე გაკეთებულ სადინარში ჩაუშვებდნენ და ამ წყალს თანაბრად იყენებდნენ ცალკეული ტერასის მოსარწყავად. მორწყვაში რიგის დაცვა ტერასებიან ნაკვეთზე უკეთ ხერხდებოდა, რადგან მათი მორწყვა წარმოებდა თანდათან — წყალი ერთი ტერასიდან მეორეზე შეჰყავდათ, მეორედან — მესამეზე და ა. შ. ტერასების მორწყვის რეგულირება, წყლის განაწილება „სანაკედლობის“ მეშვეობით, ტერასების მეპატრონეების საქმე იყო<sup>45</sup>. მორწყვის წესები იმთავითვე იყო განსაზღვრული და წყალიც საჭიროების მიხედვით ლიმპიტრებული თითოეული მომხმარებლისათვის. დროთა მანძილზე საუკუნოვან სარწყავ სისტემას საფუძველი შეერყა, რამაც მკვეთრი გავლენა იქონია სამიწათმოქმედო დარგების შემდგომ განვითარებაზე. ამის მთავარი მიზეზი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაუძღურებაში მდგომარეობს. არამცირედი როლი ითამაშა ამ პროცესში კუთხის ეკოლოგიურ თანაფარდობაში მიმდინარე პროცესებმა (მცენარეულითა და ხშირი ტყეებით დაფარული უზარმაზარი ტერიტორია თანდათანობით გაშიშვლდა და მცენარეულით ლარიბ მიდამოდ იქცა). ივი შეეხო მთელი რეგიონის წყალმომარაგების ბალანსს, მკვეთრად შემცირდა დიდი ხეობების მდინარეთა მარაგი, იკლო ხევის წყლებმა, ბევრი მათგანი სრულიად გაშრა. უმთავრესი ზარალი მთების წყარონაკადულებმა განიცადა, რომელთაგან დიდი ნაწილი დაიკარგა უკვალოდ, აქა-იქ შემორჩენილი კი სოფლის 1 უბნისთვისაც არ არის საკმარისი<sup>46</sup>. ამ ვითარების უარყოფითი გავლენა მეურნეობის მრავალმა

44 „გვლდ“, გვ. 466.

45 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

46 ამჟამად სასმელი წყლის კომპენსირება წყალსადენის საშუალებით ხდება, რომელიც ყველა სოფელს არც გააჩნია.

დარგმა განიცადა. მავალითად, მემინდვრობაში მე-19 საუკ. ბოლო-სათვის მორწყვა მეტად შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, სახნავი მიწების საერთო ოდენობიდან ურწყავი 2-ჯერ და ზოგან 3-ჯერ აღემატებოდა სარწყავს<sup>47</sup>. ადგილობრივი მოსახლეობა სათანადო შეფასებას აძლევს შექმნილ ვითარებას, რაც მამა-პაპათა გადმოცემით არის ნაკარნახევი — „ჩვენ ურწყავი ვართ, კერძობის დროსაც ურწყავი ვიყავით. სულ წინათ კიდევ, პაპის მოსწრებაში თურმე ანდის წყალა გადმოჰყავდათ, ძველი რუს ადგილები ეხლაც ისევეა დაჩენილი“<sup>48</sup>. — ეს მესხეთისათვის საყოველთაო სურათია — გავერანებული წყალსადენი და დაკარგული წყაროები.

დღევანდელი ვითარების მიხედვით მესხეთში ტერასები ძირითადად მებაღეობას განეკუთვნება. ხილის ბაღები შემორჩენილია დაბალი ექსპოზიციის მქონე ფერდობებზე, ე. წ. დარიჯების მონაკვეთში. ნავენახარი ტერასული უბნები ამჟამად მცენარეულისაგან სრულიად შიშველია და ძლიერადაა დაზიანებული, ზოგან განადგურებულიც. ისინი შეადგენენ მესხური ტერასების უდიდეს პროცენტს, რაც, სხვა მონაცემებთან ერთად, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხელოვნური ტერასების თავდაპირველი და საყოველთაო კულტურა ვენახი -უნდა ყოფილიყო. მებოსტნეობა მთლიანად და უდიდეს ნაწილში მებაღეობაც სოფლის ახლოს მათთვის ხელსაყრელ ნაკვეთებში. იყო განლაგებული. დღესაც შეიძლება თვალი გავადევნოთ ამ მოვლენას მესხეთის მრავალ უბანზე.

წარსულში ვენახების დიდი ფართობების არსებობაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს, ამას განსაკუთრებული სიცხადით გადმოსცემს ტოპონიმიკური მასალა; სოფ. გურკელის აღმოსავლეთ ფერდობებს ნ ა ვ ე ნ ა ხ ა რ ს უწოდებენ; სოფ. არალის დასავლეთის ფერდობებს ეხლაც ნახვრევი ჰქვიან. სოფ. მუსხის ფერდობებს ტ ო ბ უ რ ვ ე ნ ა ხ ე ბ ს უწოდებენ, თუმცა ოსმალთა ბატონობის პერიოდში აქ უკვე ვენახი აღარ იყო. ამავე რიგისაა „ბებერი ვენახები“ და მ ი ლ ა ხ ე ვ ი ს ვ ე ნ ა ხ ე ბ ი სოფ. ტოლოშთან; მ ა რ ნ ი ს ყ ა ნ ე ბ ი სოფ. მუსხთან; მ ა რ ნ ი ს ხ ე ვ ი სოფ. ანდრიაწმინდასთან. აქვეა უთვალავი ნ ა ზ ვ რ ე ვ ი, ნ ა ვ ე ნ ა ხ ა რ ი, მ ე ჭ უ რ ი ს ს ა ხ ლ ე ბ ი და სხვ<sup>49</sup>.

მევენახეობა-მეღვინეობის უდიდეს სამეურნეო პოტენციალზე მეტყველებენ მესხეთის ტერიტორიაზე მრავლად შემორჩენილი საწინახლები, ღვინის მარნები, ქვევრები, აღმოჩენილი ძველი ნასოფლა-

<sup>47</sup> Антелава И. Г. Государственные крестьяне Грузии в XIX веке (1864—1900), т. II, Тбилиси, 1962, с. 302—303.

<sup>48</sup> გ. ინასარიძე, 97 წლის, სოფ. ანდრიაწმინდა, და სხვები.

<sup>49</sup> შ. წიქვაძე, მევენახეობის აგროტექნიკა მესხეთში, თბ., 1967, გვ. 6.

რებისა თუ ნასახლარების ადგილებში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დასტურდება ქვევრები სოფელ აწყურში, საყუნეთში, წირაში, უდში, ხეოთში, მუსხში, წყორძაში, საძელში, კობარეთში, ზარზმაში, ანდრიაწმინდაში, ტოლოშში და სხვაგან<sup>50</sup>, მათი დიდი ნაწილი მე-12—14 საუკუნეს მიეკუთვნება.

უძველესი ტერასული უბანია გამოღმა ქაქკარი, სადაც დღემდე შემორჩენილი უძველესი ვაზის თითქმის გაქვავებული ყლორტები. ტერასული კედლების სიმაღლე განსხვავებულია, ფიქსირდება 9 და 12-იარუსიანი მონაკვეთები. რამდენიმე ადგილას ძველი ვენახის ახალ ამონაყარ მაღლარ ვაზს ეხვდებით. ყურადღებას იქცევს კედლებში ჩაყოლებული დიდი მოცულობის ლოდები (1.10 X 50; 75 X 65; 95 X 68). აქვე ახლოს გამოვლინდა ძველი ქვის სატეხი, საიდანაც ხდებოდა ქვის ამოღება. ქაქკარის ბალებში შემორჩენილია დიდი ზომის ქვის ლოდში ამოკვეთილი საწნახელი, აქვეა უამრავი ქვევრის ნარჩენი; საყურადღებოა, რომ ქაქკარში, სადაც მრავლადაა კლდეში ნაკვეთი საწნახლები და ქვევრები, 60-იან წლებში ძველი ვაზის ჭიშები კიდევ იყო შემორჩენილი<sup>51</sup>. როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები მიუთითებენ, თურქეთის მიერ მესხეთის მიტაცების შემდეგაც, სოფ. ქაქკარის ძირძველი მოსახლეობა ინტენსიურად მისდევდა მევენახეობას. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ქაქკარი თმოგვის რაიონში შემავალი სოფელია და 1600 ახჩა ღირებულების შირას იხდის<sup>52</sup>.

ისტორიული წყაროებისა და მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად, მესხეთის მევენახეობისა და მეღვინეობის მაღალგანვითარებულ დონეზე ეთნოგრაფიული მონაცემები მიუთითებენ. ამასვე ადასტურებს მესხეთის მრავალ უბანზე ნანახი გაგარეულებული ვაზი, ასეთებია — გუვათა, ტოლოში, ბაგები, იღუმალა, ოშორა, წირა, უდე და სხვ. მესხური ვაზის ჭიშები შეგუებულია ადგილობ-

50 იქვე; ტერასული კედლებით არის მოსაზღვრული საფარის მონასტრის გალავანში მოქცეული ტერიტორია, 60<sup>მ</sup>-მდე დახრილობის მქონე.

51 ლ. ბერი აშვილი; დასახ. ნაშრომი, გვ. 192. გაღმა ქაქკარში შესწავლილია რთული აგებულების დარბაზული ტიპის კლდის სახლი, რომელიც XII—XIII საუკუნეებით არის დათარიღებული. ხეობაში გლეხის საცხოვრისი ორი ტიპია მიკვლეული, ხოლო მესამეა გაღმა ქაქკარის ცალკეული საცხოვრისები. — გ. გაფრინდაშვილი, კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში, თბილისი, 1959, გვ. 46. ქაქკარში, მევენახეობა-მეღვინეობით განთქმულ სოფელში, მოსახლეობა აღარ არის. ამ მიდამოში ჭაენხეთის პლატოს სოფლებიდან ჩამოსული ხალხი დასახლდა, რომელთაც ადრე ბალები ჰქონდათ აქ გაშენებული და ყურძნის პროდუქტებითაც სარგებლობდნენ.

52 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 243.

რივ გეოკლიმატურ პირობებს და აქაური ვაზი ეკოლოგიური გარემოს თავისებურებათა შესატყვისად დიდი პოლიმორფიზმით ხასიათდება<sup>53</sup>. როგორც მ. რამიშვილი მიუთითებს — „...მესხეთი ერთ-ერთი ძირითადი კერაა აბორიგენული ვაზის ჭიშებისა, თავისი მრავალი ვარიაციებითა და სახეებით“<sup>54</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ვაზი სითბოსმოყვარული მცენარეა, მესხური ჭიშები შეგუებული არიან სივრცის და შესანიშნავ მსხმოიარობას ამქალაქებზე როგორც მაღლარი, ასევე დაბლარის ფორმით. მაღლარ ვაზს აქ ბ ა რ ნ ა ვ ე ნ ა ხ ს უწოდებენ, ასევე ხ ე ი ვ ა ნ ს, ხოლო დაბლარს — ფ ე ხ ი ს ვ ა ზ ს. ასპინძის რაიონში გვხვდება ასევე სახელწოდება ბ ა ბ ი ლ ა უ რ ი ა დგილის აღმნიშვნელად, რაც სავარაუდოა რომ უკავშირდება ვენახის ძველ ქართულ სახელწოდებას ბ ა ბ ი ლ ო ს. ყურადღებას იმსახურებს მესხეთის ტერასულ უბნებზე ვენახის გამრავლების შემდეგი წესი — ტერასული ნაკვეთის ნაპირზე დარგულ, უკვე ზრდაში შესული ვაზის რქას გლეხი ქვევით გადახრის და მიწაზე დააკრავს. ამის მერე ვაზის რქა აღარ იმართება და მიწაზე გაწოლილი იზრდება. მი-აღწევს რა ტერასის ნაპირს, მასზე გადაეფინება და უკვე ვერტიკალური მიმართულებით ვითარდება. ასეთი წესით ვენახის მოწყობა საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მოწმდება. ამასთან კავშირში საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მითითება — „...ერევნის სანახებში არც მაღლარი მოიპოვება, არც ასარული ვაზი, და ნაყოფი უსაყრდნობოდ დაბლარ ბუჩქად აქვთ გაშვებული, რის გამო მტევნიანი ტოტები მიწაზეა გართხმული“<sup>55</sup>. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ძველ საქართველოში, რომელსაც მტკვარსა და არაქსს შორის მოქცეული უზარმაზარი ტერიტორია ეკირა, მიწაზე გართხმული ვაზის მოშენების წესიც უნდა ჰქონოდათ „რადგან ბუნებრივი პირობების წყალობით იმ ადგილას უმთავრესად ასეთი მევენახეობაა შესაძლებელი... იმ დროს ქართულში შესაფერისი ტერმინიც უნდა ყოფილიყო, რომელიც ამჟამად დავიწყებულია და ძეგლებში არა ჩანს“<sup>56</sup>. მიგვაჩნია, რომ მესხური მასალა რამდენიმე ეხმაურება დასმულ საკითხს: ვარაუდის სახით შეიძლება

53 საქართველოში გავრცელებულ ჭიშთა კუთხური ლოკალიზაცია უბრალო, შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ ადგილობრივი ეკოლოგიური პირობების შესატყვისად ჩამოყალიბებული და გამოყვანილი ასორტიმენტითაა განსაზღვრული — ს. ჩოლოყაშვილი, მასალები საქართველოს XII—XIII სს. ვაზის ჭიშების საკითხისათვის, „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938.

54 მ. რამიშვილი, მევენახეობის განვითარება მესხეთში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, მე-14, თბ., 1943, გვ. 11.

55 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, გვ. 311.

56 იქვე.

დავუშვათ, რომ მესხეთში დადასტურებული მიწაზე გაშვებული ვაზის სახეობა გართხმული ვენახის ანალოგს წარმოადგენს, ხოლო ტერმინი ფეხის ვაზი — ამგვარი ვენახის აღმნიშვნელ სახელწოდებას.

ეთნოგრაფიული მასალითა და ლიტერატურის სპეციალური მონაცემებით შემდეგი მესხური ვაზის ჯიშები შეიძლება დავასახელოთ: თ ე თ რ ყ უ რ ძ ნ ი ა ნ ი — ს ა მ ა რ ი ო ბ ო (დაბლარი), ხ ა რ ი ს-თ ვ ა ლ ა თ ე თ რ ი (მაღლარი), ც ხ ე ნ ი ს ძ უ ძ უ თ ე თ რ ი (მაღლარი), თ ე თ რ ი ბ უ დ ე შ უ რ ი (მაღლარი), მ ე ს ხ უ რ ი მ ვ წ ა ნ ე (დაბლარი) და სხვა, ზოგი მათგანის სახელი დაკარგულია და შერქმეულ სახელებს ატარებენ. შ ა ვ ყ უ რ ძ ნ ი ა ნ ი — შ ა ვ ი ბ უ დ ე შ უ რ ი (დაბლარი), მ ე ს ხ უ რ ი შ ა ვ ი (მაღლარი), მ ე ს ხ უ რ ი ს ა ფ ე რ ე (მაღლარი), ხ ა რ ი ს თ ვ ა ლ ა შ ა ვ ი — ეს უძველესი მესხური ჯიშია, მაღლარების სახით შემორჩა ასპინძის რაიონში, მისი ტანის სიმახო 70 სმ-ს აღემატება; ც ხ ე ნ ი ს ძ უ ა შ ა ვ ი — იშვიათი ეგზემპლარია, ასევე ძ ვ ე ლ შ ა ვ ი, ბ ე ჟ ა ნ ო, მ ე ლ ა კ უ დ ა, მასზე ხშირად მიუთითებენ უხუცესი მთხრობელები, სპეციალურ ლიტერატურაში კი არის მოხსენიებული. მესხური ვაზის ჯიშების უმეტესობა მოკლე სავეგეტაციო პერიოდით ხასიათდება და ყურძენი მომწიფებას სექტემბრის მეორე ნახევარში ამთავრებს. ამას გარდა, ფესვთა მძლავრი სისტემა და ძლიერი საასიმილაციო ორგანოები ახანგრძლივებენ ვაზის სიცოცხლეს<sup>57</sup>.

ისტორიული წყაროები, რომლებიც მესხეთის სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას შეეხება, გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს ამ კუთხის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობისა და დონის შესახებ წარსულში. აღსანიშნავია, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ თხზულებაში ბასიანის ომის ამბის გადმოცემას წინ უძღვის ვარძიის შენების შესახებ თხრობა „...ესევეთარი ნიჭი და პატივი მიჰმალდა მის მიერ შეყვარებულმან ღმერთმან თამარსა ...ამისთვის კელ-ყო აღშენებად საყოფელთა გამმარჯუებულისა მისისასა ზეშთაყურთხეულისა ვარძიისა ღმრთის მწობელისასა, ზემო ვარძიის ქუემო ვარძით მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოკუეთა, თვით პატიოსანი ეკლესიაჲ და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანაცა შეუფალ და უბრძოლველ ყო... რომელი დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ და შე ს წ ი რ ნ ა მ რ ა ვ ა ლ-ნი და დიდროვანი სოფელი და შეუ მ ზ ა დ ა ტ რ ა-პ ე ზ ი ს ა შე მო ს ა ვ ა ლ ნ ი დ ი დ ნ ი და პ ა ტ ი ო ს ა ნ ნ ო,

რომლისა ყოვლისაი მოთხრობაი ძნელ არს...“<sup>58</sup> (ხაზი ჩემია — ლ. ბ.). თხზულების ავტორი თვითონაა მოწმე აღწერაში მითითებული ფაქტებისა, რომლებიც ნათელყოფენ, რომ იმდროინდელი ვარძიის მიწა-წყალი „მრავალი“ და „დიდი სოფლებით“ არის მოფენილი, რომელთა დაწვრილებით გადმოცემა ავტორს კიდევ უჭირს; ასევე ვარძიის ტრაპეზის შემოსავალიც „დიდნი და პატიოსანნი არიან“, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ქვეყნის დოვლათის სიუხვეს. ამაზე, თავის მხრივ, თვით ვარძიის შესანიშნავი ნაგებობა მეტყველებს, რომელიც ქართული ფეოდალიზმის აყვავების ხანას უკავშირდება და თავისი მაღალი სამშენებლო-ტექნიკური ღირსებით შეეფერება იმ დროის საქართველოს ნივთიერ შესაძლებლობებსა და სულიერი განვითარების სიმაღლეს<sup>59</sup>. უფრო გვიან, XIV—XV საუკუნეებში, ვარძიის გამოქვაბულებში მრავალი მარანი მოუწყვიათ და ღვინის წარმოებისათვის მიუყვიათ ხელი. ამას ადასტურებს ასევე ერთ-ერთი ქვეყრის ძირში ნაპოვნი, ყვარყვარე დიდის მიერ მოჭრილი მონეტა, რომელიც წესისამებრ ქვეყრის დაკირვისას ჩაუტანებიათ<sup>60</sup>. ეს ფაქტიც უთუოდ სავენახე ფართობის ზრდასა და ღვინის მოხმარების გაზრდილ მოთხოვნაზე მიუთითებს. ამჟამად, ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის სხვადასხვა უბანზე 25 მარანია აღმოჩენილი; სადაც 185 ქვეყრი იქნა გამოვლენილი. ამასვე მოწმობს „სალხინო მარანი“ დარბაზითურთ, რომელიც ორ დიდ სათავსოშია განლაგებული და დღემდეა დაცული. 19 ქვეყრი სხვადასხვა ტევადობისაა<sup>61</sup>. ჩვენამდე მოღწეული და ნაკვალევის მიხედვით აღდგენილი 235 ქვეყრიდან ყველაზე მცირენი 60—106 ლიტრის ტევადობისაა, ყველაზე დიდი კი — 1782 და 1003 ლიტრის ტევადობის. ქვეყრების უმრავლესობა კი 300 ლ. ტევადობისაა<sup>62</sup>. აქვე იმაზეც უნდა მივუთითოთ, რომ ღვინის შენახვა დერგებშიც იყო მიღებული, რომლებიც ქვის იატაკში კირის დუღაბით მაგრდებოდნენ.

მესხეთში ვაზის კულტურის სიძველესა და ფართო გამოყენებაზე მიუთითებს XIII საუკუნის წერილობითი ძეგლი „ვაჰანის ქვაბთა განგება“, რომელიც 1939 წელს გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. ტექსტი-

<sup>58</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1941, გვ. 123.

<sup>59</sup> კ. მელითაური, ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, თბილისი, 196, გვ. 24.

<sup>60</sup> დ. კაპანაძე, უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების შესწავლისათვის, მუზეუმის მოამბე XIV, თბ., 1947, გვ. 153—154.

<sup>61</sup> Гаприндашвили Г. М., Пешерный ансамбль Вардзия, Тбилиси, 1960, с. 88.

<sup>62</sup> კ. მელითაური, იქვე, გვ. 56.



დან ირკვევა, რომ ვაჰანის მამათა მონასტრის მკვიდრთათვის განკუთვნილი საკვების რაციონში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ღვინოს ეჭირა, რომელიც სასულიერო რანგის შესატყვისად მეტ-ნაკლები რაოდენობით იყო განაწილებული: „...რაითა მიეცემოდის მოძღუარსა რვაი გრივი პური, ოთხი წმინდაი და ოთხი ქრთილი და სამი საპალნე ღვინოი და იკონომოსსა ექუსი გრივი სამი წმინდაი და სამი ქრთილი და ორი საპალნე ღვინოი...“ ხოლო უთავადესთა ძმათა ... ამათ პური ორი გრივი და თვითო საპალნე ღვინოი“<sup>63</sup>... და ა. შ. აქედან „მოძღუარის“ ანუ მონასტრის წინამძღვრის ულუფა 900 ლიტრამდე ღვინოს შეადგენდა, იკონომოსისა ანუ სამეურნეო ნაწილის გამგისა — 500 ლიტრამდე, და ა. შ. რაც იმაზე მიუთითებს თუ რამდენად დიდი სავენახე ფართობები უნდა ყოფილიყო მონასტრის კუთვნილებაში მთელი კონტინენტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ამავე წყაროდან კარგად ჩანს, რომ მონასტრის კუთვნილ მიწებს თვით მონაზონნი ამუშავებდნენ — „ვინათგან იპოვნეს მას შინა ვიეთნიმე მონაზონთაგანნი, რომელთა მიეცა მონასტრისაგან ორნატნი, აგარაკნი და ვენახნი, რაითა აქუნდეს. ამათ საფასეთაგან ჩემთა მივეც ს---დი თითოეულსა რაოდენიცა ენება და ითხოვა და ყოველი იგი ტრაპეზსა მიუდგინე“<sup>64</sup> აგარაკი — „ესე არს ადგილი საყანური, გინა სავენახე. გინა დაბა“<sup>65</sup>, ორნატი ეწოდება სახენელის მიერ გავლებულ კვალს „კვალსა ჭილისასა და სახენელისასა“<sup>66</sup>, აქ კი ჭილით სახნავ ადგილს უნდა აღნიშნავდეს; და აქვე უმთავრესი ნაბოძი — ვენახი. ნათელია, რომ ვაჰანის მონასტერი, რომელიც მესხეთის გულში მდებარეობს, ნაქალაქევისა და წუნდის ტერასების მახლობლად, სათანადო რაოდენობის მიწებს ფლობს და ღვინოსაც დიდი რაოდენობით აყენებს, რომელიც ტერასული მევენახეობის პროდუქტი უნდა იყოს.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მესხეთში ვაზის კულტურა და რამდენად დიდი ადგილი ეჭირა ქვეყნის სამეურნეო ყოფაში, მასალებს უხვად გვაწვდის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, სადაც დაწვრილებით არის აღწუსებული ამა თუ იმ სოფელზე შეწერილი გადასახადები, მათი რაოდენობა და ხასიათი. „დავთარის“ ფურცლებზე, იმდროინდელი დარაიონების მიხედვით, აღნიშნულია ყველა სოფელი, სადაც მევენახეობას მისდევენ. ვენახები „ნაკვეთების“ სახით არის წარმოდგენილი და დაბეგრულია

63 ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1939, გვ. 71.

64 ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 61—62.

65 ს.-ს ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.

66 იქვე.

როგორც ვენახების „ნაკვეთები“, „ახჩების“ მიხედვით, ასევე ყურძნის წვენი — შირა<sup>67</sup>.

მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია აგრეთვე ნასოფლარ ზედა ვარძიის მიდამოში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერა<sup>68</sup>. ნასოფლარი ზედა ვარძია მდებარეობს „ზედა ვარძიის“ ხევში, რომელიც მარცხნიდან ერთვის მდ. მტკვარს. „ხევის ზედა ნაწილში, მის ორივე ფერდობზე მოწყობილ ტერასებზე, საცხოვრებელი მიწურები, ხილის ბაღები და ბოსტნებო იყო განლაგებული. სოფლის თავში ზედა ვარძიის ხევის გიორგიწმინდის მცირე ხევი უერთდება. სწორედ ამ მცირე ხევთა შესართავთან, სოფლის ყველაზე მაღალ ადგილას, კლდის ძირში ხელოვნურად მოსწორებულ და გამაგრებულ კლდოვან მოედანზე არის აგებული ზედა ვარძიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“<sup>69</sup>... ზედა ვარძიის ეკლესიის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცნობა დაცულია ქართულ მატიაწეში<sup>70</sup>.

ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ეკლესიის სამხრეთი კარის ბალავრის მარცხენა კიდეზე ამოკვეთილი წარწერის მარცხნივ, საღებავით (მელნით) მიწერილი თერთმეტსტრიქონიანი წარწერა. იგი მრგლოვანი ასომთავრულითა და ნუსხურიითა შესრულებული და წარმოადგენს ბოძების დოკუმენტს, რომლის მიხედვით ვინმე კვირიკე ვახტანგის ძეს, ბაგრატ მეფის ბრძანებით, რაღაც გარკვეული სამუშაოს შესრულების საფასურად, ციხისძირეულთა მოდილეგათათვის გადაუცია ო შორის ზე ვარი სამუდამო სარგებლობაში — ... (უბო)ძე ზ(უ)არი ოშორის(ა) ციხის ძირეულთა მოდ(ი)ლეგათა...“<sup>71</sup>. წარწერა X—XI საუკუნის მიჯნაზე შესრულებულად არის მიჩნეული<sup>72</sup>.

სოფ. ოშორა ასპინძის რაიონში მდებარეობს (ესაა ქვემო ოშორა, ზემო ოშორა ნასოფლარია). მის მიდამოზე, ზომიერი დახრილობის ფერდობებზე დღემდე შემორჩა ნავენახარი ტერასები. X—XI საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე ზვრების არსებობა უნდა მიუთითებდეს როგორც ვაზის კულტურის მასშტაბურობებზე, ასევე ტერასული მევენახეობის მნიშვნელობაზე იმდროინდელ მესხეთში.

67 ამაზე დაწვრილებით იხ. მ. სვანიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში, თბ., 1984, გვ. 110—121.

68 ც. გაბაშვილი, ზედა ვარძია, თბ., 1985, გვ. 49—53.

69 იქვე, გვ. 3.

70 „ქართლის ცხოვრება“ (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. I, 1955, გვ. 323.

71 ც. გაბაშვილი, ზედა ვარძია, გვ. 50.

72 იქვე, გვ. 52.

მესხეთის მიწა-წყლის სიმდიდრეს, ვენახების სიმრავლესა და მის ტერასულ ხასიათზე არა ერთი მეკვლევარი თუ მოგზაური მიუთითებს. ყურადღებას იქცევს მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის მესხეთის დახასიათება, რომელიც აღწერს მის მდიდარ ბუნებას, ყურძნის, მარცვლეულისა და ხილის სიუხვეს, ადამიანთა კეთილგანწყობილებას და სტუმართმოყვარეობას<sup>73</sup>, ამ მხარით მოხიბლულა ცნობილი თურქი მოგზაური და ისტორიკოსი ევლია ჩელები, რომელმაც XVII ს. იმოგზაურა ახალციხის საფაშოში. აწყურის შესახებ იგი წერს — „თვალწარმტაცი ვენახები და ბაღები ბევრია, ხოლო თორთუმი სამოთხის ბაღივით შემკულია... ყურძენი, მსხალი და ლალისფერი ატამი სანაქებოა...“<sup>74</sup>; მესხეთის შესახებ, რომელიც 1834 წელს მოუხილავს, ფრანგი დიუბუა დე მონპერე შემდეგს გადმოგვცემს — „ძველ დროში მთელი ეს მხარე აყვავებული იყო, ხელოვნება და მეურნეობა ჩინებული ჰქონდა. თვით იმ კლდე-ღრეებში, სადაც კი ადამიანის ხელი უწყვდიდა, გამოჭრილი იყო არხები. რომელთაც ახლაც განცვიფრებაში მოვყავართ. ეს ადგილები დიდროვანის ქვის ზღუდეებით კიბე-კიბე იყვნენ შეჭრილნი, როგორადაც ქენევაში და ნეშატელში და შემკულნი მრავალის ვენახითა და ბაღით“<sup>75</sup>.

მესხეთის მევენახეობას ახასიათებს მისი რელიეფის ზონალური თავისებურებიდან გამომდინარე გარემოება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ძველად ვაზის კულტურის გავრცელება მესხეთში, ზონალური მაჩვენებლის დიდი არეალის მიუხედავად, მაღალი მდებარეობის პუნქტებში შეზღუდულ ხასიათს ატარებდა. ამგვარი განლაგების სოფლებს, რომელთა მდებარეობა არ ქმნიდა საშუალებას ვაზის ინტენსიური წარმოებისათვის, ხეობების ძირში, დაბალი მდებარეობის კლიმატურ ზოლში, სადაც საკმარისი მზეა და სიმშრალე, გაშენებული ჰქონდათ თავისი ბალ-ვენახები. მაგალითად, სოფ. საროს ან სოფ. ანდრიაწმინდას თავის სიახლოვეს არ გააჩნია ვენახის გასაშენებლად შესაფერისი გარემო, მაღალი მდებარეობის გამო. ქვევით კი, შედარებით დაბლობში ჰქონდა თავისი ვენახები, რომლებიც ტერასებზე იყო გაშენებული და ამავე სახელწოდებას ატარებდა. ასეთი ვზითაა წარმოშობილი საროს, ვარგავის, ხიზაბავრის, კობარეთის ტერასული ბაღები და ვენახები, მათგან სოფელი კილო-

---

73 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 270—271.

74 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 237, 303. მითითებულია წიგნიდან მ. სეანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

75 ვახ. „ივერია“, 1877 წ. № 10, გვ. 8—9.

მეტრებით არის დაშორებული<sup>76</sup>. სოფ. საროს უხუცესი ინფორმატორების გადმოცემით, თითო ოჯახს ბაქნების ადგილებში რამდენიმე ნაკვეთი ჰქონდა დაკავებული — 5, 10 და მეტი; ვენახი და ატამი იყო მხოლოდ მიღებული, სხვა ხილს ან ბოსტნეულს არ დაურგავდნენ. დელის წყლებით ირწყვებოდა ეს ადგილები, ის წყლები ეხლა დაკარგულია. ქვევრები ზევით, სოფელში ჰქონიათ და საწნეხელი კი — ქვევით, ვენახებში; დაწურული ტკბილი ტიკებით აჰქონდათ და ლეინოს ადგილზე აყენებდნენ. მტკვრის ნაპირას ეხლაცაა შემორჩენილი უზარმაზარი ქვის საწნახლები. ამ გარემოებით არის შეპყრობილის ფაქტიც, რომ ბევრი სოფელი, რომელსაც შემოგარენში ვენახი არ ვაჩნია, მკაცრი კლიმატის გამო, „ბარში, ხეობის ძირში, ტერასებზე გაშენებული ვენახების მფლობელია და „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ ფურცლებზე ყურძნის ძირითადი მწარმოებელი პუნქტების მაგვარად სპეციალურ გადასახადს — შირას იხდის. ამდენად, არსებული ვერტიკალური ზონალობის ვითარებაში, მევენახეობის განვითარების საშუალებას ქმნიდა პირველი და ნაწილობრივ მეორე ზოლი, მაშინ როდესაც ვენახის მფლობელი სოფლები ხშირად მეორე ზოლის უკიდურეს საზღვარზე ან მესამე ზოლში მდებარეობდა. ამიტომ სოფლის კუთვნილი ბაღ-ვენახები სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე კი არ იყო გაშენებული, არამედ ქვევით, ხეობის ძირში მდებარე ბორცვებსა და ფერდობებზე იყო შეფენილი და ამდენად სოფელსაც დაშორებული<sup>77</sup>.

ადგილობრივი მიწათმოქმედების ეს თავისებურება, რომელიც თავის ხასიათით ქართლისათვის ზოგად დამახასიათებელ კანონზომიერებას ექვემდებარება, განსხვავდება მეზობლად მდებარე აჭარის სამიწათმოქმედო ყოფისათვის დამახასიათებელი გარემოებისაგან, როდესაც დაბაქნებული სახნავი ფართობი და ბალი ხშირად კარმიდამოს კომპლექსშია მოქცეული, მთლიანად კი მეურნეობის სხვადასხვა დარგს ემსახურება, სადაც — „მცირე ტერასები ხეხილს უკავია, მოზრდილი ნაკვეთები სახნავ-სათესს წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთზე მეურნეობის შერეული ფორმა შეიმჩნევა“<sup>78</sup> მესხეთში ტერასების

<sup>76</sup> კაქკრისა და ჯავახეთის პლატოზე განლაგებული სოფლების ურთიერთობაც (გოგაშენი, ზედა თოგვი) თითქოს ამგვარი გარემოების ასახვას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ჩვენი აზრით, იგი უკვე მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება. რის ხელშემწყობად ამ ადგილების გაუკაცრიელება გვევლინება.

<sup>77</sup> გ. ჩიტიანი, ქართული ეთნოგრაფიული ატლასი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, თბ., 1960, გვ. 210. ლ. ბერიძე, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 199—201.

<sup>78</sup> ნ. ჩიქავაძე, ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი აჭარაში, კრებ. „აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები“, თბ., 1966, გვ., 125.

აღმოცენება და მათი საყოველთაო გავრცელება ამ მხარეში მევენახეობის კულტურის განვითარებასა და მის აღმავლობას უკავშირდება<sup>79</sup>. თავისი არსებობის ხანგრძლივ პერიოდში ტერასული მევენახეობა ნაწილობრივ მებაღეობასაც ითავსებს, რომელიც ტერასულ უბნებზე მცირე მოცულობით დასტურდება. მით უმეტეს ტერასირებული მონაკვეთების გამოყენებას მემინდვრეობაში არავითარი რეალური საჭიროება არ განაპირობებდა. აქაურ მეურნეს საკმაო რაოდენობით გააჩნდა სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც თავისი მდებარეობითა და ზარისხით საუკეთესო პირობებს უქმნიდა მარცვლეულ კულტურებს. მათ მიეკუთვნება ახალციხის ქვაბურისა და ზონალურად მეორე და მესამე სარტყელში განლაგებულ მიწების აბსოლუტური უმრავლესობა. ადგილობრივ მემინდვრეობაში ტერასების ზოგად ტრადიციას ემყარება ლ ა რ ე ბ ი, ახოდ აღებული მთური სახნავები, რომლებიც თავისი წარმოქმნის ხასიათითა და დანიშნულებით განსხვავებულ ფუნქციონალურ კანონზომიერებას ემყარება და ამიტომაც ცალკე, დამოუკიდებელ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული.

მესხეთის ტერასული მეურნეობისათვის თვისობრივად დამახასიათებელია აგრეთვე შემდეგი ვითარება: ტერასულ ნაკვეთებზე ვაზთან რომელიმე სხვა კულტურის თანაარსებობას არა აქვს ადგილი. ერთადერთი გამონაკლისია ატამი, რომელიც ვენახის განაპირა მხარეებში იყო მოქცეული. იგივე გარემოებაა მებაღეობაში — ხილის ხეებზე ასევე ცალკე, მათთვის განკუთვნილ ფართობებზეა განლაგებული და სხვადასხვა ხეხილს ცალ-ცალკე ადგილი აქვს მიჩნეული. ამ გარემოებას მესხეთის ბევრ უბანზე დღესაც შეიძლება თვალი გავადევნოთ, რასაც კარგად გადმოსცემს ეთნოგრაფიული მასალა<sup>80</sup>. ამას ადასტურებს თუთის კულტურა — დღეისთვისაც თუთის ბაღები ცალკეა გამოიჩნული სხვა ხილისაგან და საკმაოდ დიდი მოცემულობა აქვს დაკავებული. იგივე შეიძლება ითქვას ვაშლის ბაღებზე, თუმცა ძველი ადგილობრივი ჯიშები დაკნინდა და ასორტიმენტიც გაღარბდა. ხილის ჯიშობრივი დიფერენცირება მიზნად ისახავს ყოველი კულტურისათვის მისთვის საჭირო გარემოს საუკეთესო პირობებით უზრუნველყოფას

79 „დარიჯები“ (ტერასები) ძველად აქ მარტო ვაზისათვის კეთდებოდა (მოგვიანებით ხეხილისთვისაც) და შეიძლება ვიფიქროთ მიწის მითვისების ყველაზე სასურველი ობიექტიც ის იქნებოდა — წერს დ. ბერძენიშვილი ქვემო და ზემო ჭავჭავეთის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებისას — დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ, 1985, გვ. 128—130.

80 იგივე შეიძლება გავრცელდეს შიდა ქართლის ბევრი ტერასული უბნის მიმართ, სადაც ერთ. ტერასაზე კულტურათა ტოლფასოვან თანაარსებობას იშვიათადა აქვს ადგილი.

მზით განათების, რწყვის, განოყიერების და სხვა ფაქტორების ღრმა შეფასებით.

ასევე გამოიწვლია ვენახისა და ბაღისაგან ბოსტანი. ბოსტნისათვის საგანგებოდ ხდებოდა ნიადაგის შერჩევა, რისთვისაც ნოყიერ, წყლიერ მომარაგებულ ადგილს გამოჰყოფდნენ. ტერასულ ნაკვეთებზე მებოსტნობის არსებობაზე წარსულში არავითარი მონაცემი არ მიუთითებს<sup>81</sup>, ისევე როგორც ამჟამადაც არ დასტურდება<sup>82</sup>. ბოსტნები უმეტესად მოწყობილი ჰქონდათ ხევის პირებზე, წყლის მიმდებარე ნოყიერ ქალებში, ან სოფლის განაპირას, სარწყავ წყალთან ახლოს<sup>83</sup>.

მესხეთის ტერასული მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი ზემოთ გადმოცემული ვითარება დადასტურებას პოულობს მესხეთის ვილაიეთებისათვის შედგენილ საგადასახადო დავთარში, სადაც დაბეგრული ვენახისა და ბაღის მიწები გამოიწვლიად, ნაკვეთების მიხედვითაა აღნუსხული, და თითოეულს განსაზღვრული კულტურა შეესატყვისება. მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი: „ვენახი აზნაურებისა სახელად ზავიკასი (?), მისი ძმისა (რაყდენ) — ისა... 3 ნაკვეთი და ბაღი 1 ნაკვეთი... სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 50 (ახჩას იძლევა)“<sup>84</sup>, „ვენახი როსაფ ზომისა 1 ნაკვეთი 2-ქალიანი... იჯარის წესით წელიწადში 30 ახჩას იძლევა“<sup>85</sup>, „ვენახი მღვდლისა 1 ნაკვეთი, ბაღი 1 ნაკვეთი, საყანე მიწა და ბოსტანი... იჯარის წესით წელიწადში 20 ახჩას იძლევა“<sup>86</sup>, „ვენახი 3 ნაკვეთი, აწ ჰუსენ ზაციმის მფლობელობაში მყოფი ...წელიწადში 40 ახჩას იძლევა“<sup>87</sup>, „ვენახი 1 ნაკვეთი, ბაღი 1 ნაკვეთი... აწ მეშემდ ჩაუშის მფლობელობაში... წელიწადში 30 ახჩას იძლევა“<sup>88</sup>. „მაშული ვენახი, ბაღი

<sup>81</sup> საჭიროდ მიგვაჩნია მიუუთითოთ, რომ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ქართლში, მათ შორის მესხეთში, ვენახისა და ბაღ-ბოსტნის ტერასებზე სართულებრივი პრინციპით მოწყობის შესახებ, მესხეთის ტერასულ მეურნეობისათვის არ არის დამახასიათებელი და ეთნოგრაფიულ ყოფაში არ დასტურდება.

<sup>82</sup> გარდა ამისა, ცნობილია, რომ ვაზისა და საბოსტნე კულტურების ერთ ნაკვეთზე აღმოკენება ორივესათვის საზიანოა, ნიადაგების ნაყოფიერებისადმი საბოსტნე კულტურების მაღალი მომთხოვნელობის გამო. გამოჩაკლისის პარკონები წარმოადგენდნენ, რომელთაგან უმეტესობა ნიადაგის აზოტოვან ნივთიერებებით გამოდიდრებას უწყობს ხელს.

<sup>83</sup> ბოსტნის წყლით მომარაგება და მისი ნიადაგის ნაყოფიერება განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი იყო მთელს აღმ. საქართველოში, მ. გეგეშიძეს დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

<sup>84</sup> გ უ რ ა ჩ ი ს ტ ა ნ ი ს ვ ი ლ ა ი ე თ ი ს დ ი დ ი დ ა ვ თ ა რ ი, გვ. 92.

<sup>85</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>86</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>87</sup> ი ქ ვ ე, გვ. 127.

<sup>88</sup> იქვე გვ. 131.

და სახლი... განაჩენის თანახმად გაიღებს ყურუს<sup>89</sup>; „ვენახი 2 ნაკვეთი და ბალი 2 ნაკვეთი...“<sup>90</sup>, „ვენახი 1 ნაკვეთი და ბალი 1 ნაკვეთი...“<sup>91</sup>, „ვენახი არდგომელ გულიკანისძისა 3 ნაკვეთი... ვენახი ვართანასი 1 ნაკვეთი...“<sup>92</sup>, „შემოლობილი საბოსტნე... წელიწადში 10 ახჩას იძლევა“<sup>93</sup>, „საყანე მიწა და ბოსტანი...“<sup>94</sup>. და ა. შ. ამავე ხასიათის ბევრი დოკუმენტის დასახელება შეიძლება (იხ. გვერდები 90, 94, 101, 111, 144, 161, 168, 173, 179, 188, 189, 239, 280, 310, 311, 334, 335, 338, 352—356, 381, 382, 384, 419, 444, 462...), სადაც მითითებულია სავენახე და საბაღე ნაკვეთებზე შეწერილი გადასახადი. საბოსტნე მიწები, ისევე როგორც სათიბი და მამული, ნაკვეთებად არ არის აღრიცხული და დაბეგრილი.

მოტანილი დოკუმენტური მასალით კარგად ჩანს მესხეთში მიღებული იმდროინდელი წესი ვენახისა და ბალის ცალ-ცალკე მოწყობისა, შესაბამისად, სავენახე ნაკვეთი გადასახადის ცალკე ობიექტია და საბაღე-ცალკე. ამ ნაკვეთების რიცხვისა და სიდიდის მიხედვით განსაზღვრულია, ერთი შემთხვევაში, ვაზის და, მეორე შემთხვევაში ხილის შემოსავალზე იჯარის ოდენობა „ახჩების“ მიხედვით. ეს განსაკუთრებით ტერასულ მიწათმოქმედებას შეეხება, რომელიც გარკვეული პერიოდისაგან, ვენახთან ერთად, მეხილეობისთვისაც იყო გამოყენებული. მოტანილი ცნობები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ არსებული მიწების მფლობელობის ხასიათს, თითოეული პირის ხელში მყოფი სავენახე და საბაღე ნაკვეთების ოდენობას, კულტურათა ინიტენსივობის ხარისხს, საიჯარო მფლობელობაში მყოფი ფართობების მოცულობას, რაიონების მიხედვით მათი დაწინაურება-ჩამორჩენის სურათს და სხვ.

მესხეთის ძლიერად გადაკვეთილი რელიეფის გარემოში ნიადაგების დაცვის მრავალი ხალხური საშუალება იყო გამოყენებული. ჩვენ მხოლოდ ნიაღვარსაწინააღმდეგო მოწყობილობათა დახასიათებით შემოვიფარგლებით. „მდინარეთა და ხევების სანაპიროზე განლაგებული სავარგულები წყლისაგან წალეკვის მუდმივ ობიექტებს წარმოადგენენ. ამიტომ ადგილობრივ მრავალი საშუალებით ხდებოდა მათი დაცვა და შესაძლო ზიანის თავიდან აცილება. ფართოდ იყო გავრცელებული ჯებირების მოწყობა. ჯებირი წნელით მოწნული ოვალური ფორ-

89 გ. ვ. დ. დ. გვ. 165.

90 იქვე, გვ. 143.

91 იქვე, გვ. 144.

92 იქვე, გვ. 179.

93 გვ. იქვე, გვ. 360.

94 იქვე, გვ. 462.

მის ან ოთხეუთხა გორდისმაგვარი სათავისა, რომელსაც ძირიც მოწ-  
ნული აქვს. მას ადგილობრივ ძარს უწოდებენ. სანაპიროს წინასწარ  
შერჩეულ მონაკვეთში ძარს ჩაუშვებენ სანაპიროს გასწვრივ წყალში  
და გრძელი სარების მეშვეობით დაამაგრებენ. ამის მერე ურმებით  
მოქპონდათ რიყის ქვა და ცარიელ სივრცეს ავსებდნენ, ისე რომ ქვა  
პირამდე ამოსულიყო. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძარში მსხვილი  
ლოდების ჩაყოლებას, რისთვისაც სპეციალურად განკუთვნილი საზიდი  
არსებობდა. მას ადგილობრივ ქვის საზიდი — მარხილი უწოდეს  
(იგი ასევე ქარან-ქაშის სახელითაა ცნობილი). დიდი ზომის ქვებს-  
კეტებისა და ბერკეტის მეშვეობით ათავსებდნენ საზიდზე და წყლის  
სანაპიროზე მოტანილს ძარში უყრიდნენ. საშუალო ზომის ძარში  
10—15 ურემი ქვა თავსდებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა ნედლეუ-  
ლის ხარისხს — წნელი ახალი მოჭრილი უნდა ყოფილიყო, სათანადო  
სიგრძისა და ჯიშისა. ჯებირები, განსაკუთრებით დაბალი, სანაპიროს  
ზოლს უკეთდებოდა, სადაც ხშირი იყო წალეკვის შემთხვევები<sup>95</sup>.

ახალციხისა და აბასთუმანის რაიონებში ჯებირები განსხვავე-  
ბული კონსტრუქციის მოწყობილობას უწოდეს, რომლის ანალოგიას  
შიდა ქართლში ხის ჯებირი წარმოადგენს: იგი რამდენიმე ერთად  
შეკრული ხის მორია, რომელიც წყალში ტივტივებს სანაპირო ზოლის  
გასწვრივ და წყლის ნაკადის ეროზიულ მოქმედებას ამცირებს. მო-  
რებს ტყეში კრიან, უპირატესობას აძლევენ ძეწნის ჯიშს,  
რომელიც წყალში დიდხანს ძლებს. „გამოცხვირული“ მორები ხარ-  
კამეჩის საშუალებით ქვევით ჩამოაქვთ და წყლის ნაპირზე შერჩეულ  
ადგილას ათავსებენ, „გამოცხვირული“ ბოლოთი, რომელშიც ტყა-  
ვისაგან მოქსოვილი თასმებია ჩაბმული, მორები ახლოს მდებარე ხე-  
ზეა მიმაგრებული, მეორე ბოლოთი კი თავისუფლად ტივტივებენ. ამ-  
გვარი ჯებირების სიმრავლე მდორე დინების მდინარეებზე განსაკუთ-  
რებით შეიმჩნევა. წყლიანი ნიადაგები სადაც იყო, ბალისა თუ სხვა  
სავარგულის აყოლებახე და მის გარშემო ძეწნის დარგვა იყო მი-  
ღებული. ძეწნას „გრძელი ქოქები“, ფესვები ჰქონდა და „ღრმად ვა-  
ადგამდა ძირს, მიწას იჭერდა, წყლისაგან ცლიდა“.

მესხეთის სხვადასხვა უბანზე გამოვლენილი ნიადაგების დაცვის  
ხალხური საშუალებანი მრავალმხრივია საყურადღებო.

---

<sup>95</sup> მ. გოგალაძე, 89 წ. სოფ. ხიზაბავრა, ძველად მესხეთში სტოდნიათ ამა-  
ზრის მავარად შეკრული ნაგებობის წყლის დარღვეულ სანაპიროზე ჩადგმა და  
მისი ქვითა და ხეებით ამოვსება, რასაც ბურჯს უწოდებდნენ ი. ზაქროშვილი და  
სხვები, სოფ. ვალე, ს. დ. № 3 1987 წ.



ქვემო ქართლი, საქართველოს განუყოფელი ნაწილი, პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერით ხასიათდებოდა ისტორიულ წარსულში. მის ტერიტორიაზე გადიოდა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი თავდაცვითი ხაზი — „სამხრეთის დიდი შარაგზა“, საქართველ-აღმოსავლეთის მხრიდან მომავალ მტრის ურდოთა მოსაგერიებლად. ქვემო ქართლი საუკუნეთა მანძილზე ასრულებდა ქვეყნის სამხრეთი კარიბჭის როლს და უმკლავდებოდა თავდამსხმელთა შემოსევებს. მის ტერიტორიაზე მთელი სიმძიმით გადაიარა არაბების, თურქ-სელჯუკების, სპარსელების, ყიზილბაშების შემოსევებმა. ამის შედეგად, ერთ დროს მკიდროდ დასახლებულ, აყვავებულ მხარეში მომრავლდა ნასახლარები, მიწის პირიდან ამოძირკვეს ბევრი ქართული სოფელი, რომელთა არსებობაზე დღეს მხოლოდ ტოპონიმები და ისტორიული წყაროები მიგვანიშნებენ<sup>96</sup>. ამის გამო დღეისათვის აბორიგენი ქართული მოსახლეობა ქვემო ქართლის რაიონებში მეტად უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ქვემო ქართლის ტერიტორია ტრადიციული კულტურის მრავალმხრივ საინტერესო უძველესი კერაა. მდიდარი ბუნებრივი პირობები, მთისა და ბარის ზომიერად შერწყმული რელიეფური გარემო ხელს უწყობდა მრავალი დარგის აღმოცენებასა და დაწინაურებას. ამაზე მიუთითებს მისი ტერიტორიის ბევრ პუნქტში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები (თრიალეთი, ბედენი, შულავერი, დმანისი, გუდარეხი...) და ასევე ყოფაში შემორჩენილი ეთნოგრაფიული რეალიები, რომლებიც მიუხედავად რეგიონში მიმდინარე ძლიერი მიგრაციებისა, არსებულ ეთნიკურ გარემოში კვლავ განაგრძობენ არსებობას.

გ. ჩიტაია წერს: „... აქ ჩვენ ვხვდებით ხორბალს და იქა-აქ ვახსაც (ს. სამშვილდე, ჩხიკვათა). ძველად ეს უკანასკნელი ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამას ადასტურებს ვახუშტის ცნობა და ჩვენ მიერ ამ რეგიონში ბლომად ნახული ძველებური მარნები, მიწაში ჩაფლული ღვინის ქვევრები (პარტახი, ნახიდარი, პიტარეთი, და სხვ.) და საწნებლები, ამჟამად ეს მოწყობილობანი უქმად გდია სოფლებში“<sup>97</sup>.

მდიდარი ნიადაგური საფარი, ზომიერი კლიმატური გარემო, ჰიდროგრაფიული რეჟიმის სტაბილურობა ყველა პირობას ქმნიდა მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებისათვის, სადაც მიწათმოქმედებას წამყვანი აგილი ეკირა. სამიწათმოქმედო კულტურის მაღალ

<sup>96</sup> თ. ცაგარეიშვილი, მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1987, გვ. 14

<sup>97</sup> გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღალის რაიონში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, თბ., 1925 წ., გვ. 205—206.

დონეზე ქვემო ქართლში მიუთითებს ბუნებრივი თუ ხელოვნური რწყვის რთული სისტემა. სარწყავად გამოყენებული ჩანს როგორც დიდი მდინარეები — ალგეთი, ხრამი, მაშავერა, ქცია და სხვ. თავისი შენაკადებით, ასევე წყარო-ნაკადულები, რომლებიც სოფლების ძველი განსახლების ზონალურ სარტყელში სიმრავლით ხასიათდებიან. დასახლებული პუნქტების უმეტესობამ მთაგორიანი მდებარეობა ადგილებიდან ქვევით, მდინარისპირა ვაკეებში ჩამოინაცვლა. წარსულში რეგიონის მთისწინეთი ინტენსიურად იყო ათვისებული და დასახლებათა დიდი ნაწილიც ამ არეში იყო კონცენტრირებული. ქვემო ქართლის, ამჟამად მოსახლეობისაგან დაცლილი, ხეობათა და მათა ტერიტორია მოიცავს დიდი პროცენტული მოცულობის ძველად ათვისებული სავარგულების მონაკვეთს, რომელიც დღეისათვის მიტოვებულია და სრულიად გამოუყენებელია.

ქვემო ქართლში მიწათმოქმედების დარგებიდან განსაკუთრებით იყო დაწინაურებული მემინდვრეობა. მარცვლელი კულტურები წარმოდგენილია დიდი ჯიშობრივი მრავალფეროვნებით, თავისი როგორც საგაზაფხულო, ასევე საშემოდგომო ფორმებით. წარსულში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნებოდა მევენახეობა-მელვინეობას, სუფრის ჯიშების წარმოებით კი ქვემო ქართლი მეტოქეობას უწევდა შიდა ქართლისა და კახეთის საუკეთესო ვაზის ჯიშებს.

ვენახი, ისევე როგორც მემინდვრეობის კულტურები ძველ მეურნეობაში, ხეობების სიღრმეში იყო განლაგებული. ქციის, მაშავერას, ალგეთის ზემო დინებებში დღესაც შეიძლება განადგურებული ნავენახარი და ნამარნევი ადგილების მონახვა<sup>98</sup>. უწინ ქციისა და ალგეთის ხეობებში მევენახეობის საზღვარი გაცილებით მაღლა იყო, ვიდრე დღეს არის. ცივი ქარებისაგან დაცულ მდინარე ქციის მყუდრო ხეობაში მდებარეობს ადგილი „პანტიანი“, სადაც უხვადაა ნავენახრების, მარნების და საწნახლების ნაშთები. როგორც ირკვევა, იქ ძველი გომარლები ინტენსიურ მეურნეობას ეწეოდნენ; ასევე ყოფილა ალგეთის ხეობაში, სადაც ვაზის კულტურასთან დაკავშირებული მრავალი ძველი მოიპოვება, ახლა კი ქვემო ქართლის მთიანი სოფლების მოსახლეობა მევენახეობას აღარ მისდევს<sup>99</sup>.

<sup>98</sup> „მევენახეობა-მელვინეობის წამყვან როლზე მატყველებენ წერილობითი წყაროები თუ მატერიალური კულტურის ნაშთები: „მარან-საწნახლები თუ ქვევრები, რომლებიც თითქმის ყოველი ნასახლარის გვერდით გვხვდება“ — დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979, გ. 10.

<sup>99</sup> ლ. ფრუიძე, ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (1969—1971), „მაცნე“, 1971 წ. № 4, გვ. 178.

იგივე გარემოება შეინიშნება დმანისის შემოგარენში. დმანისი 1400 მ. სიმაღლეზეა ზღვის დონიდან და თითქოს ვენახის ინტენსიური წარმოების არეს არ განეკუთვნება მაღალი ზონალობის გამო: მაგრამ ეთნოგრაფიული მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ დმანისისა და მისი შემოგარენის სავარგულები წარსულში ვენახებით იყო დაფარული და ვახიცი საგლეხო მეურნეობაში ფართოდ იყო გავრცელებული. ამასვე მიუთითებს ტოპონიმიკური მასალა. როგორც ლ. მუსხელია-შვილი წერს „მარნების სიმრავლე დმანისის ნაქალაქარში შესაძლებელია იმის მომასწავებელი იყოს, რომ ძველად ადგილობრივ დმანისშიც მისდევდნენ მევენახეობას... თავისთავად ეს შესაძლებლობა გამორიცხული არაა: ასე მაგ., გომარეთშიც, რომელიც დაახლ. იმავე სიმაღლეზე მდებარეობს... უწინ მეურნეობის ეს დარგი იქ გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რასაც, ადგილობრივთა მოწმობით, გველურებული ვაზის სიმრავლე გვიჩვენებს“<sup>100</sup>. ამავე ნაშრომში განხილულია 1536 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნი, საიდანაც მოტანილია ერთი მოსახლეს ქონების დაწვრილებითი აღწერის მონაკვეთი: „ხანდაზიშვილის სახლი, შიგნითი სახლი, სათორნე-ერთი, მარანი-ერთი. ქვევრი დვას სხვილ-წურილი — თერთმეტი, საჭინბო, კარაპანი, ზეთის სახდელი...“<sup>101</sup> საბუთის განხილვის შემდეგ ავტორი დასძენს — „ყველა ჩამოთვლილი შენობა ცალ-ცალკე მდგარად უნდა ვიგულოვოთ: ცალკე შენობებია აგრეთვე მარანი და ზეთის სახდელი... მესაქონლეობა (ცხენი. ძროხა), მემინდვრეობა და, განსაკუთრებით, სელის კულტურა (ზეთის სახდელი, უეჭველია, ამას გულისხმობს) და ეგებ მევენახეობაც — აი მეურნეობის ეს დარგები, რომლებსაც ჩვენი საბუთის მიხედვით ამ დროს დმანისში მისდევდნენ“<sup>102</sup>.

ვენახის გაშენების ძველი წესების დადასტურება ბევრ პუნქტშია შესაძლებელი, როგორიცაა მუხათი, ბოგვი, ფარცხისი, დმანისი, ქვეში, ბალიჭი და სხვ. ასევე გამოვლენილია ვენახის გასხვლის. მისი ნიადაგის გაწმენდა — დახვნის, გაპატივების, სანერგე რქების გამოყვანისა და სხვა საკითხებზე საინტერესო ეთნოგრაფიული მონაცემები<sup>103</sup>. ქვემო ქართლის ტერიტორია მოფენილია გველურებული, ძველი ქართული ვაზის ჯიშებით, რომელთაც ამპელოგრაფები საგანგებოდ იკვლევენ.

<sup>100</sup> ლ. მუსხელია-შვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938. გვ. 322. ამავე ნაშრომიდან ჩანს, რომ 40-იან წლებში პატარა დმანისი ქართულებით დასახლებული სოფელია, იქვე, გვ. 323.

<sup>101</sup> ლ. მუსხელია-შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> ლ. ფრუიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

ეთნოგრაფიული ძიებით ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გამოვლენილია ნიადაგების ტერასებად მოწყობის ტრადიცია, რასაც აქ ბ ა ქ ნ ე ბ ი ეწოდება. ადგილზე მოძიებულ ცნობებით ბაქნების მოწყობა ძველად მევენახეობისათვის იყო განკუთვნილი. მათი მიგნება დღესაც შესაძლებელია დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონის სოფლებში, თუმცა ამჟამად აუთვისებლად არის დატოვებული. ასეთებია სოფ. ვარდისუბანი, არახლო, ახალსოფელი, ტაშტიკალარი, წერაქვი, სარკინეთი, ჭავახი, განათი და სხვა<sup>104</sup>. — ფერდაზე ბაქნებს აკეთებდა ხალხი, ჭერ ბაქანი, მერე — კლდე, ბერე — ისევ ბაქანი, წყალი არ გადარეცხავდა, მიწა არ დაქანდებოდა. ზოგს ხილი ჰქონდა, ზოგს — ბოსტანი, ძველად კი ვენახი ყოფილა<sup>105</sup>. „ჩვენ მთის ხალხი ვართ. წინა საუკუნეში ბალი და ბოსტანი აქ ბევრი იყო, ვენახიც ყოფილა. ეს ჩვენი ბაქნები მდინარე მაშავერას ჩასდევს, მერე ბოსტნებისთვისაა გამოყენებული, ქვებით არის შემოღობილი, რიყის ქვით“; „ჩვენთან ფერდა ადგილებია, ამიტომ კვლებს საფეხურებად ვაკეთებდით, რო კარგად მოირწყოს, ბალსა და ბოსტნეულს ვაშენებდით ბაქნების ადგილებში“...<sup>106</sup> ასეთი ხასიათისაა ადგილობრივ მოსახლეობაში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა.

ქვემო ქართლში კარგად გამოჩნდა ასევე ნიადაგების ლარებად ათვისების ტრადიცია. ლარებად მოწყობილი სახნავ-სათესი ადგილები ძირითადად რეგიონის გარდამავალი ზოლის სარტყელშია განლაგებული. ლარების გავრცელებისა და გამოყენების ნაკვალევი იმაზეც მიუთითებს, რომ წარსულში ქვემო ქართლში ფართოდ იყო მიღებული ახოს ალების წესი, რომელსაც მოსახლეობა ტყიანი ფერდობების საყანედ გადაქცევისათვის იყენებდა.

ფოლადაურის, ხრამის, ალგეთის, ქციის ხეობებში და მათი შენაკადი მცირე ხეების ტერიტორიაზე შემორჩენილი ლარის მიწები ახლა უკვე ტყითაა დაფარული; სოფლების უმრავლესობა, რომელთაც ისინი განეკუთვნებოდა, აღარ არსებობს და მათი სახელები მხოლოდ ტობონიმების სახით შეიძლება იქნას დადგენილი. ჩვენამდე მოღწეული მცირე ნაწილი მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. მათ რიცხვშია სოფელი კლდეისი<sup>107</sup>. იგი მაღალ ფერდობებზეა

104 ბაქნების შესახებ საინტერესო ცნობები გამოავლინეს ჯვ. ქართლში 1987 წელს ეთნოგრაფებმა მ. ლელაშვილმა და ქ. სიხარულიძემ.

105 აგორაშვილი ა. ი. 87 წ. სოფ. ჭავახი (დმანისის რ-ნი).

106 გ. ვ. კაველაშვილი, 93 წ., ს. განთიადი (დმანისის რ-ნი), ბურნაძე ა. მ. ს. წერაქვი (მარნეულის რ-ნი).

107 კლდეისი ქციის ხეობაშია, კლდეისის ხევის მარჯვენა მხარეზე, ბაბიას აღმ., ქუჩათის ჩრდილოეთით — ი. ა. ს. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I, თბ., 1935, გვ. 320.

შეფენილი და სამი ხევი ესაზღვრება — კლდეისის, სარკინეთისა ბედენის. აქ ეთნოგრაფიული ძიებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ცნობები ლარების — „ვიწრო სახნავი მამულების“ — გარშემო. ყურადღებას იმსახურებს ასევე კლდეისის შემოგარენში მრავალ ადგილას ნანახი ღვინის ქვევრები (კლდეისის ღვთისმშობლის ეკლესიასთან, წმ. ელიას სალოცავთან, „ანტონას ველზე“, და სხვ.) 100-დან 400—500 ლიტრამდე ტევადობასა<sup>108</sup>. ტყეში დღემდე ხვდებიან გაპრეულებული ვაზის ნაზარდებს.

ქვემო ქართლის მთისწინეთის ინტენსიური ათვისების სურათს ამჟღავნებს აქ ჩატარებული ისტორიული გეოგრაფიის საკვლევადიებო სამუშაოები. მაგალითად, ბანუშ-ჩაის ხეობის ქვემო წელში გაშლილი ველის ფერდობებზე შეფენილი ფერდალური ხანის ნასახლარები გამოვლინდა<sup>109</sup>. მიუხედავად ხელმისაწვდომი. მდინარისპირა ნაყოფიერი მიწებისა, ძველად მოსახლეობა მაინც მთის ძირს ირჩევდა სამოსახლოდ. ამჟამად ფოლადაურისა და ბანუშ-ჩაის ხეობების უღრდესი ნაწილი ტყითაა დაფარული და არც ერთი სოფელი აღარ შემორჩა. ლარებად მოწყობილ სავარგულეებზე ადგილობრივმა მოსახლეობამ მიუთითა მკვლევარებს; ამაზე დ. მუსხელიშვილი წერს — „ხშირად, დაზვერვების დროს შეიმჩნეოდა, რომ ტყით დაფარული ფერდობების რელიეფი ტერასისებურად ეშვებოდა მდინარის პირისაკენ და თითოეული ასეთი ტერასის ზოლის სიგანე დაახლოებით 10—15 მეტრამდე აღწევდა. ეს როგორც გვითხრეს, აქ არსებულ ძველ სახნავ მიწებზე მიუთითებს და თითოეული ტერასის საფეხური მიჯნას აღნიშნავსო. ეს რომ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, იმის მიხედვითაც დასტურდება, რომ ასეთ მოვლენას ჩვენ ხშირად ნასოფლართა მახლობლად ვხვდებოდით“<sup>110</sup>. ისე რომ, ამჟამად არსებული მონაცემებით, სამეურნეო ლარების გავრცელება ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ექვს გარეშეა და, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ნიადაგების ლარებად ათვისების ტრადიცია ამ რეგიონის სამიწათმოქმედო ყოფის დამახასიათებელ ელემენტად ვლინდება.

<sup>108</sup> ცნობები მოგვაწოდა ა. მ. ჰალიძემ, 90 წ., ა. ი. თამაზაშვილმა 81 წ. და სხვებმა, სოფ. კლდეისი.

<sup>109</sup> დ. მუსხელიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (156—1960) შედეგები, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 34. გაველურებულ ვაზს, ძველი საწნახლებს ექსპედიციამ შულაერისა და ბანუშ-ჩაის ხეობებში ბევრ ნასოფლარში მიაკვლია, ასევე ქვ. წერაქვში, სადაც ახლა მვენახეობას აღარ მისდევენ, იქვე, გვ. 33.

<sup>110</sup> დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

ქვემო ქართლში ტერასირების ტრადიცია სამოსახლოთა განლაგებაშიც ვლინდება. იგი დადასტურებულია წოფის ხევის ტერიტორიაზე მოთავსებული წოფის ციხის კომპლექსში. წოფის ციხისა და მისი ტერასების გათხრების შედეგად აღმოჩნდა VII—IX. და XI—XIII საუკუნეებით დათარიღებული ნივთიერი მასალა<sup>111</sup>; ძეგლის დახასიათებისას გ. ცქიტიშვილი დაასკვნის — წოფის ციხე კლდოვან მთაზეა აღმართული. ეს მთის სამხრეთი ფერდობი ადრერკინის ხანაში თავისი შინაარსით ტიპური „გორაა“, რომელიც თავისი გაძაგრების სისტემით, ტერასობრივი ცხოვრებით და სამშენებლო ხერხებით ზოგადად გავს ხოვლეგორის იმ ფენას, რომელიც ასევე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. აქ მოპოვებული მასალით ჩანს, რომ მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობას, მემინდვრობას, სავარაუდოა ასევე მევენახეობა. ამ დარგების არსებობას ხელს უწყობდა რეგიონის აგრობოტანიკური შესაძლებლობანი“...<sup>112</sup>.

ტერასირების ტრადიცია (ბაქნები, ლარები) ქვემო ქართლის მევენახეობა-მემინდვრობის დამახასიათებელ მოვლენად გვესახება, რაზეც დღეისათვის ჩვენ ხელთ არსებული მონაცემები მრუთითებს. მაგრამ ამ რეგიონში შექმნილი რთული ეთნიკური სიტუაცია ტრადიციული კულტურის ელემენტების გამოვლენასა და შესწავლას დიდ სიძნელეებს უქმნის. დასმული საკითხები ქვემო ქართლში მომავალ ხანგრძლივ ძიებას მოითხოვს, რომელსაც კომპლექსური ხასიათი უნდა მიეცეს.

---

<sup>111</sup> გ. ცქიტიშვილი, წოფი, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული, ტ. I, თბ., 1960, გვ. 85.

<sup>112</sup> გ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი; შდრ. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), გვ. 345.

**ბერასული მუშრეობა, ნიადაგების ათვისებისა და დაცვის  
ტრადიციის კახეთსა და მთიულეთ-გუდაგუარში**

კახეთი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილია, იგი შემოსაზღვრულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — მთავარი კავკასიონის ქედით, დასავლეთიდან — ქართლის ქედით, სამხრეთიდან — გარეჯის მაღლობით და წირაქის ზეგნით, ხოლო აღმოსავლეთიდან — აჭარბაიჯანისა და ზაქათალის დაბლობებით.

კახეთი დაყოფილია გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ყვარლის საგარეჯოს, ახმეტის, კაჭრეთის, ლაგოდეხისა და წითელწყაროს ადმინისტრაციულ რაიონებად. კახეთის ქედი იწყება კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე ბორბალოს მთიდან (3295 მ) და ცივ გომბორას ქედის სახელწოდებით გრძელდება მთავარი კავკასიონის ქედის თითქმის პარალელურად<sup>1</sup>.

კახეთს ბარს უჭირავს მდ. ალაზნისა და ივრის შუა დინებას ვაკე ადგილები, რომელიც კახეთისა და ცივგომბორის ქედებით გაყოფილია ალაზნისა და ივრის ველებად ანუ შიგნიკახეთად და გარეკახეთად, მათ ასევე წინა და უკანა მხარედაც მოიხსენიებენ.

1. წინა მხარი ანუ შიგნიკახეთი მოქცეულია მთავარ კავკასიონის და ცივგომბორის ქედებს შორის, იგი წარმოადგენს მდინარე ალაზნის საკმაოდ განიერ ხეობას, რომელიც სამკუთხედის მსგავსად თანდათან განივრდება თავიდან ბოლოსკენ მდინარე ალაზნის დინების მიმართულებით.

2. უკანა მხარი ანუ გარეკახეთი მოქცეულია ცივგომბორის ქედსა, სამგორისა და გარეჯის მთებს შორის, მას შუაში ჩამოუღის მდინარე იორი, რის გამოც გარეკახეთი ზედაპირის აგებულებით მდინარის ხეობას წარმოადგენს.

წინამხარი, ანუ შიგნიკახეთი თავის მხრივ ორნაწილად იყოფა: პირველი, ცნობილია საკუთრივ კახეთის სახელწოდებით და მდებარეობს ალაზნის ხეობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე ნა-

<sup>1</sup> ალ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია, ტ. I, თბ., 1926. (რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას ამ ნაშრომიდან გადმოვცემთ).

წილი. რომელიც აგრეთვე კახეთის საერთო მცნებაში შედის, ცნობილია ასევე ქიზიყის სახელწოდებით და ალაზნის ხეობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავს.

ქიზიყი წინა მხარის ანუ შიგნიკახეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი წარმოადგენს ალაზნის გამოღმა მარჯვენა მხარის გარჯელებას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ძველი ქიზიყის ტერიტორია მოიცავს სიღნაღის, წითელწყაროსა და ნაწილობრივ ლაგოდეხის რაიონებს. თავის მხრივ ქიზიყი იყოფა მთიან და ბარის ნაწილებად. მთიანი ნაწილი მოთავსებულია ცივ-გომბორის ქედის ფერდობებსა და მაღლობზე 750—800 მ ზღვის დონიდან. მას აქვს ტალღისებური რელიეფი, რომელიც ხეობებითა და ხევებით არის დასერილი. ქიზიყის ბარი იგრევე ალაზნის ხეობის ბარია, რომელიც ეკერის კარდანახის ზოლს სოფ. ანაგასთან და გრძელდება ყარაგაჩამდე.

ალაზნის ხეობა ყველაზე უფრო დიდი ხეობაა კავკასიონის მთიანარი ქედს სამხრეთ კალთებზე, მისი სიგრძე 160 კმ-ს შეადგენს, სიგანე დასაწყისში 5 კმ-ს უდრის, შემდეგ თანდათან ფართოვდება და სოფელ ლაგოდეხთან უკვე 40 კმ-ს აღწევს.

ალაზნის ხეობის ზედაპირი ორი მიმართულებით არის დაქანებული. რომელიც ზოგ მონაკვეთში მეტად მკვეთრია (740 მ სოფ. ბახტრიონთან). დაქანება ხელს უწყობს მდ. ალაზნის ძლიერ ეროზიულ მოქმედებას. რამაც ხელი შეუწყო ალაზნის ძველი ტერასების წარმოქმნას. განსაკუთრებით დაქანებულია და მეტად ციცაბოა მთავარი კავკასიონის სამხრეთი კალთები, რის გამოც აქ ჩამონადენი მდინარეები ისეთი დიდი სისწრაფით მოედინებიან დაბლა ველისაკენ, რომ ჯერ ერთი — იწვევენ ძლიერ ეროზიას — მთის ქანების ნგრევას, და ამას გარდა, ჩამოაქვთ ველში უამრავი ლოდი, ქვა-ლორღი, მიწა, ქვიშა და ლამი. ასეთებია: სტორი, ლოპოტა, ინწობა, ჩელთი, დურუჯი, შაროხევი და სხვ. მრავალი ხევი დასაბამს იღებს კახეთისა და ცივგომბორის ქედიდან — თურდოსხევი, კასისხევი, მღვრიეხევი, კერმისხევი, ფაფრისხევი და სხვა.

ალაზნის მარჯვენა ნაპირის მდინარეები წყლის სიმცირით ხასიათდება, მათი უმრავლესობა ზაფხულობით შრება, ამიტომ მათ მდინარის ნაცვლად ხევებს უწოდებენ. განსაკუთრებით მცირეწყლიანია ქიზიყის ხევები.

კახეთის მდებარეობა, მისი ზედაპირის სირთულე, შემადგენელი ქანების სწრაფფეროვნება, მისი მასივების ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობა, ფერდობების სხვადასხვა დაქანება, მათი ექსპოზიცია, თვით ალაზნისა და მისი შენაკადების ეროზიული მოქ-



მედება წინასწარ პირობას ქმნის, როგორც რელიეფის მრავალფეროვანი სახესხვაობისათვის, ასევე ნიადაგებს ძლიერი სიჭრელისათვის. ამგვარად, ცალკეული მასივის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად იცვლება როგორც ჰავის, ასევე ნიადაგების თვისებები — მათი ტიპი, მექანიკური შემადგენლობა, ქიმიური შემადგენლობა და სხვა მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, ალაზნის ველის შემადგენლულ ნაწილში და მთის ზოლში, სადაც ტყისა და ხშირი ბუჩქნარის მასივებია შემორჩენილი, გავრცელებულია ტყის ყავისფერი, მუქი-რუხი ნიადაგები. სამხრეთ-აღმოსავლეთით, შედარებით მცირე დაქანების ფერდობები უკავია შავმიწა, მუქ წაბლისფერ ნიადაგებს და ა. შ. ალაზნის ველის ქვემო ვაკე ზოლში, სადაც ნიადაგი სწორია და მიწისქვეშა გრუნტის წყლები ახლოა მის ზედაპირთან, ხდება ნიადაგის დაქაობება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება სხვადასხვა სიძლიერის დამარილებული და მლაშე ნიადაგები (განსაკუთრებით დაბლობ ადგილებში)<sup>2</sup>.

კახეთში, ძირითადი მწარმოებელი რაიონების ნიადაგების შესწავლის საფუძველზე, რაც ეყრდნობა ბუნებრივი პირობებისა და მიკროკლიმატის თავისებურებას, სპეციალისტებმა გამოჰყვეს 4 ძირითადი რაიონი<sup>3</sup>.

1. ალაზნის ველის მარჯვენა მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.
2. ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ქიზიყი).
3. ალაზნის ველის მარცხენა მხარე.
4. გარე კახეთი (ივრის ველი).

აღნიშნული რაიონების ნიადაგები შემდეგი სახისაა:

1. ალაზნის ველის მარჯვენა მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ნიადაგები საგრძნობლად განსხვავდება მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის (ანუ ქიზიყის) ნიადაგებისაგან. ჰორვლის ჰავა უფრო ზომიერია და ტენიანი, ნალექების მეტი რაოდენობით, მაშინ, როდესაც ქიზიყის ჰავა უფრო მშრალია და თითქმის ტრამპლების ჰავის ხასიათისაა. ბუნებრივი პირობების შესაბამისად განსხვავებულია ნიადაგის თვისებებიც, ამიტომ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ნიადაგებზე უფრო ხშირად ტყის ბუნებისაა.

2. ალაზნის ველის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის (ქიზიყის) ნიადაგები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ჩვენი შესწავლის საგანს, მხარის სიმშრალის გამო, განირჩევა კახეთის ნიადაგებისაგან. ქიზიყის

<sup>2</sup> Сабашвили М. Н., Почвы Грузии, Тбилиси, 1948.

<sup>3</sup> Табидзе О. Н. Районы виноградарства Кახети, Тбилиси, 1950, с. 17.

მთისწინა ზოლზე და შემადლებულ ადგილებზე გავრცელებას პოულობენ ტყის ყავისფერი ნიადაგები<sup>4</sup>.

საპხრეთის ექსპოზიციის მქონე ნაკლებად დაქანებულ ფერდობებზე შავიმიწისმაგვარი ნიადაგებია განლაგებული საკმაოდ ფართო ზოლად სოფ. ანაგადან ყარაგაჩამდე. ეს ნიადაგები ხასიათდება ზედა ფენის დიდი სიღრმით მკვიდრი სტრუქტურით. აღნიშნული ნიადაგების სახეობა ქიზიყის ფარგლებში (ძველი ანაგა, ზირსა, ყარაგაჩი) მძიმე თიხნარია, მდიდარია აზოტით და საერთოდ საკვები ნივთიერებებით და უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავალს<sup>5</sup>.

კახეთის ჰავა მთლიანად სუბტროპიკული კლიმატის სახესხვაობაა. გამოირჩევა ცხელი ზაფხულით, გრილი გაზაფხულით და თითქმის უყინეო და მცირეთოვლიანი ზამთრით. მთების მაღალ ზოლში ჰავა უფრო მკაცრია, ნიადაგების რაოდენობა მეტია, თოვლის საფარი ხანგრძლივი და ზაფხული საკმაოდ გრილი.

ალაზნის ველის ქვემო ნაწილში — ქიზიყში ალაზნის ველის ზომიერ-თბილი ჰავა, ნალექების შემცირების გამო, იძენს მწრალი ტრამალეების ხასიათს და უფრო ცივი ზამთრით ხასიათდება.

რამდენადაც კახეთის ჰავა ზომიერ-თბილია, იგი ხელშემწყობია მრავალი კულტურის განვითარებისათვის, რომელთა შორის პრიორიტეტი ვაზსა და მარცვლეულ კულტურებს მიეკუთვნება. მასზე დიდ გავლენას ახდენს მთელ ტერიტორიაზე ნალექების განაწილების მაჩვენებელი, რომელიც განსხვავებულია მისი ცალკეული რაიონისათვის. საბუნდობრ, ნალექების რაოდენობა ალაზნის მარჯვენა მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიდან მოყოლებული სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ თანდათან კლებულობს და ქიზიყში საგრძნობლად მცირდება. ალაზნის მარცხენა ნაპირზე პირიქით, ნალექების რაოდენობა მატულობს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

ყველაზე გვალვიანი თვეები კახეთში ივლისი და აგვისტოა, ამ თვეებში გვალვიანობა გამოწვეულია როგორც ნალექების სიმცირით, ასევე ჰაერის მაღალი ტემპერატურით, მცენარეულის მიერ წყლის გადიდებული აორთქლებით და ჰაერის დაბალი შეფარდებით აინოტივით. მხედველობაში ოსიე არის მისაღები, რომ ზაფხულის წვიმები კოკისპირულ ხასიათს ატარებს და არ ქმნის საშუალებას ნიადაგში წყლის მარაგის დასაგროვებლად.

<sup>4</sup> Саникидзе А. С. Почвы Кавхетии Тбилиси, 1941. ნიადაგებისა და ჰაერის თვისებებზე განხილვისას ძირითადად ამ ნაშრომით ვსარგებლობთ.

<sup>5</sup> Саникидзе А. С. იქვე.

კანკთში. წილ ბუნებრივი პირობების შესაბამისად სოფლის მეურნეობის მრავალი დარგია განვითარებული. ამჟამად წამყვანი მდგომარეობა ვენახსა და მარცვლეულ კულტურებს მიეკუთვნება. ამას გარდა, ფართო მოხმარება აქვს საბაღე და საბოსტნე კულტურებს. ქიზიყის მეურნეობაში ასევე მნიშვნელოვნად დაწინაურდა მზესუმზირის გაშენება-დამუშავება. ძველთაგან მისდევენ აგრეთვე სიმინდის მოვლა-პატრონობას. სიმინდის კულტურა კახეთის ბევრ რაიონში ფართოდაა გავრცელებული, რასაც ხელს უწყობს შესაფერისი ბუნებრივი პირობები. ეთნოგრაფიული კვლევით დადგენილია კახეთისათვის სიმინდის კულტურისა და მისი საკვებად გამოყენების მნიშვნელობა<sup>6</sup>.

ვენახები კახეთში ძველთაგან განლაგებულია ძირითადად ცივგომბორის მთების ჩრდილო-აღმოსავლეთ და მთავარი კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ სუსტად დაქანებულ ფერდობებზე. ძველად ვენახების დიდი ფართობები მთის კლდოვან ფერდობებზე იყო გავრცელებული. ალაზნის ველის ტერასებსა და ალაზნისპირა ვაკე ადგილებში ვენახები თითქმის არ ჰქონდათ<sup>7</sup>. მოსახლეობა გამიზნულად გაურბოდა ამ ადგილებში ვენახების გაშენებას, რადგან ალაზნის ახლოს მდებარე ვაკე და ტაფობ ადგილებში ვენახი ხშირად ისეტყვებოდა. ამჟვე დროს დიდ ზიანს აყენებდა მას ზამთრის ყინვები. მოსაკალი ამ ადგილებში, მართალია, გაცილებით ჰარბობდა ფერდობისას, მაგრამ ზარისხით ნაკლები იყო.

დროთა მანძილზე, ვაზის კულტურის აღმავლობის, მისი საწარმოო მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად დაიწყო ვენახების მასივების გაშენება ალაზნის მიმდებარე დაბალი ექსპოზიციის მქონე ფერდობებზე, ასევე კახეთის ვაკობის სხვა მონაკვეთში. ამჟვე დროს დაიწყო ფერდობებზე განლაგებული ვენახების ქვევით გადაადგილება, რამაც ბევრი ძველი სავენახე ადგილი გააველურა და დროთა მანძილზე გაანადგურა კიდევ. ამიტომ დღეისათვის კახეთში დიდი რაოდენობით მოიპოვება ფერდობებზე საუკეთესო ექსპოზიციის მქონე საქველო დახრილობის ნიადაგები (10°—15°), სადაც ვენახი აღარ არის გაშენებული. ხომ საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, სადაც ვაზის კულტურა აქვთ, ძვირფასი ყურძნის ჯიშები მთის ფერდობებზე მოჰყავთ და ეს ადგილებია საუკეთესოდ მიჩნეული მაღალხარისხოვანი ლეინობის ვი-

6 ი. ჯყონია, ჯ. რუხაძე, ლეკიაშვილი, სოფელი აყრა, თბ., 1962.

7 შემორჩენილი ნაშთების მიხედვით თუ ვიშკვლებთ, ძველად ვენახის გავრცელების არეალი მთის ზოლშიც იჭრებოდა — ლ. ბოკორიშვილი, თელავის რაიონში მივლინებას ანგარიში, მსგ, VIII, თბ., 1956, გვ. 201.

საღებად. თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ კახეთის დღევანდელ რესურსებს მასში კვლავ დიდი შესაძლებლობებია მოცემული. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ კახეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — პანკისის ხეობა. დღეს იგი ან უვენახო, ან მცირედ ვენახიანია, რაც აგრეთვე ბოლო წლების არარეგულარული ათვისების შედეგია. ამავე დროს აქ შესაძლებელია აღდგეს და განვითარდეს მევენახეობა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. ასევე, თითქმის უვენახო აალზნის მარცხენა ნაპირზე, მთავარი კავკასიონის ქედის მიმდებარე ფერდობების საკმაოდ ვრცელი მასივები.

კახეთის მეურნეობის სხვადასხვა დარგის კვლევას არაერთი ნაშრომი ეძღვნება. ეთნოგრაფიულმა კვლევამ შუქი მოჰფინა მისი ყოფაცხოვრების ცალკეული მხარეების შესწავლას — მევენახეობა-მეღვინეობა, მემინდვრეობა მესაქონლეობა, ხელოსნური წარმოება, მუსიკალური კულტურა, შრომის ორგანიზაციის ფორმები და სოციალური ინსტიტუტები და სხვა. ამასთან ერთად, კახეთის მიწათმოქმედების, მისი ცალკეული კუთხის თავისებურებათა შესწავლისათვის განსაკუთრებით ფასეულია უკანასკნელი წლების მანძილზე ამ მიდამოში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. რომლებიც არა მარტო ადასტურებს და ადგენს ამ ტერიტორიაზე კულტურული ცხოვრების განვითარების უწყვეტი ჯაჭვის არსებობას და მისი ცალკეული ეტაპის ქრონოლოგიას, არამედ ახსიათებს და შუქს ფენს მეურნეობის სურათს, სამიწათმოქმედო დარგების ხასიათსა და მათ ინტენსივობას.

იორ-ალზნის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად დამჭდარი მიწათმოქმედების კერები გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანაში მრავალადა დადასტურებული. ამ დროის არქეოლოგიური მონაპოვრები — ქვის თოხები, კაქის ნამგლის პირები და სხვა — აქ უკვე საკმაოდ განვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიუთითებენ. ალზნის ველსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ნანახი ნასახლარებისა და სამაროვანთა შესწავლა უმდიდრეს მასალას შეიცავს აგრეთვე მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური საკითხების კვლევისათვის, მიწათმოქმედებას მიმდევარი ხალხის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტით შესწავლისათვის<sup>8</sup>.

ალზნის ველის ამ პერიოდის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების სამიწათმოქმედო ხასიათზე მიუთითებს კახეთის მრავალ უბანზე, მათ შორის დღევანდელი ქიზიყის ტერიტორიაზე ნანახი ნამოსახლ-

<sup>8</sup> კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1973, გვ. 106.

რების ფენები, ე. წ. ნაცარგორები (ალაზნის ველის, ზემო ბოდბის და სხვ.). გორების უმეტესობა განლაგებულია მთიან და მთისწინა ზოლში, ბუნებრივ გორაკებზე, რომლებიც ხშირად ხელოვნური თხრილებითა და ტერასებითაა გამოყოფილი<sup>9</sup>.

არსებითაა ის ფაქტი, რომ რელიეფის შესაფერისად ქიზიყის დასავლეთ ნაწილში, რომელიც ხევებითაა დასერილი, ნასახლარები სხვაგვარადაა განლაგებული, ვიდრე მის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც დიდი მინდვრები გვაქვს. დასავლეთ ქიზიყში ნასახლარები ხევების აყოლებითაა განლაგებული. როგორც კ. ფიცხელაური ვარაუდობს, შესაძლოა აქ ყველა ხევი ცალკე სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა. აღმოსავლეთ ქიზიყში კი ნასახლარები განლაგებული ჩანს დიდი ველების (დიდი შირაქი, პატარა შირაქი, ზილიჩის ველა) გარშემორტყმულ მთა-გორებზე. საზოგადოდ „გორების“ უმეტესობა განლაგებულია მთიან და მთისწინა ზოლში, ბუნებრივ გორაკებზე, რომლებიც ხშირად ხელოვნური თხრილებითა და ტერასებითაა გამოყოფილი<sup>10</sup>.

ცალკე სამეურნეო ერთეულადაა მიჩნეული ქიზიყში ტერიტორია ალაზნის ველის მარცხენა ნაპირის გაყოლებით და ტერიტორია ივრის გაყოლებით. მათი კუთვნილი ნასახლარები შესაბამისად სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე მთის ფერდობებზეა განლაგებული, აღსანიშნავია, რომ ნასახლარებზე დიდი რაოდენობით იჩენს თავს რიყის ქვა, რომელიც შენობათა ასაგებად უნდა ყოფილიყო ნახმარი. ამ ნასახლარზე ბათქაში მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა<sup>11</sup>.

ნამოსახლარ გორებზე დადასტურებული ტერასებისა და თხრილების გარდა, რომელიც საფორტიფიკაციო ნაგებობებად არის მიჩნეული, გვხვდება ასევე მიწაყრილები, რომლებიც ჩვეულებრივ ტერასების ზედა მოედანს ახლავან.

ამგვარად, ნამოსახლარების უმეტესობა დადასტურებულია ივრისა და ალაზნის ქვემო დინებაში, უფრო ზუსტად — ქიზიყში. არქეოლოგიური მონაპოვრები ამ ტერიტორიიდან — ქვის თოხები, ხელსაუქვავეები, კაეის ნამგლის პირები და სხვ. საკმარის განვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიუთითებენ. საგანგებოდ არის შესწავლილი ქვის წელში გამოყვანილი თოხები, რომლებიც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება ნამოსახლარ ბორცვებზე და, როგორც ირკვევა, ხენის შემდეგ ბელტების გასაფხვიერებლად იყო გამოყენებული<sup>12</sup>.

<sup>9</sup> კ. ფიცხელაური, იორალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 41.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 47.

რაც შეეხება სავარგულების რწყვის საკითხს, სპეციალური კვლევით, ალაზნის აუზში მორწყვითი მეურნეობა უძველესი დროიდანაა დადგენილი (გვ. ბრინჯ. აღრ. რკინ.), რომლის პარალელურად გავრცელებულია ურწყავი მიწათმოქმედება<sup>13</sup>. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შემინდვრობის ინტენსივობა არ უნდა ყოფილიყო ყველგან იორ-ალაზნის აუზში ხელოვნურ რწყვასე დამყარებული, თვით კახეთის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებიც არ მოითხოვენ მათ ხელოვნურ რწყვას, სადაც ხელოვნური მორწყვის ხელსაყრელი პირობები იყო შეიძლება ვივარაუდოთ მარტივი სარწყავი სისტემების არსებობა<sup>14</sup>. ამ პერიოდისათვის ალაზნის აუზის მიწათმოქმედებას ურწყავად მიიჩნევს შ. დედაბრიშვილი. ილტოს (ახმეტის რ-ნი) ნამოსახლარის შესწავლის საფუძველზე. იმ პერიოდის მიწათმოქმედების განვითარების საფუძველად იგი მიწის დასვენებას მიიჩნევს. ამაზე მიუთითებს ნამოსახლარის განკარგულებაში არსებული დიდი მოცულობის სავარგულები, რომლებიც რიგრიგობით შედიოდნენ ექსპლოატაციაში, რითაც თავიდან იყო აცილებული მისი გამოფიტვა<sup>15</sup>. თუ ეთნოგრაფიული კუთხით იქნება შეფასებული მოტანილი ვარაუდი, იგი სრულიად დასაბუთებულად გამოიყურება ყოფაში შემონახული ტრადიციის მეშვეობით. კახეთის სამეურნეო ყოფაში მიწის დასვენების წეს-ჩვეულება ბოლო დრომდე შემორჩა. ქიზიყის მაგალითზე განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუ როგორ ახდენდა მეურნე მიწის დანაწილებასა და მისი პერიოდულად ხვნის რეგულირებას, რაც დაკავშირებული იყო დასათესი მარცვლეულისა და მისი მონაცვლეობის სწორ ორგანიზაციასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, რამდენადმე მაინც იძლევა წარმოდგენას იმ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოზე, მისი შემადგენელი ნაწილების ხასიათსა და განვითარების დონეზე, რომელშიც ჩამოყალიბდა და დღემდე შემორჩა ყოფას ხალხის ღრმა და მრავალფეროვანი ცოდნა-გამოცდილება.

მათ რიგს განეკუთვნება ხალხური ნიადაგდასაცავი საშუალებანი, ნიადაგების ათვისების ხერხები, რაც გულისხმობს როგორც ახალი სახნავისა და სავენახეს შექმნას და დამუშავებას, ასევე არსებული მიწის ფონდის დაცვა-შენარჩუნლებას. ამ საკითხებზე ეთნოგრაფიული მასალა ყველაზე რელიეფურად იქნა გამოვლენილი ქიზიყისა და ნაწილობრივ გარე კახეთის უბნებზე, რასაც ქვემოთ გადმოვცემთ.

<sup>13</sup> აღ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთებია, „შოთარუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1940. გ. ნიორაძე, ალაზნის ველის გათხრები, თბ., 1940.

<sup>14</sup> ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 41—42.

<sup>15</sup> Дедабришвили Ш. Курганы алазанской долины, Тбилиси, 1979.

ქიზიყის ნიადაგები, რომელთა შესახებ მოკლე მიმოხილვა (საქ-  
ციალური ლიტერატურიდან) ზემოთ გადმოვეცით, მრავალფეროვნე-  
ბით ხასიათდება. არჩევენ წემდეგი სახის მიწას: შ ა ვ მი წ ა ს,  
სხვანაირად „დინდგლი მიწას“, რომელიც, ძირითადად, გამოყენებუ-  
ლია პურეული კულტურებისათვის და სიმინდისათვის. დასამუშავებ-  
ლად ადვილია, არისი როგორც სარწყავ, ასევე ურწყავი. რ ი ყ ი ა ნ ი  
(ეს უმეტესად ხევების მიმდებარე ადგილებია, მომეტებული ქვაა მას-  
ში), გამოიყენება როგორც მარცვლეულისათვის, ასევე ნაწილობრივ  
სავენახედ. ქ ვ ი ა ნ-ქ ვ ი შ ი ა ნ ი ნიადაგები, ქვიანია, მაგრამ წვრილი  
ქვა აქვს შეყოლილი, კენჭისმაგვარი, ლამი არა აქვს, წყალს ადვილად  
ატარებს და ამიტომ საუკეთესოდ ითვლება ვენახისათვის. ასეთ ნია-  
დაგს სხვანაირად ქ ვ ი შ რ ო ბ ს ა და ხ ი რ ხ ა ტ ს უწოდებენ ადგი-  
ლობრივ. ხირხატი ვენახი განსაკუთრებით კარგ ღვინოს იძლევა.  
კ ი რ ი ა ნ ი ნიადაგი არ ვარგა ვაზისათვის, რადგან ძალიან ფიცხაა,  
წვავს მის ფესვებს, ზოგი მარცვლეული უფრო გვარობს მასზე. ლამი  
მიწა — თიხიანი — შავი მიწაა, უქვო. უკენჭო. დასამუშავებლად კარ-  
გია, მაგრამ არც საყანედ და არც სავენახედ არ ვარგა. იგი არ იძლე-  
ვა საშუალებას მცენარემ ფესვები გაიდგას, ამიტომ საზრდოს ვერ აწ-  
ვდის ღეროსა და ფოთლებს. ეერ ვითარდება მ ლ ა შ ო ბ ი ნიადაგებ-  
— მარილიანი მლაშე ადგილებია. არც დასამუშავებლად ვარგა და არც  
მოსავალი მოჰყავს რიგიანი. მწირი მიწაა, უკიდურეს შემთხვევაში,  
თუ სხვა ნაკვეთები რაიმე მიზეზით მოცდებოდა გლეხი დათესდა  
იქ მარცვლეულს. ქ ყ ა ნ ტ ო ბ ი-ქ ყ ა ნ ტ ი მიწა, ქაობიანია, იმდენად  
მოჭარბებული სინოტივეა მიწის ზედაპირთან, რომ დამუშავება ძლი-  
ერ ჭირს მისი, მოსავალს ან არ მოიყვანს ან დაბალს. ხალხური საშუ-  
ალებებით დამშრალ ასეთ მიწებში, ძირითადად, სიმინდს თესდნენ.  
ქყანტობი ადგილი არც ვაზისათვის ვარგა, „ასეთ ნიადაგში ვაზი ცუ-  
დად ხარობს, ღონიერი არ იზრდება და მისი ნაყოფიც მცირე ღვინოს  
იძლევა, ქყანტობი ადგილის ყურძენი დიდხანს არ ინახება და ყურძ-  
ნის ნაწურთან მცირე არაყი გამოიხდება. ქყანტობი საბარ-სათონია-  
დაც ცუდია, მუშაობის დროს იარაღი სინესტის გამო მიწას იკრავს,  
და მომუშავეს ხელი ეშლება. ასეთ ნიადაგზე ქიზიყელები იტყვიან —  
„დინდგელივით არის გატყირპავებულიო“<sup>16</sup>. ნიადაგის ადგილობრივი  
სახეობაა აგრეთვე შ ო რ ო ქ ა ნ ი. ეს მწირი ნიადაგებია, ზოგი ადრე  
ნაახოარი, ალაზნისა და ივრის ნაპირებიდან 2—3 კმ დაშორებით გას-  
დევს ზოლად, „დაფერდებული ადგილებია. გამოფიტულია მთლიანად.  
ქვა-ლორღითაა სავსე, არც მოსავალს მოიყვანს, არც ბალახი ხარობს“,

16 ი. ნანობაშვილი, ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში, თბ., 1960, გვ. 57.

შხოლოდ შორაქნად წოდებული ბალასმცენარე იზრდება მასზე. კაქახუნი მიწა ქიზიყში ყამირის მნიშვნელობით იხმარება. მიწა რომ რამდენიმე წელიწადს მოუხნავად არის დაგდებული — ეს ყამირია. მაგრამ თუ ძალიან არის გამოფიტული, შაძბი და კაქახი ეს სარეველას მსგავსი მცენარეები მორევია, მაშინ უწოდებენ კაქახუნს. დროთა მანძილზე, მეურნის მცდელობით ის კვლავ შეიძლება დამუშავდეს.

დასახელებულ ნიადაგებს შორის სამარცვლედ და სავენახედ ქიზიყელებს ყველაზე უკეთესად შავი და ქვიშიანი ნიადაგი მიაჩნდათ. სავარგულებში ყველაზე მეტი ფართობი სწორედ ამ ნიადაგებს უკავია.

ნიადაგის თავისებურ კატეგორიას წარმოადგენს ქიზიყში, ასევე, ამპარტავანი მიწა, ამპარტავანი მამული. ასეთი მიწები მასივების სახით არ გვხვდება, ცალკეულ მონაკვეთებად არის გაბნეული აქა-იქ. მაგალითად, შეიძლება მთლიანად მძიმე თიხნარი ფართობების რომელიმე უბანზე შევხვდეთ ასეთ ადგილებს. ამპარტავანი მამული უმეტესად კარგ, უხვ მოსავალს იძლევა, ეს მსუქანი, ნოყიერი მიწის თვისებაა, მაგრამ ზოგ წელიწადს აქ დათესილი მარცვლეული ნაყოფს არ გამოიღებს და შეიძლება ყანა სულ გაცდეს. ადგილობრივ ამ გარემოებას მიწის განსაკუთრებულ სინოყიერეს? მიაწერენ, დაყამირებული მიწის ნაკვეთის აღსანიშნავად ხმარობენ გამოთქმას ბურახიანი ადგილი, რომელიც უფრო დაბლობშია გავრცელებული. ხირხატი მიწის აღმნიშვნელია ტერმინი სახევე. ეს ადგილები უფრო ალაზნის პირზედაა, მძიმე, დასამუშავებლად რთული, მაგრამ ნოყიერი ნიადაგებია.

ძველად ქიზიყში სოფლები მთის კალთებზე იყო განლაგებული, როგორც XIX ს. სახელმწიფო გლეხთა აღწერის მასალებშია მოტანილი „ქიზიყის სოფლები განლაგებულია გომბორის მთების მწვერვალზე და მის ჩრდილოეთის ფერდობზე, მცირე ფართობზე“. მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო მიწათმოქმედება, ხოლო დამხმარე დარგები მესაქონლეობა და მევენახეობა იყო. მარცვლეული კულტურების როლის შესახებ საგლეხო მეურნეობაში წარმოდგენას გვიქმნის იმავე წყაროში მოტანილი ციფრობრივი მონაცემები, სადაც მფლობელობაში მყოფი საერთო ფართობის ოდენობიდან განსაზღვრულია ცალკეული კულტურისათვის დათმობილი მიწის მოცულობა.

საკარმიდამო — 3929 დეს.

სარწყავი — 2344 დეს.

სახნავი ურწყავი — 80290 დეს.



საბაღე — 2772 ღეს.

ს ა ბ ა ღ ე — 2772 ღეს.

ს ა თ ი ბ ი — 8.065 ღეს.

უ ვ ა რ გ ი ს ი დ ა ს ა ძ ო ვ ა რ ი — 94601 ღეს<sup>17</sup>.

ამრიგად, მთელი ათვისებული ფართობის 40%-ზე მეტი ეჭირა მემინდვრობას და მხოლოდ 1 % საბაღეს, სადაც ძირითადად ვაზის კულტურა იგულისხმება. ვენახების განლაგების ტრადიცია ქიზიყში იგივეა, რაც მთლიანად კახეთში: კარმიდამოსთან აუცილებლად არას კარის მამული ან უშინავენახი, რომელიც მარჯვეა საპატრონოდ. ამავე დროს სოფლის ბოლოზე განლაგებულია ძირითადი მამულები, დიდი ვენახები, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით აღინიშნება: წარაფები, ახობები, ბოლოები და სხვ.

ქიზიყში, ისევე როგორც სხვაგან კახეთში, ბევრი სოფელი ძველი საცხოვრისიდან ქვევით ჩამოვიდა. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ზვრებში, დიდ მამულებში ჩასახლდნენ. ქიზიყისათვის ეს შედარებით ახალი მოვლენაა და ძველ ტრადიციას ვერ დაუკავშირდება. ახალი სამოსახლოები ძველიდან არც თუ ისე შორსაა, სავალი გზის 3—5 კილომეტრს არ აღემატება ჩვეულებრივ. ადრე მთაში იყო მათი ბინა — სახლ-კარი, მიმდებარე ფერდობებიც ათვისებული იყო და დამუშავებული, ქვევით კალოები ჰქონდათ, და იმ ნაკალოარ ადგილებშია ესლა გაშენებული სოფლების დიდი ნაწილი.

მაგალითისათვის მოვიტანოთ სოფ. მაშნაარი, რომელიც ამჟამად საქობოს სასოფლო საბჭოში შედის. ადრე ზევით ცხოვრობდნენ, სიღნაღის ჩრდილოეთით, გომბორის მთის კალთებზე ვენახებიც იქა ჰქონიათ. ვენახები დაფერდებულ ადგილებში უშენებიათ, ადრე ნავენახარ ადგილებს გვისახელებს მთხრობელი — დაბლა ვენახები, კიკოლაანთ ტყე, დიგაანთ-ხევი, სომხიანთ-ნავენახრები, მზვარე, ახოს-პირები — ეს ადგილები ცალკეულ ნაკვეთებად იყო განლაგებული ტყიან ფერდობებზე და დამუშავებული. სავენახე ფართობი ზოგან 15 მეასედი იყო, ზოგან — 20 მეასედი ზოგან — 10, საფერავი მოჰყავდათ, რქაწითელი და სხვა ძველი ჯიშები. ვენახის მორწყვა არ იყო მიღებული. ამაზე მუდამ ერთსა და იმავე განმარტებას გვაძლევენ უხუცესი ინფორმატორები — „ჩვენთან მორწყვა არ ვიცოდით, არ იყო მიღებული, არ გაგვიგია ჩვენ მამა-პაპას მოერწყას რაიმე.

<sup>17</sup> Аргутинский А. М. Экономический быт гос. крестьян Спгпакского у. Тифл. губ. МИЭБГКЗК. т. IV. 1886, стр. 185—198.

აქდარს შევყურებით... ყველაფერი ურწყავია აქ; ვენახი ფესვებიდან შოულობს თავის სიგრილეს, ძველი ჭიშები არ ფუჭდებოდა“<sup>18</sup>.

ასეთივე გარემოებაა სოფ. ბოდბისხევში. ადრე სოფელს მაღალი მდებარეობა ეჭირა, მთაგორაკიან, ტყიან ადგილებში ბინადრობდა ხალხი, სოფელს იქაც ბოდბისხევი ერქვა; 50-იანი წლებიდან მოსაზღვრეობამ ქვევით დაიწყო ჩამოსვლა, თავის ძველად ნაკალოარ ადგილებში. ამჟამად სოფ. ბოდბისხევი წნორის მიმდებარე გაწილ ვაკეზეა განლაგებული. ზევით სოფელი გვარების მიხედვით უზნებად იყო დაყოფილი და ყოველ უზანს ერთმანეთისაგან ხევი ყოფდა (ღვინიანთ უზანი, ნაცვალაანთ უზანი, ჭაბაანთ უზანი, ბოხორის უზანი და ა. შ.). საზოგადოდ, ხევებად დასახლება ქიზიყის სოფლების მთავარი ტოპოგრაფიული ნიშანია. სოფლის ახლოს მიდამო დიდი ტყეებითა ყოფილა დაფარული; მერე გაუჟაფიათ საახოედ თუ სხვა საჭიროებისათვის და ახლა ტყე აღარ არის ამ მიდამოში. გადმოცემის თანახმად „შიშიანობის“, ლეკების შემოსევების დროს ხალხი ამ ტყეებს აფარებდა თავს და ფიზიკურ არსებობას ინარჩუნებდა — ასეთებია გიგაურის ხევი, ნაშამბრების მთები და სხვა.

ინტერესს იმსახურებს ძველი ბოდბისხევის დახასიათება: „ბოდბისხევი მაღლაა, მთებშია, სერები და გორები შემოსდგომია ყოველი მხრიდან, ბოდბისხევის უბნები ხომ მთების კალთებზეა, ხევებშია, ის მიდამო სულ ტყიანია, ადრე უღრანი, გაუვალი ტყეები ყოფილა მაგ ადგილებში, ხალხი თავს აფარებდა. მერე გაიკაფა, ახოებს აკეთებდა გლეხობა, მამა-პაპის მიწები აღარა ყოფნიდა, ბოსტნების კეთებას მიჰყო ხელი, რაც ადრე ქიზიყში თითქმის არსად არ იყო, არც იცოდა ხალხმა ბევრი მწვანელი... ბოდბისხევში არაა სიმაგრე, მაგრამ მთებში შეჭრილი ღრმა ხეობებით სოფელი ძველად მთლიან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა“<sup>19</sup>, როგორც ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, ახოებში პური ნაკლებად ჰქონდათ, უფრო ვენახზე და თამბაქოზე მიუთითებენ. მაგალითად, სოფ. ჭოტორის ადგილზე წინათ ვენახები ჰქონიათ ახოლგაკაფულ ადგილებში. ლეკიანობის დროს ვენახი აუჩხიანათ პირწმინდად და მერე ბუჩქნარი წამოზრდილა, აქა-იქ მუხა დარცხილაც ურევია.

---

<sup>18</sup> ბაღაშვილი ი. გ. 78 წ.; სენიაშვილი ლ. ა. 86 წ.; პატატიშვილი ვ. ა. 80 წ.; ე. ქარელი შვილი, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები. სოფ. არბოში; გიგაშვილი ი. სოფ. მირზაანი. მ. გეგეშიძის მონოგრაფიაში, მოტანილია მაგალითები რწყვის უარყოფითი გავლენის შესახებ კახეთის მევენახეობაში, იხ. „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში“, თბ., 1961, გვ. 74—75.

<sup>19</sup> ე. ქარელი შვილი, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები. ს.ქ. № 22. ფ. 5—6.

როცა სოფელი ზევით იყო, ვენახებიც უმეტესად მთის ფერდობებზე ჰქონდათ მოწყობილი<sup>20</sup>. „როცა ზევით ვცხოვრობდით ტყეც იქვე გვქონდა. სახლის კედელს ზოგჯერ კლდეში გამოუთხრიდით, ქვიანი ადგილები იყო. მეტი წილი ვენახები იქა გვქონდა, ტუხანთ ხეობის ადგილებს სუ ვენახები ჰქონდა დაფერდებოდა. მოლეთაც ფერდობია, მთაგორიანია. ვენახის დამუშავება გვიჭირდა ამ ადგილებში, მიწას ხელით ვაბრუნებდით, წერაქვითა და ბარით, ქვიანი ადგილები იყო, ქვას ვკრეფავდით. მერე ვამაგრებდით მაგ ადგილებს რო- არ დალრანტულიყო მიწა, არ გაეფუჭებინა ვაზი“<sup>21</sup>. ასევე განთქმული იყო თავისი მიწათმოქმედებით ხირსა — ძველი ხორნაბუჯი. ძველ მე-ვენახეთა დიდ ოსტატობაზე აქ მიუთითებენ მრავლად აღმოჩენილ ქვევრ-მარნის ნაშთები. სტ. მენთეშაშვილის ცნობით, კოლოთოს ხევში დადასტურდა გაგარეულებული ვაზი, რომელიც ადგილობრივი კულტურული მევენახეობის ნაშთია.

ასევე ზონალურად ჩამოინაცვლა სოფ. ზემო ბოდბემ, და ადრე ათვისებული მიწები დიდ ნაწილში მიტოვებულია, ბევრიც დაინარჩუნა და აღარ არსებობს. ამ სოფლის შემოგარენში დღემდე რელიეფურად შემორჩა ლ ა რ ი ს ტიპის სახნავი ნაკვეთები, რომელზეც ადრე მარცვლეული ითესებოდა (ადგილის სახელწოდებაა მ ე ლ ა უ რ ი). ძველად სოფლის ახლოს მისი ბაღ-ვენახი წყარო- ნაკადულებით ირწყვებოდა<sup>22</sup>, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა.

ამგვარად, ყველა სოფელს მის გარშემო მოხერხებული მდებარეობისა და ექსპოზიციის მიწები ათვისებული ჰქონდა სახნავად, სავენახედ, საბაღედ (დღესაც შეიძლება ბევრგან მათი ტოპონიმების მიგნება), რომელიც მეურნეობის ტრადიციულ დარგებს ეთმობოდა.

ადრე ნავენახარი ბევრი ადგილი ახლა გავერანებულია ან ტყითაა დაფარული. ზევით საზედაზე ქვევრებია დარჩენილი. შემოდგომით ბევრი ოჯახი მიდის თავის ზედაშენთან — საკლავს დაკლავენ, პურ-ღვინოს წაიღებენ, დაილოცებიან მოხუცები. ეკლესიის დღეობაზეც იციან თავშეყრა. ეს ახლა უკვე ძველი ტრადიციის გამოძახი-

20 „სოფლები ქიზიყში შესანიშნავია. გარშემო მიდამო მთლად ვენახებს უჭირავს და აქ სახნავ მიწებს იშვიათად ნახავ...“ ი. გ. გ. გ. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. „საგანძურა“, თბ., 1982, გვ. 231.

21 დ. გ. ე. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. 76 წ. სოფ. ბოდბისხევი. პ. ლ. ა. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ., 85 წ. ზ. ბოდბე. ხალხში დღემდე შემორჩა ძველი წყაროების სახელწოდებანი. თად,

22 სოფ. ბოდბისხევს ჰქონდა ქაბაანთ-წყალი, ბოქოლიანთ-წყალი, კაკბის-წყარო, გაბროს-წყალი, თხელა-წყალი, მლაშე-წყალი, ხარი-წყალი, კუხიანთ-წყალი; ს. დ. № 2, 1986 წ.

ლია და არა რელიგიური აქტი, ამიტომ თანდათან იშვიათ ხასიათს ღებულობს.

სოფლის გარშემო განლაგებული ბალ-ვენახის მოვლა დიდ სიძნე-ლებთან იყო დაკავშირებული. დაფერდებაზე ჰირდა სახენელის გა-მოყენება და წერაქვითა და ბარით უხდებოდათ ნიადაგის დამუშა-ვება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ატმოსფერული მოვლენების, კერძოდ, წვიმა-თოვლის ოდენობასა და მათ განაწილე-ბას. ამავე დროს მომეტებული ნალექი ნიაღვრების წარმოქმნას და ღვარცოფის განვითარებას უწყობდა ხელს, რითაც დიდი ზარალი მოჰ-ქონდა საგლეხო მეურნეობისათვის<sup>23</sup>. ამიტომ, ნიადაგების შენარჩუ-ნებისა და მოსავლიანობის გადიდების ხალხური საშუალებებების რიგში, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ნიადაგების დაცვას წყლისა და ღვარცოფისაგან, რის განსახორციელებლად რაციონალური ღონის-ძიებები იყო შემუშავებული. მათ რიგში მნიშვნელოვანი ადგილი გა-ნეკუთვნება როგორც მიწის დასაცავ მოწყობილობათა შექმნას, ასევე ხელოვნური გზით ნიადაგური ფენის ათვისებისა და გაუმჯობესების აგროტექნიკურ ხერხებს<sup>24</sup>.

ნიადაგების დამცველი და ღვარსაწინააღმდეგო ნაგებობანი ად-გილობრივ კონკრეტული ბუნებრივი გარემოს თავისებურებათა ვა-თვალისწინებით იყო შემუშავებული. მეურნის მიერ წინასწარ იყო გაანგარიშებული ფერდობის დაქანებისა და ხასიათის შესატყვისად როგორ მიმართულებას მიიღებდა ღვარცოფი და ამის მიხედვითი ხდებოდა სათანადო სიდიდისა და რაოდენობის, განსხვავებული კონს-ტრუქციის მქონე ნაგებობათა გამოყენება.

ჯე ბ ი რ ი ფერდობზე განლაგებული მამულის დასაცავი ნავე-ბობაა. მეურნის წინასწარი გამოთვლით ჯებირი უნდა მოეწყოს ფერ-დობის იმ მონაკვეთში, სადაც ზურგი ადგილია, სავარგულს სათავე წერტილი. ეს ერთგვარად სამეურნეო-საფორტიფიკაციო უბანია, რო-მელიც ნიაღვრის მთავარ შემოტევას იღებს. აქ ყველაზე ადვილად შეიძლება „წყლისათვის „ყელის შეკვრა“, მისი დამორჩილება და სათა-ნადო მიმართულების მიცემა. თუ „ზურგი ადგილი“ დაცულია, წყლის დამანგრეველი მოქმედება თავიდანაა აცილებული.

ჯე ბ ი რ ი ს ა თ ვ ი ს მ ი წ ა შ ი ღ რ მ ა დ . გაყოლებაზე ორ რიგად ჩაყრილ-ნე ბ ო ძ ე ბ ს / მ ე ს ე რ ს , მ ს ხ ვ ი ლ მ ო რ ი ა ნ ხ ე ბ ს . მ ა თ ე რ თ მ ა ნ ე თ თ ა ნ ა ჯ ა ლ ა წ ნ ა ვ დ ნ ე წ ნ ე ლ ი თ „ ტ ყ რ უ შ უ ლ ი ღ ო ბ ე ს ა ვ ი თ “ . შ უ ა შ ი

<sup>23</sup> გ. ჩანგაშვილი, კახეთის ღვარცოფებზე, თბ., 1984.

<sup>24</sup> კახეთში, ყვარლისა და ახმეტის რაიონებში ეთნოგრაფიული ძიე-ბით გამოვლენილი იქნა შემინდვრებაში ნიადაგის ღარებად ათვისების წესი, რომელიც ასო ალების ადგილობრივ ტრადიციაში პოეზებს ასახვას და მომავალში საგანგებო ძიებას საჭიროებს.

მოქცეულ ადგილს რიყის ქვითა და ქვიშით ამოავსებდნენ. ზევითა ნაპირზე ცდილობდნენ დიდი ზომის ქვების მოთავსებას. დროთა მანძილზე ჯებირს წყალი მიუტანდა მიწას, მიასილავდა და უფრო შეკიდრს გახდიდა. ჯებირს განსაზღვრული მიმართულებით ჰქონდა დაქანება, „უფრო გეზათ ვიცოდით, წყალი რო დააქანოს“. იგი წყლის ნაკადს საჭირო მხრით წაიყვანდა, ნათესს ააშორებდა. საჭიროების მიხედვით ნაკვეთს სათანადო ადგილებში რამდენიმე ჯებირი უკეთდებოდა. ძველი ჯებირის ნაშთები დღემდე შემორჩა სოფ. ბოდბის ძველ ნავენახარში<sup>25</sup> (ს. ბოდბის მცხოვრებმა, 82 წლის თურმან ხუნაშვილმა მიგვეთითა ძველი ჯებირების ადგილებზე).

ჯებირი იცავდა არა მარტო სავარგულებს, არამედ კარმიდამოსა და სოფლის სამოსახლოებს, ისე რომ მისი აგება ხშირად სასოფლო საქმე იყო და ყველა ღებულობდა მონაწილეობას. ჯებირის მშენებლობაში ერთიანდებოდნენ მომიჯნავე ნაკვეთის მფლობელები და ერთიანი ძალებით აგებდნენ.

ჯებირები ეწყობოდა ასევე დ ე ლ ი ს პ ი რ ე ბ ზ ე, სადაც წყლის მოდიდების დროს მომიჯნავე ფართობებს წალეკვის საშიშროება ემუქრებოდა, აქ ჯებირები უფრო მიჯრით იყო განლაგებული და ზოგჯერ ასეული მეტრის სიგრძეზე გასდევდა სანაპიროს.

უხუცესი ინფორმატორების მითითებით ჯ ე ბ ი რ ი ი გ ი ვ ე ს ა დ ვ ა რ ე ა, საღვარესაც ეტყოდნენ. „სადაც ღვარს უნდა ჩაეელო, საითაც გეზი ექნებოდა აღებული იქ ჩაუდგამდნენ, მანებს ჩაყრიდნენ, ფიჩხით ვამაგრებდით“. ყველა ფერდობის ნაკვეთს — სახნავსა თუ სამოსახლოს „საშიშ“ ადგილებში თავისი საღვარე ჰქონდა მოწყობილი. სოფლებსაც ჰქონდათ საღვარეები — არბოშვიკის საღვარე მთელი სოფლის მიდამოს იცავდა<sup>26</sup>. ყოველი მოსახლე თავის სახლკარს ასევე საღვარეებით აშორებდა წყლის საშიშროებას.

ჯებირს ზოგ პუნქტში „მესერს“ უწოდებენ — „მესერისათვის გრძელი მანები უნდა მოგვექრა — 3-4 მეტრიანი, ასობით იყო საჭირო, წნელი და ფიჩხიც ადრე უნდა დაგვემზადებინა, ახალი, ნეღლი მუხისა, რცხილისა... გავსხებავდით, სიგრძეზე ჩაყვრიდით და გადავწნავდით. რო შეიკრებოდა შიგ ქვასა და დალახული ქარჯის კონებს ვაყოლებდით ქვასთან ერთად“<sup>27</sup>. ზოგან ფიცრებისაგან შეკრული ჯე-

<sup>25</sup> „სერებზე, ფერდობში ბევრი მამული იყო, ფარხაჩში გვექონდა კარგი ვენახები, ლობიოც გვეთესა. ჯერ ფერდია და მერე დაეცმულია, ურწყავი ადგილია, მაგრამ საუკეთესო ვაზი იყო, ურწყავი ჯიში. მერე ამ ვენახებზე ხალხმა ხელი აიღო, ეს ადგილები ეხლაც არის დარჩენილი“ — ი. ნატროშვილი, ე. მარტყოფიშვილი და სხვები. სოფ. ზემო მაჩხაანი.

<sup>26</sup> ი. ხუციშვილი. 72 წ. ქ. წითელწყარო.

<sup>27</sup> რ. შეითნიშვილი, 79 წ. სოფ. ბოდბისხევი.

ბირის მოწყობა სკოდნიათ, მხოლოდ ეს უფრო ახლებური, თანამედროვე წესით რადგან ძველი ბევრმა აღარც იცოდა — „ღვარი და ცოფი რო მოასკდებოდა ნათესს, ფიცრის ჯებირებით ვიჭერდით: ღრავის დაყრაც ვიცოდით ეგეთ ადგილებში; მუხის ხეებსა ვრგავდით გარშემო წყლიან ადგილებში კიდევ წნორსა“<sup>28</sup> ჯებირის მაგვარად მოწყობილ ნაგებობას სოფ. ნუკრიანში ქოტორში, ვაჭირში წნურს უწოდებენ. წნური სათავე ადგილებში ჯებირის ანალოგიურადაა გამართული მხოლოდ შედარებით მცირე ზომები ახასიათებს<sup>29</sup>.

წყლისაგან დამცველი საშუალებაა ქიზიყში ასევე გოდორყური. ის უმთავრესად ეწყობა ხეების ნაპირებზე მისიი აღიდებრასს მიმდებარე მიწების დასაცავად. გოდორყურისათვის სათანადო ადგილას ამოთხრება ოვალური ფორმის ორმო 1—1,5 მ სიღრმის. შიგ ჩაუდგამენ წინასწარ მოქსოვილ გოდრისმაგვარ „ფეხდგომილა“ წნურს და ძირში ჩაუყრიან 1—2 ფენა ქვა-ლორღს. შემდეგ იწყებენ ორმოში კონებად შეკრული ფიჩხისა და „ჯარჯის“ მოთავსებას, ჯვარედინად. ყოველი კონის ჩადების შემდეგ ზევიდან ქვიშა-ქვას აყრიან და ასე რამდენიმე პირად, ვიდრე ორმო არ ამოივსება ბოლომდე. ზევიდან აქაც მოდიდო ქვასა და ლოდებს აწყობენ „აუკოკოლავებენ თავსა“, შიგა და შიგ ჰოჭყა ქვას ჩაუყრიან, რომ კარგად დამაგრდეს წნულის ნაპირი. მისი სიმაღლე „ნაოლრალის“ ანუ დახრამული ადგილის სიღრმეზეა დამოკიდებული. ასეთი შემაგრება უკეთდებოდა თითქმის ყველა ხევს, რომლის წყლებმაც აღიდება იცოდა. გოდორყურის სიმრავლე ადგილზე იყო დამოკიდებული, მისი მეშვეობით წყლის მიმართულება უნდა შეეცვლილიყო და იგი უშიშარ, აუთვისებელ ადგილისკენ უნდა გადაეგდოთ. მიყოლებით 15—20 და მეტი გოდორყურის ჩადგმა იცოდნენ საჭირო ადგილებში, „გოდორყურს იმაზე ვეძახით რო ყურივით მობრუნებული, შემოხვეულია და წყალს გზას აძლევს“ — განმარტავენ ადგილობრივ<sup>30</sup>. თითო გოდორყურის დიამეტრი 15—დან 20 მეტრამდე შეიძლებოდა და მათი რიცხვიც ისაზღვრებოდა საჭიროების მიხედვით. ტიბანთ-ხევი, გედიკის-ხევი, ბოდბის-ხევის ხევი, ანაგის ხევი, ვაჭირის ხევი ამ მოწყობილობებით იყო დაცული. ახლა ამ ადგილებში ყველგან ცემენტისა თუ ბეტონის ფილებით მოპირკეთებული კედლებია ამოშენებული.

ვენახებში მიღებული იყო ბაქნების მოწყობა. ჩამორეცხილი, წყლისაგან „დარღვეული“ ადგილი მეურნის მცდელობით კვლავ შედიოდა მოქმედებაში. ამისათვის განსაკუთრებით ძლიერად დაზიანე-

28 თ. შეითნიშვილი 72 წ. სოფ. ბოდბისხევი.

29 კ. ყოყოჩაშვილი 84. სოფ. ვაჭირი; ა. მანაშვილი 75 წ. ნუკრიანი.

30 ვ. პატატიშვილი, 91 წლის, ს. არბოშივი.

ზულ ნაკვეთში დაფერდებული ნაპირიდან ჩაუყრიდნენ სარებს და წნელით მოქსოვდნენ 1 მეტრამდე სიმაღლის ლობეს, ისე რომ ქვევითა ნაპირი მიწის ზედაპირს დაფუძნებოდა, დაბჯნოდა. მერე მიაყრიდნენ ჯარჯს, წვრილ ქვა-ლორღს, შეკრული ფიჩხის კონებს და მიწით ამოავსებდნენ. მიწას იქამდე აყრიდნენ, ვიდრე ნაპირი არ გასწორდებოდა. ზევდან „ხურდა“ ქვას მოაბნევდნენ ნიადაგის „გასაკეთებლად“. ამგვარად გაჩნდებოდა ფერდობზე ოდნავ შემალლებული სწორი — ბ ა ქ ა ნ ი. ბაქნების მოწყობა ახალი ვენახის დასანერგად იშვიათად იცოდნენ. ძირითადად მიღებული იყო ძველ ვენახში ან ნაკენახარში ძლიერად დაზიანებული, დარღვეული მონაკვეთების აღდგენა ბაქნების მეშვეობით. ვფიქრობთ, ბაქნების წარმოქმნის ტრადიციას ქიზიყში უფრო მყარი საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომელიც დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში უფრო ჩაღრმავებულ ძიებას მოითხოვს. ბაქნის იდენტურად ქიზიყში იხმარება ბ ე ქ უ მ ი, რაც ასევე კედლით ამოყვანილ ხელოვნურად მოვაკებულ პატარა ფართობს ეწოდება. ამ მიმართებაში საყუთადღებოა თუშეთის მიწათმოქმედებაში არსებული სახელწოდება — ბ ე ქ ი — რომელიც მემინდვრეობაში გამოყენებული ლარის სახნავეების სახელადაა ცნობილი.

დაღვარული ფერდობის ათვისება ტ ა ხ ტ ე ბ ი ს მოწყობით იცოდნენ. ჰარბტენიან ნიადაგში მიღებული იყო ტახტების გამართვა, როგორც ადგილობრივ იტყვიან „ნიადაგის რიგებად მოწყობა“. წვიმის წყალი ხანგრძლივად ჩერდებოდა ქანებში და აზიანებდა მოსავალს. ამას გარდა მოვარდნილი ღვარი ანგრევდა და რეცხავდა კულტურულ ფენას. ტახტები შეჭრილი, შეთხრილი იყო ფერდობის ნიადაგში, მის პერპენდიკულარულად, სავენახედ და ზოგჯერ საბაღედ იყო გამოყენებული. როგორც უხუცესი ადგილობრივი მაცხოვრებელი სოლომონ ჯავახიშვილი გადმოგვცემს სოფ. არბოშიკიდან: „ნიადაგს ღვარცოფი რეცხავდა და ატუდებდა. ჩვენც ტახტებს ვაწყობდით. ტახტი მიწას იქერდა, წყალს თავის გზას მისცემდა ფერდობის ნიაღვარს მ ო ა ც უ რ ე ბ დ ა, მიწას დაცილდა წყლისაგან. აქ ყველაფერი კარგად ხარობდა და გვარიან მოსავალს გვაძლევდა“. როგორც ირკვევა ტახტებს იართული განლაგება ეკავა. ფერდობი ზოგჯერ ო რ ტ ა ხ ტ ა დ ა ნ ს ა მ ტ ა ხ ტ ა დ იყო დაყოფილი. მოცულობით არც თუ დიდი ფართობი იქმნებოდა, მაგრამ ვაზი თუ სხვა კულტურა კარგად ხარობდა. ერთ მოსახლეს ტახტებად მოწყობილი მამული რამდენიმე ადგილას შეიძლებოდა ჰქონოდა, მის დამუშავებასაც ოჯახი თავისი ძალებით უძღვებოდა. ამგვარად, ჰარბტენიან მიწებში ტახტები ორგვარი სარგებლობით იყო მოწყობილი, ორგვარ დანიშნულებას ასრულებდა: ჯერ ერთი იქმნებოდა მკვიდრი, საიმედო ნაკვეთი მცენარის დასანერგად, რადგან ნიაღვარისაგან ჩარეცხვა აცილებული ჰქონდა. ამის პარა-

ლელურად იგი ერთგვარად წყლის მარეგულირებელის ფუნქციას ასრულებდა. ხატებს შორის ღარები იყო მოწყობილი, საწრეტი თხრილები, წყლის შემკრები და მისთვის სათანადო მიმართულების მიმცემი; სადაც ნაუური წყალი გადიოდა და ერთ მოზრდილ რუში იკრიბებოდა. სხვანაირად ასეთი ფართობი მოსავალს არ მისცემდა, არცერთი კულტურა არ იხარებდა მასზე. რუში მოქცეულ წყალს უკვე ვარკვეული მიმართულებით წაიყვანდა მეურნე. ამგვარად წყლის ზიანი თავიდან იყო აცილებული და ათვისებული მიწის ახალი სავარგული. იმისათვის, რომ რუ არ მოშლილიყო და არ დაეკარგა კალაპორტი მიმართავდნენ მის შემაგრებას: ტ ა ხ ტ ე ბ ს შორის და განსაკუთრებით რუს გაყოლებაზე რვაედნენ აკაციას, არყის ხეს, წნორს. ხალხური დაკვირვებით წნორის ფესვები ღრმად გადის ნიადაგში, ერთმანეთში გაებმის და ამაგრებს მას. წყალი ველარ არღვევს ასეთ ნიადაგს. „წნორმა იცის — წყლისაკენ კი არ გაუშვებს ფესვებს, მიწისაკენ, ფესვსაც კარგად გაიდგამს და მიწასაც დაიპერს“. წნორის ფართო სამეურნეო გამოყენებაზე მისი ადგილობრივი სხვადასხვა სახელწოდებები და ტოპონიმიკური გავრცელებაც მეტყველებს — წნორი, კატაწნორი, თავდაყირა. წნორი; ამავე მიზნით ქიზიყში ფართოდ იყენებდნენ ბროწეულს, ასევე ხომანდულს. ნიადაგების დაცვა ხდებოდა უფრო მარტივი კონსტრუქციის მქონე საშუალებათა გამოყენებითაც. ასეთია მუხის ფიცრებისაგან შეკრული „ბოგირი“, რომელიც ძლიერად დაქანებული ექსპოზიციის მქონე ნაკვეთებს რამდენიმე ადგილას ჰქონდა ჩადგმული და მიწას „ადგილზე აჩერებდა“. მუხა დიდხანს არ ლებოდა, ამგვარი მოწყობილობა 10—15 წელი იცავდა ბალისა თუ ვენახის სათანადო მონაკვეთს.

ძლიერად გამოფიტულ ადგილებში მიღებული იყო ღობურების მოწყობა. მიწაში ჩაყრიდნენ მოკლე, მსხვილ სარებს და ზედ ფიჩხსა და ქვას მიყრიდნენ. პირველივე წვიმის მერე წყალს მიწას მიუტანდა და შიგ „გაილესებოდა“. დროთა მანძილზე ღობურა იფარებოდა მიწით და მიმდებარე ნაკვეთი ეროზიისაგან დაცული იყო.

ნიადაგების დაცვის ტრადიცია კახეთის ბევრ სხვა უბანსაც შემორჩა. ყ ვ ა რ ლ ი ს, თ ე ლ ა ვ ი ს, ა ხ მ ე ტ ი ს რაიონის ტერიტორიაზე ეთნოგრაფიული ძიებით კარგად იკვეთება ჯ ე ბ ი რ ე ბ ი თ ნიადაგების დაცვისა და შემაგრების წესები. მაგ. სოფ. ე ნ ი ს ე ლ შ ი ფიჩხის ჯებირებით ამაგრებდნენ ი ნ წ ო ბ ა ს ხ ე ვ ი ს პირებს, წალეკვისაგან მიწის დასაცავად ჯებირებს აწყობდნენ ასევე სამეურნეო ნაკვეთებზე და საკარმიდამოზე. „მოწნული ჩელტები ვიცოდით, წყლის ნაპირს ჩაუდგამდით და შუაში ქვასა და ფიჩხს უფენდით, ქვიტიკრისას



ჯობნიდა<sup>31</sup>. ქვის ჯებირების ფართოდ მოხმარება დადასტურდა სოფ. ყვარელწყალში (წინა კოშკები) — „წნელის დობეებს ვაკეთებდით, მერე შიგ ვაწყობდით კონებად ფიჩხსა და ქვასა ვყრიდით, ზოგჯერ ერთ კილომეტრზე გაიჭიმებოდა, ორ მეტრამდე სიმაღლისა იყო. წნელი ურმებით მოგვექონდა, ქვას რიყეზე ვაქუჩებდით, ბეგარას ვეძახდით, ყველა კომლს უნდა ემუშავა წელიწადში რამდენიმე დღე<sup>32</sup>“. სოფ. საქობიანოში წნელით მოქსოვილი გოდორყურები იყო. ჩადგმული მდინარის ნაპირებში, წყლის „დასაკავებლად“, რაც რუსხმელის მოწყობაშიც ფართოდ იყო გამოყენებული.

გ ა რ ე კ ა ხ ე თ შ ი, სადაც შიდაზონალური მიგრაცია მისი ბევრი პუნქტისათვის არის დადგენილი, ფერდობის, რთული მდებარეობის მიწების ათვისების დიდი ტრადიცია ვლინდება. იმისდა მიუხედავად, რომ ამ უბანზე დასახლებათა უმეტესობას სასმელი წყალი უჭირდა, მრავალი ხევით დასერილი ნიადაგი ხშირი ნიაღვრისა და წყალდიდობის სარბიელი ხდებოდა. ფართოდ იყო მიღებული მწვანე ნარგავებით ნიადაგის დაცვა, რისთვისაც კ ა კ ა ლ ი და ი ფ ნ ი ს ხ ე მი აჩნდათ უკეთესად. ხეების აღიდებას ჯ ე ბ ი რ ე ბ ი ს ა და გ ო ლ ო რ -ყურების გამართვით უმკლავდებოდნენ — ხევის პირებში მუხის ბოძებს ჩაუსხამდნენ, იქ სადაც ძ ა ლ ა ს მ ი ი ტ ა ნ და წ ყ ა ლ ი, გადაწნავდნენ და შიგნითა ნაპირიდან ქვასა და ფიჩხს მიაყრიდნენ. ჯებირების პრაქტიკა ფართოდ იყო მიღებული საგარეჯოს ხევზე, ჩაილურის წყალზე, კაკაბეთის ხევზე, პატარძელის ხევზე, მანავის ხევზე, თვალ-თხევის ხევზე და სხვ. „წინათ ხევის წყლებში უფრო მეტი ძალა იყო, აღიდებაც ხშირად იცოდა. ძველი ხალხის გადმოცემით, ბევრი ტყე იყო აღრე, ტყე წყალს იჭერდა, თოვლებიც მეტი იყო და ნიაღვარიც ღონიერი მოდიოდა, წყლიანი ხეები იყო“ — ასე ახასიათებს ამჟამად უხუცესი მთხრობელი ამ საკითხს<sup>33</sup>.

სოფ. კაკაბეთი წინათ გორებზე იყო გაშენებული, „ტყისპირებში იყო მიმალული“, ხევი რომ ჩაუდის ის იყო სასმელიც და სარწყავიც. კაკაბეთის ხევმა ძლიერი აღიდება იცოდა და ხალხი ბევრი ღონისძიებით უმკლავდებოდა მას: აწყობდნენ ჯებირებს, გოდორყურებს, ფიცრისა და ხის მორებისაგან შეკრულ ჯებირებს, აშენებდნენ სათანადო ჭიშის ხეებს, ასევე სოფ. თოხლიაური თავისი ხევის ნაპირების მუდმივ გამაგრებას ახდენდა. მართალია, ეს ხევი ვიწრო, მაგრამ ზედ ხევის პირზეა დასახლებული სოფელი და საშიშროებაც მეტი ჰქონდა. ამ ხევზე განსაკუთრებით მიღებული იყო გოდორყურები — მუხისა

31 გ. ცაიშვილი, 82 წ. სოფ. ენისელი.

32 კ. წიკლაური, 81 წ. სოფ. ყვარელწყალი.

33 ნ. პავლიაშვილი, 72 წ. ს. თოხლიაური.

გრძელ მარგილებზე წნელით შემოწნავდნენ და 1,5 მ-მდე რომ აიყვანდნენ იწყებდნენ მისი ქვით ავსებას. უმეტესად ამ სამუშაოს შესრულება მთელი უბნის ძალებით წარმოებდა: „უბნათ გამოდიოდა ხალხი“ როგორც მასალის — მანების, ფიჩხის, წნელის, ქვის შეგროვებაზე, ასევე სამუშაოს ჩასატარებლად. ქვას ეზიდებოდნენ ამისათვის სპეციალურად გამართული ურმით, რომელსაც გვერდებიდან ციფრები ან წნული ლასტი ჰქონდა აგრული. თუ გოდორყურებს ცალკე მეკომური იკეთებდა თავის ნაკვეთში, აუცილებლად მეზობელ-მოკეთეს მოიხმარდა. გასამრჯელო ამ დროს არ იყო მიღებული, ნ ა ც ვ ა ლ გ ა რ დ ა თ ი ხ დებოდა სამუშაოს ანაზღაურება რაც სანაცვლო დახმარებას, საპასუხო ხელის გამართვას ითვალისწინებდა. სამუშაო დილიდან გვიან საღამომდე გრძელდებოდა. დილით ყველა „თავ-თავისას წახემსებდა“ და მერე ნაკვეთის პატრონი უმასპინძლებდა „ჭამაზე ნაკლებსა ფიქრობდა მაშინ ხალხი, ნაკლებ დროს ანდომებდა“. გოდორყურის დაწვანაზე ის იმუშაებდა, ვისაც ამის გამოცდილება ჰქონდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა სარების// მანების სიგრძეს ეკლევოდა, რომელიც ღრმად უნდა ჩასულიყო ნიადაგში (60—70 სმ) და წნური ადგილზე დაემაგრებინა. „ყველაზე საიმედო იყო გოდორყური, დიდხანსა ძლებდა და კედელივით იჭერდა წყალს“<sup>34</sup>.

სარწყავი მიწათმოქმედების საკითხების განხილვისას კახეთის ტერიტორიაზე მ. გეგეშიძე, საგანგებოდ, არ იხილავს ლვარსაწინააღმდეგო მოწყობილობების საკითხს. ამის თაობაზე იგი შემდეგს აღნიშნავს — „წყლის გამოყვანა და საერთოდ წყალთან დაკავშირებული სამუშაოები პირველ რიგში კი ამ კუთხისათვის ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საქმიანობა, როგორიც იყო წყალდიდობასთან ბრძოლა, საერთო სასოფლო საქმე იყო“. სამწუხაროდ ავტორს არა აქვს განხილული არც ერთი წყალდიდობის საწინააღმდეგო ხალხური საშუალება, ნიადაგების დასაცავად წარმოებული ხერხები, რაც დიდ ნაწილში რწყვაში მიღებულ ტერმინოლოგიას ითავსებს, მხოლოდ უკვე სხვა შინაარსი და დანიშნულება აქვს მიღებული. ამავე ნაშრომში ნათქვამია: „რადგან კახეთის ხევების განსაკუთრებული თავისებურებაა ადიდება და დიდი ძალით მოვარდნა; სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას სარწყავი არხების სათავეების მოწყობის ერთგვარი სიმარტივე და დროებითობაც. სათავისათვის იყენებდნენ ქვებსა და ქვიშას, ზოგჯერ ყველაფერს ამას დატკეპნიდნენ ანუ გალახავდნენ რომ წყალი უკლებლივ შესულიყო რუში. რუს გამოსაყვან, დასაწყის ადგილს კახეთში ყველგან სათავეს უწოდებენ. ქიზიყში დამოწმებული

34 გ. ბერუაშვილი, 88 წ. ს. მანავი.

:სახელწოდება „წყლის ყელი“ აგრეთვე სათავის აღმნიშვნელი უნდა იყოს. იტყოდნენ „წყალს ყელში შევუკრათ და წამოვიყვანოთ“, „წყალს ყელში შეკრულია და რუში გამოდისო“ და სხვ<sup>35</sup>“. ამ ნაწილში განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ თითქმის ანალოგიური წესით შექმნილი მოწყობილობა ქიზიყში ემსახურება სავენახე ნაკვეთების დაცვას ნიაღვრისა და წვიმის წყლის ჩარეცხვისაგან, რაზეც ადრე გვექონდა აღნიშნული. რაც შეეხება გამოთქმას „წყალს ყელი შევუკრათ და წამოვიყვანოთ“. „წყალი ყელში შეკრულია და რუში გამოდის“ საფიქრებელია, რომ სწორედ წყლის დაოკების, სამეურნეო ნაკვეთისათვის მისი აცილების, მისთვის სათანადო მიმართულების მიცემის აზრსაც ასახავს და მისი გამომხატველია. ამიტომ, აქ სწორედ იმ გარემობას უნდა გაესვას ხაზი, რომ ხალხური დიდი ცოდნა მორწყვის საქმეში სათანადოდ გამოყენებულია წვიმისა და ნიაღვრის წყლებთან საბრძოლველად, რაზეც მეტყველებს ანალოგიური ტერმინების სიუხვე და ტრადიციით შემონახული წეს-ჩვეულებანი.

ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ხალხის ყოფაში დამოწმებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებანი, რომლებიც ერთი მხრივ წვიმის გამოწვევასთანაა დაკავშირებული და მეორე მხრივ — ავდრის საწინააღმდეგოდაა მიმართული. განსაკუთრებით კახეთში, სადაც ატმოსფერულ ნალექებს მისი მეურნეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა, „არა მარტო წვიმის გამოწვევაა ხალხური ირაციონალური ხერხების მთავარი ობიექტი, არამედ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ავდრისა და სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, ამიტომ არის, რომ აქაური ხალხის რწმენა-წარმოდგენაში რელიეფურად მოჩანს ცალკეული პატრონი ელია“<sup>36</sup>. ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია მთელი რიგი წეს-ჩვეულებები — ელიასადმი მიძღვნილი დღეობები, მისთვის საკლავის შეწირვა, მაგიური შელოცვის ტექსტები, რაც სეტყვისა და წყალდიდობის საწინააღმდეგოდ სრულდებოდა.

ამავე რიგისაა გონჯაობა — სპეციალური რიტუალი, რომელსაც საფუძვლად ედო ხალხის რწმენა, როგორც წვიმის გამოწვევის, ასევე ავდრის შეწყვეტისა, რაც ქიზიყში გონჯა-გონჯაობის სახელს ატარებს. ამავე დროს ქიზიყში, სადაც თავისებურ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში ყალიბდებოდა ადგილობრივი სამიწათმოქმედო დარგები, რომლებიც უპირატესად ურწყავი იყო, დასტურ-

35 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

36 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

დება გონჯაობის ორივე ვარიანტი — როგორც წვიმის გამოწვევის, ასევე მისი შეწყვეტისა<sup>37</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უფრო რელიეფურაუ გამოიკვეთა სურათი იმისა, თუ რამდენად მრავალფეროვანია კახეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცული ხალხური ცოდნა-გამოცდილება, რომელიც ძველად მეურნეობის ინტენსივობის საფუძველს შეადგენდა. იქ, სადაც ატმოსფერული ნალექები მიწათმოქმედების მთავარი სასიცოცხლო პირობა იყო, ხშირად საზარალო და დამანგრეველ ხასიათს ატარებდა. ამიტომ ადგილობრივ შემუშავებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია მათ სათანადო რეგულირებას ახდენდა და ამ რესურსების სასარგებლოდ გამოყენებას ახერხებდა.

მთიულეთ-გუდაამაყარი დუშეთის რაიონის შემადგენელი ნაწილია. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით დუშეთის რაიონი რამდენიმე კუთხეს აერთიანებს, რომელთაგან თითოეული ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიულ-რეგიონალურ ერთეულს წარმოადგენს. მათი ტერიტორიების სირთულისა და სივრცის გამო, რაიონში შემავალი ყველა ობიექტის წარმოჩენა ვერ მოხერხდა. ამიტომ დუშეთის ქვაბურისა და მთიულეთ-გუდაამაყრის ფარგლებში მოქცეული მიწა-წყლით შემოვიფარგლეთ. აქვე შესულია არაგვისპირის, ანანურის, დუშეთის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიები.

ვახუშტი ბატონიშვილი განსხვავებულ შეფასებას აძლევს სხვადასხვა გეოკლიმატურ პირობებში მოქცეულ ამ მხარეებს: „არს მოზღუდულ მთიულეთი მთითა, ამის გამო მაგარი და შეუვალი, არს უვენახო, უხილო, მცირემოსავლიანი და ჰავით არს ფრიად კეთილი და მშვენიერი წყარო — წყლითა და მწვანითა“<sup>38</sup>. სხვაგვარი სურათია ბაზალეთის ველზე, სადაც არიან „დაბნები ვენახოვანნი, ხილიანნი, მოსავლიანი“<sup>39</sup>. ასევე არაგვის ხეობა „მისაქციელიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი“<sup>40</sup>.

---

37 მანგლისთან ახლოს, სოფ. დიდი თონეთის მინდორზე დღემდეა შემორჩენილი დიდი ზომის ქვის ლოდი (დასად. 1. 60 მ. სიმაღლის); რომელსაც „მამოდას ქვას“ უწოდებენ. ხანგრძლივი წვიმებისა და სეტყვის დროს ხალხს ეკლესიიდან ხატი გამოქონდა და ამ ქვასთან მიდიოდა; იგი უნდა წამოეწიათ- და მიწაზე დაედგათ — ამის მერე ამინდი აუცილებლად გამოკეთდებოდა (ჩაგვაწერინა აკაკი ბედოიძემ). ქვემო ქართლში საყოველთაოდ იყო მიღებული სიტყვის საწინააღმდეგო საღეთო, რასაც ზოგ სოფელში დღესაც მისდევენ. (ქალქების ქააკების შესახებ იხ. მ. გუგუშიძე, დასახ. ნაშრომი).

38 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 66.

39 იქვე, გვ. 65.

40 იქვე, გვ. 64.

საკვლევი რაიონის შესწავლას სხვადასხვა ასპექტში არა ერთ ნაშრომი მიეძღვნა. მაგრამ საძიებელი თემის გარშემო ცნობები სიძუნწითა და სიმცირით ხასიათდება. მაგალითად, მთიულეთისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდბა, რომელიც სამეურნეო ხასიათის არაერთარ ცნობას არ შეიცავს. არაფერს გვაწვდის ამ მიმართებით არც ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების მიერ შედგენილი კანონები — „განჩინება ბარისა და მთურთა. ადგილთა“, გარდა რამდენიმეჯერ მოხსენიებული ვენახისა არაგვის ბარის ზოლში. ისე რომ ამ მხარის სამეურნეო აღწერისათვის ძირითად წყაროებად უნდა მივიჩნიოთ ვახუშტის — „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ და კილაშვილის „ზაპისკა“<sup>41</sup>.

საკვლევი ტერიტორიის მეურნეობის შესახებ საინტერესო ცნობები მოცემულია კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ შედგენილი აქტების VII ტომში. აღნიშნულ მიმოხილვაში, რომელიც ნ. კილაშვილს ეკუთვნის ყურადღება გამახვილებულია მთიულეთ-გუდამაყრელებისა და ხანდო-ქართლელების მიწით მომარაგებისა და უზრუნველყოფის საკითხებზე<sup>42</sup>. საკითხის შესწავლისათვის ცნობების შემცველია ნ. ნიკიფოროვის მიერ სახელმწიფო გლეხთა აღწერის დაეთრებში მოცემული მასალები, რომლებიც ეხება ღუშეთის მაზრას სოფლის მეურნეობის რამდენიმე ასპექტს<sup>43</sup>. აქ განხილულია მაზრის ნიადაგები, რომლებიც მრავალფეროვანია. ავტორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ნიადაგური საფარის ზონალურ კუთვნილებას, რომელსაც 3 ვერტიკალში წარმოაჩენს — მთის ნაწილი, მთისძირა და დაბლობი. კანონზომიერებას ამჟღავნებს მარცვლელი კულტურების შერჩევის წესი — მაშინ, როდესაც დაბალ ზოლში გამოყენებულია საშემოდგომო კულტურები, მთაში ვხვდებით მხოლოდ საგაზაფხულოს, და ისიც მთის ადგილობრივი, აბორიგებული ჯიშებით. რელიეფის მკვეთრი სხვაობა აპირობებს აგრეთვე სახვნელი იარაღების დიფერენცირებულ გამოყენებას და მათ სახესხვაობას — დაბლობში მუშაობს დიდი გუთანა 8—10 უღელი გამწევი ძალით, მთაში კი — მსუბუქი ორულელა სახვნელი.

მთიულეთის მეურნეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის ს. მაკალათია. მისი განმარტებით — მთიელები უმთავრესად მისდევენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, მაგრამ ხაზს უსვამს მათთვის კირ-

<sup>41</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 165.

<sup>42</sup> Акты Собранные Кавказской археологической комиссий, т. VII, Тифл., 1848, с. 347.

<sup>43</sup> Н. Никифоров, Экономический быт гос. крестьян душетского уезда, МИЭБГКЗК, т. V.

ნახულის სიმცირეს, რის გამოც იძულებული არიან პურეული სხვა კუთხეებიდან შემოიტანონ. მესაქონლეობა ასევე განვითარებულ დარგად არის აქ წარმოდგენილი, სადაც ქარბობს მეცხვარეობა, რადგან საკვები ბაზით ეს უკანასკნელი უკეთ არის უზრუნველყოფილი, მსხვილფეხა საქონელი კი ბაგურ კვებაზე იმყოფება წლის ნახევარზე მეტი, რაც დიდ სიძნელებებს ქმნის საკვების მხრივ. მემინდვრობისა და მესაქონლეობის მდგომარეობის დახასიათებისას ავტორი უკანასკნელს აძლევს უპირატესობას<sup>44</sup>.

საკვლევი რაიონის ლანდშაფტი თერმული რეჟიმის დიდი თავისებურებით ხასიათდება. განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული ტემპერატურული ინვერსია, რაც მიკროკლიმატის დიდ მრავალფეროვნებას ქმნის. მაგალითად, მუხრანის ვაკისის ფორმა ხელს უწყობს ზამთრობით მის ძირზე ჰაერის ცივი მასების დაგროვებას, რის გამოც აქ ტემპერატურა გაცილებით დაბალია ვიდრე ფერდობებზე. ინვერსიის მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ სხვა რეგიონიდან. კერძოდ კახეთში, პანკისის ხეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გავრცელების ზედა ზოლი 1400 მ ზ. დ. აღწევს, რაც დაქანებულ ფერდობებზე ინვერსიული მიკროკლიმატით აიხსნება<sup>45</sup>.

არაგვის აუზის ბუნებრივი პირობები, რელიეფი, კლიმატი, ჰიდროგრაფია — დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. იგი მთლიანად დაფარულია მრავალი ხევითა და ხეობით. რაიონის ორი მთავარი მდინარე — თეთრი და შავი არაგვი — ქმნის ღრმა წყალუხვ ხეობებს, რომელთა მნიშვნელობა ამ კუთხის სამეურნეო ცხოვრებაში მეტად დიდია. შედარებით მცირე ხეობათა სიმრავლე ასევე დიდად აპირობებს როგორც დასახლების ტიპს, ასევე მეურნეობის ხასიათს. მაგალითად, შავი არაგვის ხეობას, რომელიც გუდამაყრის ტერიტორიულ რეგიონს ქმნის, რამდენიმე დიდი და პატარა ხევი მიერთვის. ასეთებია მარჯვენა შენაკადები — ბოსლის ხევი, გამსის ხევი, დიდებათ ხევი, ბაქვის ხევი, მაქართის ხევი, ბახნის ხევი, რცხილიანის ხევი; მარცხენა შენაკადებია: ბაკურხევის ხევი, საჩალის ბალის ხევი, საკერპოს ხევი, ალაშურთის ხევი, ლუთხუბის ხევი, დიხჩოს ხევი<sup>46</sup>. ხეობები ღრმაა და ვიწრო. მრავალფეროვანია აგრეთვე აუზის მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო. ყოველივე აპირობებს მრავალი სახის ნიადაგის არსებობას. მ. საბაშვილის კლასიფიკაციით არაგვის აუზში გამოიყოფა სამი ძირითადი ნიადაგური ზონა: 1. ვაკეებისა და

44 ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 81.

45 საქართველოს სსრ სას. სამ. წარმოების განლაგება... ტ. I, თბ., 1960.

46 მასალები, ს. დ. № 2, 1977 წ.

მთისწინეთის, 2. აღმ. საქართველოს მთა-ტყეთა, 3, აღმ. საქართველოს მთა-მდელოთა ნიადაგების ზონები<sup>47</sup>.

რაიონი წარსულში ფოთლოვანი ტყით ყოფილა დაფარული. არაგვის განიერი ტერასირებული ხეობა ვაკის ტყეებს სჭერია. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, აქ წარსულში გაუვალი, უღრანო ტყეები ყოფილა. მაგრამ ზედაპირის ზომიერი დახრილობის გამო ტყის მასივები ძველთაგანვე იქნა ათვისებული სახნავ-სათესად, რასაც მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვეც უწყობდა ხელს<sup>48</sup>. ტყეების პირვანდელი სახით დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ხატის ტყეებს“, რომლებიც რელიგიური დანიშნულების გარდა სამეურნეო მნიშვნელობით იყვნენ ღირსშესანიშნავი, რადგან ფერდობების ეროზიას და დაშლას უშლიდნენ ხელს. ადამიანის ჩარევის შედეგია ის, რომ არაგვის აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს ან სულ უტყეოა, ან მეორადი ტყეებით არის დაფარული, რომელთაც ანთროპოგენული ტყეები ეწოდება<sup>49</sup>.

დღეშეთის ქვაბური ტენიანი კლიმატის პირობებშია მოქცეული. ამავე დროს ეთნოგრაფიული კვლევით ამ ტერიტორიაზე გამოვლინდა გვალვაგამძლე კულტურების ფართოდ გავრცელება. სპეციალური ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული მასალის შეჯერების შემდეგ გაირკვა, რომ აქ ადგილი აქვს ნიადაგისა და არა ჰაერის გვალვას. ნიადაგის სიმშრალე, მასში მაღალი თერმული რეჟიმი აქაური ლანდშაფტის აგროკლიმატური თავისებურებების ერთ-ერთი გამოვლინებაა. იმისდა მიუხედავად, რომ ამ ტერიტორიაზე ნალექები ზომიერი ოდენობით მდდის და ჰაერის ტენიანობა მაღალია — ნიადაგები მშრალია, მათ გვალვა აწუხებს, ამიტომ დღეშეთის ქვაბური ძველთაგან საშემოდგომო კულტურებისათვის საუკეთესო გარემოდაა მიჩნეული.

მთიულეთ-გუდამაყარი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით კავკასიონის უშუალო მეზობლობაში იმყოფება. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ძველთაგანვე მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. აქაური მკვიდრნი ოდითგან მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ. მთის კალთებსა და შვეულ ფერდობებზე განლაგებული სახნავი ნაკვეთების მდებარეობა თავისთავად აძწელებდა მის დამუშავებას. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა ნაკვეთების ექსპოზიციას რაც მზისა და ჩრდილის მხარეებად დაყოფის პრინციპს იყო მკაცრად დაქვემდებარებული ამაზე, სხვასთან ერთად მეტყველე-

47 მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგების. თბ., 1962.

48 ი. აფხაზაძე, არაგვის აუზის ლანდშაფტური დარაიონებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შოამბე, ტ. XXVI, № 3, 1962 წ.

49 Сосновский Д. М. Опыт классификации растительной формации Грузии, ЗКС, I, М., 1930.

ბენ ტომონიმიკური მონაცემები. ადგილობრივ უძველესი დროიდან იყო შემუშავებული ნიადაგის ათვისების რაციონალური წესები; ისევე როგორც სხვაგან „კავკასიის მთიანეთშიც მოსახლეობა თავისი სამიწათმოქმედო მეურნეობის საწარმოებლად ხშირად მიმართავდა სახნავი ნაკვეთების ტერასირებას, მორწყავს და გაპატივებას. მთის გეოკრაფიული გარემო, რელიეფი და დასამუშავებლად ვარგისი მიწების სიმცირე ასეული წლების განმავლობაში მოსახლეობას აიძულებდა თითოეული მტკაველი მიწა უდიდესი შრომის ფასად გამოეგლოჯა ბუნებისათვის“<sup>50</sup>.

მთიულეთ-გუდამაყრის ბუნების თავისებურება გახდა განმსაზღვრელი მისი მეურნეობის სხვადასხვა დარგის ჩამორჩენა-დაწინაურებისა. სადაც უპირატესობა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ენიჭებოდა. მათ თანაარსებობას ადგილობრივ ხელს უწყობდა ბუნების ათვისებისადმი დიფერენცირებული მიდგომა — მაღალი მღებარეობის სავარგულები ემსახურებოდა მესაქონლეობის ინტერესებს, ხოლო მთის ძირის, შედარებით დაბალი ზონის ნაკვეთები მიწათმოქმედებისათვის იყო განკუთვნილი. ნ. ჭილაშვილის დახასიათებით, „მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები და ჭართალი, რომლებიც ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას წარმოადგენენ, სახნავი მიწებით ხევის მაცხოვრებლებზე მდიდრები არიან, რაც განსაკუთრებით ტყეზე ითქმის. ისინი ყოველწლიურად ჭრიან ტყეს, აღიდებენ თავის სახნავ ნაკვეთებს და მოჰყავთ ხორბალი, ქერი და ფეტვი; ნიადაგს 2—3 უღელშებმული კავით ამუშავებენ“<sup>51</sup>. ადგილობრივ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა იმის მაჩვენებელია, რომ მიწათმოქმედების ტრადიციული წესებით ძალიან მდიდარია მთიულეთს სამეურნეო ყოფა. როგორც გ. ჩიტაია მიუთითებს, „ჩვენ საქმე გვაქვს შერწყმულ მეურნეობასთან მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სახით, მაგრამ ეს შერწყმა მოცემულია მთის ზოლის პირობებში და ამდენად თავისებურია“<sup>52</sup>. უკეთებს რა ანალიზს წამოჭრილ საკითხს, გ. ჩიტაია განაგრძობს — „ყურადღების ღირსია, რომ მთის ზოლის ზმ სახის მეურნეობა თავის ჩანასახში ატარებს წინააღმდეგობას. მოსახლეობა, პურის შეზიდვის სიმწლესთან დაკავშირებით, იძულებული იყო მესაქონლეობისათვის გამოსაყენებელი მიწის გარკვეული ფართობი სათიბებისა და საძოვრებისათვის წაერთმია და საყანეებად გა-

<sup>50</sup> გ. ჩიტაია, Горное земледелие на Кавказе, მსე, XI 1960, გვ. 57.

<sup>51</sup> Записки Н. С. Чилиева о горных народах по военно-грузинской дороге 1827 г. «Акты собранные Кавказской археологической комиссией», т. VII, Тифл., 1878 г., с. 347.

<sup>52</sup> გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, თბ., 1953, გვ. 215.



მოეყენებინა. ასეთ ვითარებაში ერთის გაზრდა შეიძლებოდა მოხერხებულყო მხოლოდ მეორის შემცირების ხარჯზე. ეს გარემოება ხელს უშლიდა როგორც ერთის, ისე მეორის განვითარებას და ძნელად გადასალახავ „მანკიერ წრეს“ ქმნიდა“<sup>53</sup>.

აღნიშნული ვითარება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აპირობებდა ადგილობრივი მეურნეობის სპეციფიკას, რამდენაღმე დაირღვა XIX საუკუნის ბოლოსათვის. „XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელ მოვლენად გვესახება მეურნეობის განვითარების ტენდენცია მეცხვარეობის ზრდისა და მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შევიწროების ნიშნით“<sup>54</sup>. ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, რომ მთიელთა ყოფაში მათი საარსებო ორი უმნიშვნელოვანესი. წყაროს თანაფარდობა პერიოდულად იცვლებოდა, მაგრამ გარკვეულ სტატუსს ინარჩუნებდა, ვიდრე მთიელთა მეურნეობა კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგებოდა. ა. რობაქიძის დახასიათებით „მთიულეთშია, საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონების მსგავსად, მემინდვრეობა წარმოადგენდა მეურნეობის ტრადიციულ და მალაღანვითარებულ დარგს... მეურნეობის ამ ორი ძირითადი დარგის თანაშეფარდება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა იყო. უდავოა მაგ., რომ როდესაც მთიულეთში (ისევე როგორც ხევში, თუშეთში...) სასაქონლო მეურნეობა კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა, მისი საფუძველი გახდა მესაქონლეობა, ე. ი. მეურნეობის ის დარგი, რომელიც აქ აქამდეც ყველაზე რენტაბელური იყო. ამან გამოიწვია საბნავი მიწების ერთი ნაწილის სათიბ-საძოვრად გადაქცევა. ფაქტურად ეს იმას ნიშნავდა, რომ მთლიანად მთიულეთის ფარგლებში მემინდვრეობის ხვედრითი წონა შემცირდა მესაქონლეობის სასარგებლოდ“<sup>55</sup>. ამიერიდან უპირატესობა მიიღო მესაქონლეობამ, კერძოდ მეცხვარეობამ. „მთიულეთ-გუდამაყარი დღეს უძთავრესად ამ დარგით არის ცნობილი. მსხვილფეხა მესაქონლეობის ხვედრითი წონა ამ კუთხის ეკონომიკაში მეცხვარეობა-თან შედარებით საგრძნობლად მცირეა, ხოლო მიწათმოქმედების მნიშვნელობა არარაობამდეა დაყვანილი“<sup>56</sup>.

მიუხედავად „მცირე ველიანობისა“ ადგილობრივ მეურნეს წარსულში მაინც სათანადო ასპარეზი გააჩნდა ნიადავის შექმნისა და

53 გ. ჩ ი ტ ა ი ა, იქვე, გვ. 216.

54 ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი ქ ა რ თ ლ ის მ თ ი ე ლ თ ა ყ ო ფ ა - ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ, თ ბ., 1974, გვ. 26.

55 რ. ხ ა რ ა ძ ე, ა ლ. რო ბ ა ქ ი ძ ე, მ თ ი ე ლ ე თ ის ს ო ფ ე ლ ო ძ ე ვ ე ლ ა დ, თ ბ., 1965, გვ. 24.

56 ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნ ა შ რ ო მ ი, გვ. 21.

ათვისებისათვის ტყის სახით, რომელიც აქაურ მიწა-წყალს არ აკლდა. ამიტომ ნიადაგების ათვისების ყველაზე ეფექტურ საშუალებას აქ ახოს აღება წარმოადგენდა, რომელიც ტყის გაკაფვის სახით ხდებოდა. როგორც ვ. ითონიშვილი აღნიშნავს — „მთიულეთ-გუდამაყრელები განსაკუთრებით დიდ შრომასა და ენერგიას ხარჯავდნენ მიწათმოქმედების სფეროში. ისინი ხნავდნენ არა მარტო სოფლის ახლოს მდებარე ნაკვეთებს, არამედ მთის კალთებსა და ფერდობებსაც კი. სახნავი ადგილების გაფართოების მიზნით ჩენავდნენ ტყეებს, თხრიდნენ დუკას და იელს. გადმოცემებთან ერთად ამაზე მიგვითითებს ტოპონიმიკაც. იქ, სადაც დღეს საძოვარი, ჩამორეცხილი ადგილი ან ჯაგით დაფარული ნაკვეთია, გვხვდება ბევრი ისეთი სახელწოდება, რომელიც სახნავ-სათესის აღმნიშვნელია<sup>57</sup>“.

ახოს მთიულეთში „ახოს გამოღებას“ ეტყვიან ან „სამამულედ ტყის გაჭრას“. სამამულედ ტყეს ისე არ გაჭრიდნენ, თუ კარგ „მდებრივ“ მიწას წინასწარ არ შეურჩევდნენ. ადგილს ასახელებენ „ლაგაზიანს“, იქ სამამულე ადგილები არ ვარგოდა და მარტო ერთი შემთხვევა ყოფილა, რომ ტყე გაჭრეს<sup>58</sup>. ახოს აღსანიშნავად „გაჭრილ მამულსაც“ ხმარობენ. როგორც მთიულეთში, ისე გუდამაყარში განსაკუთრებით ხშირია ახოს დახასიათების დროს ტერმინი „ნაქარჩა ახო“<sup>59</sup>, რაც ფერდობზე ტყის ნაკაფვის, ახოდქცეული ნაკვეთის აღმნიშვნელია. ტოპონიმებში შემოინახა მათი სახელები — ირემას ნაქარჩა, ზორას ნაქარჩა, ივანეს ნაქარჩა<sup>60</sup> და ა. შ. ადგილობრივ მიღებული იყო აგრეთვე ბუხნარის, დიდი ხნის დაუმუშავებელი ადგილის ახოდ გამოღება, რაც იმავე კორდის გაგებით არის აქ გავრცელებული.

ახოს ასაღებად სათანადო ტყის მონაკვეთს წინასწარ უნდოდა შერჩევა იმ ღირსებათა მიხედვით, რომელზეც ზემოთ მივუთითეთ. რადგანაც ძველად უფრო ხნოვანი ტყის გაჭრა ხდებოდა, ამიტომ ხეს ჯერ კანს გააცილდნენ რომ მალე გამხმარიყო, რასაც დაყვერვა//შემოყვერვას უწოდებდნენ<sup>61</sup>. შემდეგ ხე გადაიჭრებოდა ძირში. ამას მოსდევდა მიწიდან ძირების ამოძირკვა. ახოს აღება ხდებოდა საერთო სასოფლო ან სათემო ტყეში, შერჩეული ტყის ნაკვეთს ოჯახი საკუთარი ძალით ნელ-ნელა ჩენავდა, ასუფთავებდა, აფართოებდა, რაც ხან-

57 ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

58 გ. ბექაური, სოფ. გამსი.

59 ნ. ვეშაგური, სოფ. კიტოხი.

60 ნ. ჩოხელი, სოფ. ჩოხი.

61 ახლა მთიულეთ-გუდამაყარში დიდი სიძნელეს წარმოადგენს ძველი ჯიშების ნახვა, ისე რომ მხოლოდ მათი ცალკეული ეგზემპლარის მიხედვით შეიძლება წარმოდგენა თუ რამდენად შრომატევადი სამუშაოა ხნოვანი ხის მოჭრა და ამოძირკვა.

გრძლივ დროს მოითხოვდა. ორი-სამი დღიურის ოდენობის ნაკვეთის მიღებას ერთი ოჯახი თავისი ძალებით ათ და მეტ წელს უნდებოდა. ამიტომ იყო რომ დამუშავების მერე ის უკვე ოჯახის საკუთრებად ითვლებოდა<sup>62</sup>. ახო აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში საგანაფხულო კულტურებისათვის იყო განკუთვნილი.

აქ, ახოს ალების საკითხზე განსაკუთრებით შევაჩერეთ ყურადღება იმ მიზეზითაც, რომ მთიულეთში ნიადაგის ტერასირების ფორმები მეურნეობრივი თვალთახედვით ახოს ალების სისტემის შემადგენელი ნაწილია, როგორც მემინდვრეობაში, ასევე მებაღეობასა თუ მებოსტნეობისათვის (საბოსტნე, მიწის ტერასებად მოწყობა, ან უკეთ — ტერასულად მოწყობილ ნიადაგზე ბოსტნის მოწყობა გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს).

მთიულეთში მეურნეობის ტერასული ფორმების შესახებ სათანადო მოსაზრება არსებობს. როგორც ა. რობაქიძის ნაშრომში ვკითხულობთ, „...ტერასების მრავალი სახეობა არსებობს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვის ყორეების ამოშენებას. ეს წესი კავკასიის მთიანეთში ტერასირების ერთ-ერთ ძირითად სახეობას წარმოადგენს. საქართველოდან საამისო მაგალითად დავასახელებდით მთიულეთში ხანდოს ხევის სოფელ ვეშაგურთან, სადაც საბოსტნე ადგილები ეხლაც არის ტერასირებული, და ამავე ხეობის სოფელს — წინამხარს, სადაც ტერასირების საუკეთესო ნიმუშს ბალის საკმაოდ დიდი ფართობი წარმოადგენს. საქართველოს სამხედრო გზაზე ყველა გამვლელისათვის ცნობილია ხელოვნური ტერასირების ის ნიმუშებო, რომლებსაც ხევის ეთნოგრაფიული სინამდვილე გვაძლევს. ამ მხრე ყველაზე ტიპური და იოლად სანახავია სიონის ცნობილი ტერასებო. შეიძლება ითქვას, რომ ამ რიგის ტერასირება კარგად არის ცნობილი საქართველოს მთიანეთის ყველა ძირითადი რაიონებისათვის“<sup>63</sup>.

როგორც ეთნოგრაფიული ძიება ავლენს, ტერასირების სამეურნეო პრაქტიკას ხეობის დაბალი ზოლის სოფლებში მართლაც ჰქონდა გამოყენება მეხილეობისა თუ საოჯახო, საკარმიდამო მცირე ბოსტნების მოსაწყობად. ამჟამად, მათი მიგნება მხოლოდ ზოგ დასახლებულ პუნქტში ხდება შესაძლებელი. ამ მასალით ნათელი ხდება, რომ მიწის სიმციროს გარდა, აღნიშნულ ნაგებობათა აუცილებლობა შეპირობე-

62 ტ. ბეჟაური, 88 წ. ს. კიტხი.

63 ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, კვ., თბ., 1964, გვ. 36. ტერასირების ტრადიციო დამახასიათებელია ხევის სამეურნეო ყოფისათვის, რაც ამ რეგიონში სპეციალურ კვლევას საჭიროებს. ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული დაზვერვის მასალები აისახა ნაშრომში — ლ. ბერი ა შვილი ტერასული მეურნეობა საქართველოში, „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“ (მასალები), თბ., 1985, გვ. 26—27;

ბული უნდა ყოფილიყო თოვლის ზეავისა და მეწყერისაგან ნიადაგების დასაცავად: „ფერდაზე ადგილებს პატარა ქვის ყორეებს უშენებდით და ვასწორებდით, მიწა არ ჩამოცურებულყო, არ წაეღო სახლი და მთელი კარმიდამო, ქვებით ვამაგრებდით“<sup>64</sup>. ყორეთი შემაგრებული ადგილები მთიულეთის ხეობათა ბევრ მონაკვეთში მარცვლეული კულტურებისათვისაც იყო მოწყობილი.

ტერასული ტიპის ნაშენობათა გავრცელება დადასტურდა ასევე გუდამაყარში, სადაც ფერდობებზე ქვით ნაშენი კედლები ბევრგანაა გამოყენებული რთული რელიეფის ასათვისებლად. მთხრობელთა მოწმობით — „დიდი კედლებით ნაშენი ადგილები არ იყო ჩვენთან, უფრო პატარ-პატარა მიწების ამოშენება ვიცოდით, ქვებს შემოვავყოლებდით რომ მიწა არ წაეღო“. „ახო გაგვიქრია, გაგვიკაფია, მერე იმ ადგილს მივალაგებდით, რაც ზედმეტი იყო, დაწვავდით და თუ საშიში ადგილი გამოდგებოდა ყორესაც ამოვუშენებდით“<sup>65</sup>. ამგვარი წესით ნიადაგის ათვისების პრაქტიკა განსაკუთრებით კარგად ვლინდება გუდამაყარის მთავარი ხეობის შემდინარე მცირე ხევების ტერიტორიებზე — ლუთხუმის, სიჯანანთ-ხევის და სხვ. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჯებირების მოწყობას, რაც „საშიშ“ ადგილებში მასიურად იყო განხორციელებული<sup>66</sup>.

ნიადაგის ათვისების ღონისძიებათა რიგში ძველთაგან ფართოდ იყო გავრცელებული საკვლევ კუთხეში ცალკეული, პატარა ზომის სახნავეების ათვისება, რომლებიც ტყეში შექრილ, უკვე „გამოგალულ“ ნაკვეთებზე იყო დაფუძნებული. ამ ადგილებს ხალხი „დაჭრილ მამულებს“ უწოდებს. ისინი ფერდობზე იყო განლაგებული და „დაკიდებული“ მდებარეობა ეჭირა. ნიშანდობლივია, რომ, დაჭრილი მამულები“ მუდამ მზიანი, სამხრეთის ექსპოზიის მქონეა, რაზეც მათი ტოპონიმებიც მიუთითებენ — სათავო მიწა, მზორე, მზის პირი, პირდაპირები, გვერდობები. ამ ნაკვეთებს ზღვრები ჰქონდა, რაც ნიადაგის ჩამოშლას უშლიდა ხელს და იცავდა გაზაფხულზე, თოვლისდნობის დროს, მოჭარბებული წყლისაგან. ხშირად დაჭრილი მამულები ორ რიგად გასდევდა ფერდობს და ნაკვეთებს შორის დაბაქანებულა, დაფერდება ბუჩქნართა და ბალახით იყო დაფარული. ასეთი ადგილები ერთ მოსახლეს ზოგჯერ ათზე მეტ ადგილას ჰქონდა. მათი დამუშავება სახენელით ჭირდა, მოსავალი კი კარგი მოჰყავდა. ცდილობ-

64 ნ. მელიქიშვილი 79 წლის, სოფ. წინამხარი.

65 ბეაქური მიხეილ ვივის ძე, 100 წლის, სოფ. ჩოხი.

66 საქართველოს სამხედრო გზის პირას მცხოვრებთა ერთი ნაწილის ფულად შემოსავლის წყაროს გზის შეკეთება, ჯებირების აგება, თოვლისა და ტალახისაგან გზის გაწმენდა, ქვის მტკრევა და ამ რიგის სამუშაოები წარმოადგენდა. ვ. ი თ რ ნ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

დნენ ყვეარი ხარით დაემუშავებინათ, თუ არა და „თოხებით ვქარჩავდითო“. ამ ნაკვეთებში ნაკელის გატანა უჭირდათ და ცდილობდნენ საქონელი დაეყენებინათ, საქონლის დროებითი ბაჟი მოეწყოთ. ზამთარში გაპარტივებული ნიადაგი სინოტივეს აიღებდა და ეს მიწა „გაეთდებოდა“. აქ მუდამ ქერ-სვილი ითესებოდა. „ახოებს მაშის მამულს ვეძახდით — გადმოგვეცემენ მთხრობელები — ზოგი სახლებს დაშორებითაა და ზოგი სახლებთან ახლოს გვექონდა. აქ, ჩოხის ახოები გვექონდა: ს ა თ ა ვ ო მ ი წ ა, კარმიდამოს ახლოა; მ ზ ო რ ე — მზის პირია; ხ ო ზ ა ს მ ი წ ე ბ ი, ხ ო ვ ი ს თ ა ვ ე ბ ი, ჯ ო რ თ-პ ი რ ე ე ბ ი, ნ ა ზ ლ ო მ ე ბ ი, პ ი რ წ ა ღ მ ა რ თ ე ბ ი, ე გ ს უ ყ ე ვ ლ ა ს რ ე ლ ე ბ ია — სიგრძივ მონაკვეთებია პატარ-პატარა. მაგ მიწებში ყვერას ხარს ვამუშავებდით, თუ არ მიუდგებოდა თოხებით ვქარჩავდით. საახოე მამულს მოვლა უნდოდა, „მამული გავდორეო — ვიტყოდით“<sup>67</sup>. — სიჭანაანი ტყეველიანი ადგილებია, ნაქრიანზე გვექონდა მამულები, ნაყორთ-ქელი, ლოგოურთ-ქელი...“<sup>68</sup>; „ფერდაში იყო ჩვენი მამულები, ადგილებს ვასწორებდით, ქერი და დიკა მოგვეყავდა“<sup>69</sup>.

საგულისხმოა სოფ. ჩოხში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა. ამ სოფელში ყურადღებას იპყრობს რამდენიმე უბანში შემორჩენილი დასახლება, რომელიც ტერასულ ფორმას განეკუთვნება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოფ. ჩოხის ზედა უბნის დასახლება, რომლის ყველაზე უმაღლეს კარმიდამოს საეზოვე და საბაღე ნაკვეთიც, თავის შიგნით ტერასირების პრინციპებს ექვემდებარება და მასზე გაშენებული კულტურები საფეხურებადაა დანაწილებული. როგორც ამ სახლის უფროსმა გადმოგვეცა, ადრე ამ ფართობზე პურეული ითესებოდა.

საყურადღებოა სოფ. ათნოხში მოძიებული ეთნოგრაფიული ცნობები: „ძველად მამულები ფერდობებში გვექონდა, იმდენს გამოეთხრით რო ძროხა დაწვენილიყო, ქვებით ვამაგრებდით, კედელს ამოუყვანდით მიწა რომ არ დაძრულიყო. ხანგამოშვებით ფერდობის მამულებში საქონელს დაეყენებდით, ბაკს მოვაწყობდით ჭასამიდრებლად“. ხენის წინ ასეთი ადგილები მცენარეულისაგან იწმინდებოდა (კუნძები, ხის ფესვები), და ყვერის ხარით იხვნებოდა. ითესებოდა მუდამ ქერსვილი, რადგან ხორბალი ვერ ასწრებდა შემოსვლას. ორი მარცვლეულის შერეული თესვით განსაკუთრებით უხვ მოსავალს იღებდნენ და მოსახლეობასაც აგი თავის ძირითად

67 ნ. ვეშაგური, 90 წლის, სოფ. ჩოხი. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსახრება, რომ სწორედ ახოებამ განაპირობა საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, მთიულეთში ე. წ. მაშის მამულის შექმნა: ბ. გაშყრელიძე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში, კეკ. თბ., 1971, გვ. 51.

68 გ. წიკლაური, 79 წ. ს. ზანდუკი.

69 ე. ბეჭაური, კ. ბეჭაური. სოფ. გამსი.

სარჩოდ, საკვებად მიაჩნდა. წმინდა პური უფრო სადღესასწაულო დღეებში ჰქონიათ, ნამცხვრისა და რიტუალური დანიშნულების პურებისთვის იყენებდნენ. ყოველდღიური კვებისათვის კი ქერისა და სვილას ფქვილისგან გამომცხვარი პურით სარგებლობდნენ.

ახალი აგროტექნიკური საშუალებების მიგნებითა და მათი ფართო გამოყენებით, რომელთა ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იყო როგორც მიკროგარემოს თავისებურებანი, ასევე სათესი კულტურების ხასიათი და ბუნება, მოსახლეობა ზრდიდა მეურნეობის ინტენსივობის დონეს და მარცვლეულით აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ახერხებდა, ამით იყო გამოწვეული ძველთაგან შექმნილი ვითარება, რომ მესაქონლეობის დაწინაურებასთან ერთად, მნიშვნელობით მისი ტოლფასოვანი მიწათმოქმედების დარგები მთიულეთში თავის განვითარებულ დონეს აღწევდა.

ტერასების გარშემო ეთნოგრაფიული მასალის ძიებამ მთიულეთის ტერიტორიაზე, ხადას ხეობაში მიგვიყვანა. ხადისხევი საკმაოდ ღრმაა და ვიწრო. ზოგ მონაკვეთში იგი ფართოვდება და ციცაბო ფერდობებს ხშირი ბუჩქნარითა და წვრილი ტყვით დაფარული გორაკები ესაზღვრება. შუა ნაწილიდან ხეობა საგრძნობლად ვიწროვდება, ხოლო მიმდებარე მთები კარგავენ მცენარეულ საფარს და უკვე ზევით, სოფ. წკერეს მისადგომებთან, სრულიად შიშვლდებიან. ამ მონაკვეთში გამოვლინდა ტერასულად განლაგებული სახნავი მიწების რამდენიმე უბანი, რომელთა უმეტესობა ერთი შეხედვით მიუვალ ფერდობებზე იყო შეფენილი. იმჟამად, სექტემბრის შუა რიცხვებში მთელი მიდამო მუქი მწვანე ბალახით იყო დაფარული და დამუშავების კვალი არსად არ მოჩანდა. სიგრძეზე გამოვაკებული რამდენიმე იარუსად განლაგებული ნაკვეთები იმდენად მკაფიოდ მოჩანდნენ, რომ მათი ლარებად მიჩნევა არავითარ ეჭვს არ ბადებდა. ადგილობრივ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალით დადასტურდა, რომ აღწერილი მიდამო სოფლის ძველი სახნავი ადგილებია, რომელიც უგზობისა და მიუდგომლობის გამო დიდი ხანია ხალხმა მიატოვა. წინათ ეს მიწები საგაზაფხულო მარცვლეულის სათესად იყო გამოყენებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პუნქტში თვით ტერმინის დადასტურების ფაქტი — ამ ადგილებს, საცა წვრილი და გრძელი ყანებია ლარამა მულეებს ვეტყვით“—გადმოგვცეს სოფ. წკერეს, უხუცესმა მთხრობლებმა<sup>70</sup>.

შემინდვრობაში გამოყენებული ტერასული ფორმის — ლარების არსებობა მთიულეთის ტერიტორიაზე (როგორც ქართული მიწათმოქმედების შემადგენელი ელემენტისა) სრულიად კანონზომიერია

70 მ. კონჯაძე, 97 წ.; გ. ზაქარიაძე, 71 წ. და სხვები.

როგორც ზონალური. ასევე სამეურნეო სპეციფიკასთან შესატყვისობაში. ამაზევე მიგვიტოვებს სოფლების — ციხიანის, შარშიანის, როსტიანის და სხვათა მდებარეობა და სამეურნეო საქმიანობის ტრადიციის ხასიათი. მიუხედავად ძლიერად გადაკვეთილი რელიეფისა და რთული, მუვალი მდებარეობისა, ხეობა წარსულში მკიდროდ ყოფილა დასახლებული. ამის მაჩვენებელია ხეობის სიღრმეში მდებარე სოფლების ტოპონიმები, რომელთაგან უმეტესობა (მულურო, წყარე, ბეგოთყარი. ქოროლო, სვენანი, მიდელაურები, გემურნი, იუხო, ბუნიანი და სხვა). მოსახლეობისაგან დაკლილია.

ლარების გარშემო მნიშვნელოვანი ცნობები გამოვლინიდა მთიულეთის ბევრ დასახლებულ პუნქტში. ლარებად მოწყობილი სახნავეების მიგნება ჯერ კიდევ შესაძლებელია სოფლების — წინკობანის, გიორგიანის, დავითურების, გოგნაურის, ვეშაგურთას — მიდამოებში. სადაც ოდითგან საგაზაფხულო ხორბალი და ქერი მოჰყავდა ადგილობრივ მოსახლეობას<sup>71</sup>.

საკვლევი უბნის მეორე მონაკვეთი — დუშეთისა და ბაზალეთის შთათაწინეთი, მუხრანის ვაკეთი — იმავე ტრადიციების მატარებელია, როგორისაც ჩვენ მიერ უკვე განხილული ტერიტორია. რელიეფის გეოკლიმატური პირობები, რომლებიც აქ განსხვავებულია და უფრო ზომიერია, მის მეურნეობას უფრო მდიდრად წარმოაჩენენ; მუხრანის ვაკის მონაკვეთი უფრო მევენახეობისათვის არის გამოყენებული, დუშეთისა და მისი მიმდებარე მთის დაბალი კალთები კი პურეული კულტურების მაღალი მოსავლით გამოირჩეოდა ოდითგან. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ნიადაგის ათვისების, ასევე მისი დაცვის საშუალებებს. ფართოდ იყო გავრცელებული ახოს აღების წესი, რომელიც (ტყის გაკაფვით) ახალი სახნავე ფართობის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა.

საახოე მამულები, მთიულეთ-გუდამაყართან შედარებით, დუშეთის შემოგარენში გაცილებით დიდ ნაკვეთებს მოცუავდა. ჰქონიათ ახო, რომელიც ნახევარ ჰექტარზე მეტით იქნებოდა. ადგილობრივი მასალის მიხედვით, აღნიშნული გარემოება უმთავრესად ტყის მდებარეობაზე იყო დამოკიდებული. ასე, მაგალითად, სოფ. ბაზალეთში კარგად არის გამოკვეთილი საახოე ნაკვეთების ორგვარი სახე — ერთი, რომელიც დიდ მამულებს ეკავა, მათი ტოპონიმებია — თხილ-წყაროები, ნამკალ-ვაკე, ორხევი, ქვიშიანი წყლები, პატრიანთ-ახო, ნაკაფები, ახალუბანი, ჭყონაანთ-კარი, დუშურ-ახოები, გრძელეები...

71 ი. დავითური, 94 წ. და სხვები. სოფ. ვეშაგურების თავზე შიშველი მთა, აქა-აქ დაბალი ტყითა და ბუჩქებით შემოსილი. ფერდობზე ახლაც კარგად მოჩანს ლარებად ათვისებული საყანე ადგილები, სადაც ადრე ქერ-სეილი მოჰყავდათ.

იყო ასევე ახოდ გაჭრილი შედარებით მცირე ფართობის მქონე ნაკვეთები, რომლებიც მოცულობის მიუხედავად, უხვი მოსავლის წყაროს წარმოადგენდნენ.

ლარებად ნიადაგების ათვისების წესი ასევე ტრადიციულია დუშეთის შემოგარენში, სადაც მას ლარა მამულიებს უწოდებენ. იმისდა მიუხედავად, რომ ლარებად მოწყობილი სახნავი მიწები დიდი ხნის მითრეულა და ამჟამად აუთვისებელი, ცნობები მათ შესახებ საყოველთაო ხასიათს ატარებს. უხუცესი მთხრობლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შემდეგი ხასიათისაა: ლარა მამული ფერდობზე მდებარე სახნავია, უმეტესად ტყის პირებშია განლაგებული, მცენარეულისაგან შიშველია, ზოგან ჭაგნარი და წვრილი ტყე ფარავს. ამავე დროს ლარები ნახოარ ადგილებს ახლავს თან, მათ მეზობლობაში მდებარეობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლარები ასევე ახოს ადებით არის შექმნილი. მაგალითად, დუშეთის ახობს თავისი ლარები აქვს და ორხევის ახობს — თავისი<sup>72</sup>. ბოლო ხანებში ამ მიწებში საქონელს აძოვებდნენ, სახენელი კი აღარ გაუტანით, სრულიად გამოუყენებელია ამჟამად, დუშეთის ქვაბურში ლარების დიდი ნაწილი ზომიერი დახრილობის ფერდობებზეა განლაგებული და მოცულობით საკმარის დიდ ფართობს იკავებს. ამ მიწებში თავისუფლად მოქმედებდა ტრადიციული სახენელი და ცოცხალი გამწევი ძალაორუდელიანი სახენელის სახით. ლარების მოწყობის მეშვეობით ათვისებული იყო მიწის მნიშვნელოვანი ფართობი, რომელიც თავისი რთული მდებარეობის გამო ძნელად ექვემდებარებოდა მორწყვასა და განოყიერებას; ამაზე მიუთითებენ უხუცესი ინფორმატორები — „ლარებით მიწას ვასწორებდით, ფერდას იჭერდა, წყალს იჭერდა, მოხვნაც შეგვეძლო და მოსავალიც დიდი მიგვიღია იქიდან. იმ მიწებს გრძელეებს ეტყოდა ხალხი, ძველი ნაკაფი ადგილებია, სახანევროთა ვხნავდით ხოლმე, არ იყო პატარა მიწები“<sup>73</sup>. ასევე კარგად არის ხალხურ მასალაში შემონახული მზისა და ჩრდილის მდებარეობის ლარებში განსხვავებული პურეული მარცვლეულის თესვის წესი, რაც ასევე მკაცრად დაცულ კანონზომიერებას ექვემდებარებოდა. თუ დაბალი მდებარეობის ლარებში დოლის პური ეთესათ და ოთხუდელა-სახენელით ამუშავებდნენ მიწას, მაღალი დაფერდების ლარებში ერთუდელა სახენელი გაჰქონდათ და ქერი და ღიკა მოჰყავდათ.

72 ა. საღერაშვილი, 102 წლის ი. საღერაშვილი. 91 წლის, სოფ. ყვავილო.

73 ი. ებიტაშვილი (101 წლის), გ. ნათელაშვილი, გ. დიდებაშვილი და სხვები, სოფ. ბაზალეთი.



ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მთიულეთ-გულა-მაყრის ტერიტორიაზე და დუშეთის ქვაბურში ტერასირების ტრადიცია დღემდე შემორჩა<sup>74</sup>. უხუცესი ინფორმატორების დახმარებით შესაძლებელი ხდება გამოვლინდეს ტერასირების ადგილობრივი ფორმები, მათი მეურნეობრივი პოტენციალი, საწარმოო ტრადიციები, მნიშვნელობა მემინდერეობის სისტემაში და სხვა. აღსანიშნავია, რომ ტერასირების ტრადიცია მთიულეთში მეტადენდება საცხოვრებელი ნაგებობის მოწყობაშიც, სადაც კედლების ასაყვანად ქვის მშრალი წყობა გამოყენებული<sup>75</sup>. მთიელთა სამეურნეო ყოფის ცალკეული მხარეების შესწავლა-გამოვლენა მიუთითებს მიწათმოქმედების მაღალ დონეზე, რომელიც მრავალი რაციონალური ღონისძიებით არის აღსანიშნავი: „სახნაუების იმ მცირე ფართობების მოსაპოვებლად გაწეული შრომა, მათი წმენდა, რწყვა, გაპატივება, ტერასირება, თესლობრუნვის სისტემა და სხვა აგროტექნიკური წესის გამოყენება, რაც მთელეთის მაგალითზეც დასტურდება, მიუხედავად მისი მასშტაბებისა, მაღალგანვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიუთითებენ“<sup>76</sup>.

ლარების სამეურნეო დანიშნულება, მისი ადგილი ტრადიციულ სამიწათმოქმედო ყოფაში მნიშვნელოვანი ჩანს. ამის მამოწმებელია ეთნოგრაფიული მასალით გამოვლენილია მრავალი ფაქტი. ლარები მთიულეთ-გულამაყარში, ისევე როგორც საქართველოს ბევრ რეგიონში, ახოს სისტემასთან არის დაკავშირებულ, მისი ბუნებიდან გამომდინარე მოვლენად ჩანს. იგი ამ სისტემის უშუალო შემადგენელი ნაწილია, მისი განვითარებული ეტაპია, რომლის ჩამოყალიბება ინტენსიური მიწათმოქმედების ადრეულ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ.

იმ დროს, როდესაც ტრადიციული მიწათმოქმედების ამ ობიექტის სპეციალური შესწავლა დაიწყო (1965 წ.), ლარები სრული განადგურების და გაქრობის ეტაპზე იქნა ფიქსირებული, რის გამოც მათი ფართო გამოვლენა და ეთნოგრაფიული შესწავლა დიდ სიძნელებებს დაუკავშირდა. ამისდა მიუხედავად, მეტნაკლები სისრულით

---

74 ივრის ხეობაში, ერწოს ტაფობის ტერასებზე დასტურდება ნიადაგების ლარებზე ათვისების ტრადიცია, რაც აქ ახოს სისტემას უკავშირდება. იხ. ლ. ბერი-აშვილი, ტერასული მეურნეობის საკითხისათვის საქართველოში, მსე, XVIII, 1975, გვ. 13—21.

75 გ. დავითაშვილი, მთური საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ზოგიერთი თავისებურებანი, „ძეგლის მეგობარი“, № 42, თბ., 1976, გვ. 58. ყურადღებას იმსახურებს ვ. ითონიშვილის მიერ ამ საკითხზე ჩატარებული კვლევა.

76 ბ. ვამყრელიძე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში, კეპ-თბ., 1971, გვ. 46.

წარმოჩენილი რეგიონალური მონაცემები შესაძლებელს ხდის როგორც ლარებად ათვისებული ფართობების, ასევე მათ გარშემო ეთნოგრაფიული მონაცემების დადგენასა და წარმოჩენას. მთიულეთ-გუდამაყარის მასალა ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობის მქონეა, და მთლიანად პრობლემის ორგანული, განუყოფელი ნაწილია; ლარების ძიების მიმართულებაც მხოლოდ მიღწეულით არ შემოიფარგლება.

ტირასული მეურნეობა, ნიადაგების ათვისებისა და  
დაცვის ტრადიცია იმერეთსა, ბურჯანსა და სამეგრელოში

ზემო იმერეთი, ისევე როგორც საქართველოს დიდი ნაწილი, კლიმატური პირობების მრავალგვარობით გამოირჩევა. მისი რელიეფი პლატოსმაგვარი ხასიათისაა და მდინარეთა ხშირი ქსელითაა დაფარული. მათი მეშვეობით წარმოქმნილა მრავალი ხევი და ხრამი, რომლებიც სხვადასხვა მონაკვეთში ხშირი ტყითაა დაფარული. ზომიერი დახრილობის ფერდობებზე ტყე თითქმის არ არის და მათ მხოლოდ ბუჩქნარი ფარავს. მკვლევართა აზრით, ტყის საფარის აქტიური განადგურების მიზეზი მიწათმოქმედება გახდა, რომლისათვისაც სულ უფრო და უფრო დიდი დახრილობის მქონე ფერდობები გამოიყენებოდა. ბუნებაში მიმდინარე ეროზიული პროცესების არათანაბარი მსვლელობის კვალი, მდინარეული ტერასებისა და მისი ანალოგიური ფორმების სახით, ზემო იმერეთის პლატოს უამრავ ადგილას მოჩანს. მთელი მხარე დაფარულია მდინარეთა მიმდებარე დაბლობებითა და მისივე შექმნილი ტერასებით (დინების გასწვრივ). ასე, მაგ., ძირულას ხევის სამხრეთ ნაწილში დაფიქსირებულა სამოთხი ეროზირებული საფეხური იარუსისებური განლაგებით. რომლებიც სახნავეადაა გამოყენებული<sup>1</sup>. ზემო იმერეთის უდიდესი მდინარეა ყვირილა. რომელაკ რიონის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს და სათავეს მთიანი ოსეთის წონასა და ერწოს ღრმულებში იღებს. მთლიანი ტერიტორიის შესაბამისად, მდინარე ყვირილას აუზს სამხრეთ-დასავლეთი დახრილობა აქვს და მასში შემდინარე შენაკადებით — ძირულა, ჩხერიმულა, ჩოლაბური, სახელის-ხევი, ჩიხურა და სხვათა სახით არის წარმოდგენილი. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს „კვალად ხანის წყლის შესართავს ზეით რაიონს მოერთვის ყვირილა, აღმოსავლეთიდან. მდინარემან ამან მოიგო სახელი ესე თვისის ჩქარისა და კლდესა ზედა

<sup>1</sup> Маруашвили Л. И. Современный рельеф и геоморфологическая история В. Имеретинского плато, Труды ин-та географии им. Вахушти, т. X, Тбилиси, 1959, с. 50—72.

დინებითა, ვინადგან ხმოვანებს შორ სასმენლად. ხოლო გამოსდის ყვირილა ერწოს ტბას და მოდის ჩრდილოდამ სამხრეთად ჰალამდე“...<sup>2</sup>.

ზემო იმერეთის რელიეფის პირველი აღწერილობა ეკუთვნის ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც დაწვრილებით აღწესხავს მის მსაზღვრავ ქედებსა და მთის მასივებს<sup>3</sup>. მთელი ტერიტორიისათვის აღწესხულია რელიეფის დანაწევრებული ხასიათი, რაც მთლიანად ასახულია მე-18 საუკუნის იმდროინდელ კარტოგრაფიულ რუკებზე. დღევანდელი გაგებით ზემო იმერეთი ისაზღვრება აღმოსავლეთით — ლიხის ქედით, დასავლეთით — მდინარე ცხენისწყლისა და რიონის წყალგამყოფებით, სამხრეთით — ლობორტყის ქედით და მისი გარძელებით.

ზემო იმერეთის გეომორფოლოგიური შესწავლა დაიწყო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. მას ეძღვნება გ. აბიხის, ე. ფავრის, ე. სიმონოვიჩის, ბ. მერფერტის, დ. ჭანელიძის და სხვათა შრომები. ზემო იმერეთის ჰავას სპეციალურად იკვლევენ კლიმატოლოგები — მ. კოჩახია, ე. ნაფეტვარიძე, ნ. ასტახოვი, მ. გოგიშვილი, ლ. მარუაშვილი. ნიადგების გამოკვლევასა და შესწავლას საფუძველი დაედო ოქტომბრის რევოლუციამდე საქარის საცდელი ლაბორატორიის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში. საბჭოთა პერიოდში ამ საქმეს გაუძღვა მ. საბაშვილი და საკითხი მონოგრაფიულადაა შესწავლილი მთლიანად საქართველოს მასშტაბით. ზემო იმერეთის მცენარეული საფარი შესწავლილია ნ. კეცხოველის მიერ.

ზემო იმერეთი, ისევე როგორც მთლიანად საქართველო, კლიმატური პირობების მრავალგვარობით გამოირჩევა. ატმოსფეროს ცირკულაციის ხასიათისა და მზის რადიაციული ბალანსის გარდა ამას უმთავრესად განაპირობებს რელიეფის ძლიერი დასერილობა<sup>4</sup>. საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით (ანალოგიური ზონალური სარტყელი იგულისხმება), ზამთარი აქ მაღალი ტემპერატურით ხასიათდება, რაც შავი ზღვის გავლენითა და კავკასიონის ქედით აიხსნება, რომელიც გზას უღობავს ცივი მასების შემოჭრას<sup>5</sup>. ზემო იმერეთში განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული მიკროზონალური მაჩვენებელი. მინიმალური ტემპერატურის ტერიტორიული განაწილება უშუალოდ უკავშირდება რელიეფის ფორმასა და თავისებურებას;

<sup>2</sup> ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941, გვ. 151.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 144.

<sup>4</sup> Н. Е. Астахов и др. Физико-географическая характеристика Имеретии, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრომები ტ. X, თბ., 1959, გვ. 155.

<sup>5</sup> ვ. დოკუჩაევისა და ს. ზახაროვის სკემებში ზემო იმერეთი იმ ზონალურ სარტყელშია მოქცეული, რომელიც კოლხეთის დაბლობიდან იღებს და-

ფიქსირდება ნიადაგების ინვერსიის მაგალითები. ინტერესს იწვევს აგრეთვე რელიეფის ხასიათით გამოწვეული შემდეგ მოვლენა — ზამთარში ადგილი აქვს ცივი ჰაერის მასების მოძრაობის რეჟიმს: ცივი ნაკადი მთის ფერდობებიდან ვაკისაკენ და ხეობების ძირზე მოედინება, და იქ გროვდება, სადაც კიდევ უფრო მეტად ცივდება ღამის სხვ-ფენით. ამიტომ ხშირად ხეების ძირზე, ვაკეზე და გაშლილ პლატოზე ტემპერატურა უფრო დაბალია ვიდრე მიმდებარე ფერდობებზე. ამას ადგილი აქვს მდინარეების — ყვირილას, ძირულას, ხანისწყლისა და სხვ. ხეობებში, ასევე ზემო იმერეთის პლატოზე. სპეციალური დაკვირვებით დადგენილია, რომ საქარაში, რომელსაც გაშლილი მდებარეობა აქვს (ზესტაფონის უშუალო მეზობლობაშია განლაგებული) ზამთრის პერიოდში ჰაერის ტემპერატურა ხშირად გაცილებით დაბალია, ვიდრე მდინარეთა ხეობებში და მის კალთებზე<sup>6</sup>. მთლიანად ზემო იმერეთის კლიმატი მიჩნეულია ზომიერად თბილ-ნოტიოდ, ნალექების საკმარისი რაოდენობით. ძლიერად არის გამოხატული მზის რადიაციის მოქმედება დასერილ რელიეფთან მიმართებაში, რაც თავისებური კლიმატური რეჟიმის სახეს ქმნის. ტემპერატურული სხვაობა გამოხატულია ზემო იმერეთის ზონებს შორისაც, რაც განსაკუთრებით მიკრო-ზონალურ თავისებურებაში იჩენს თავს. სავეგეტაციო პერიოდი შუა ზონაში საშუალოდ 200 დღეს გრძელდება — აპრილიდან ნოემბრის დასაწყისამდე<sup>7</sup>.

ჰავა ზემო იმერეთში (რომელიც საკმაოდ დაშორებულია შავი ზღვის სანაპიროს) უფრო კონტინენტურია, ვიდრე კოლხეთის დაბლობზე; მაგრამ მზის ნათების კოეფიციენტი ძალიან მაღალია. რაც ასახვას პოვებს მცენარეული საფარის ხასიათში. ატმოსფერული ნალექებით საკვლევი ტერიტორია ზომიერად არის მომარაგებული, მხოლოდ ცალკეული მიკროლოკალური ტერიტორიისათვის არათანაბარ გამოვლინებას აქვს ადგილი. ზამთრის განმავლობაში ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი ქვედა შიდა ზონის უმეტეს ნაწილში მხოლოდ იშვიათად ეცემა სითბოსმოყვარული კულტურებისათვის საზიანო სიდიდემდე<sup>8</sup>.

საკვლევი ტერიტორია მდიდარია მცენარეული საფარით. განსაკუთრებული სიხშირითა და ჯიშობრივი სიუხვით ხასიათდება აქაური ტყეები, სადაც ჰარბობს მუხა, წაბლი, თელა, რცხილა. ზესტაფონის

საბამს და აღმავალი გზით კავკასიონის ქედებისაკენ მიემართება, Захаров С. А. Вертикальная зональность почв на Кавказе, «Почвоведение», № 6, М. 1934.

6 კ. ქ ა რ ც ი ვ ა ძ ძ ე, ფერდობი ადგილების ათვისებისათვის, თბ., 1959, გვ. 49.

7 ნ. ბ რ ე ვ ე ა ძ ე, ნიადაგის ვერტიკალური ზესტაფონის რაიონში, ნიადაგმც. ინსტ. შრომები, ტ. VI, თბ. 1954, გვ. 80.

8 კ. გ ო გ ი ა შ ე ი ლ ი, მთიან პირობებში... აკად. მოამბე, 8, XVII, 1956, № 9.

რაიონის სოფ. ბოსლევის მკვიდრი გადმოგვცემს — „ბაბუასაგან გამიგია, ადრე გაუვალი მუხნარი და წაბლნარი იყო ჩვენთან. მერე ხალხს გაუჩეხია. ისეთი დიდი მუხები ყოფილა, ერთი ხიდან, რო დაუხერხიათ ერთი საბელღე ფიცარი აუღიათ. უღვევისაკენ მდგარა კიდევ ერთი მუხა; იმის ქვეშ 300 უღელი ხარი თავსდებოდა, ბაბუაჩემს მოსწრებია“<sup>9</sup>. ამჟამად ტყის მასივები შემცირებულია და ზოგან სრულიად გაშოშვლებულიც. მაგ., ზესტაფონის რაიონში ტყის მთელი ფართობის მხოლოდ 11.7% უჭირავს; ზემო იმერეთის ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობაში ეს მხარე ხშირი ტყეებით დაფარული ჩანს — „...და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვიათ არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ სახვნელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილს ხილიან-ვენახიანი, ჰავითა კეთილ მშვენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე... თვალთა ქვეშ მშვენიერება ეგოდენ არა მჩინარობს ტყის გამო...“<sup>10</sup> ამავე ხასიათის ცნობას გვაწვდის რ. ერისთავი იმერეთის აღწერილობაში — „მთელი იმერეთი ერთი თვალის გადავლებით მთლიან ტყედ წარმოგვიდგება“<sup>11</sup>.

ტყეთა სიმრავლეს, ჯიშთა სიმდიდრეს, მდიდარი ნიადაგობრივი საფარი შეესატყვისებოდა ოდითგან, რომელიც თავისი თვისებებით მთისა და ბარის ზოლში განსხვავებული ხარისხის იყო<sup>12</sup>. საქარის საცდელი სადგურის მონაცემებით თინხარი გარდამავალი ნიადაგები ზემო იმერეთის ძირითად პროფილს წარმოადგენს; ზოგადად კი მდიდარი ნიადაგობრივი საფარის ხასიათს ატარებს.

ზემო იმერეთის ნიადაგების დეტალური სქემა მოცემული აქვს მ. საბაშვილს; ნიადაგობრივი საფარის ხასიათის მიხედვით ზემო იმერეთი იყოფა ოთხ ძირითად სარწყლად. თითოეული მათგანი თავან შიგნით იყოფა ქვესარტყლებად მიწის შედგენილობისა და ხარისხის მიხედვით, რომელიც ცალკეული მიკრორაიონის გეოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებით არის შეპირობებული<sup>13</sup>. ხალხურა ცოდნა ნიადაგებს მრავალი ნიშნის მიხედვით არჩევს და თითოეულს ახასიათებს სამეურნეო კულტურათა აღმოცენების ვარგისობის მიხედვით. არჩევს აყალო მიწას, ქვიშიანს, თიხა მიწას, სილა მიწას, ეწერ მიწას, წაბლის მიწას, რომელსაც ადგილობრივ ჩომპეს ანუ ჩოლყოს უწოდებენ. ნიადაგებია „მძიმე“ და „მჩატე“. ქაობიან მი-

<sup>9</sup> ვ. მახათაძე, 89 წ. ს. ბოსლევო.

<sup>10</sup> ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 145.

<sup>11</sup> Эрнст ави Р. Д. Очерк Имерети в с/х отношении, Тифлис, 1876, с. 6. ამავე ავტორის ხაზგასმული აქვს იმერეთის ნიადაგების ჰარაბწყლიანობის შესახებ.

<sup>12</sup> Эх. бнт гос. кр. С. В. части Кутаийского уезда, МИЭБГКЗКТ. 1885. с. 209.

<sup>13</sup> მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1956.

წებს ჰყავს უწოდებენ<sup>14</sup>. ადგილობრივ განსაკუთრებით ღრმა ჩანს ხალხის დაკვირვება ხის ჭიშების მიხედვით მიწის ხარისხსა და თვისებაზე. წაბლის მიწა განსაკუთრებით მდიდარ და ნოყიერ ნიადაგად იყო მიღებული; მუხისა და რცხილის ნაკვეთები უფრო ღარიბი. დარეცხილ ნიადაგებად მიაჩნდათ, არც ყუათიანია და ნაკლებ იკავებს სინოტივეს. ჩომპე ანუ ჩოლყო მიწარბილი მიწაა, ნაყოფისათვის კარგია, მდიდარია, როცა გლეხი საახოე ტყის ყიდულობდა, ამას დიდ ყურადღებას აქცევდა<sup>15</sup>. ჰარბი ტენიანობის ნიადაგებშიც იყო განსხვავება; ზოგში ჰაობი არ იყო, მაგრამ ძალიან ნოტიო იყო, ბევრ წყალს ინახავდა. ნოტიო მიწას მაღალი მოსავალი მოჰყავდა თუ კარგად იქნებოდა „გამომჰრალებული“ და დამუშავებული. ტერმინი „მწირის“ ქვეშ ზემო იმერეთში ყველა ღარიბი, გამოუსავლიანი მიწებია ნაგულისხმევი. აქ დაშლილი ეროზირებული ნიადაგებია, პირველ რიგში, მხედველობაში მიღებული. როგორც ადგილობრივ აღნიშნავენ, მწირ მიწებში ნაკლი არ გაჰქონდათ, მაგრამ იქ სოიას თესდნენ და ამით ცდილობდნენ მოსავლიანობა შეენარჩუნებინათ<sup>16</sup>. ამდენად, მწირ, გამოფიტულ მიწებს მაინც ვერ ტოვებდა გლეხი, „დასასვენებლად“ არ ემეტებოდა მცირემიწიანობის პირობებში და სოიას კულტურით ცდილობდა ნაწილობრივ დაებრუნებინა მისთვის ყუათიანობა<sup>17</sup>. მრავალწლიანი კულტურებისათვის განსაკუთრებით სასარგებლოდ იყო მიჩნეული „მჩატე“ მიწა. ხალხური გაგებით, მჩატე მიწა ხელს უწყობს ნაყოფის აღმოცენებას, მაღალი ხარისხის მოსავალს აძლევს ვენახისას, ბოსტნისას; ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის გამოკვეთილი: როგორც ივ. ჭავჭავიძე მიუთითებს „...იმერეთშიც საუკეთესო სავენახე მიწად ზეგნის ნიადაგია მიჩნეული უხვი მოსავლიანობის მხრივ, მაგრამ მაღალხარისხოვანი ნაყოფის მომცემად ეწერისა, მჩატე მიწისა და მწირი ფერდობის ნიადაგი ითვლება“<sup>18</sup>.

ტრადიციულ მიწათმოქმედებაში მიწის დამუშავება დ ათვისება ბევრ სასარგებლო ღონისძიებას ითვალისწინებდა. დიდი გულისყუ-

14 იმერეთში დამოწმებულია ჰყავი, ჰოყვი, ჰეო ნიადაგები, ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ, 1976, გვ. 13.

15 ზ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, 88 წლის, სოფ. ცხრაწყარო.

16 სოფ. დილიკაური, საველე დღიური, № 2.

17 ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სოფ. ცხრაწყარო.

18 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ, 1955, გვ. 133. მწირი ნიადაგების ქარული ეროზიისაგან დასაცავად იმერეთში ხურპის ხეების ქარსაცავი ზოლების გაშენება იყო მიღებული — რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1980, გვ. 106.

რით წარმოებდა სავარგულების მოვლა-მორწყვა, თოხნა, მარგულა, ჰაობის ამოშრობა, ქვა-ლორღისაგან გასუფთავება, სარეველა მცენარეთაგან დაცვა და სხვა. მიწის სიმციროს გამო, რაც მთლიანად რეგიონის რელიეფის ხასიათით იყო შეპირობებული ახალი ფართობების გამონახვა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული<sup>19</sup>. ის ნაკვეთები, რომლებსაც შედარებით დამრეცი მდებარეობა აქვთ, განსაკუთრებით ზიანდებოდა გამოფიტვითი პროცესებისაგან<sup>20</sup>. 4—5 წლის შემდეგ ნიადაგი კარგავდა მცენარის აღმოცენებისათვის საჭირო ნოტიერებათა მინიმუმს, ამიტომ ასეთ ნაკვეთებს ტოვებდნენ, ასვენებდნენ. სახნავ-სათესში ნაკელი არ გაქონდათ. დაბლობი და შედარებით გვარიანი მიწებისათვის, დასვენების რეჟიმის პირობებში. თითქოს არ იყო აუცილებელი გაპატივება. ფერდობის ნიადაგი უფრო საჭიროებდა განოყიერებას, მაგრამ აქაც მთელი რიგი ხელშემშლელი ფაქტორები აფერხებდნენ მის გამდიდრებას; პირველ ყოვლისა, ნაკელის სიმცირე იყო მუდმივი საზრუნავი. ამავე დროს ფერდობის განოყიერება მთლად მიზანშეწონილად არ იყო მიჩნეული იმიტომაც, რომ დამრეცი კალთებიდან განოყიერებული ნიადაგი ადვილად ირეცხებოდა. ამიტომ ასეთ ადგილებშიც უფრო ხშირად მიწის დასვენება იყო მიღებული. სახელმწიფო გლეხთა აღწერის მასალებში აღნიშნულია, რომ გლეხი საუკეთესო მიწებს ყოველ წელიწადს ამუშავებდა, ზოგჯერ ორ მოსავალსაც იღებდა, ცუდს კი ხანგამოშვებით ასვენებდა<sup>21</sup>. ნაკელი შექონდათ ვენახში და ბოსტანში. გამოცდილ მეურნეთა აზრით, ვენახი და ბოსტანი ნაკელის გარეშე არ ივარგებს. ამჟამადაც, სასუქს რომელსაც კოლმეურნეობა იყენებს თავის მიწებში, გამოცდილი გლეხი ვენახში და ბოსტანში არ შეიტანს, ახლაც ნაკელს იყენებს, იმ მცირე რაოდენობით რაც მოეპოვება.

ზემო იმერეთში, გაბატონებულ მარცვლეულ კულტურად გვევლინება სიმინდი, წლიდან წლამდე გლეხი თესდა აგრეთვე პურს,

<sup>19</sup> ამ მიზეზით უნდა ყოფილიყო ძირითადად გამოწვეული იმერელი გლეხობის მიგრაცია სხვადასხვა კუთხეში. ამაზე მიუთითებს ეთნოგრაფიული ძიებით იმერეთში გამოვლენილი ტერმინი — „ნაქართლი“, რომელიც ქართლში მოსიარულე კაცს გულისხმობს, იხ. გ. ჯალაბაძე, მემინდვრობის კულტურა აღმ. საქართველოში, თბ., 1986, გვ. 275.

<sup>20</sup> ნიადაგების გამოფიტვას ზემო იმერეთში განსაკუთრებით უწყობს ხელს წყლის მოქმედებით გამოწვეული ეროზია — მ. ბრეგვაძე ნიადაგების ეროზია ზესტაფონის რაიონში, შრომები, ტ. VI, თბ., 1954, გვ. 75—90.

<sup>21</sup> И. Иоселиани, Экон. Быт. гос. крест. С. В. части Кутаисского уезда, МИЭБГКЗК. т. I, Тифл. 1885, с. 242. ზ. იმერეთში XIX ს. II ნახევარში ტრადიციული სამურნეო წესების დარღვევამ გამოიწვია საახოე ნაკვეთების შესაქმნელად ტყის მასიური განადგურება — Пристави Р. П. Очерк Имерети, с. 3.



ქერს, ღომს, სოიას, ლობიოს, ძაძას. მთის ზონის რაზდენიმიე პუნქტ-ში მიუთითებენ ბამბის კულტურაზეც, საჭიროდ მიგვაჩნია შევანჩე-როთ ყურადღება სოიას კულტურაზე, ხალხის მიერ საგანგებოდ იყო მიკვლეული და გამოყენებული სოიას თვისება, რომელიც ნიადაგების ქიმიური შემადგენლობის გაუმჯობესებაში, მის გამდიდრებაში მდგომარეობს. ყველაზე მწირ მიწაზე ნათესი სოია მანც კარგ მოსავალს იძლეოდა და რამდენიმე წელიწადს სოია ნათესი მწირი ნაკვეთი სხვა კულტურის სათვისად ვარგისი ხდებოდა, ნიადაგი თავის ყუათიანობას იბრუნებდა. ამიტომ თესლბრუნვაში ამ კულტურას დიდი გამოყენება ჰქონდა<sup>22</sup>. ხშირად ხზარობდნენ ასევე შერეულ ნათესად — სიმინდთან ან ლობიოსთან. ზოგან, ნიადაგის გასაუმჯობესებლად ვენახშიც იყო მიღებული მისი შეთესვა. გარდა ამისა სოია უებარი საკვები იყო საქონლისათვის, მეწველ საქონელს კი უოაკეცებდა ნაწველს.

იმერეთში საყოველთაოდ გავრცელებული სახვნელია ხის კავი, რომელიც როგორც ვაკეში, ასევე მთის ზოლში იყო გამოყენებული. მას ერთი უღელი გამწვევი ძალა ესაჭიროებოდა (ხარი, კამეჩი); კავი ორი ტიპისა დასტურდება — საბალახო და საქვიო<sup>23</sup>, რომელიც ნიადაგების თვისებების შესაბამისად იყო გამოყენებული. საბურე მიწების დასამუშავებლად დაბლობ ადგილებში დასტურდება დიდი გუთანნი, რომელიც ზ. იმერეთის ტერიტორიაზე, მისი რელიეფის ძლიერი დანაწევრების გამო, იშვიათ შემთხვევაში იხმარებოდა.

ადგილობრივი მეურნე ნიადაგების გასაუმჯობესებლად მთელ რიგ რადიკალურ საშუალებს მიმართავდა. საკვლევ რაიონში ბევრი იყო ნოტიო ნიადაგი, რომლებიც გადამეტებული წყლის შემცველობით ხასიათდებოდა. მეურნე გლეხი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ამ მიწებისათვის ჭარბი ტენი მოეცილებინა, „გეშრო“ და სახნავ-სათესად გამოეყენებინა. ჭყანტობი, ნოტიო ნიადაგი ჭაობი არ იყო, მაგრამ მიწა იმდენად ძლიერად იყო გაჭერებული წყლით, რომ მარცვალს არ ეძლეოდა აღმოცენების საშუალება, თესლშივე ღებოდა. ასეთი მიწები უმთავრესად დაბლობში იყო განლაგებული. ამგვარი ნიადაგების დაშრობა-გაუმჯობესებისათვის ადგილობრივ შემუშავებული იყო რადიკალური ღონისძიებანი, რაც არხების მოწყობაში გამოიხატება: დანოტივებულ ნაკვეთში სიგრძეზე იჭრებოდა არხი, რომლის სიდიდე ნაკვეთის ფართობის მიხედვით ისაზღვრებოდა „თუ

<sup>22</sup> იმერეთში უხვი ცნობებია ეთნოგრაფიული კვლევით გამოვლენილი ტრადიციული პარკოსანი მარცვლეულების გარშემო, რომელთაც. ვფიქრობთ, გარკვეული პერიოდიდან ჩვენაცვლა სოიას კულტურა.

<sup>23</sup> გ. ქალაბაძე, მემინდერეობა იმერეთში, კრებ. „იმერეთი“, თბ, 1978, გვ. 51.

მეიხდენდა, 20—30 მეტრიც შეიძლებოდა ყოფილიყო“. არხს ნაბე-  
ვარ მეტრამდე სიღრმე ჰქონდა და ამდენივე სიგანე. გაჭრილ არხში  
ჩაიყრებოდა ქვა, კარგად ჩაიტკეპნებოდა, ზევიდან მოეყრებოდა  
მიწა „ნახევარი არშინი ან უფრო მეტი“ და გასწორდებოდა  
მიწა იმდენი უნდა დაყრილიყო, რომ სახვნელი ქვას არ წამო-  
სდებოდა. ერთ ნაკვეთში პატრონი საჭიროების მიხედვით იმდენ არხს  
გაჭრიდა, რომ მთელი ნაკვეთი სრულად დაცლილიყო, დაწრეტილი-  
ყო წყლისაგან. მთხრობლის გადმოცემით „ერთი ადგილი მქონდა გა-  
რემოში, 15 ცალი არხი ჰქირდებოდა. მინდვრიდან მოვზრდავდიოთ რა-  
ყის ქვას, დავაგროვებდით საყანეში, თეთრი ქვაა, სამშენებლოს ვეტ-  
ყვით, მერე შევუღლებოდით არხების გავსებას“<sup>24</sup>. ქვას ურმით ეზი-  
დებოდნენ. ერთ ათმეტრიან არხს 20-მდე ურემი ქვა მოუნდებოდა<sup>25</sup>.  
ერთ ურემს, ანუ ერთ უღელ ხარს ორი კვადრატური არშინი ქვა მო-  
ჰქონდა. ქვა ახლომახლო მოიპოვებოდა. არხს ყველა ოჯახი თავისთვის  
აკეთებდა, ნათესავეების მოხმარება არ სცოდნიათ; ასეთი მოხმარება და-  
ურთიერთ ხელის გამართვა უფრო მეზობლებს შორის ყოფილა მი-  
ღებული.

როგორც აღვნიშნავდით, საკვლევი რეგიონი მრავალი დიდი და პა-  
ტარა ხევითაა დაფარული, და მათ ნაპირებზეა განლაგებული სოფ-  
ლები. მაგალითად, საძალიხევის გაყოლებზე მდებარეობს სოფლები  
— სვერი, გეზრული, თვალიეთი, მანდაეთი, ბერეთსა, ტყეშლოვანა,  
მეჩხეური, პერევისა, სკინდორი, შუქრუთი, წინსოფელი, ჰილოვანა,  
ითხვისი. ჰიათურის რაიონში სხვა მრავალი ხევია — ჰერულის ხეო-  
ბა, სატაპელა ხევი, ციხის წყლის ხევი, წითლოს ხეობა, დუმალას  
ხევი, ფრონეს ხევი და სხვა. სახნავ-სათესი და სავენახე მიწების დიდი  
ნაწილი ფერდობებზე იყო განლაგებული. ფერდობის ვენახის ღირსე-  
ბა საყოველთაოდ არის აღიარებული და ბევრი მეურნე უპირატე-  
სობას ანიჭებს დაბლობთან შედარებით. ფერდობის ვენახი უფრო  
გამძლეა სიციხის მიმართ, უკეთესად ისრულებს მარცვალს, შაქრიანობა  
მეტი აქვს — ყოველივე ეს კარგად იცის ადგილობრივმა მეურნემ და  
ამიტომ მთიან ფერდობებს უხვად იყენებს ვაზისათვის. როგორც სპე-  
ციალური კვლევითაა დადგენილი — „მთისწინეთში და მთების დაბ-  
ლა იარუსებში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია ბალ-ვენახე-  
ბის გასაშენებლად. დადგენილია, რომ მთის ზონის ნარგავები სიცი-  
ვისა და ყინვისაგან ნაკლებად ზარალდებიან დაბლობთან შედარე-

24 დ. ხედელიძე, სოფ ჭგალი.

25 იყო ისეთი საყანე თუ სავენახე ადგილები, რომლებიც ქვიანი მდებარეო-  
ბით ხასიათდებოდა. ასეთ ადგილებში საგანგებოდ ზღებოდა ქვის მოკრეფა, ადგი-  
ლის გასუფთავება ქვისაგან, რაც შემდგომ ყორის მშენებლობაში იქნებოდა გამო-  
ყენებული. ს. დ. № 2, 1982 წ.

ბით. მთის ზონაში ასევე ნაკლებადაა საჭირო მორწყვა. ძვრფასი კულტურები მალლობზე უკეთეს მოსავალს იძლევა, ვიდრე ვაკეზე, ფერდობზე მეტია აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ბუჩქები ნაკლებად არის დაზარდილული ერთმანეთ-საგან და ადრე გაზაფხულზე მოყენვის საშიშროებაც ნაკლები აქვთ<sup>26</sup>. ამ რეჟიმს ყველა ფერდობი და მთა-გორაკი არ ექვემდებარება. ამიტომაც მათი შერჩევა და ყველა საჭი-რო მონაცემების ადგილზე დადგენა ცალკეული მიკრორეგიონალური უბნისათვის საგანგებოდ არის განსაზღვრული, სავენახე ადგილი თავ-სი ექსპოზიციით უნდა იყოს მ ზ ი ს გ უ ლ — მზის სითბოთი უ ხ ვ ა დ და ამავე დროს ზომიერად მომარაგებული. ეს არის მისთვის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი სხვა მონაცემებთან ერთად (ნიადაგებ-ს ხარისხი, მკენარეული საფარის ხასიათი, ქარების რეჟიმი, სარწყავი რესურსების ხასიათი და სხვ.). „ფერდობი საფიცხარი ადგილია. დო-ღა გამოსავალი ჰქონდა წინათ აქაურ ვაზს. ძველად ერთი ძირი ვენა-ხი 2 კილოგრამ ყურძენს მაინც მოგვემდა, მეტს თუ არა. ახლა კი ვერა“ — გადმოგვცემს ფერაძე კალისტრატე, რომელიც გამოცდილ მევენახეთაა რაიონში აღიარებული და საკუთარი გამოყვანილი ვაზის ჯიშიც აქვს. მისივე გადმოცემით, ესლა ბევრი სავენახე ადგილი დო-ღი ხნიდან მიტოვებულია და. ალბათ, ახლებური საშუალებების გა-მოყენების გარეშე გაჭირდება იქ ვაზის კვლავ აღმოცენება. მხედვე-ლობაში ძლიერად ეროზირებული და დამეწყერებული ნიადაგებია მი-ღებული.

ფერდობზე ვაზი სინესტეს რომ არ დაეჩაგრა და მიწის საფარი არ დარღვეულიყო წყლის ნიაღვარული ჩამონადენისაგან, მიღებულ იყო პატარა განის კვლები ს გაყვანა, რომლებიც ირიბულად იყო გაჭრილი ნაკვეთის სიგრძეზე. ამ კვლებში ნაწვიმარი წყალი გროვდებოდა და დარეცხვის საშიშროება ნაკლები იყო. ერთ ყანაში 5—6 არხს მოაწყობდა გლეხი. განის კვლები მიღებული იყო ყველა ნათეს ყანაში, რომელსაც სულ მცირედი დაქანება ჰქონდა.

ნიადაგების დასაცავ რადიკალურ საშუალებად საკვლევ რაიონ-ში გვევლინება ფართოდ მიღებული ყ ო რ ე ე ბ ი ს მშენებლობა. რო-გორც ირკვევა, ეს ხალხური ეფექტური საშუალება, ზემო იმერე-თის ფერდობი, დამრეცი რელიეფის პირობებისათვის არის ადგილობ-რავ შექმნილი. ტერმინი ყორე ამ კუთხეში იხმარება როგორც ლობის ასევე ფერდობის ნიადაგის დამცველი მოწყობილობის გაგებითაც. ყორის დანიშნულებაა ნიადაგი შეაკავოს ფერდობზე, წყლის ნაკადს

<sup>26</sup> კ. ქარცივაძე, ფერდობი ადგილების ათვისებისათვის (ქუთაისის სას.-სამ. ინსტიტუტი), თბ., 1959, გვ. 71.

არ მისცეს საშუალება მისი დახრამვისა. ყორეები ძირითადად საევენახე ადგილებში იყო მიღებული, მაგრამ ზოგი მასალით ყანისთვისაც ჩანს გამოყენებული. იმერეთში კარგად ახსოვთ ძველი ვაზის ჩიშები, რომლებსაც უმეტესად ფერდობზე აშენებდნენ: შავი ფრანგული — იზაბელა, ციცქა, რკო-ვენახი, ცოლიკოური, ძველშავი. ღონღლაბა, თაჭითელი ვენახი, მელიკუდი ვენახი, ბურამის საფერავი და სხვ.<sup>27</sup>

როდესაც მეურნე დამრეც ფერდობზე აპირებდა ვენახის გაქენებას ჯერ მის დაცვა-შემაგრებას მიჰყოფდა ხელს; ფერდობს სივანით გამოუვავებდნენ, „გამოუბეჭავდნენ“ მიწას და კედლისმაგვარად ამოიყვანდნენ ქვის ლობეს. ქვა ერთმანეთზე მიჯრით ეწყობოდა, მშრალად. ამგვარად ამოყვანილ კედელს მიწა გადმოეყრებოდა, გასწორდებოდა და კარგად დაიტკეპნებოდა. ყორის სიმაღლე ფერდობის დახრილობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ მეტრზე მაღალი ჩვეულებრივ არ კეთდებოდა. როდესაც ფერდობი მაღალი იყო და დიდ სამეურნეო ნაკვეთს ქმნიდა, მაშინ ერთი ყორე არა კმაროდა და რამდენიმე მეტრის დაშორებაზე (10—15) მეორე ამოშენდებოდა. ერთ დაფერდებულ სავარგულზე 3—4 ყორე შენდებოდა ტერასულად, ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული, ყორის სიგრძეც სხვადასხვა იყო, გააჩნდა შესამაგრებელი ნაკვეთის სიდიდეს და მიწის საფარის ხასიათს. ყორე პატარა შვავის შესაყავებელიც ყოფილა და დიდი ფართობის მქონე ნაკვეთის დამცველიც (200 მეტრამდე სიგრძის ყოფილა ზოგი ყორე). ზესტაფონის რაიონში „სირდაძის გორა, ცქრტიშვილების ადგილი და ბევრი სხვა, კვალითში, სულ ყორეებით იყო გავსებული. ნიაღვრისაგან წამოღებულ მიწას ყორე იკავებდა, 50 საყენზე შეიძლებოდა ყორე გაკეთებულიყო. წყალი ვეღარ წალეკავდა, ვერ გამოაცლიდა ნიადაგს საფუძველს“<sup>28</sup>. მაგალითად, სოფ. ვარდიგორაში (თერჯოლის რ-ნი) სოფლის შესასველეში, გზის მარჯვენა მხარეს ათიოდე მეტრის მანძილზე ძველი ყორე გასდევს ფერდობზე განლაგებულ სიმინდის ყანას, რომლის დახრილობა 15—20°-ია. კედლის სიგრძე 5 მეტრამდეა სიმაღლე 1.40 მ-ს არ აღემატება. ძირითადად დიდი ზომის ლოდებითაა ნაგები, ბუჩქნარი და მწვანე ხავსი ფარავს. აქედან 300-ოდე მეტრის დაშორებით, შედარებით მაღალ ფერდობს, რომელზეც ვენახია მოწყობილი დიდ სიგრძეზე გასდევს ქვის ყორე, რომელიც კარგადაა შემონახული და მკვიდრად გამოიყურება. აქაც დიდი ზომის ლოდები ჭარბობს, რომლებიც უფრო ძირში მოწყობილია მშენებლებს (ზომის სიდიდეა 2 მ×1 მ); ამ ნაკვეთის ვენა-

<sup>27</sup> ვ. ბედელაძე 103 წ.; გ. ბედელაძე 89 წლის. სოფ. აღისუბანი (თერჯოლის რ-ნი); სარალიძე. 91 წლის სოფ. ჭვარიეწერი (კიათურის რ-ნი).

<sup>28</sup> პ. ნებეირაძე, 88 წლის, სოფ. ცხრა-წყარო.

ხი გოგიბერიძეებსა და შეყილაძეებს ეკუთვნის, რომელთა ცნობით იგი 100 წელზე მეტი ხნისაა, „ძველთაძველი ნარაგვია“. ამგვარადაა მოწყობილი ნიადაგდამცველი სამეურნეო ყორეები როგორც კერძო მოსახლეთა, ასევე კოლმეურნეობების მიწებზე, რომელთაგან ამჟამად ბევრი აუთვისებელია. ძლიერი ნიაღვრებისა და მეწყერსაშიშ ადგილებში ყორის მოწყობა ფერდობზე რამდენიმე რიგად იყო განხორციელებული. ამავე რაიონში ყორეების სიმრავლით გამოირჩევა სოფლები — თეზი, ჭგილათი, თავასა, კალაბოური. ყორეს ყველა ოჯახი თავის ნაკვეთში თავისი ძალებით აკეთებდა, მაგრამ ეს ისევ მის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. დიდი ზომის ყორეს ერთმანეთის დახმარებით აკეთებდნენ და უფრო მცირეს 2—3-კაციანი ოჯახი თვითონ მოერეოდა: „ქვის ყორეს ჩვენთან სავენახებებს უკეთებდით. აქ სულ მალალი ფერდობია და მთაგორიანი ადგილი; ყორის გარეშე ვერ გავაჩერებდით მიწას, ვენახი ჩამოხვავდებოდა. სადაც მალალი ფერდობი იყო 5—6 ყორეს ავეუშენებდით ქვისაგან, მშრალად ვაწყობდით, იმას დანგრევის არ ეშინოდა, ქვებშუა ლამით დაიგმანებოდა დროთა მანძილზე და გამაგრდებოდა“<sup>29</sup>. „უწინ ყორეებს ვაკეთებდით, ეხლა მოშალეს, ვენახები მაშინ ყველა ფერდაზე გვქონდა, ყორეთი ვამაგრებდით მიწას. სავენახე მიწა დაქანებას საჭიროებდა“<sup>30</sup>. ამავე მთხრობლის გადმოცემით, ყორეს გაყოლებაზე კოპიტს ურგავდნენ. კოპიტა ამაგრებს ნიადაგს, მღვრადობას მატებს, ძლიერი ფესვთა სისტემა აქვს განვითარებული, რომელიც არ ლბება. ტენიან ნიადაგში ლობის დანიშნულებით მას სხვა ვერ შეედრება. ეს, ე. წ., ქ ა რ თ უ ლ ი კ ო პ ი ტ ი ადგილობრივ სამეურნეო იარაღ-ჭურჭლის კეთებაშიც ფართოდ იყო გამოყენებული. მისგანვე უკეთებიათ ჭურის დასაგლესი უროები, ბარის პირები, ტაბიკები; ხმარობდნენ ხარის უღლისათვის. კოპიტის ფესვები ჩაებლაუჭებოდა ამოყვანილი ყორის კედლებს და რა დაანგრევდა ასეთ სიმაგრესო — მიუთითებენ ადგილობრივები.

ყორეები იმერეთის მთის სოფლებში უკეთდებოდა ასევე სამოსახლოს და მასთან მიმდებარე სამეურნეო ფართობს. „გლეხები, რომლებიც კლდე-ფლატე ადგილებში ცხოვრობდნენ მიწის სივიწროვესა და სიმწირეს განიცდიდნენ. ამ დაბრკოლების დასაძლევად გლეხი შემდეგ ხერხს მიმართავდა; ეზოში, რამდენიმე ადგილას, ფერდობებში 6—7 მეტრის სიგანეზე კუთხურად ყ ო რ ე ს ამოაშენებდა, მოკავებულ არეებს ყ ო რ ი ს პ ი რ ა მ დ ე მიწით ამოავსებდა და მოასწორებდა: ყორე იცავდა მიწას ჩარეცხვისაგან და ასეთ „მოკავებულ მიწაზე აწობდნენ ბოსტანს, რგავდნენ ხეხილს, ვაზს და ზოგჯერ ჭირნახულიც

29 გ. მახათაძე, 81 წ., სოფ. ბოსლევი (ზესტაფონის რ-ნი-).

30 გ. მაჩიტაძე, 102 წ., სოფ. კაკაბოური (თერჯოლის რ-ნი).

მოპყავდათ. ასეთი ეზოები ხარაგაულის, ზესტაფონის, საჩხერისა და წულუკიძის რაიონებში დღემდე შეიძლება იქნას მიკვლეული. ასეთი უბნები ხშირად იარუსებადაა განლაგებული და თავისი მნიშვნელობით ტერასირების ტოლფასოვან მოვლენადაა მიჩნეული<sup>31</sup>. ყორეებში მოქცეულ ნაკვეთებს იმერეთში „ირმიცულ“ ეზოებს უწოდებენ, რომელიც რამდენიმე „ნაქარადა“ გაბნეული. თითოეული ნაქერი სხვისი ეზოსაგან ყორითაა გამოთიშული. მიწის დაქუცმაცებულობა არ იძლევა საშუალებას, რომ პატრონს თავისი საკარმიდამო და ეზო „ერთ ყორეში“ ჰქონდეს მოქცეული<sup>32</sup>.

უძველესი ყორეების საინტერესო ფრაგმენტები დავამოწმეთ თერჯოლის რაიონის სოფ. მარტოთუბანში. იგი ნახევრად მიტოვებულ სამოსახლოზეა მოწყობილი, რომელიც ამჟამად საზაფხულო სამყოფელადაა გამოყენებული<sup>33</sup>. მთლიანად ეზო-კარი სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენს: ნაკვეთის ცენტრში, მისასვლელ გზასთან ახლოს აღმართულია ძველებური ოდასახლი, რომელიც სულ ცოტა 2 საუკუნეს მოითვლის. ინტერიერის ფართობი 250 კვ. მეტრამდეა. მთავარ დარბაზში კარგადაა შემონახული ორნამენტირებული გვირგვინი, შუაეცხლი, განჯინა. ოდის გარშემო განლაგებულია სხვადასხვა საიურნეო დანიშნულების ნაგებობანი — ბეღელი, სამოსამსახურეო, სასტუმრო, საჯინბო. ეტყობა ოდა ბაღში იყო ჩადგმული, რაზეც მიუთითებს მის უშუალო მეზობლობაში გამოვლენილი ძველი ნავენახარი. ამ ფერდობზე, რომელიც 20° დახრილობისაა უძველესი ყორეების ნაშთებია შემორჩენილი<sup>34</sup>. როგორც აღვივებთ გაირკვა ყორეებზე უკვე იყო ამ მიწაზე, როდესაც სახლი აშენდა, უფრო ძველია ასევე აქ აღრე ნამყოფი ვენახიც. ყორე ძლიერადაა დაზიანებული, თუმცა კარგად მოჩანს როგორც ქვის წყობის ტექნიკა, ასევე მიმართულება; სიგრძე დაახლოებით 90 მეტრია. ორ იარუსად აქვს ეზოს გავლებული. ამავე კარმიდამოზე, სამხრეთით სავენახე ფართობს ყორე გასდევს 200 მეტრის გაყოლებაზე, კარგადაა შემონახული ქვის მშრალი წყობა. აღრე აქ ვენახის ძველი ჯიშები ჰქონიათ, შავი საადრეო და განჯის თეთრი.

31 კ. კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბ., 1964, გვ. 93, 102.

32 იქვე.

33 აქ სახლობდა ბებიაშვილების გვარი, 100 წლის მოხუცი ახალი გარდაცვლილი იყო. ს. დ. № 1, 1982 წ.

34 რაქა-ლეჩხუმში „ყორე“ ანუ „ნაშენი“ კარმიდამოს მოზღუდვის და ნიადაგის დამაგრების გავრცელებული საშუალებაა. ერთ სავარგულში შეიძლება რამდენიმე ყორე ააშენონ, მაგრამ ფერდობის ხელოვნურად გავაკებას არ მიმართავენ. მშრალად ნაგები ქვა მიწისქვეშა წყლებს საღინარს აძლევს და ნიადაგს ჩამოშლისაგან იცავს — ლ. ფრუიძე, ყოფა და ტრადიცია, თბ., 1981, გვ. 134.

ყორეები ეწყობოდა ასევე ქვიან ადგილებში, სადაც უკვე ძლიერად ეროზირებული ნიადაგი. განსაკუთრებულ დაცვას ითხოვდა — „კლდიან ადგილებში თოფის წამალივით მიწაა, თბილი ადგილია ქვიანი ადგილი, ბევრი და კარგი ხარისხის ყურძენი მოდიოდა“<sup>35</sup>. ასეთ კლდიან ფერდობებზე მოწყობილ ყორეებში, ნოყიერი ნიადაგის შეტანა იყო მიღებული. განსაკუთრებით უხდებოდა ვენახსა და ყანასაც მოსრეული მიწა, ლამი, რომელსაც ძარებით ეზიდებოდნენ.

ყორის უძველესი. კარგად შემონახული ნაშენობანი შემორჩენილია სოფ. ბოსლევის მდამოებში, რომლის დამრეცი ფერდობები მართლაც წარმოუდგენელია ამ მოწყობილობათა გარეშე. ბოსლევის მდამოში ადგილია, სადაც მ იარუსად განლაგებული ყორეა შემორჩენილი. ყორის ნაშთები დღემდე კარგადაა შემონახული სოფ. ს ა ზ ა ნ ო ს დასავლეთის ფერდობებზე, სადაც ადრე ვენახები ყოფილა მრავლად. ახლა ეს ადგილები ძეძვნართაა დაფარული და სიმინდისა და ხეხილის მცირე ნაკვეთებიდაა შემორჩენილი. სამეურნეო ყორეების კარგად შემონახული ნაშთები დავაფიქსირეთ სოფ. თ ვ რ ი ნ ი ა უ ბ ა ნ შ ი მიხეილ ჭანკვეტაძის სამოსახლოზე. კედელი გველებული აქვს კარმიდამოზე არსებულ ვენახს, რომელსაც მოზრდილი ფართობი უჭირავს. ქვის წყობის ხასიათში კარგად არის გამოხატული ენობრის კონსტრუქცია — ძირში უფრო დიდი ზომის ლოდებია ჩაყოლებული, ზევით შედარებით მცირე ზომის, შიგა და შიგ კი წერილი ქვებით არის ამოვსებული. გადმოცემით, ეს კედლები 150 წელზე მეტი ხნისაა, ახლაც აკავებს სავენახესა და ბაღბოსტანს.

ყორეების მშენებლობის ტრადიცია დამოწმდა ხ ა რ ა გ ა უ ლ ი ს რაიონის ბევრ სოფელში. ვ ე რ ტ ყ ვ ი - ჭ ა ლ ა შ ი გადმოგვცემენ — „სავენახე ადგილს რომ შეარჩევდა კაცი. ჯერ ყორეებს გაავლებდა და მერე დარგავდა ვაზს, ისე არ დაკარგავდა შრომასო“. ყორეები დიდი რაოდენობით ფიქსირდება სოფ. ლ ა შ ე შ ი. ადგილობრივი მოსახლეობის დახასიათებით — „ადრე ყორე იყო ჩვენი დასახლების მშველელი, ისე აბა რა შრომა გაუძლებდა ამ დაქანებულ ფერდობებს. ჩვენთან ყორეებზე სახლებიც უშენებიათ, ვენახიცა და ყანაც“<sup>37</sup>.

ყორეები მრავლად დადასტურდა ჭიათურის რაიონის ტერიტორიაზე, როგორიცაა სოფლები ს ვ ე რ ი, ს კ ი ნ დ ო რ ი, ც ხ რ უ კ ვ ე თ ი, ნ ა ვ ა რ ძ ი ე ვ ი, კ ა ც ხ ი, ზ ე დ უ ბ ა ნ ი, წ ი რ ქ ე ე ლ ი.

35 ა. წერეთელი. 99 წ. სოფ. შექრეთი.

36 ამ ობიექტზე შიგვიითაა ადგილობრივა მცხოვრებმა დ. ა რ ა ბ ი ძ ე მ.

37 ყორეებით შემავრებულ ტერასებზე სახლების მშენებლობის შესახებ იმერეთში იხ. ლ. ფ რ უ ი ძ ე, ქართლი-იმერეთის ეთნ. ექსპედიცია, მსკ. თბ., 1958, გვ. 132.

აქ დღემდე შემორჩა უძველესი ყორეების ქვით ნაშენი კედლები, მაგ., ითხვისში ყორეები ტერასულად იყო მოწყობილი ფერდობზე. სადაც ვენახი ჰქონდათ გაშენებული, იგი 1932 წელს მოშალეს „ყორე წყალა“ აკავებდა, ფერდობს შუაზე და ბოლოზე უკეთებდით, ჯერ ნახევარ არშინზე დაუწყობდით ქვას, მერე უმატებდით, მაღლდებოდა კედელი, 2 მეტრამდე ასულა ზოგჯერ<sup>38</sup>. სოფ. ჯვარი-ეწერში ნ. ცუცქერიძის სამოსახლოზე სამ იარუსად მოწყობილი ყორე იქნა გამოვლენილი, რომელიც 100 წელზე მეტი ხნისაა და ვენახისა და ბოსტნის ნიადაგს იცავს.

სოფ. დვედში დღემდეა შემონახული იარუსებიანი ტერასული მონაკვეთები, რომელზეც გაშენებულია ხილის ბაღები. სოფლის მიდამოში ასეთი კომპლექსები ხშირად გვხვდება. ფიქსირდება ისინი ასევე ცხენისწყლის ხეობის ტერიტორიაზე, მის სიღრმეში<sup>39</sup>.

სოფ. სვერში ზოგან ყორეების ხის მასალით მოწყობაზე მიგვითითეს — „იქ, სადაც მიწა ჩოჩდება, ხეების ჩარაგვა ვიცოდით დაფერდება ადგილებში, მუხის ხეს ვიყენებდით“. მაგრამ ხის მასალა უფრო გისპირებისა და ეზოს მიდამოს შესამაგრებლად ჩანს გამოყენებული, სამეურნეო ნაკვეთებში კი — ნაკლებად. მაგალითად მუხურაში და ტყიბულში დაპოზილი წაბლის ფიკრების ჩარაგვა იყო მიღებული ფერდობის ძირში, იქ სადაც სოფლის გზა გადიოდა. აშგვარი ნაშენობით შეავისა და მეწყერის ჩაძოწოლის ადგილებში იცოდნენ ნიადაგის შემაგრება, რასაც რაგვი ეწოდებოდა — „რაგვი წყლის შესაკავებელი იყო, მიწის დაცვაც მაგით იცოდნენ“<sup>40</sup>. რაგვი ეზოების „დასაკავებლადაც“ იყო გამოყენებული.

ყორის ანალოგიური ფორმა, რომელიც ნიადაგების დაცვას ემსახურებოდა, საკვლევ რაიონში დავამოწმეთ ჯებირების სახით. იმისათვის, რომ ფერდობზე ნიაღვარს მიწა არ წაეღეკა ნაკვეთის ბოლოზე „ლორის სარებს“ ჩაარკობდნენ მტკაველნახევრის დაშორებით. მერე „წენელის“ სარებით გადაწნავდნენ, მკიდროდ მოქსოვდნენ ღობისმაგვარ წნულს, ქვა-ლორლსა და თხელ ტოტებს მიაყრიდნენ და კარგად დატყეპნიდნენ უროთი. წვიმის წყალი რომ დაეშვებოდა ფერდობზე ჯებირზე მიწას მიიტანდა და მიასილავდა. დროთა მანძილზე ჯებირი განზე გაიწევდა, გაფართოვდებოდა და დიდ მოცულობას იკავებდა. ის ხელს უშლიდა არა მარტო მიწის ჩაძოწვავე-

38 ს. გამყრელიძე, 77 წ. სოფ. ზოდრ. (ვიათურის რ-ნი).

39 გ. ჯალაბაძე, იმერეთის ექსპედიციის მასალები, 1976 წ.

40 ა. ბარლაძე 99 წ. სოფ. პერევისა (ვიათურის რ-ნი). ეთნოგრაფიული მასალით ასევე კარგად ჩანს ხალხის დაკვირვება მეწყერის გამოვლენაში. განსაკუთრებით ნოტიო ნიადაგებზე, წინასწარი პროგნოზით იყო შერჩეული როგორც საკარმიდამო, ასევე სამეურნეოდ ასათვისებელი უშიშარი მონაკვეთები.



ბას. არამედ დამრეც ფერდობზე უკვე შესაძლებელი იყო ვენახისა და სიმინდის გაშენება-მოყვანა<sup>41</sup>. ჭებირები 5-დან 10—15-მ-დე სიგრძის კეთდებოდა. ჭებირის გაყოლებაზე ბროწეულს რგავდნენ, აყოლებდნენ აგების დროს. ბროწეულის ფესვები ასევე ამაგრებს ნიადაგს და წალეკვისაგან იცავს. იქ, სადაც მეტად შლილი ნიადაგი იყო. წნელით მოქსოვილ ღობეს ორრიგად „გაურაგავდნენ“. ამგვარად ორმაგი ღობე იწვნებოდა, რომლის შუაში მოქცეულ სივრცეს ქვითა და წნელის კონებით ავსებდნენ. ჭებირი თავისი გამძლეობით უფრო სუსტი იყო ყორესთან შედარებით, მასავით ვერ ძლებდა, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იცავდა ნაკვეთს „ერთ თაობას მაინც გაუძლებდა“. დღეისათვის ყორით ნიადაგის შემაგრებას აღარ მისდევენ, რადგან ფერდობის მიწები მთლიანად მიტოვებულია ან ჩაის ბუჩქს აქვს დაკავებული. ჭებირების შენების ტრადიციაც დაიკარგა, თუმცა კიდევ ბევრგანაა შემორჩენილი გზისა და კარმიდამოს „საშიშ“ მონაკვეთებში. მათი შემცვლელი ახალი კონსტრუქციები ჭერჭერობით არა ჩანს და ეს სასარგებლო ღონისძიებაც აღარ ხორციელდება.

სლიერი დახრილობის ფერდობებზე (70—80°), რომლებიც საკვლევ რაიონში სავარგულებად იყო გამოყენებული, ნიადაგის დაცურება აძნელებდა მის დამუშავებას. ასეთ ნაკვეთებშიც ძველ მეურნეს ვაზი ჰქონდა გაშენებული, რომელსაც ყოველ წელიწადს ნაკელით ამდიდრებდა. ნაკვეთის დამუშავება და ნაკელის გატანა ასეთ ადგილებში წარმოებდა ბიჯის მეშვეობით. ბიჯი სამფეხისმაგვარ მოწყობილობაა, განიერ ფიცარს ტარი აქვს ირბად გადგმული და ამ საყრდენით მიწაში ერჭობა. ფიცრის სიგრძე 2 მეტრამდეა, სიგანე — 30—40 სმ. ბიჯი ფერდობზე ნიადაგის პერპენდიკულარულად მაგრდებოდა, დამრეცად, ისე, რომ ფიცრის ზემოთა ნაპირი გარეთ ყოფილიყო გადმოხრილი (ასე 5°). ტარი, რომელიც აკავებდა ფიცარს, ფერდობის დაღმართის მხარეზე მიწაში იყო ჩაბჯენილი, თოხნას დროს ეს მოწყობილობა ნაშალ მიწას არ აძლევდა საშუალებას ფერდობზე ჩაბნეულიყო და ადგილზე აკავებდა. როდესაც ადგილი „მოსამაგირებელი“ იქნებოდა, დასრულდებოდა ყველა საჭირო საქმიანობა, ბიჯს ამოიღებდნენ და მეორე ადგილას გადაუნაცვლებდნენ. ერთ ჭერზე ბიჯი 4—5 ძირი ვენახის დამუშავებას ჰყოფნიდა. ბიჯი ადგილობრივ კეთდებოდა, გლეხები ამზადებდნენ გამძლე ხის ჭიშებისაგან; მხოლოდ ხის ჭიშის სიმსუბუქეს ექცეოდა ყურადღება. ერთი-

<sup>41</sup> ლენსუში „დაჭებირება“ დატერასების მნიშვნელობითაა დადასტურებული. მას განმარტავდებელი ხასიათი აქვს და მიწისა და წყლის დამაგრების ყველა ხელოვნური საშუალებას აღმნიშვნელადაც იხმარება. ლ. ფ რ უ ა ძ ე, დან.ა. ნ.პ. რომი, გვ. 133.

დღის მანძილზე გლეხი 10-მდე ბიჭვის ოდენობის ყანას დაამუშავებდა — გადმოგვცემენ ადგილობრივები.

საკვლევ რაიონში ნიადაგდასაცავი ნაგებობის ერთ-ერთი სახეობაა და მ მ ბ ა<sup>42</sup>. იგი მიწის საფარის დასამაგრებლად ადგილობრივ გამოყენებული საშუალებაა. სოფ. პ ი რ ვ ე ლ ს ვ ი რ შ ი ჩვენ მიერ ფიქსირებულია დამბა, რომელიც უძველესი ნაგებობაა და რამდენიმე საუკუნის წინ არის აგებული. ეს არის ხათრიძეების უბანი — ტ უ რ უ ხ უ ლ ო ს ლ ე ლ ე, ადგილი ტურუხულო. იმისათვის, რომ მეწყერი არ განვითარდეს, ჩამონადენმა წყალმა არ ჩარეცხოს ნიადაგის ფენები, დამბა აქვს გაკეთებული ამ უბნის კუთვნილ მიდამოს იმ ადგილზე, სადაც ძველი მეურნის ზუსტი გაანგარიშებით იკრიბება მიწისზედა და მიწისქვეშა ჩამონადენი წყლები. დამბა ძირიდან თავამდე 10 მეტრია. საფუძველი განიერია და ზემოთა პირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება: ძირი — 10—12 მეტრი, შუაღედში — 5—6 მეტრი, მწვერვალში — 2—3 მეტრი. დამბა აშენებულია დიდი ქვის ლოდებით. რომლებიც ზევით თანდათან მცირდება. ნაგებია მშრალი წყობით. როგორც ადგილობრივ გადმოგვცემენ, დამბა დღევანდლამდე 3 ჰექტარის მოცულობის დასახლებულ ტერიტორიას იცავს ეროზიისაგან. ამ ადგილებში ძველთაგან ვენახის კულტურა იყო გაბატონებული და ადრე სწორედ სავენახე ადგილების შენარჩუნების აუცილებლობით იქნა იგი გაკეთებული. მსგავსი მოწყობილობები ამ კუთხეში ბევრგან არის ცნობილი, და მათი მშენებლობის ტრადიცია ადგილობრივ უძველესი ჩანს.

უხუცესი ინფორმატორების ცნობით, ძველი დამბები მათი მამების მოსწრებაში არ არის აგებული, უფრო ადრინდელია; ამდენად, მით უფრო აუხსნელია დასავლეთ საქართველოში ამ ტერმინის ფართო გავრცელება, რომელმაც უნდა ვიფიქროთ ნიადაგდამცველი ნაგებობების ძველი სახელწოდებები შეცვალა.

ნიადაგსაცავ ნაგებობათა შენება, მათი განახლება და აღდგენა თავისი მოცულობითა და დანიშნულებით, დიდ შრომას მოითხოვდა. უმრავლეს შემთხვევაში, ამგარ საქმიანობა ი, გამოყენებული იყო შრომითი ურთიერთდახმარება, რომელიც ამ რეგიონში ნ ა დ ი ს სახით არსებობდა<sup>43</sup>. ყორისა და ჭებირის წენებაში, მოსახლე რამდენიმე მე-

<sup>42</sup> და მ ბ ა (გერმ. Dammi, რუსული ენის მეშვე.) ხელოვნური მიწაყარილი ან ჩაგებობა (ხისა, ქვისა ან რკინა-ბეტონისა) მდინარის ან ზღვის ნაპირების გასამაგრებლად და წყლის გადმოხეთქვისაგან დასაცავად, ჭებირი — ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ის გა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი, ტ. III, თბ., 1953.

<sup>43</sup> ნაღის მეშვეობით ნიადაგდასაცავი მოწყობილობების შენების ტრადიცია დას. საქართველოს ბევრ პუნქტში დასტურდება.

“ზობელსა თუ მოკეთეს დაიხმარდა. მუშაობის დროს ყოველი პარტონი დამხმარებელ სადღილოთა და პურ-ღვინით უმასპინძლებოდა, მაგრამ ანაზღაურებას ფულით თუ ნატურით გაწეულ შრომაში არ იხდიდა. აქ იგულისხმებოდა ის გარემოება, რომ მომავალში სამაგიერო, საპასუხო შრომით დახმარებას ექნებოდა ადგილი, როდესაც ამის საჭიროება შეექმნებოდა მოხმარების მონაწილე წევრს. ისე რომ, იმერეთში ნადის ქვეშ ნაგულისხმევი შრომითი დახმარება ანაზღაურების გარეშე და ასევე სანაცვლოდ მუშაობის სახით<sup>44</sup>. ფართოდ იყო გამოყენებული ნიადაგის დამცველი სხვადასხვა სახის სამუშაოთა ჩატარებისათვისაც.

ყოველივე ზემოთქმულდან ნათელი ხდება, რომ ნიადაგდასაცავი მოწყობილობების სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ტრადიცია საკვლევ რაიონში უძველესია. ძველი დროიდან არსებული ეს საშუალებანი იმ რიდიკალურ ღონისძიებათა რიგს განეკუთვნებიან, რომლებიც ქართული მეურნისათვის დამახასიათებელია უამრავ ასპექტში. ცალკეული რეგიონის შიგნით არსებულ ამ თავისებურებათა რიგი ქმნის კონგლომერატს, რომლის ძირითადი საფუძველი ზოგადქართული ტრადიციაა და რომელსაც მრავალფეროვანი ადგილობრივი წეს-ჩვეულება აძლევს ინდივიდუალურობას.

გ უ რ ი ა, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული. დღეისათვის მოიცავს ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორიას. მისი ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი საზღვარი კოლხეთის დაბლობზე გადის და არ ემთხვევა რომელიმე მკვეთრად გამოხატულ ბუნებრივ ზღუდეს. დასავლეთით აკრავს იავი ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით—აჭარა-იმერეთის ქედი და დასავლეთით—მდ.ჩოლოქი. ვახუტი ბატონიშვილის დახასიათებით „სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღვამდე და განი ქორიხილამ რიონამდე“.

გურიის საზღვრები საუკუნეთა მანძილზე ცვლილებას განიცდიდა, მაგრამ გვიანფეოდალურ ეპოქაში, თურქთა მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ გურია დაახლოებით დღევანდელი რაიონების საზღვრეში მოექცა, რაც იდენტურია 1846 წელს ქუთაისის გუბერნიაში შემავალი და ოზურგეთის მაზრად გამოცხადებული გურიის ფარგლებისა.

მიუხედავად მეტად თავისებური ბუნებრივი პირობებისა, მიწათმოქმედება გურიაში უძველესი დროიდან ჩანს განვითარებული. გვიანბრინჯაოს პერიოდის მანძილზე და მის მომდევნო ხანაში დასავლეთ-ქართული კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზეა ასული. რო-

<sup>44</sup> შტრ. თ. გელაძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები იმერეთში, კრებ. „იმერეთი“, თბ., 1978, გვ. 55.

გორც სპეციალური შესწავლით ირკვევა, ზრინჯაოს მეტალურგიისა და მესაქონლეობის გვერდით აქ თავს იჩენს მეტად განვითარებული მიწათმოქმედება, სადაც თონით მეურნეობას წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდა. საქართველოს არც ერთ სხვა კუთხეში არ არის ნაპოვნი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ იმდენი იარაღი, რამდენიც ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე. სადაც დაახლოებით შუა ბრინჯაოს პერიოდიდან მოყოლებული შეუწყვეტილვ მოჩანს თონის გამოყენების ტრადიცია, მათი თვისებრივი და რიცხვობრივი ზრდა<sup>45</sup>.

როგორც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაპოვრები მიუთითებს, გურია კოლხეთის სპილენძ-ბრინჯაოს წარმოების ერთ-ერთ მძლავრ, დამოუკიდებელ რაიონადაა მიჩნეული; სპეციალისტთა აზრით, ე. წ. სეგმენტური იარაღის ადრეული ეგზემპლარები გურიის საწარმოო რაიონში ჩანს წარმოშობილი, რომელმაც ხმარებიდან განდევნე ბარ-თონის ტიპის იარაღი. გურიის ტერიტორიაზე სეგმენტური იარაღის ფართოდ აღმოჩენა, არქეოლოგ: დ. ქორიძის აზრით, უნდა აიხსნას ამ მხარის მეურნეობის თავისებურებით, კერძოდ იმით, რომ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიწათმოქმედო რაიონი უნდა ყოფილიყო<sup>46</sup>.

როგორც ისტორიულ-ეთნიკური რეგიონი, გურია მოსახლეობის ნაციონალური მდგომარეობით გამოირჩევა. აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებია. დამახასიათებელია მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე. მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს გარკვეულ შიდა მიგრაციას. და რეგიონს გარეთა მიგრაცია ნაკლებად იგრძნობა. ტერიტორიული თვალსაზრისით თითქმის არ განიცდის ცვლილებას დღევანდელი მისი ფართობი დაახლოებით 200 კვ. კილომეტრი გასული საუკუნის მოცულობის ფარგლებშია დარჩენილი. საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, გურიას მცირე ტერიტორია უჭირავს, რაც რესპუბლიკის მთელი ფართობის მხოლოდ 3%-ს შეადგენს.

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის, ისევე როგორც შემდგომ, გურია წმინდა აგარაული ქვეყანა იყო. მოსახლეობის 85 % სოფლის მეურნეობას მისდევდა, სახნავი ფართობის ზრდა, ძირითადად, ტყეების გაკაფვის ხარჯზე ხდებოდა. ტრადიციული სამეურნეო კულტურები იყო ღომი, სიმინდი, ფეტვი. პურეულებიდან — ქვაკვი, ქერი. პარკოსნებიდან — ლობიო, ცერცვი, ხანჭკოლა, მუხუდო. მისდევდნენ მევენახეობას, ძირითადად მალარი ვენახის მოშენებას. ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს გურიას: „ზაფხული ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო, ზამთარი თბილი, დიდთოვლიანი, ვითარცა იმერეთი, და უყინვო. მთაგორიანი, აგარაკიანი, ტყიანი და მცირეველო-

45 დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 74.

46 დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი.

ვანი. ნაყოფიერებენ ყოველნი შარცვალნი... ვენახი მალღარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად“<sup>47</sup>...

ის გარემოება, რომ გურიის ტერიტორია მოქცეულია ერთი მხრივ კოლხეთის დაბლობზე, ხოლო მეორე მხრივ გორაკ-ბორცვიან მთიან ზონაში, აპირობებს მისი ბუნებრივი რესურსების სხვადასხვაობას. ფიზიკურ-გეოგრაფიული მანვენებლების არაერთგვაროვნება გამოწვეულია აღნიშნული ტერიტორიისათვის დამახასიათებელი გერტიკალური ზონალობით, რომლითაც იგი, მიეკუთვნება გურია-აჭარის ვაკისა და მთისწინა კალთების სარტყელს<sup>48</sup>. ეს ხელს უწყობს ცალკეულ რაიონში, მეურნეობის განვითარებისა და განსახლების პირობებით. განსახლებული და ბ ლ ო ბ ი და ე. წ. მ თ ი ა ნ ი გ უ რ ი ის :გამოყოფას.

გურიის ბარო, კერძოდ, ვაკე-დაბლობი და მთისწინა ბორცვების ზონა მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოს ამფითეატრის სამხრეთ ნაწილს. იგი ამიერკავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დასახლებული და ათვისებული რაიონია, რომლის ტერიტორია თითქმის მთლიანად კულტურულ ლანდშაფტს უკავია. აღნიშნული ზონა ხასიათდება რელიეფის შედარებით ნაკლები დახრილობით და შეფარდებითი სიმალღეების სხვაობით; იგი ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ რაიონადაა მიჩნეული სამეურნეო კულტურებისათვის. გურიის დაბლობ ზონაში უნიკალური პირობებია სუბტროპიკულ მცენარეთა ფართოდანერგვისათვის მიკროკლიმატი ხასიათდება თერმული ინვერსიების სიუხვით, ამ ზონისათვის დამახასიათებელია წითელმიწა ნიადაგება: გარდა წითელმიწებისა, გურიის ტერიტორიაზე გავრცელებულია — ზღვისპირა ვიწრო ზოლზე — ეწერი ნიადაგები, მდინარე სუფსისა და ნატანების ტერასებზე — ალუვიური ნიადაგები, რომლებიც უმეტესად გამოიყენება სიმინდის ნათესებისათვის<sup>49</sup>.

გურიის, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონების, ნიადაგებმა განიცადეს ადამიანის ძლიერი სამეურნეო ზემოქმედება — გაკულტურება. ნიადაგის ეროზია ძლიერდება 20°—30° და მეტი დაქანების მქონე ფერდობებზე, სადაც ამჟამად გაშენებულია ჩაის პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეროზიული პროცესები რწვევენ მი-

47 ვ ა ხ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 97.

48 ნ. კ ე ტ ხ ო ვ ე ლ ი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1960, გვ. 57.

49 ა. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, ნ. ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მახარაძე-ლანჩხუთის ქვერეონის სას.-სამეურნეო კულტურების ნიადაგები და მათი განლაგება — მახარაძე-ლანჩხუთის ქვერეონის (გურია) ეკონომიურ-გეოგრაფიული ნაკვეთები, თბილისი, 1964, გვ. 23.

წის თვისებების „გაცვეთას“ და ჩამორეცხილი ნიადაგები ამჟამად ბევრია<sup>50</sup>.

მთიანი გურიის რელიეფი ღრმადია დანაწევრებული მდ. სუფსის, ნატანების და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადების ხეობებით. მდინარეთა ეროზიული მოქმედება ქმნის ციკაბო ფერდობებს. გურიის მთიანი ნაწილის 350-დან 600 მეტრამდე ზ. დ. სიმაღლის ზონა ყველაზე მეტადაა ათვისებული სამეურნეო თვალსაზრისით, რასაც მისი ნიადაგების მალანაყოფიერება უწყობს ხელს. რაც უფრო იზრდება ფერდობების სიმაღლე და დახრილობა, მით უფრო კლებულობს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნაყოფიერებაც, იზრდება მიწის საფარის ჩამორეცხვის ინტენსივობა და ნიადაგი მცენარისათვის საჭირო საკვებით ღარიბდება. ადგილის სიმაღლის მატება გავლენას ახდენს დასახლებათა ხასიათზეც. მთიანი გურიის სოფლები ხეობათა გასწვრივ არის განლაგებული და ზოგჯერ 5—7 კმ-ის სიგრძეზე ვრცელდება. კოლხეთის დაბლობსა და დაბალი ფერდობების არეალში განსახლება უფრო კომპაქტური ხდება; მთიან გურიაში ჭარბობს ხეობათა განსახლების ტიპი<sup>51</sup>.

ტყეებს გურიაში 90 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს, რომელთა დიდი უმრავლესობა მთიან ზონაშია მოქცეული. მათ აქვთ უდიდესი წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა.

ძველად სახნავი ფართობების ზრდა ძირითადად ტყეების გაკაფვის ხარჯზე წარმოებდა. მაგრამ თუ ეს საუკუნეთა მანძილზე განსახლდურულ, მკაცრ კანონზომიერებას ექვემდებარებოდა და რელიეფის ბუნებრივი საფარის საერთო ხასიათში არ შექმონდა არსებითი ცვლილება, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სავალალო ხასიათი მიიღო. დაიწყო გურიის საუკუნოვანი ტყეების უწყესრიგოდ გაჩეხვა მალამოსავლიანი კულტურების დასანერგად. დღეისათვის გურიის მთავარი სამეურნეო კულტურა არის ჩაი<sup>52</sup>, კარგად ხარობს ვაზი და „კეთილშობილი დაფნა“. სათანადო ადგილი ეთმობა პარკოსნებს,

სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მეციტრუსეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეციტრუსეობამ აქ სამრეწველო ხასიათი მიიღო. პლანტაციები განლაგებულია ძირითა-

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> Джаошвили В. К сравнительной характеристике городских поселений Грузинской ССР, Матер. I. междунар. совещания по географии поселения. М.-Л., 1961, с. 85.

<sup>52</sup> ნ. დევიძე, მახარაძე-ლანჩხუთის (გურიის) ქვერაიონის სოფლის მეურნეობის განვითარება, თბილისი, 1964, გვ. 122.

დად გორაკ-ბორცვებზე, უმეტესად მანდარინისა და ფორთოხლის ნარ-  
გაებია. ლიმონს შედარებით ნაკლები ფართობი უჭირავს<sup>53</sup>.

შრომატევადი და მაღალშემოსავლიანი დარგია მეხილეობა. ბო-  
ლო წლებში მან სამრეწველო ხასიათი მიიღო: გადის რესპუბლიკის  
გარეთ, გამოიყენება საკონსერვო მრეწველობაში, მეხილეობა დიდ  
როლს თამაშობს კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიკა-  
ში, მათ პირად ბიუჯეტში.

მიუხედავად სხვა კულტურათაგან შევიწროებისა, მინდვრის კულ-  
ტურებს გურიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ძირითადი მარცე-  
ლულია ს ი მ ი ნ დ ი. ტრადიციულ მეურნეობაში განსაკუთრებული  
ადგილი ეკავა ღომის კულტურას XVII ს. იგი ძირითად საკვებ მარ-  
ცვლელს წარმოადგენს, 1890 წლიდან კი ღომი უკვე იშვიათი სა-  
კვებია<sup>54</sup>. ტექნიკური კულტურებიდან დანერგილია ს ო ი ა, მაგრამ მას.  
ნაკლები ყურადღება ექცევა როგორც საწარმოო ნედლეულს, რადგან  
მთავარი აქცენტი ჩაისა და ციტრუსებზეა.

ძველად გურიაში გლეხს მიწა თითქოს არ უჭირდა. ამისდა მიუ-  
ხედავად, ტყეთა სიმრავლე და სიხშირე, ჭყანტობი და დაჭაობებული  
ნიადაგების ათვისების სიძნელე, რთული კლიმატური პირობებო ხელს  
უშლიდა მემინდვრეობის კულტურების დამუშავებას. ამას თან სდექ-  
და ნიადაგების გამოფიტვა, დარეცხვა. დახრამვა, რომელთა აღდგენა  
და გამოყენება ხალხურ აგროტექნიკური საშუალებების დანერგვით  
იყო განხორციელებული.

XIX საუკუნის გურიის სამეურნეო ყოფის შესახებ პირველწყა-  
როს მნიშვნელობისაა სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური მდგომარე-  
ობის ამსახველი მასალები. მისთვის განკუთვნილ ნარკვევში ვკითხუ-  
ლობთ: „ხელშემწყობი კლიმატური და ნიადაგური პირობები იმდენ-  
ნად უმსუბუქებენ შრომას მიწისმოქმედს, რომ მას აზრადაც არ მოს-  
დის გაზარდოს თავისი მიწის შემოსავალი, რომელიც ისედაც უზარუნ-  
ველყოფს მის ცხოვრებას<sup>55</sup>“. მოტანილი ტექსტი ზედაპირული და-  
კვირვების ბასიათს ატარებს. მიწის ფართობის შედარებითი სიუხვე  
(სხვა რეგიონებთან მიმართებაში, მაგ., იმერეთი) გურული გლეხო-  
სათვის სწორედ რომ არ იყო კეთილდღეობის წყარო. ადგილობრივი  
რელიეფის დანაწევრება, მთა-ბორცვების სიმრავლე, ჰაერის მაღალი  
ტენიანობა მუდმივ საზრუნავს უქმნიდა აქაურ მეურნეს. სწორედ დი-  
დი შრომისა და გონივრული სამეურნეო საქმიანობის შედეგი იყო,

<sup>53</sup> Алавидзе Г. Цитрусовые сады Грузии. Тбилиси, 1960, с. 7.

<sup>54</sup> ჯ. რუხაძე, ღომის კულტურა დას. საქართველოში, მსე. XI, თბ. 1960,  
გვ. 80. მისივე, ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ. 1976,  
გვ. 42—59.

<sup>55</sup> Экономический быт госуд. крестьян Озургетского уезда, МПЭБГ-  
КЗК, т. I, Тбилиси, 1865, с. 5.

ერთი შეხედვით, უმტკივნეულოდ მიღებული უხვი მოსავალი. ეს შესაძლებელი ხდებოდა მეურნის ხელში არსებული მიწის მონაცვლეობითი დამუშავებით. ქაობების დაშრობით. უხვტენიანი ნიადაგების დაწრებით, ნიაღვარსაწინააღმდეგო და ნიადაგის დაცურების საწინააღმდეგო ნაგებობათა შექმნით, ახოს ალებით, განოციერებით და სხვა.

ამავე სტატიის ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ე. წ. ნადელების გაცემის დროს საჭირო ცნობების მოძიებისას გლახს საკარმიდამო ნაკვეთში შეაქვს მის ხელთ არსებული ყველა სავარგული, ამით რთულდება ცალკეული საკარმიდამოს გამოყოფის შესაძლებლობა მფლობელობაში მყოფი ფართობებიდან, რაც სათანადო უხერხულობას ქმნის: „საგლეხო „ნადელების“ აღრიცხვისას გლეხები ასახელებენ აგრეთვე საკარმიდამოს, სახნავებს, მალარ ვენახს, თუთისა და ზილის ნარგავებს... ასევე არ გამოყოფენ უვარგის მიწებს, რომლებიც ცალკეულ მონაკვეთებად არიან მთელ ფართობში გაბნეული და მასაც სხვასთან ერთად ასახელებენ“<sup>56</sup>. აღწერის ავტორმა ამჯერად სწორედ ადგილობრივი მეურნეობის თავისებური სურათი გადმოგვცა. ეს მონაკვეთი ზედმიწევნით ახასიათებს საგლეხო კერძო მეურნეობის ზოგად ხასიათს. აქ საქმე გვაქვს როგორც მემინდერეობის, ასევე სოფელთა განსახლების ადგილობრივ თავისებურებებთან. სოფლები გაბნეულია გორაკ-ბორცვებზე და ფერდობებზე, გაფანტულია საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე და მოკლებულია შიდაკომპაქტურობას. მაგალითისათვის, სოფელი აცანა 10 კმ-ზეა გადაჭიმული (იგულისხმება მისი ორი განშტოება აკეთამდე და მამათამდე). სოფლის შიგნით კარმიდამოები იმგვარადაა განლაგებული როგორც ამას რელიეფისა და გამოსადეგი მიწების მოხერხებული გამოყენება განსაზღვრავს. ამიტომ დღესაც ხშირია, როდესაც დამუშავებული ნაკვეთები — უანა თუ ჩაის ბუჩქები — თვით სოფლის შიგნითაა მოქცეული. ხშირად სოფელი ამავე მიზეზით ორ ზონად იყოფა, მაგალითად, ზემო და ქვემო აკეთი, ზემო და ქვემო მამათი, ხეთი და სხვ. ხშირად სოფლები თითქმის უწყვეტ ზოლად არის წაბმული და ძნელი ხდება გარკვევა სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე. ამდენად, გურიის სოფლების განლაგება და სამეურნეო სახე ბუნებრივი პირობებისა და რელიეფის თავისებურებითაა შეპირობებული.

ძველად ოჯახის ხელთ არსებულ ე. წ. საკარმიდამოში შედიოდა როგორც დამუშავებული, ასევე ნასვენად დატოვებული მიწა, რომელიც ქმედითი დანაზოგის სახით კვლავ იქნებოდა გამოყენებული. აქვე იყო კუთვნილი ტყე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახოლ



იჭრებოდა. ტყე საძოვრის როლს ასრულებდა, ყანაში ნალია ჰქონდათ მოწყობილი და სიმინდს იქ აბინავენდნენ. დღესაც მწვავედ დგას გურიის სოფლების სივრცობრივი კომპაქტურობის საკითხი.

საველე მონაცემებით, ძირითადი მარცვლეული კულტურა გურიაში სიმინდია, რომელიც ყველა ზონაში იყო გავრცელებული (დაბლობში, ბორცვებზე და მაღალი მთის კალთებზე). განსაკუთრებით კარგი იყო სიმინდის მოსავალი წითელ მიწაზე (დიხაშხო). ჩვეულებრივ ყოველ ოჯახს რამდენიმე ადგილას ჰქონდა საყანე, რომელიც თვისობრივად განსხვავდებოდა ფერდობზე, ზეგანზე, ვაკეში. ვანელების გამოთქმით, „ფერდა ადგილები მზის გულზეა, კაი მიწებია“. მიწები ჰქონდათ ასევე ქალაში, „იქ წყალი აწუხებდა ნათესს, მონოყავდა, ყვითლდებოდა და ხმებოდა სიმინდი. მთაგორიანი ადგილები ჯობდა კიდევ“. ძველ მეურნეობაში გურიაში, ნესტიანი ადგილების ამოშრობა ხშირად დასილვის მეშვეობით იყო მიღწეული, რაც ნიადაგის განოყიერებას უწყობდა ხელს — წყლის მიერ დატოვებული შლამი სასუქად<sup>57</sup> იყო გამოყენებული.

სიმინდი, როგორც სათონი კულტურა, განსაკუთრებით აზიანებს ნიადაგს, ამიტომ მიწის ჩამორეცხვა ფერდობებზე განლაგებულ ყანებში გაცილებით მეტია. გურიაში ნიადაგის დაქარგვის ორი უმთავრესი მიზეზი მოქმედებდა: 1. მიწის დარეცხვა-დაღვარვა კოკისპირული წვიმებისა და თავსხმების დროს; 2. ნიადაგის დაცურება-დაშვავება, მისი სტრუქტურის დარღვევა ადამიანის მიერ მისი დამუშავების პროცესში. ამას ემატებოდა მდინარეთა მიმდებარე ქალებში და დაბალ ვაკე ადგილებში ჰარბი ტენიანობა და დაჰაობება, რაც დიდ ზიანს აყენებდა მოსავალს. ამიტომ ხალხი ოდითგან ცდილობდა გამოენახა როგორც ფერდობის დაცვისა და ნიადაგის დამაგრების, ასევე წყლის დამცლელი და დამშრობი საშუალებანი. საკვლეე რაიონში დავამოწმეთ ამ რიგის ნაგებობანი და მოწყობილობანი, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი:

დაკვალვა იცოდნენ როგორც ფერდობზე, ასევე დაბლობში, მხოლოდ ფერდობი არ უნდა ყოფილიყო შვეული და ვაკეს ოდნავი დაქანება, დახრა უნდა ჰქონოდა. კავის მეშვეობით ყანას მთელ სიგრძეზე უკეთდებოდა საკმაოდ განიერი კვალი — „წყალსაყარი“, შემდეგ მას თოხით დამოწმენდნენ და უფრო ჩაღრმავებდნენ. სათანადო ადგილებში ერთ ნაკვეთს კვალი რამდენიმე ადგილზე გაეჭრებოდა.

<sup>57</sup> ქ. რუხაძე ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ. 1975, გვ. 35.

კვალში წყალი იწრიტებოდა და მიწა ზედმეტი ტენისაგან თავისუფ-  
ლდებოდა. წვიმის დროს, რაგინდ ძლიერი თავსხმა ყოფილიყო, ასე-  
თი ფართობი დაკული იყო: კვლებში შეგროვილი წყალი საღვ-  
არეს მეშვეობით, რომელიც ნაკვეთს დაფერდებულ მხარეზე გაუდი-  
ოდა ყანის ნაპირზე, თავისი გზით მიედინებოდა. „ჩვენი ნამუშეიერი  
რომ არ გაეფუჭებინა ნიაღვარს, მიტო ვიღებდით ამ კვლებს<sup>58</sup>“. — გა-  
დმოგვცემენ ადგილობრივები.

ზოგან კვალს თხრილსაც უწოდებენ. კავით ან თოხით გაქ-  
რიდნენ თხრილს, სიგანე — 2 ნიშანი, სიმაღლე — 3—4 ნიშანი (4 ნი-  
შანი ერთ არშინს უდრის). თხრილის სიგრძე იმდენი იყო რამდენიც  
ყანას დასჭირდებოდა. იგი ნაკვეთის ბოლოს უერთდებოდა ღელეს და  
იმას მიჰქონდა წყალი. ძლიერად დახრილ ფართობებს სპეციალურ  
საღვარეს არც უწყობდნენ. როგორც სოფ. ზომლეთში გადმოგვცეს  
— „ფერდი ადგილი რომ იყო, იმ წყალს გადაფენდო და წავი-  
დოდა თავისი გზით“ 98 წლის ხარაიშვილი იაგორი (სოფ. მაჰა-  
თიდან) გადმოგვცემს: „წყლიანი ადგილები იყო ჩვენთან, სუფსის პი-  
რას საყანეები გვქონდა და ლებოდა იქ სიმიწი. ამისათვის კვლებს  
ვიღებდით, მომტრო კავი გვქონდა, ამით ვავლებდით 1 არშინის სი-  
მაღლის კვალს. სიგრძე ღელის პირამდე მიუდიოდა, პატარა დაქანება  
ექნებოდა ადგილს და იქითკენ ჩადიოდა წყალი“. როცა ფერდობის  
ყანას რამდენიმე კვალს გაუყვანდნენ მიყოლებით, ასწვრივ, მას და-  
კიბულს უწოდებდნენ<sup>59</sup>. ტერმინები კვალი და თხრილი, რამდე-  
ნადმე განსხვავებული მნიშვნელობით, კოლხეთის დაბლობზე დამოწ-  
მებული აქვს მ. გეგეშიძეს.

დაკვალვისა და თხრილების მეშვეობით ნაკვეთი ქარბი წყლისა-  
გან იცლებოდა, მაგრამ მათ მოსაწყობად რელიეფის სათანადო დაქა-  
ნება იყო აუცილებელი (10°-ით მაინც). ამიტომ, დაბლობ — ვაკე ად-  
გილებში, სადაც ამის საშუალება არ იყო, ხანგრძლივი წვიმების შემ-  
დეგ ნიადაგში იმდენი წყალი გროვდებოდა, რომ თესლი აღმოცენე-  
ბამდე ლებოდა. ამისთვის მიღებული იყო წყლიანი ნიადაგის გამოსა-  
შრობად სპეციალური საწრეტების მოწყობა. საწრეტები შემდეგ-  
ნაირად კეთდებოდა: გაჭრიდნენ მოზრდილ ორმოს, 80 სმ-მდე სიღრ-  
მისას, ჩაყრიდნენ შიგ თხმელის ტოტებს (ანუ ბოლს) და კარგად ჩა-  
ტკეპნიდნენ; შიგა და შიგ ქვა-ლორღსაც აყოლებდნენ და ამოავსებ-  
დნენ, რის შემდეგ ზევიდან მიწა დაეყრებოდა და გადასწორდებოდა.  
ორმოში დარჩენილ სიცარიელეში იწრიტებოდა წყალი და ნიადაგის  
ზედა ფენა მისგან იცლებოდა. საწრეტი იმდენი უკეთდებოდა ერთ ნა-

58 ვ. კვიციანი, 83 წლის, სოფ. ვანი.

59 შახარაძე, ა. პ., 79 წ. სოფ. ვანი.

კეთს რამდენსაც მოითხოვდა, ამას გამოცდილი მეურნე თვითონ განსაზღვრავდა.

მუდმივ საზრუნავს შეადგენდა შვავისა და ნიაღვრისაგან ასევე ფერლობის ნიადაგის დაცვა-შემაგრება, რისთვისაც ბევრი ღონისძიება იყო ხალხის მიერ შემუშავებული და სათანადოდ გამოყენებული: ჭებირი უკეთდებოდა ფერლობზე და „ქელზე“ მდებარე ყანებს, რომლებსაც ნიადაგის დარეცხვის, დაცურების საშუალებად ელოდათ<sup>60</sup>, მიწაში ჩაურჭობდნენ სარებს, // პალოებს, რისთვისაც მაგარი ჭიშის ხეს შეარჩევდნენ. სარები ისე უნდა „ჩასობილიყო“, რომ „პირი ცოტაზე გარეთ დარჩენოდა“. შუაში ჩაუღებდნენ ხის მორს, კარგად ჩაამაგრებდნენ, ქვასა და მიწას მიყრიდნენ, დატყეპნიდნენ; განსაზღვრულ მანძილზე მოშორებით გაუყეთდებოდა მეორე, მესამე — ეს ყანის სიდიდეზე და ფერლობის დახრილობაზე იყო დამოკიდებული. ჭებირებს, ხალხის გაგებით, დიდი შველა მოჰქონდა ნიადაგისათვის მიწას „ადგილზე აკავებდა“. ჩონბატურის რაიონში ასე დაგვიხასიათეს ჭებირი — „მიწაში მუხის, წაბლის პალოებს ვასობდით. ზედ გაურაგვავდით ლანდურებს წაბლისაჲ, მრგვალ ლატნებს და ჩავსობოდა იმას მორგვები ანუ პობილები: ძირში მიწას მივაყრიდით“. იქვე ტყიდან მოჰქონდათ მორები — თხელა, აკაცია, წაბლი. ყველა ოჯახი თავის ყანაში აწყობდა ჭებირს, რომელიც იცავდა დახრამვა-დაშვავებისაგან არა მარტო ყანას, არამედ ბაღს, ბოსტანს და მთლიანად სამოსახლოს, თუ ის ფერლობზე იყო განლაგებული. დროთა მანძილზე წვიმის წყალი ჭებირზე მიიტანდა მიწას და მიაღუკავდა, ნაკვეთზე რჩებოდა ნიადაგის კულტურული ფენა. როგორც სოფ. აცანაში გადმოგვეცა — „მიწის დასამაგრებლად დაფერდება ყანებზე ხის ჩარაგვა ვიცოდით. ხის მორებს შევიტანდით ურმით ან ზურგით და ნაკვეთის ქვეშ დავციოდით. მერე მიწას პატარაზე გამოვიჩიქნიდით და პალოებით ზედ გადაურაგვავდით, დააკავებდა ადგილზე მიწას“. სოფ. მიქელგაბრიელში გვიხასიათებენ ჭებირს — „ყანას სამუშიერ ადგილზე უღებთ ხეებს, ღვარის დასამაგრებლად, გრძელ ლატნებს დავალაგებთ, დოუსობთ მანქოებს // პალოებს დავლობავთ და ზედ ნაკოჭარს ჩოულობთ (ბოლისაგან გაწმენდილ ხეს), მერე ქვასა და ქვეროს მივაყრით, მიწის ჩამოწოლას აკავებთ“.

გურიაში ჭებირის ანალოგიურად იხმარება ბეკი. დიდ ვანში და ქვემო სურბში კი — კალონი<sup>61</sup>, ხის ბეკის მაგივრად ზოგან სცოდნიათ

<sup>60</sup> განსაკუთრებით აქებენ „ქელის ყანებს“. აქურ ტყეებში ძველად ბევრი იყო ურთხმელისა და წყავის ხის ჭიშება, კ. ქანთარია, 83 წ., სოფ. ზემო აკეთი, ა. შითაიშვილი, 96 წ., სოფ. გულიანა.

<sup>61</sup> ქ. რუხაძე, მემინდვრეობის კულტურა დას. საქართველოში (ხელნაწერა):

ასევე შექმნილი დაბალი ღირებულების მოწყობა, რომელიც 10—15 წელი ძლებდა. ბეკი და კადონი გურიის სამეურნეო ყოფაში ფართოდ გამოყენებული ღირებულება ჩანს, რომელიც აქ ტერასული ხასიათისა უნდა ყოფილიყო<sup>62</sup>.

ჯებირებით მიწის შემადგენლის პრაქტიკა მიღებულია დას. საქართველოს სხვა რეგიონებშიც. მაგ., იმერული მასალა ბეკი მსგავსებას ამჟღავნებს გურულთან. რაც შეეხება ლეჩხუმის ყოფაში დამოწმებულ ჯებირის იგი სხვა სახის ნაგებობაა და დანიშნულებაც სხვა აქვს<sup>63</sup>. გურიაში ჯებირების მოწყობა საყოველთაოდ იყო გამოყენებული ასევე ეზოსა და კარმიდამოს დასაცავად.

ყორე. ყანისა და სხვა ნარგავების ნიადაგის შესამადგრებლად ადგილობრივ დამოწმდა ქვით ნაგები ყორეები. ყორე იცავდა კარმიდამოს კომპლექსში მოთავსებულ ნაკვეთებსაც. მაგალითად, სოფ. ვანში, აფთონ მახარაძის კარმიდამოზე რამდენიმე ყორეა გამართული, რომელიც როგორც სახლის პატრონი გადმოგვცემს (100 წელს მიტანებული მოხუცი), მისი მამის ნაშენებია. ყორე აკავებს სახლის ახლო დაშორებაზე ბოსტანს რომელიც საკმაოდ მაღალ ფერდობს აყვება. ბოსტანი სანიმუშოადაა მოვლილი, შიგა და შიგ ხილის ხეები მოჩანს. მეორე ყორე სახლსა და მის მიმდებარე ეზოს გასდევს, მისი სიგრძე 4 მეტრამდეა. მესამე — სახლის ჩაღმართზე მოწყობილი ბაღის ქვევითაა ნაწილს აეკებს და ესაზღვრება შვეულ ფერდობს, რომელიც სოფლის სამანქანო გზას გადაჰყურებს. ყორის სიმაღლე სამივეგან 1 მეტრამდეა, მშრალადაა ნაგები დიდი და მცირე ზომის ქვების მონაცვლებით და მათი სათანადოდ შეთავსებით, ძირში დიდი ლოდები კარბობს<sup>64</sup>.

ყორეები ყველგან ძველი აგებულია, მამაპაპურია. იგი მიწის „დაშვავებას“ უშლიდა ხელს, ნოღოსა და ღვარის საწინააღმდეგო ღირებულება იყო. ზოგ პუნქტში დამოწმდა დაკიბული ყორეები. ყორე ნათეს ყანასა და ბოსტანს წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე უქეთდებოდა. განსაკუთრებით მიღებული იყო „კოდმეს“ ძირში მისი გამართვა. კოდმე ნაკვეთის ყველაზე მეტად შემალღებული ადგილია, რომელსაც ხშირად მისი ცენტრალური ადგილი უჭირავს. „კოდმეზე“ რომ წამოვიდოდა ნიაღვარი არაფერი მოსახმარი აღარ იყო იმ ფარ-

62 ყურადღებას იქცევს სახელწოდება ბეკი. საგულისხმოა, რომ ტერასულად განლაგებულ სახნავ ნაკვეთებს თუშეთში ყანას უწოდებენ, ორ ყანას შორის მდებარე მოუხნავა „უძრავი“ ადგილი კი — ბეჭია. გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ. 1988 (წელნაწერი).

63 ლ. ფრუიძე, ყოფა და ტრადიციები, თბ., 1981, გვ. 133.

64 ყორეებით სამოსახლოს „ფთებს უმაგრებდნენ“; კარგადაა შემონახული ძველი ყორეები საწირაოს მიდამოში.

თობზე — წალეკავდა ყველაფერს“. ამიტომ ექცეოდა მის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება.

ყორის აგების დროს ჯერ მიწას „პატარაზე გამოთხრიდნენ“, შემდეგ შიგ ჩაუწყობდნენ ქვას და მიწას გაამაგრებდნენ. ამის მერე მშრალი წყობით აიყვანდნენ სათანადო სიმაღლის კედელს. ყორე საკმაოდ ხანგრძლივად იცავდა ნაკვეთს დარეცხვისა და დაშვავებისაგან. ქვა დიდხანს ძლებდა, არ ლპებოდა, რაც ხის ჯებირების მთავარი უარყოფითი თვისება იყო.

ლობურა. ფერდობის ყანას (60—70° დახრილობის ექსპოზიციით) ხშირად უჩნდებოდა სხვადასხვა მონაკვეთში დახრამული, დარეცხილი ადგილები. ძველ მეურნეს გამოუნახია მათი „მკურნალობის“ საშუალება. ასეთ ადგილს ქვემოდან უკეთდებოდა პატარა ლობე; მტკაველნახევრის ტოლ პატარა სარებს „დაასობდნენ“ 30—40 სმ-ის დამორებით და წვრილი წნელით გადალობავდნენ. მოდილო მონაკვეთს რამდენიმე ლობურა უკეთდებოდა რკალურად. წვიმის დროს მოტანილი მიწა და წვრილი ქვა ლობურას მიასილავდა და ადგილზე გროვდებოდა. დროთა მანძილზე დაზიანებული ნიადაგი თანდათანობით აღდგებოდა და იფარებოდა კულტურული ფენით. გურიაში დლობურების პრაქტიკა უძველესი ჩანს ეთნოგრაფიულად იგი დამოწმებულია რაჭაშიც<sup>65</sup>.

დამბა. საყანესა და საკარმიდამოს დიდ ზიანს აყენებდა ღელეებისა და მდინარეების ადიდება: ანგრევდა მიდამოს აფუჭებდა ნათესს, ძირს უთხრიდა სახლებს. ასეთი ადგილები ხალხის მიერ ძველთაგან დაცული იყო დამბებით. ყველა ღელესა და მდინარეს უკეთდებოდა დამბა საჭირო მონაკვეთებში — აცაურას, გობაზოულს, დვაბზუს და სხვა. ერთხელ აშენებული დამბა დიდხანს ძლებდა, რაგინდ დიდი ნიაღვარი ყოფილიყო — უძლებდა. მაგალითად, მდ. აცაურას რამდენიმე ადგილზე ჰქონია ძველი დამბები<sup>66</sup>.

დამბას ხის მორებით აშენებდნენ — მონიშნულ ნაპირზე საჭირო მონაცემების გაანგარიშებით ამოთხრიდნენ განიერ ორმოს და მორებს შიგ ჩაყრიდნენ. ორმოს მათავსებულ მორებს ერთმანეთთან მკიდროდ ამაგრებდნენ ტყავის თასმებით და ხის სოლებით ჩაქვდავდნენ. მორების მიერ მოსაზღვრულ სივრცეში, რომელიც ოვალურ ფორმას ღებულობდა, ყრიდნენ დიდი ზომის ლოდებსა და ყოველ

65 ლ. ფ რ უ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 135. ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, „შინამრეწვ. მასალები, რვ. № 9.

66 „ყველა მდინარე დაღმა მიდის და აცაურა კი აღმა“ — ასე ამბობენ გურიაში, რადგან მისი დინება ბახმაროს მთებისკენაა მიქცეული და ნაგომარს ზევით უერთდება სუფსას; ამით მის ჰირვეულობას უსვამენ ხაზს.

ნაირ ქვა-ლორღს, რომელსაც გზადაგზა ხის უროთი ტყეპნიდნენ. დამბის სიმაღლე და მოცულობა ნაპირის ხასიათით იყო განსაზღვრული (2—4 მეტრს შუა მერყეობდა). იცოდნენ დამბის ქვით ამოშენებაც სოფ. ორაგვეს მკვიდრი ვ. კვიციანი გადმოგვცემს, — „მდინარისა და ლელისპირებზე უკეთდებოდა დამბა. დიდი ნიაღვრის დროს, წყალი დამბას დაეტაკება, მასზე გადმოიარს და აღარაა საშიში, ვერ დაღვარავს ნიადაგს, ზარალს ვერ მოგვაყენებს. ხისა და ქვის დამბები იყო წინათ მიღებული“. ძველი ქვის დამბის ნაშთები დღემდე შემორჩა მდ. აცაურაზე, რომელსაც ადიდებით ახლაც ბევრი ზარალი მოაქვს მოსახლეობისათვის<sup>67</sup>.

საკვლევ რეგიონში დამოწმებული იქნა ნიაღვარსაწინააღმდეგო ნაგებობა — გოღორა. ინფორმატორების დახასიათებით იგი წარმოადგენს ოვალური ფორმის მოწნულ სათავეს, რომლის დიამეტრი, ადგილის შესატყვისადაა განსაზღვრული, (შეიძლება 10 მეტრამდე მიღწიოს), სიმაღლე 2 მ-ს არ აღემატება<sup>68</sup>. გოდორას ნაპირზევე წნავენ სარებისა და წნელის მეშვეობით, რომელიც წინასწარ აქვთ მოწარაგებული. წნაში რამდენიმე ადამიანი ერთდროულად მონაწილეობს. მოწნული გოდორა გრძელი სარების მეშვეობით მაგრდება ნაპირის სათანადო მონაკვეთში და შემდეგ იწყება მისი ქვით ამოვსება, რის დროსაც შიგ აყოლებენ ხის მოჭრილ ტოტებს. ამ სამუშაოს შესრულება უმეტესად ნადით წარმოებდა. გოდორა, ისევე როგორც ქართლში საყოველთაოდ გავრცელებული გოღორაყური ნაპირის დაცვისა და ნიადაგის შენარჩუნების ფუნქციას ასრულებდა.

ადგილობრივ ნიადაგის ათვისების ერთ-ერთ საშუალებად მიღებულია ე. წ., გამოთხრა, რაც ტერასიებული მონაკვეთების შექმნას გულისხმობს და გამოიყენება როგორც საყანე, ასევე სამოსახლო დანიშნულებით. ამ მიმართებაში საინტერესოდ გვესახება ადგილობრივ გავრცელებული ტერმინი ოროკო. იგი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება როგორც ტოპონიმი ორგვარი მნიშვნელობით: 1. აღნიშნავს გამოფიტულ, „უნამუშევრო“ მიწას, სადაც არც ერთი კულტურა არ გვარობს და 2. ფერდობის, ზეგანის აღმნიშვნელია. თუ გავითვალისწინებთ რა დონეზეა ამ კუთხეში ნიადაგების დაცვისა და ათვისების წესები, ექვს გარეშეა, მიწის ოროკოებად მოწყობის ანუ ტერასირების პრაქტიკა ძველ ყოფაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო, რაც დროთა მანძილზე მივიწყებას მიეცა და დღეს გავრცელებული ტოპონიმის სახითღა შემორჩენილი.

<sup>67</sup> თ. დათუნაიშვილი, ს. ჩხაიძე, სოფ. აცანა. 1983 წელს აცაურამ საფუძველი გამოურცხა ჩხაიძეების სამოსახლო ადგილს და ნაგებობებს დანგრევის საშიშროება ემუქრებოდა.

<sup>68</sup> ა. ქურიძე, 75 წ., სოფ. ზომლეთი.

ფერდობ ადგილებში ნიადაგის დაშვებებისა და გამოფიტვის საწინააღმდეგოდ მიღებული იყო ხეების გაშენება. უკიდურესი გამოფიტვის შემთხვევაში მიმართავდნენ ნაკვეთის გატყიანებას — რგავდნენ ხეებს და 10—15 წელი ტოვებდნენ დაუმუშავებელს. მიღებული იყო მწირი, დასარეველიანებულ ნიადაგებში სანქკოლას თესვა. რომელიც სპობდა ყოველგვარ სარეველას და ნიადაგის ნაყოფიერებასაც ზრდიდა. საყანე ადგილს, უმრავლეს შემთხვევაში, სათავეში ტყე ჰქონდა შენარჩუნებული ან ხეივანად გაშენებული, რომელიც ნიადაგის დაცვას უწყობდა ხელს. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ძველი მეურნის დამოკიდებულება ამ საქმისადმი „გამოფიტულ ადგილებს აღარ ვხნავდით, ვტოვებდით, 15—20 წელი და მეტი. იქნებოდა ასე და ტყე გაჩნდებოდა. მე თუ არა ჩემი შვილები ისარგებლებდნენ ამ მიწით; მე რომ ტყე გავაშენე, იმას ათვისებდნენ და ყანად გადააქცევდნენ ისევ. თუ ტყედ დარჩებოდა, მასაც დიდი სარგებლობა ჰქონდა ხალხისათვის“. ტყის მოშენების დროს რცხილას აძლევდნენ უპირატესობას, მაგარი ფესვები აქვს და მიწას აკავებს. ასევე ტირიფს, თხმელას, ალვისხეს. ბოლო დროს აკაციის ხეა მოწონებაში, ეხლაც იციან „დაძრულ“ ადგილებში მისი მოშენება.

გურიამი ნიადაგის ათვისების მეტად გავრცელებული და საყოველთაო საშუალებაა ახოს ალება<sup>69</sup>. ტყიანი მდებარეობა, ძველი დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებით უწყობდა ხელს საყანე ადგილების მოწყობას ტყის ხარჯზე. ტყის გაკაფვას და ამ ადგილის სახნავ-სათესად ათვისებას ადგილობრივ ახოს ეძახიან. ამავე გაგებით იყენებდნენ სხვა გამოთქმასაც, მაგალითად, გაცეღვას<sup>70</sup>. ტყე გავცეღვით — ეს ახოს ალებასა და ნაკვეთის გასუფთავებას, მის ათვისებას, გულისხმობს. მიღებულია იგივე მნიშვნელობით გაკაფვა, ტყის გაჭრა საყანედ, ანუ ახო. აქაური ტყე მდიდარია უძველესი ჭიშებიტ თხმელა, წიფელი კოპიტი, მუხა, ბეოლა, ამავე დროს შინდი, თხილი, წაბლი და სხვ. საახოედ ჯერ დიდ ხეებს მოჭრიდნენ, ზოგი ოჯახში მოჰქონდათ და სხვას სათანადო გამოყენებას უძებნიდნენ. იმავე წელიწადს კუნძებს ვერ ამოყრიდნენ ჯერ მიწაში ტოვებდნენ. ამ ნაკვეთს თოხით ამუშავებდნენ, კავი ყოველთვის ვერ შეჰქონდათ ახალ გაჭრილში. ზოგი ხე 50 სმ-მდე დიამეტრის იყო, მათ ძირში ჰკრიდნენ; ბუჩქნარს ცეცხლს უკიდებდნენ და წვავდნენ. აქა-იქ თითო ხეს დაუტოვებდნენ „დასამაგრებლად“ შეშას წაიღებდნენ სახლში, რასაც

69 იხ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1976.

70 მ. კუკულაძე 81 წლის სოფ. ზემო აკეთი; გ. ქურიძე, 86 წლის სოფ. ორაგვე.

არა—ერთ ადგილზე მოუყრიდნენ თავს, ს ა ყ ა დ ე ლ ს ეძახდნენ; გლეხი იტყოდა—„ხის მორები იქვე ყანაში დაეასაყადლეო“—დაგროვებას და მისთვის მიჩენილ ადგილზე დაცვას გულისხმობს. ბევრ სოფელს საურმე გზა არცა ჰქონდა, ზურგით ჩამოჰქონდათ სახლში ხეები. დიდი ყურადღება ექცეოდა საყანე ადგილის შერჩევის დროს ხის ჯიშებს. საუკეთესოდ ითვლებოდა თხმელას ნიადაგი, რომელიც ნაყოფიერებით ხასიათდება და სხვასთან შედარებით უხვი მოსავალი იცის. თხმელას საერთოდ დიდი ადგილი ეკავა გურიის ტყეებში, რასაც მისი სწრაფი ზრდის უნარი აპირობებდა: პატარა ნერგი 4—5 წელიწადში უკვე ხედ იქცეოდა. ამასაც სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი მეურნე, რომლისთვისაც ხვალინდელი დღე არანაკლებ მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენდა.

ახომ დიდი მოსავალი იცოდა. პირველ წელიწადს ხაპს და ხაპერას დათესავდნენ, ვიდრე კარგად დამუშავდებოდა მიწა და ფესვებისაგან განთავისუფლდებოდა. ლობიოსი და ცერცვის დათესვაც სცოდნიათ იმავე წელიწადს. მეორე წელს ფესვებს ამოყრიდნენ, კავით მოხნავდნენ საყანურს და უკვე სიმინდს ან პურეულს თესდნენ.

ახოს წლების მანძილზე „ამუშავებდნენ“, „უყი იყო მიწა და შრომა არ გვენანებოდა“. როცა „გამეილეოდა“ ახო, მერე იმასაც ასვენებდნენ და სხვა ადგილზე აითვისებდნენ ადგილს, ან დატოვებულ, ნასვენ მიწას მიუბრუნდებოდნენ. ახოდან საშუალოდ 10 წლამდე კარგ მოსავალს იღებდნენ, მერე „მოდულა“ ხდებოდა და „თავის კალაპოტში“ რომ ჩამდგარიყო ტოვებდნენ ნასვენად რამდენიმე წლით. ამ ხნის მანძილზე აქ ბალახი იზრდებოდა და ძოვდა საქონელი, ამით ნოყიერდებოდა მიწა, „დანაკვლდებოდა“. თუ ძალიან „გამოდალული“ იყო ადგილი იქ ტყეს გაუშვებდნენ, მოაშენებდნენ საგანგებოდ, რომელიც წლების მანძილზე გახშირდებოდა.

ახოებში ნალიებსა და სასიმინდეებს იქვე აწყობდნენ, სიმინდის დამუშავება და დაბინავება ადგილზე ხდებოდა. ახოდან მოსავალი სახლებში დაბალი ურმებით ჩამოჰქონდათ. ხშირად ასეთ ადგილებს ურემი არ უდგებოდა და მხრით ჩამოიტანდნენ. ახოში უმთავრესად სიმინდი მოჰყავდათ, ნაკლებად — ჰვავი და გამონაკლის შემთხვევაში — ქართლიდან გადმოტანილი ხორბალი.

ადგილობრივ მდიდარი ეთნოგრაფიული ცნობების მოძიება ხდება შესაძლებელი ნიადაგების შესახებ, რომელთაც განარჩევენ ხარისხის, მდებარეობის, ტენის, ფერის და სხვა მრავალი მონაცემის მიხედვით. ღრმადაა შემონახული მზისა და ჩრდილის მხარეებად სახნავი ადგილების შეფასების ცოდნა, და, სათანადო კულტურების შერჩევით, მათი რაციონალურად გამოყენება.



სამეგრელო განლაგებულია კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა დაბლობ და ნაწილობრივ მთიან ზოლში. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით იგი წარმოდგენილია 7 რაიონით: აბაშის, მარტვილის, სენაკის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს. წალენჯიხის, გალის. აქვს 5 ქალაქი და 5 დაბა. დასახლება მკიდროა. სამეგრელოს ბარზე მთელი მისი ტერიტორიის 1260 კვ. კმ მოდის და აქ 170 სოფელია, მთისწინა და მთის ზოლი კი 3000 კვ. კმ მოიცავს და აქ ორასამდე სოფელია<sup>71</sup>.

რაიონის ტერიტორიის გეოკლიმატური პირობები მეტად მრავალფეროვანია. მისი მთავარი მახასიათებელია მაღალი საშუალო წლიური ტემპერატურა და ნალექების სიუხვე. ზაფხულის თვეების ხანგრძლივობაც თითქმის ნახევარ წელიწადს უდრის. რადგან ზამთარი თბილია და ხანმოკლე, მცენარეული საფარი მუდმივ აღორძინებას განიცდის და მარადმწვანეა.

ნალექების სიუხვე მაღალ ტემპერატურასთან ერთად ხელს უწყობს მდიდარი მცენარეული საფარის განვითარებას (ამიტომაც აქ ტყეებს უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი). მრავალფეროვანია ნიადაგური საფარიც. ყველა პერიოდის აღმწერელი თუ მკვლევარი საგანგებოდ მიუთითებს აქაური მიწა-წყლის სიუხვეზე, სიმდიდრეზე და სიკეთეზე. ეს ხაზგასმულია ვახუშტი ბატონიშვილთან — „ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბთსა და გარდაიხდის ბეგარასაცაო“<sup>72</sup>. ანალოგიურად ახასიათებს სამეგრელოს ნიადაგებს კ. ბოროზდინი — „...ხარობს ძალზე მრავალფერი კულტურა მცენარეთა სამეფოთაგან. აქაურს მიწას არავითარი ხელოვნური გააპტიება არ სჭირია, ისე ხორბალი ერთორმოცად მოდის. სიმინდი და ღომი პირდაპირ საარაკო მოსავალს იძლევიან; კარგად მოდის ბამბა, უმაღლეს ხარისხის თუთუნო... თუთის ხე და ვაზი ხომ ყოველ ეზოშია“<sup>73</sup>. სამეგრელოს მიწის ნაყოფიერებას აღნიშნავს ე. შარდენი, ფრანგი მოგზაური, რომელიც სამეგრელოში 1672 წ. ჩამოვიდა „გარდა ღომისა სამეგრელოში მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფეტვი, უფრო ნაკლებად ბრინჯი, ხორბალი და პური, ხორბლის პურს მხოლოდ შეძლებულები ჰამენ“<sup>74</sup>. ამ ცნობებს ავსებს ს. მაკალათია და მიუთითებს —

<sup>71</sup> Джаошвили В. Ш., Население Грузии, Тбилиси, 1968, с. 262.

<sup>72</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 145.

<sup>73</sup> კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1854—61 წლების მოგონებანი თარგმ. თ. სახოკიასი, თბ., 1935, გვ. 99.

<sup>74</sup> ე. შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 113.

„მიწა სამეგრელოში ურწყავია და ყველა მოსავალი ოდითგან, მათ შორის სიმინდიც ამინდზე იყო დამოკიდებული“<sup>75</sup>. სათესი კულტურებიდან სამეგრელოში, ძირითადად, მოჰყავდათ ფეტვი, ღომი, სიმინდი, ხორბალი, ქერი, ჭვავი, ასევე ტექნიკური კულტურები. ხორბალი რომ კოლხეთში უძველესი დროიდანაა მნიშვნელოვანი მარცვლეული ამაზე მიუთითებს, სხვა მონაცემებთან ერთად, არქეოლოგიური მასალა<sup>76</sup>. ხორბალზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი. მისი გადმოცემით, დასავლეთ საქართველოში სთესენ ხორბალსა და ქრთილს და მით უმეტეს ღომს, რომლითაც „გამოიზრდებიან“. სამეგრელოში ფართო გავრცელება და გამოყენება ჰქონდა ასევე უძველეს პარკოსან კულტურებს — მუხუდოს, ლობიოს, ხანჭკოლას, ხაჯს; ასევე შედარებით ახალს — სოიას.

როგორც აღნიშნავდით, საკვლევი რაიონის ტერიტორია მეტად მრავალფეროვანია. სამეგრელოს ბუნების თავისებურება შენიშნული აქვს ე. შარდენს, რომელსაც შემდეგნაირად ახასიათებს: „... ეს ქვეყანა ძალიან დანაოჭებულია. აღმოსავლეთის ყველა ხალხი კოლხიდას უწოდებს ოდიშს, ხოლო კოლხებს — მეგრელებს. მთა და ბარი, ბორცვი და ვაკე ქმნიან ბუნების მრავალფეროვნებას. ქვეყანა, რამდენადაც ვშორდებით ზღვის ნაპირს, იმდენად თანდათანობით მალღდება. იგი თითქმის მთლიანად ხშირი და მალალი ტყით არის დაფარული, დამუშავებული მიწების გამოკლებით, რასაც მცირე ფართობი უჭირავს. აქ ისეთი ხშირი ტყეებია, რომ გზებზე და საყანეებში, საგულდაგულოდ რომ არ თხრიდნენ ხეებს ძირიანად, ეს ქვეყანა მთლიან გაუუვალ ტყედ იქცეოდა. რაც შეეხება სიცივესა და სითბოს — ჰავა ზომიერია, ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი აქ ხშირი არ არის, იშვიათია სეტყვაც, მაგრამ ცუდია ის რომ აქ ჰაერი ძლიერ ნოტიოა... ზაფხულში მიწა ნესტიანია“<sup>77</sup>... და სხვა, რაც ზედმიწევნით გადმოგვცემს მაშინდელ არსებულ გარემოებას. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მისთვის ძირითადად ხელშემშლელია მოჭარბებული ტენიანობა და ხშირი ნალექიანობა, რასაც შარდენი საგანგებოდ აღნიშნავს: „...თესვის დროს სამეგრელოში ნიადაგი ისეთი სველია, რომ ხორბლისა და ქერის თესვისას მიწას სრულიად არ ამუშავებენ, რათა იგი მეტისმე-

75 ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 186.

76 Н. Хоштария, Диха-Гудзуба, Вестник АН СССР, т. V, №2, 1941, с. 280? წარსულში ხორბლის მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე ყოფაში შემორჩენილი ხელსაფქვავი — სკიბუ, რომელიც კორკოტის დასამზადებლად იყო გამოყენებული; ს. დ. № 2, 1983 წელი. შდრ. მ. შილაკაძე, ხელსაფქვავი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1985, გვ. 113.

77 ეან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109..

ტად არ დაარბილდეს... სხვა მარცვლეულის თესვისას ისინი მიწას ხის სახნისით ამუშავებენ და მაინც ისეთი ღრმა კვალი გაჰყავთ, როგორსაც რკინის სახნისი აკეთებს ხოლმე. ეს იმიტომ ხდება, რომ როგორც უკვე აღვნიშნე მიწა სველია და რბილი“<sup>78</sup>.

არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს ნიადაგებს აბსოლუტურად ანალოგიურ დახასიათებას აძლევს — „ზოგან ნიადაგი ისე რბილია, რომ როგორც კი წვიმა ცოტად იმატებს და თან ქარიც ამოვარდება, ნათესი მაშინვე მიწაზე დაეგება და დაიღუპება. ამის გამო... მიწას არ ზნავენ გუთნით, რათა არ დაარბილონ და ასე შეუმუშავებელ მიწაში ჩაჰყრიან პურის თესლს, რომელიც კარგად ამოდის და მშვენივრადაც იზრდება, რადგან ამ მაგარ მიწაში იღვამს ფესვებს და ქარი ისე ადვილად ვერ წააქეცეს“<sup>79</sup>.

ამავე რიგისაა უფრო ადრინდელი ავტორების მიერ სამეგრელოს მიწა-წყლის აღწერილობის ზოგადი სურათი. მაგალითად, ჰიპოკრატეს ცნობილი (V—VI სს.) — „ეს ქვეყანა ჭაობიანია, ცხელი, ნოტიო და ტყიანი. აქ წლის ყველა დროს ბევრი ძლიერი წვიმები იცის. წყალს სვამენ თბილსა და დამდგარს, რომელიც მზის მცხუნვარებით ლპობას განიცდის... იქ აღმოცენებული ყველა ნაყოფი უხარისხოა, სიმკვრივე აკლია, მომეტებული წყლიანობის გამო კარგად არ მწიფდება“<sup>80</sup>.

კოლხეთის მიწა-წყლის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს ქრისტოფორე დე კასტელის რელაციონის ტექსტი, სადაც იგი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მრავალ დამახასიათებელ მხარესაც ეხება. განსაკუთრებით არის შენიშნული ბუნებრივი პირობების თავისებურებანი: „აქ არის დაჭაობებული ტბები და ბევრი ნაკადო, რის გამოც ჰაერი ძალიან დანესტიანებულია და უზომოდ დიდ ღრუბლებსაც წარმოშობს... ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ განუწყვეტელი წვიმაა და დღენიდავ ნიაღვრებია“. იმისდა მიუხედავად რომ აქაური ნიადაგი ჭირნახულის დიდ სიუხვეს ქმნის და იგი მრავალფეროვანია — ლომი, ფეტვი, ბრინჯი, ცერცვი, ლობიო და სხვ. „დიდი სინესტის გამო, მოსავლის მესამედი იღუპება და საკვების ნაკლებობას იწვევს“<sup>81</sup>.

78 იქვე, გვ. 111.

79 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ქვონა-ასი, თბ., 1938.

80 Известия древних писателей греческих и латинских о скифии и Кавказе (изд. В. В. Латышева), с. Пет. 1890, с. 58.

81 დონ კრისტოფორე დე კასტელი, ცნობები და აღბობი საქართველოს შესახებ (ტექსტი გაშიფრა, გამოკლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ), თბ., 1976, გვ. 52—54.

ამავე სურათს ასახავენ უფრო გვიანდელი ავტორებიც. ი. გოგებაშვილის დახასიათებით — „...ეს მხარე კიდევ უფრო წვიმიანია ვიდრე იმერეთი... ნიადაგს სამეგრელოში ისეთივე ძლიერი სინოყვირე აქვს როგორც ქვ. იმერეთში, მიწის გაპატივება აქ სრულიად არ იცინა. ერთსა და იმავე მიწას 7—8 წელი შეუსვენებლივ ხნავენ, როცა სინოყვირე გამოელევა თავს დაანებებენ დასასვენებლად. მეგრელები სთესენ — პური, დიკა, ქერი, ფეტვი, უფრო ბევრი ითესება სიმინდი და ღომი... მეტი სინესტისა და სიცხისაგან პური ჩახურდება და აღდავს ხოლმე... ხორბლის შენახვა ძნელია და ფქვილად ინახავენ...“<sup>82</sup> კ. ბოროზდინის აღწერით „...მდიდარი ტყეა რიონიდან სამურზაყანომდე, ზოგან შიგ ცულიც კი არ შეუტანია ადამიანს. აქ შეხვდებით საუცხოო ხელუხლებელ ტყეებს მუხისას, წაბლისას, კოპოტისას, უშველებელის სიდიდის წიფლისას. მემამულენი აძლევენ ტყეს გლეხებს უსასყიდლოდ 10—15 წლით, იმ პირობით, რომ ტყე გაჰკაფონ და მიწა საყანედ აქციონ. ასწლოვანი ხეები ძირში იჭრება; მიწაზედვე რჩება, ღებება და ნიადაგს ასუქებს. ამ ახალგატეხილ ნიადაგზე ჭირნახული საუცხოოდ ბევრი მოდის, მაგრამ რად გინდათ, ჰაერი მეტად ციებ-ცხელებიანია, ვინც აქ დასახლებას გაჰბედავს წყალმანკი უჩნდება. ...ვაკე ადგილებში ხორბალს ვერ შეინახავენ: ნესტისა და სიცხისაგან მარცვლებს ერთნაირი, თვალისთვის უჩინარი ჭია უჩნდებათ...“<sup>83</sup>.

სამეგრელოს ბუნების წყლიანობა-ავდრიანობას, მოჭარბებულ ნალექს, ნიადაგების სინოტივეს, რაზეც ყველა აღმწერელი მიუთითებს, აქაური მეურნე სათანადო შეფასებას აძლევს. ამ გარემოებას ზედმიწევნით ასახავს ადგილობრივ გავრცელებული ტერმინი *ჭოროფილი*, რომელიც ხშირი წვიმიანობის, სინესტის, ჭარბწყლიანობის, დატბორებული ნიადაგის აღმნიშვნელია. ჭოროფა განსაკუთრებით საზიანო იყო მარცვლეული კულტურებისათვის, ასეთ ნიადაგში თესლი გაღვივებამდე შმორდება და ღებება, თუ აღმოცენდა, ზედმეტი სინესტის გამო ყვითლდება და ჭკნება<sup>84</sup> „ჭოროფა თუ დადგა ჭოროფა თუ დაიჭირა“ ეს მუდამ შიშშილობისა და მოუსავლიანობის მომასწავებლად ითვლებოდა მოსახლეობისათვის. აქაური მკვიდრი გვალვას ამჯობინებდა ჭოროფას: „წყალი დაიჭირა, ჭოროფა მოდის“ — ჩიოდა ხალხი, რაც იმას ნიშნავდა რომ დაღებოდა მარცვლე-

<sup>82</sup> ი. გოგებაშვილი, საგანძური, თბ., 1982, გვ. 266.

<sup>83</sup> კ. ბოროზდინი, ბატონყმობა სამეგრელოში (თ. სახოკიას რედაქციით), თბ., 1927, გვ. 24.

<sup>84</sup> გ. ელიავა, აღმ. სამეგრელოს მოსახლეობის ოქტომბრის რევოლუციამდელი სამეურნეო ყოფა (საკანდ. დისერტაცია), თბ., 1970, გვ. 42.

ული, ხეს შეალბებოდა ნაყოფი, გემო არა ჰქონდა საზრდოს, ობოთ იფარებოდა და იხრჩნებოდა ყოველივე.

„ქოროფა“ სამეგრელოში უფრო ფართო გაგებითაც იხმარება და სინესტე-ნალექიანობის გარდა წყალში ხანგრძლივად რაიმეს ყოფნის, წყლით გაუღენთვის მნიშვნელობით არის გამოყენებული. ასე. მაგალითად, ადგილობრივ (ეთნოგრაფიული ძიებით) დადასტურებულია უძველესი პარკოსანი კულტურა ხანჭკოლა. ეს მარცვლეული ხარშვის დროს სიმწარეს არ კარგავს და მის მოსაშორებლად საჭიროებს შემდგომ დამუშავებას. ამისათვის უკვე მოხარშულ ხანჭკოლას ათავსებენ შოწნულ ჭურჭელში (კალათი, მომცრო გიდელი) და დგამენ გამდინარე წყალში, სადაც რამდენიმე საათით ტოვებენ. წყალი მას სიმწარეს ამოირებს, რის მერეც გამოიყენება საკვებად. — ხანჭკოლა საჭიროაფოდ ჩავამაგრეო, იტყოდნენ ადგილობრივ, რადგან წყალში ნამყოფი სიმწარეგამოცილი ხანჭკოლა უკვე ჭოროფილი იყო. ჭოროფილს ადგილობრივ ეძახიან ბოსტნეულის დაავადებას, რომელიც მას წყლიან ადგილებში უჩნდება. ანალოგიური გაგებით ჭოროფას ყოფაში ხმარების ბევრი მაგალითი დასტურდება. ამდენად საკვლევ კუთხეში შემონახული ტრადიცია მკაფიოდ ამჟღავნებს ადგილობრივი სამიწათმოქმედო ყოფისათვის დამახასიათებელ თავისებურებას, რაც ხალხურ მეტყველებაში ჭოროფას სახით არის ასახული და ზედმიწევნით გადმოგვცემს სამეგრელოს ბუნებრივი გარემოს მთავარ მაჩვენებელს, რითაც საფუძველი ექმნება და განპირობებულია სამიწათმოქმედო კულტურის ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა.

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში აღნიშნული სიტყვა არ არის შესული. ი. ყიფშიძის „მეგრული ენის ქრესტომათის“ ლექსიკონში ჭოროფა ახსნილია როგორც სინესტე „ჭოროფა — сырость; ჭოროფა ბზარხული — сырое, дождливое лето“<sup>85</sup> ამ ტერმინზე ყურადღებას ამახვილებს ა. ჩიქობავა, როდესაც სიტყვა წყლის ენობრივ ანალიზსა და მის წარმომავლობას ეხება: „...მეგრულსა და ჭანურში იგივე წყალ ფუძე გვაქვს ოდნავ გადასხვატვრებული მეგრულში, თვალსაზრისოდ სახეცვლილი — ფონეტიკური მიზეზების შედეგად — ჭანურს კილოკავებში: მეგრ. წყარ-ი ჭან. წყარ-ი/წყა-ი. ზანური შესატყვისი ამ ფუძისა შემორჩენილი უნდა გვექონდეს მეგრ. ჭოროფ-აში. „ჭოროფა-ადრიანობა“ (სიტყვასიტყვით „წყლიანობა“). ვეალვის საპირისპირო ცნებაა. ქართულში ეკვივალენტური ტერმინი არა გვაქვს (ბუნებრივია, თუ ასეთი ტერმინი მეგრულში მოგვეპოვება. შე-

<sup>85</sup> Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иберского) языка, СПб., 1912, с. 392.

საბამისი მოვლენა აქ შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო<sup>86</sup>. წყლიანობის ამსახველი ეს სახელწოდება და მისი შესატყვისი მოვლენა, რომელიც სამეგრელოს ბუნებრივი გარემოს თავისებურებით არის წარმოქმნილი და მის ხალხურ დახასიათებას წარმოადგენს, სათანადოდ არის შეფასებული სამეურნეო თვალსაზრისით და ადგილობრივ სამიწათმოქმედო პრაქტიკაში გამომუშავებულია სათანადო ღონისძიებანი მასთან საბრძოლველად<sup>87</sup>.

საკვლევი ტერიტორიის მიწების დიდი ნაწილი ჰარბი ტენიანობის გამო ხშირად არ იძლეოდა დამუშავების შესაძლებლობას. ამიტომ, მათი ათვისებისა და გამოყენებისათვის ძლიერად დანოტივებულ, წყლით გაუღენთილ ადგილებში მიღებული იყო საწრეთი თხრილები, ღარების გაყვანა, რაც ნიადაგის ხელოვნურად გამრობას ისახავდა მიზნად. ამგვარად გაჭრილი ღარი ანუ „თხორილი“ წარმოადგენდა წყლის ხელოვნურ სადინარს, რომლის მეშვეობით სამეურნეო ნაკვეთი წყლისაგან იცლებოდა და გამოსადეგი ხლებოდა დასამუშავებლად. ღარის სიღრმე ჩვეულებრივ 30 სმ-ს არ აღემატებოდა, ხოლო მისი სიგრავლე ნაკვეთის სიდიდისა და მიწის წყლიანობით იყო განსაზღვრული. ნაკვეთს ბოლოში ღარები უერთდებოდა საგანგებოდ გაყვანილ მოდიდო თხრილს (ჯანაოს), რომელიც მიმართული იყო ღელის ან ხევისკენ და იქით ფანტავდა წყლის ნაკადს. სოფ. ნაგურუს უხუცესი მკვიდრის, გრიგოლ ჭიჭალუას გადმოცემით, ერთ ნაკვეთში გლეხს ზოგჯერ 10 და მეტი „თხორილი“ გაჰყავდა და იქიდან მუდამ ღებულობდა უხვ მოსავალს.

ჰარბტენიან საყანურში მიღებული იყო აგრეთვე ძეწნისა და ალვის ხის დარგვა-მოშენება, რომელთა ფესვები დიდი რაოდენობით იწოვს წყალს ნიადაგიდან და ზედაპირული აორთქლებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. ძეწნისა და ალვის ხის დარგვა მიღებული ყოფილა ასევე „მეწყერის კიდებში“, რომლის გამოცნობასა და დადგენას ადგილობრივ მეურნეს ტრადიციით შემუშავებული გამოცდილება მიუთითებდა.

ჰარბი ტენიანობის გარდა, ნათესის განადგურებას და ნიადაგური ფენის დარეცხვას იწვევდა ხშირი წვიმებით გამოწვეული ნიალკრები, რაც ასევე დიდი ზიანის მომტანი იყო სოფლის მეურნეობისათვის. ამ გარემოებას კარგად ახასიათებს სამეგრელოს მთავარი დ. დადიანი „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისადმი“ გაგზავნილ სა-

<sup>86</sup> ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942. გვ. 20.

<sup>87</sup> ამ გარემოებას უნდა ასახავდეს სამეგრელოში ობის ღვთაების არსებობა, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემს და ვვედრება ნესტისაგან დაიცვას ბუნება. (გ. ელიავას სავლეუ მასალიდან).

მეგრელოს „მიწის მეურნეობის“ აღწერილობაში: — „...იქლსა და პირად პირადთა ხორბალთა სთესენ მხოლოდ ზემო მეგრელიისა შინა მხარეს, რომელსა ეწოდება ლეჩხუმი...რამეთუ იქლსა ძნიადრე და ვერა მარადის მოიყვანენ რამეთუ სინოტიისა ძალით კერძო — ესე ექვემდებარება გაზაფხულის წვიმიერობასა და წყალდიდობასა, ერთა რა მზე მოიქცევა გაზაფხულისა იწყებს ხშირთა წვიმათა. ადიდროვდებიან მდინარენი და ლანქერი ჩამომავალნი მათთაგან საშინელისა ოხერითა ჩამოედინებიან მიდამოთა ველთა ზედა და მორწყავენ ყოველთა ვაკეთა, ხოლო მთის კალთისა ფერდობთა ჩამორეცხენ და მოხვეტს. ესე გაგრძელებდის უზშირესად მარტის ცხრიდან მაისის შუამდე. ამისათვის მცხოვრებნი შემდგომად გაზაფხულის წვიმებისა რაც ჩამოიდინებიან ლანქერი. დასთესვენ სიმინდს ვიდრე ათს ივნისამდე და ღომს პირველ რიცხვს ივლისამდე...“<sup>88</sup>.

როგორც მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რაც ყოფაში პოულობს დადასტურებას, ძველი მეურნეობის მთავარ ხელშემშლელ, მისთვის საზარალო ფაქტორს წარმოადგენდა წვიმით გამოწვეული ნიაღვრება, რასაც თან სდევდა ნიადაგური ფენის დაშლა-დარეცხვა და მეწყრის განვითარება. აქ მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ შესასწავლი რაიონების ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთისძირა, გარდამავალი სარტყელის არეშია მოქცეული და მისი მეურნეობის ხასიათიც ამ ზოლისათვის დამახასიათებელი გეოკლიმატური რეჟიმითაა განსაზღვრული. დასახლებათა დიდი ნაწილი ამ ზოლში მიგრირებულა ძველი ადგილსამყოფელიდან, რომლებიც ამჟამად მიტოვებულა. ახალ გარემოში სამეურნეო საქმიანობის ხასიათი განსხვავებულ სურათს წარმოაჩენს — დაეწყებას მიეცა მეურნეობის დარგები, დააკარგა სათესი კულტურები, მიწითსარგებლობის ტრადიციული ნორმები, ნიადაგების დაცვის ღონისძიებანი და ბევრი სხვა. ძველი სავარგულები, რომლებიც ადრე სოფლის გარშემო იყო განლაგებულა, განადგურდა ეროზიების შედეგად და ზოგიც ტყით დაიფარა; მათი უდიდესი ნაწილი ამჟამად აუთვისებელია.

ძველ თაობას ჩამოსახლების შესახებ კიდევ შემორჩა ხსოვნა და ნასოფლარებს გვისახელებენ. მაგალითად, სოფ. მოი და ნახე ადრე უთუთიის გორაზე მდებარეობდა, და მთელი სოფელი ქვევით ჩამოსახლდა. კირცხის წმინდა გიორგის ეკლესიაში კიდევ დიდხანს დადროდნენ სალოცავად. კირცხის გორაკებზე, სოფლის გარშემო

---

<sup>88</sup> ი. მე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პეროდი და დავით დადიანი (მასალები და დოკუმენტები ს. ცაიშვილის რედაქციით), თბ., 1930, გვ. 9.

ვენახები ჰქონდათ გაშენებული და ღომისა და ფეტვის ყანები მოწყობილი; გაველურებული მაღლარი ვაზი ეხლაც ბევრგან შემორჩა,

ძველი საცხოვრისიდან ქვევითაა ჩამოსახლებული ასევე სოფ. ჩქვალერი. ტყეებში დღემდე პოულობენ ძველ სამოსახლო ადგილებს, სადაც მრავლად ამოდის ღვინის ქვევრები (ჭურები), საწნახლები<sup>89</sup>. ნავენახარი ადგილები განადგურდა, ზოგან მუხისა და წაბლის ასწლოვანი ხეებია შემორჩენილი<sup>90</sup>. იგივე გარემოებაა სოფ. სკურში<sup>91</sup>, ძველ ნასოფლარ ადგილებს გვისახელებენ მთხრობლები — თარზენი, ნაოხვამო, სკურის თავი, ნასკალე, ლევშალე, როხონა...<sup>92</sup>.

ფერდობზე განლაგებული სამეურნეო ნაკვეთები მუდმივ გულმოდგინე მოვლას საჭიროებდა. ამისათვის ადგილობრივ მრავალი საშუალება არსებობდა, რომელთა მეშვეობით ხდებოდა როგორც ახალი სავარგულების ათვისება, ასევე არსებულის დაცვა-შემაგრება. მათი გამოვლენა და შესწავლა ადგილობრივი სამიწათმოქმედო კულტურის მრავალ მხარეს ფენს შუქს და მნიშვნელოვანია როგორც ტრადიციული წესების კვლევა-ძიების, ასევე თანამედროვე პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისითაც.

ფერდობზე და მთის კალთებზე მდებარე სამეურნეო კულტურებს მუდმივ საშიშროებას უქმნიდა წყლითა და ნიაღვრით ნიადაგის ჩამორეცხვა. ამიტომ, დახრილი მდებარეობის ფართობებში მიწის ათვისება ტერასული განლაგების მქონე დავაკებული ნაკვეთების შექმნით იყო მიღწეული, რაც ასევე დამცველი ნაგებობის ფუნქციას ატარებდა. ტერასული ნაკვეთების სიმრავლე ათვისებული გარემოს ხასიათით იყო განსაზღვრული, ამიტომ ვხვდებით როგორც 2—3 საფეხურიან, ასევე მრავალიარუსიან ტერასებს ძლიერი დახრილობის ობიექტებზე.

ტერასულ მონაკვეთს სამეგრელოში ყოველს უწოდებენ. ამჟამად მნიშვნელობით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში იხმარება სახელწოდება ხ გ ბ ი ლ ი. ამ ნაგებობათა მოწყობა შემდეგი წესით ხდებოდა: ჯერ „მიწას პირს გაუჭირდნენ“, ამოიღებდნენ ბალავერს// საძირკველს 20—30 სმ სიღრმისას, სათანადო მიმართულებით და შიგ მკვიდრად ჩააწყობდნენ ქვის პირველ, ძირის ფენას. ქვა კარგად უნდა „გაჩერებულიყო“ მიწაში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის

<sup>89</sup> ი. შეროზია, 106 წლის, სოფ. ჩქვალერი.

<sup>90</sup> ჩქვალერში ამჟამად ძველი სახნავი მიწების ნაწილი ათვისებულია, რადგან ადგილობრივი კოლმეურნეობის თაოსნობით სოფელს 30-მდე უღელი გამწვევი ძალა გააჩნია, რომლითაც ფერდობისა და რთული მდებარეობის მიწებს ამუშავებენ.

<sup>91</sup> მ. კვარაცხელია, სოფ. სკური.

<sup>92</sup> გ. წულაია, 94 წ., სოფ. ჭგალი.



მერე მიწას მოასწორებდნენ და იწყებდნენ უკვე ჩადგმულ საძირკველზე კედლის აყვანას მშრალი წყობით, რომლის დროს არავითარი ხსნარი ან შემმაგრება არ იყო გამოყენებული. ქვას შერჩევით უწყობდნენ, უხამებდნენ სათანადო ზომისა და მოყვანილობის ნატეხებს, რასაც კედლის სიმტკიცისათვის ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა. ძირზე, და შიგა და შ-გ აუცილებლად დიდი ზომის ლოდებს ჩააყოლებდნენ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა კედლის სიმტკიცესა და მდგრადობას. ყოლის სიმაღლე ისაზღვრებოდა ნაკვეთის დახრილობისა და მდებარეობის შესატყვისად. 1.75 მ-ზე მაღალი კედელი, შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით არ მოწმდება. მშრალი წყობით შექმნილი ამგვარი ნაშენობა დროთა მანძილზე მეტ სიმაგრეს იძენდა, ლამითა და წვრილი ქვით, ბალახის ფესვებით იგმანებოდა. მიღებული იყო ასევე შეეული ფერდობის „საშიშ“ ადგილებში ორმაგი კედლის აყვანა, რომელთა შორის ნახევარ მეტრამდე ადგილი რჩებოდა და მიწით ივსებოდა, რითაც მეტად იყო დაცული და გამოსაყენებელი საყანედ<sup>83</sup>. ჩხვირას ფერდობებზე და ქვების მთაზე (მარტვილის რაიონი) ამ ნაშენობათა მონახვა დღესაც შესაძლებელია.

ომისათვის, რათა უფრო რელიეფურად გამოიკვეთოს მოძიებული მასალა, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს მათი მდებარეობისა და განლაგების შესახებ. საინტერესო იარუსული წყობის უბნები დადასტურდა სოფ. მუხხურის ტერიტორიაზე, ადრე გაბედავების სამოსახლო ადგილებში, მას ლეგაბედეს უწოდებს ხალხი. იგი განლაგებულია მუხხურის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთების კალთებზე, სოფლიდან 1 კმ-ის დაშორებით. ხელოვნური ტერასები ანუ ხ გ ბ ი ლ ი ცალკეულ ნაკვეთებად არის წარმოდგენილი. ყოველ მათგანს ერთმანეთისაგან ქვის დაბალი მიჯნა/ხ უ რ გ ისაზღვრავს (ხურგი მარტვილის რაიონში ქვის კედლის აღმნიშვნელია). მრდამო გატყიანებულია და გავერანებული, ადრინდელი დამუშავების კვალიც არ ეტყობა. ტერასული ნაკვეთები ფერდობის გაყოლებაზე 6—8-იარუსიან უბნებადაა განლაგებული და ხელოვნური ზღუდითაა გამიჯნული ერთმანეთისაგან. კედლები ქვის მსხვილი ლოდებით არის ნაგები, მთლიანად დაფარულია ხავსითა და ბალახით, აქა-იქ ამოსულია ხურმა, მსხალი, აკაცია, მუხა, ხშირი ძეძვნარი. ფერდობზე ბევრგან კლდოვანი ქანობი მიწის ზედაპირზეა ამოზიდული და ბუნებრივ ზღუდეს ქმნის. ასეთ ადგილებში ბუნებრივი კლდე ფერდობის გაყოლებაზე გაგრძელებულია და ამოშენებული ქვის მშრალი წყობის კედლით, რომელიც საბოლოოდ აფორმებს ტერასულ კედელს. ბუნებრივი კლდისა და კედლის შენებაში გამოყენებული ქვის ჯიში იდენტურია, რაც მიუთითებს ამ უკანასკნელის ადგილობრივ წარმოშობაზე. მთლიანად

<sup>83</sup> ე. შეროზია, 86 წ., სოფ. ჩქვალერი.

ფერდობის დახრილობა 30—35°-ია, მისი განფენილობა სიმაღლეში 250 მეტრამდეა. აქა-იქ მოჩანს გაველურებული ვაზის ხეები. გადმოცემით ადრე აქ მაღლარი ვენახი ჰქონიათ მოწყობილი, ომის დროს კი სიმინდი და პური უთესიათ. ძველი ყორეების ადგილებად ასახელებენ ასევე ლუგელას ხეობას და მის გაყოლებაზე განლაგებულ საყანებებს. რომელთაც მოსახლეობა ზინდს უწოდებს.

ხეხილის გამოყენება მიწის დასაცავად ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონის ფარგლებში საყოველთაო ხასიათს ატარებს და ძველი მეურნეობის დამახასიათებელ ელემენტად გვევლინება.

უძველესი ყორის ნაშთები დავამოწმეთ მარტვილის რაიონის სოფ. II ბაღდის მიდამოებში. აქ ყორეები//ყორეები ზებერდე-კირდეს ანუ ზებერდეს მთის კალთებზეა განლაგებული. აქვეა ბაღდის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც მარიობას და აღდგომას დღესასწაულობენ. ადგილის სახელია როდი. ფერდობის დახრილობა 35—50° და ზოგან მეტიცაა. ძლიერად ეროზირებული ნიადაგური ფენა დაშლილია და დარეცხილი. ყორეების მიდამო თითქმის შიშველია, აქა-იქ ამოსულია შინდისა და ასკილის ბუჩქები. კედლების ერთიანი, დაუზანებელი კონტურის დადასტურება არ ხერხდება. შემორჩენილი უბნების მეშვეობით ვიზუალურად შეიძლება ვარაუდი, რომ კედლები საკმაოდ დიდ ფართობზე გასდევდა ფერდობს და ქმნიდა ჰორიზონტალური ექსპოზიციის მონაკვეთებს. უფრო კარგადაა შემონახული მათი იარუსული განლაგება, რომლის რიცხვი ფერდობის უმაღლეს წერტილში 9 საფეხურს აღწევს. ფერდობის ძირში, გზის გაყოლებაზე შედარებით კარგად დაცული ყორის ფრაგმენტის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კედელი 1,5 მ სიმაღლის უნდა ყოფილიყო. ქვის წყობა მშრალადაა ნაგები. მოძიებული ცნობებით ყორეების მოწყობა აქაც ნიადაგების დაცვისა და მათი ყოველწლიური ათვისების საჭიროებით ჩანს შეპირობებული. გადმოცემით, ძველად ამ „ყორეებში“ ვენახი ყოფილა გაშენებული, მერე კი ღომი და ქვავი უთესიათ. მიწას თოხით ამუშავებდნენ და საქონლის ნაკელით ანოყიერებდნენ მუდმივად. მიწის „დასამაგრებლად“ ყოველ ყორეს ფერდობის თავში დარგული ჰქონდა კაკალი, მუხა//ჭყონა, თხმელა, რაც დღესაც კარგად შეიმჩნევა ზებერდე-კირდეს ფერდობებზე.

უხუცეს მთხრობელთა გადმოცემით ყორეს//ხეხილს მეზობლად მოსახლე ოჯახები ხშირად შეერთებული ძალებით აშენებდნენ როგორც ნარგავების, ასევე ეზო-კარმიდამოს დასაცავად. უფრო ადრე კი ყოველი მოსახლე თავისი ძალებით ეწეოდა ამ სამუშაოს: „მრავალრიცხოვანი ოჯახები იყო წინათ, ერთი ოჯახის ღომის ქვაბს ორი

მოსული კაცი ძლივს ეწეოდა, იმდენი სული იყო გამოსაკვები და არ იყო მაშინ მუშახელის გასაქირი“ — მიგვითითეს სოფ. თაიში<sup>91</sup>.

ყორების მშენებლობა ამოყენებული იყო კარმილამოს დასაცავად. მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი: სოფ. სალხინოში აქვსენტი ნანავას — უხუცესი ადგილობრივი მკვიდრის სამოსახლოს დაფრედებული ადგილი უჭირავს. ეზოს 3/4 კარგად შემონახული ტერასული ყორითაა შემოკავებული რა მას ეყრდნობა. ყორი ძველი ნაგებია, მამაპაპურია (სულ ცოტა 140 წლის) სიმაღლე 2 არშინია (არშინა აქვე, ადგილზე ოჯახის უფროსმა შემოგვთავაზა). კედლის სიგრძეა 16 არშინი, იგი ოვალურად გასდევს ფერდობს. აქა-იქ ჩამონგრეულ ადგილებში. თავიდანაა ამოყვანილი კედელი კირითა და ბათქაშით.

საკარმილამოსათვის შემოგლებული ყორე, გადმოცემით, რამდენიმე თაობას უძლებს, არ ინგრევა; ამის მაგალითი დღესაც ბევრია. მათი წყობა იმდენად ლამაზია, ქვა იმდენად მწყობრადაა შერჩეული: რომ ეზო-კარის ერთგვარი მშვენებაც არის. მეგრული გლეხები „ყორაობის“ დიდი მცოდნენი, სპეციალისტები ყოფილან. მართალია, მათი მშენებლობის ცალკე ხელობა არ არსებობდა (ჩვენი მასალებით), მაგრამ სათანადო ცოდნა ამისათვის საჭირო იყო, რასაც ერთმანეთისაგან სწავლობდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

სოფ. გაჭედელში ივანე იაკობის ძე ბეალავას სამოსახლო ასევე ხელოვნური ყორით დაცულ ფერდობზეა გაშენებული, რომელიც იცავს ჩამოზვავებისაგან. ამ კარმილამოზე ძველი სახლი ახლით შეცვალეს, ყორე კი წინაპრების აგებულა, დღევანდელ პატრონებს არ ახსოვთ ვისი, ვარაუდობენ რომ სულ ცოტა 100—120 წლის უნდა იყოს. კედლის საშუალო სიმაღლე 2—2.5 მეტრია. სიგრძე 50 მეტრამდეა. კედლის ნაწილი 10 წლის წინ ჩამონგრეულა და ხელახლა აღუდგენიათ. დაშლილ ადგილებში კედელი იმავე ქვით არის რესტავირებული.

სოფ. ჩქვალერში ძველი ყორის კარგად შემონახული კედლები ჩამოქცევისაგან იცავს აქაური მკვიდრის კ. კვარაცხელიას ეზოს და ბალ-ბოსტანს, სადაც ადრე ვენახი ჰქონიათ, ფერდობის დახრილობა 10—15°-ია. ქვის კედელი ფერდობს 30 მ-ის სიგრძეზე გასდევს, შრალადაა ნაგები, დაფარულია ხავსითა და წერილი ბუჩქნარით. ყველაზე კარგად შემონახული კედლის სიმაღლე 1.30—1.40 მ-ია.

სოფ. ხარჩში დღემდეა შემორჩენილი უძველესი ყორეებით დაცული რამდენიმე სამოსახლო. აქ, ყორის, აგების საინტერესო წესი

<sup>91</sup> 94. ლ. დარსანია, 74 წ., სოფ. თაია.

ყოფილა გამოყენებული. ვანსაკუთრებით „საშიშ“ ადგილებში კედელი ორ რიგადაა გამართული, 1—1.5 მეტრის დაშორებით, შუაში ქვალორღია ჩაყრილი და მიწითაა ამოვსებული. ასეთი ორმაგი ყორეებით მთისძირა სოფლების ბევრი სამოსახლო ყოფილა დაცული და გამაგრებული.

ფერდობზე განლაგებული საყანებისა და ვენახის დასაცავად მიღებული იყო საგანგებოდ შექმნილ მოწყობილობათა მეშვეობით წყლისა და ნიაღვრის დაოკება, მისთვის სათანადო მიმართულების მიცემა. იგებოდა სპეციალური ნაგებობა — იჭრებოდა თხრილი ნახევარი მეტრის სიღრმით, ზიგ დგამდნენ წინასწარ მოქსოვილ წნელის ლობეს და ძირს უმაგრებდნენ. ლობის ზედაპირი მიწიდან 2 მეტრამდე აღწევდა. მის პარალელურად, იმავე მიმართულებით მეორე ასეთივე ჩაიდგმებოდა და შუაში მოთავსებული სივრცე ქვითა და ღორღით ივსებოდა. ამგვარად შექმნილი ხელოვნური ზღუდე მოვარდნილ წყალს სათანადო მიმართულებას აძლევდა და იცავდა მიდამოს წალეკვისაგან. მისი დახრილობა და სიგრძე დამოკიდებული იყო დასაცავი ნაკვეთის სიდიდეზე და მის მდებარეობაზე. ლობის მოსაქსოვ მასალად თხმელას იყენებდნენ. საჭირო ქვა მოქონდათ ურმებით უახლოესი ხეებიდან და ღელის პირებიდან. ამ მოწყობილობას **ჯ ი ხ უ რ ს** უწოდებენ<sup>95</sup>. როგორც გადმოგვცემენ, ძველიდან დარჩენილი ჯიხურის ნაშთების ნახვა დღესაც შეიძლება. ხშირად, ამგვარ მოწყობილობას სოფელი საერთო ძალებით აშენებდა.

ფერდობზე განლაგებული სახნავის, გზისპირების თუ კარმიდამოს ნიადაგების შემაგრება-დაცვაში ხის მასალაც იყო გამოყენებული. მეწყერითა და ზეავით საშიშ ადგილებში, მიწაში მუხის ან წაბლის გრძელ მარგილებს ჩაამაგრებდნენ და ზევიდან გარდიგარდმოვ, ფერდობის შიგნითა მხრიდან გაყოლებაზე ხის მომსხო მორებს „გაუწყობდნენ“, რომელთა რიცხვი ათეულამდე აღწევდა. წყლით მოტანილი მიწა და ლამი დროთა მანძილზე ნაგებობას სიმტკიცეს მატებდა და მას შეიძლებოდა 100—150 წელიც კი გაეძლო. აღნიშნული სახის დამცველ საშუალებას სამეგრელოში **ხ ა რ ხ ი ლ ი** ეწოდება. მასალად უფრო წაბლის ხეს ხმარობდნენ, რომელიც წყლისა და სინოტივის ამტანობით გამოირჩევა და სხვასთან შედარებით დიდხანს ძლებდა.

ტერმინის განმარტება მოცემულია მეგრული ენის ქრესტომათიის განმარტებით ლექსიკონში, სადაც ხარხი ჯებირს აღნიშნავს (ხარხი

<sup>95</sup> **ჯ ი ხ უ რ ი** — ხის კოშკი. ს.-ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ლექსიკონი; **ჯ ი ხ ა** — крепость, башня, замок; ნო-ჯიხევი—ноджихев—село, **К и п ш и д з е** И. დასახ. ნაშრომი.

—ჯებერი—ჯებრი) — (ограда из поленьев)<sup>96</sup>, სადაც გადმოცემულია ნიადაგის დამცველი ამ უძველესი ღონისძიების მნიშვნელობა. ს. ორბელიანის ლექსიკონში ახსნილია ხირხალი — „ხირხალი (ჯირჯალი) არს სხვლის ძელით სამ-ოთხ რიგად სიგრძედ შემოვლებული“<sup>97</sup>, რითაც ასევე დასტურდება ყოფაში შემონახული მისი სამეურნეო დანიშნულება<sup>98</sup>. საგულისხმოა ასევე ხირხალის განმარტება ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში — ხირხალი — ს. ზღუდე ლატნებისა გარემოს ხნულთა ან კალოთა — ограда вокруг пашни“.<sup>99</sup> აქვე ყურადღებას საჭიროებს, ნიადაგდამცველი ნაგებობის თვალსაზრისით, თვით ზღუდის დანიშნულების გარკვევა, რადგან ორ შემთხვევაში ხირხალის მნიშვნელობა (ზღუდესთან და) ზღუდით არის ახსნილი. ივ. ჭავჭავაძის წერს — „სამოთხეს, ვენახსა და მტილს დაცვა სჭირდებოდა ამისთვის კეთდებოდა „ლობე“ და „ზღუდე“. ესაიას 55-ში წერია: „აწ უკუეი მოგითხრა თქუნ, თუ რაჲ უყო მე ვენახსა ჩემსა: მოვძარცო ლობე მისი და იყოს დასატაცებელ, და დავარღვიო ზღუდე მისი და იყოს დასათრგუნველო“. მაშასადამე, უზღუდოდ ვენახ-მტილი დაითრგუნებოდა და განადგურდებოდა, ულობოდაც შიგ მყოფ ხილ-მტილს დაიტაცებდნენ“<sup>100</sup>. შემდეგ მეცნიერს მოაქვს ლობისა და ზღუდის ბერძნულ-ლათინური და სომხური შესატყვისობანი და ზღუდეზე მიუთითებს: — „ბერძნული, ლათინური და ქართული სიტყვების მნიშვნელობა ერთმანეთისას ზედმიწევნით უდგება, სომხური კი კედელსა ჰნიშნავს“<sup>101</sup>. სომხურში ქართული ზღუდის შესატყვისია „პარისკ“ (parisp — стена, ограда 102), მაშინ როდესაც ქართულში მას მრავალი კონკრეტული მნიშვნელობა გააჩნია. ს. ორბელიანთან გამიჯნული და ახსნილია ეს მნიშვნელობები, და საგანგებოდ არის მითითება, რომ „...გალავანი

<sup>96</sup> Кипшидзе И. Д. Грамматика мингрельского (иверского) языка, Материалы по фетическому языкознанию, VII, СПб, 1914

<sup>97</sup> ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი IV<sub>2</sub>, თბ., 1966.

<sup>98</sup> რაც შეეხება ხარხილი — ხირხალს, აქ ასთან ი-ს ჩანაცვლებას აქვს ადგილი და ამ ორი სიტყვის იდენტურობა საგანგებო კვლევას არ საჭიროებს; უდავოდ რომ ისინი ერთი ძირის სიტყვებია. ხირხალი — კაპეზიანი ძელი. ქ. ძოწენიძე, ზემოიერული ლექსიკონი, თბ., 1974.

<sup>99</sup> ივ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ. 1984.

<sup>100</sup> ივ. ჭავჭავაძის წიგნი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, თბ., 1935, გვ. 216.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> Ачарян Гр., Этимологический коренной словарь армянского языка, т. IV, Ереван, 1979, с. 62.

არს არა ზღუდე, არამედ კედელი მაგარი გრძლად ნაგები<sup>103</sup>, საიდანაც კარგად ჩანს რომ კედელი და გალავანი ზღუდე არ არის. ლექსი-კოგრავს აქვე მოტანილი აქვს განმარტება — ...ზღუდე ზოგადი სახელი არს. ყოველთა ზღუდეთა... ხოლო ესე ზღუდე განიყოფების ათ[ერთა]და: ზღუდედ, გალავნად, ეზოდ, ბაქად, ღობედ, ყორედ, ხირხლად. მასარად, /ზი/მად, და კაწნად<sup>104</sup>. ამდენად ზღუდე ქართულში სხვა მნიშვნელობებთან ერთად ნიადაგის დამცველ ნაგებობას მოიცავს — ყორე, ხირხალი, რაც შეეხება სომხურის ადრინდელ მნიშვნელობას იქ ზღუდე ძირითადად კედლით არის ახსნილი და ამ შესატყვისობით იფარგლება. ამიტომაც ივ. ჯავახიშვილი ქართულში ამ სიტყვის ახსნას ბერძნულ ჰო ტ ე ი ხ ო ს-სა და ლათინურ მ ა ც ე რ ი ა-ს უკავშირებს, სადაც მათთვის უფრო მიახლოებულ შესატყვისობას ხედავს<sup>105</sup>.

აქვე ყურადღებას შევაჩერებთ ტერასული ნაკვეთების აღმნიშვნელ სახელწოდებებზე — ყორე და ხებილი. ამავე მნიშვნელობით საკვლევი რეგიონის სხვადასხვა პუნქტში იხმარება ხ უ რ გ ი / ხ ო რ გ ი<sup>106</sup>. როგორც გაირკვა, ხურგი ერთ შემთხვევაში აღნიშნავს ქვის ტერასულ კედელს, ყორეს, და ამავე დროს — მიჯნას, რომელიც ქვის დაბალი ღობის მაგვარად ორი მეზობლად მდებარე მონაკვეთის საზღვარს წარმოადგენს. ხურგი ეწოდება ასევე ნიაღვრით საშიშ ადგილებში განლაგებული სავარგულების კიდეებში შექუჩებულ ქვის გროვას, რომელიც მოზვინულია მიმდებარე ვენახისა თუ ყანის დასაცავად. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ მეგრული ენის განმარტებით ლექსიკონში ხორგ-ხორგუა და ხიბ//ხ'აბ ერთი და იმავე მნიშვნელობით, არის ახსნილი. პირველი ნიშნავს — собирать в кучу და მეორე — кинь ხიბუა — свалить в кучу<sup>107</sup>. ხორგი ანუ ხურგი აქვე განმარტებულია როგორც збир из дерева или камня — რითაც მის მეორე მნიშვნელობას გადმოსცემს და ასევე ხებლის მნიშვნელობასაც ფენს შუქს. ს. ორბელიანის ლექსიკონში, სადაც არ არის ხურგის განმარტება, ახსნილია სიტყვა ჯ უ რ თ ი — იმავე ხ უ რ ფუძით „ხურთი — წიკლები და ეკალნი შეკონვილი“. საყურადღებოა ასევე ს. ორბელიანთან „ხ ი რ ა ტ ი — ქვეანარი სახნავი მიწა, სახნავი ქვიანი გვერდი“. ხებლისა და ხ უ რ გ ი ს სახელწოდებებს და მათ ქვეშ არსებულ მნიშვნელობას რამდენადმე უკავშირდება ასევე სამეგრე-

103 ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული.

104 ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, გვ. 92.

105 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

106 ე. შეროზია, 89 წ. სოფ. ჩქვალერი.

107 ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.

ლოში გავრცელებული სახელი — ხ ა მ ი, რაც ქვიან ადგილს აღნიშნავს. ყურადღებას იქცევს ასევე სახელწოდება ხ ა ბ ო, რაც ასევე ქვიან ადგილს ეწოდება (ახლაც არის სამეგრელოში სოფელი ხაბუმე — სადაც მეტად ქვიანი გარემო ყოფილა). ზუგდიდის რაიონში დღემდეა შემორჩენილი სოფლის სახელწოდება — ხ ი ბ უ ლ ა. ქრისტეფორო კასტელისთან აღნიშნულია — „...სამეგრელოს სოფელ ხ ი ბ უ ლ ა ს მთაზე ეკლესიაა, შიგ მართმადიდებლური მხატვრობის უმშვენიერესი რელიეფური ვერცხლის ხატებია“<sup>108</sup>.

ზემოთ მოტანილი ცნობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყორის აღმნიშვნელი ტერმინი — ხეზილი-და მსგავსი ფუძის სიტყვები თავისი მნიშვნელობით ურთიერთკავშირში იმყოფებიან და მათი კლასიკოგრაფიული ახსნაც გამომრიცხველ მნიშვნელობებს არ შეიცავს. მეგრულში ტერასული მონაკვეთების აღმნიშვნელი ტერმინები ინტერესს იმსახურებს ბევრი თვალსაზრისით და მათი სპეციალური ძიება დიდ სარგებლობას მოუტანს საკითხის შესწავლას<sup>109</sup>. შეიცავს. მეგრულში ტერასული მონაკვეთების აღმნიშვნელი ტერმინები ინტერესს იმსახურებს ბევრი თვალსაზრისით და მათი სპეციალური ძიება დიდ სარგებლობას მოუტანს საკითხის შესწავლას<sup>110</sup>.

საკვლევ რეგიონში საყოველთაოდ მიღებული საშუალებაა წყლისპირების შემაგრება დამცველი ნაგებობებით, რომელთაც დამბას უწოდებენ. დამბა უკეთდებოდა წყლის ნაპირებს მის გასამაგრებლად, დასაცავად, რათა მიწდებარე სეარგულეობათვის წყლით წალეკვა აეცილებინათ. დამბა, ამასთან ერთად, მდინარის ადიდების დროს მოტანილ ლამს//ლევს აკავებდა ადგილზე და ითავსებდა როგორც წლის დამაოკებლის, ასევე სასარგებლო შლამის დამცველის ფუნქციას. აღნიშნული ღონისძიების გარდა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში საყოველთაოდაა მიღებული მწირი ნიადაგების ნოყიერი მიწით ხელოვნური გაპატივება. როგორც ჯ. რუხაძე მიუთითებს, — „დასავლეთ საქართველოს ეწერ: ნიადაგებზე გურიაში, სამეგრელოში, განსაკუთრებით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში მიწის განოყიერება კირის შემცველი ტკილითაც ხდებოდა. ტკილი... ქვიშანარევი, ნესტიანი და ადვილად ფშვნადი ნია-

<sup>108</sup> ქრისტეფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

<sup>109</sup> სპარსულში ჰბლ-ჰებლ ძირიანი სიტყვები უდრის კავშირს, დაკავშირებას (узы, связь) Миллер. Б. В. Персидско-русский словарь. М., 1953; Гаффаров М. А. Персидско-русский словарь. М., 1976. არაბულში ამ ძირის სიტყვა სხვადასხვა ტრანსკრიპციითა და მნიშვნელობით არის მოტანილი. ჰბლ-ჰებლუ კი სპარსულის ანალოგიურად აღნიშნავს კავშირს (связь, узы) — Баранов Х. К. Арабско-русский словарь, М., 1957, с. 191.

დავია... იგი ხანგრძლივად მოქმედი სასუქია, ზოგჯერ მისი ზოქმელება 10—25 წელსაც კი გრძელდება<sup>110</sup>.

საკვლევ რაიონში დაზოწმდა სამკუთხა და ოთხკუთხა ფორმის დამბების მშენებლობის პრაქტიკა<sup>111</sup>. როგორც გაირკვა იგი წარმოადგენს ჭარგვალის<sup>112</sup> პრინციპზე აგებულ ხის მორებისაგან შეკრულ მოწყობილობას. ამისათვის მორის „ყურებს“ ერთმანეთთან ამაგრებდნენ „კონქის“ საშუალებით, რომელიც მორის თავებში გაკეთებულ სპეციალურ ხერელში იჭედებოდა და მათ ერთმანეთთან მკვიდრად ამაგრებდა, აკავშირებდა. კონქის სოლი თოხის ტარის სიმსხო იყო. ხის მორების ერთმანეთთან დაკავშირების ამგვარ ხერხს ადგრობრივ უწოდეს ქილიქი. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში „ქილიქი“ ასწნილია როგორც „ფიცარი დაქდობილი ერთმანეთში გასაწყობად“, რაც ზედმიწევნით ასახავს მის დანიშნულებას. ამ პრინციპზე აგებული, შეკრული დამბის ჭარგვალი სამკუთხა და ოთხკუთხა ფორმისა შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც დამოკიდებული იყო დასაცავი ადგილის საპირობებაზე. იქ სადაც დამბის ჩადგმა იყო გამიზნული ჭერ ამოიღებდნენ საძირკველს და ჭარგვალის ძირს, საფუძველს ჩადგამდნენ, რის შემდეგ მიაყრიდნენ მიწას. დატკეპნიდნენ და განაგრძობდნენ ჭარგვალის შენებას. საძირკველი მიწის ზედაპირს რომ გაუსწორებოდა შიგ ჩაუყრიდნენ დიდი ზომის ქვებს, ფიჩხს, მონახვეტ მიწას მიაყრიდნენ და კარგად „გაქედავდნენ“. როდესაც ჭარგვალი ჯკვე მზად იყო, მას ქვა-ლორლით ამოავსებდნენ და „თავს მოუსწორებდნენ“. ამგვარად დამბის ერთი ნაწილი, ანუ საძირკველი იყო მიწის ქვეშ, რომელიც არ ჩანდა და მეორე — მიწას ზევით. საძირკველი მას მდგრადობას ძენდა, რისი მეშვეობითაც დიუხანს ძლებდა. მდ. აბაშის მიმდებარე ნაპირები ძველად მთლიანად დამბებით ყოფილა მოფენილი. ცხაკაიას რაიონში. მდ. ცივის ადიდების დროს ყანებს წალეკვისაგან აქ მოწყობილი ჭარგვალის დამბები იცავდა. მათი ნახვა ომის პერიოდში კიდევ შეიძლებოდაო ჩვენ არემარზე — გადმოგვეცეს მარტვილის რაიონის სოფ. სალხინოში. ამაზევე სოფ. ჩქვალერში მიგვითითა 106 წლის იასონ ძიკის ძე შეროზიამ — „ჩვენ მხარეში ყველგან დამბა იყო მო-

110 ჭ. ჭუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1978, გვ. 30.

111 დამბა ამ ნაშენობათათვის მოვიანებით შეძენილი. ტერმინი ჩანს, რომელიც დასტურდება როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

112 ჭარგვალი//ჭარგვალი — გვირგვინი ძელებისა, ძელნი მოქდობით „ეკრულნა სამ ან ოთხ კუთხედ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი: ჭარგვალი — ესე არს ძელნი მოქდობილნი სამ-ოთხ კუთხედს, ორბელიანი, თხზულებანი, IV ტ., თბ., 1966.



ღებულის, დიდი საჭიროება იყო მისი. დამბა, სადაც წყლები იყო და საყანეები მათთან ახლოს. იქ უკეთდებოდა. დამბა წყლის სანაპიროზე მდებარე საყანეს იცავდა წალეკვისაგან. ხებილი კი ფერდობზე აკავებდა მიწასა და ნარგავს“.

მდინარის პირას მდებარე სავარგულების დასაცავ ნაგებობად ადგილობრივ დაგვისახელეს ასევე ს ა ჯ ი ლ ე, რომელიც ჭიხჭრის ანალოგიურადაა მოწყობილი. საჯრლევ ორპირად მოქსოვილი ლობეა, რომელიც მდინარის ნაპირს შესამაგრებელია და ამავე დროს წყლის დამაოკებელიც.

ფერდობზე, მის ცალკეულ მონაკვეთში მიღებული იყო დახრამული ადგილების მკურნალობა, რაც შემდეგნაირად იყო განხორციელებული — იქ სადაც დარღვეული იყო ნიადაგური საფარი დგამდნენ პატარა მ ე ს რ ი ს ლ ო ბ უ რ ე ბ ს, იმ განგარიშებით რომ ლობურა დაზიანებული ადგილის ცოტა ქვევით მოექციათ. იგი „მასრების“ საშუალებით მაგრდებოდა მიწაში და ერთი ან რამდენიმე თვის მანძილზე რჩებოდა. წვიმების დროს, გაზაფხულზე და ზაფხულის თვეებში ლობურას მიასილავდა ჩამონადენი წყალი და მის ზევით მდებარე ადგილი თანდათანობით მიწითა და ლამით იესებოდა. ამ შემთხვევაში, მეურნე, დაგროვილ ნოყიერ ფენას ადგილზე ტოვებდა და დაზიანებული ნიადაგი ამით კვლავ შედიოდა მოქმედებაში. როდესაც უკვე შეიძლებოდა ნაკვეთის დამუშავება, მეურნე ლობურას იღებდა და გადაჰქონდა სხვაგან, სხვა ადგილის აღსადგენად. ანალოგიური ხერხით ნიადაგის აღდგენის წესი დამოწმებული გვაქვს გურიასა (ლანჩხუთი, ჩოხატაური) და ზემო იმერეთში (ხარაგოული, ზესტაუონი). მცირედ განსხვავებული თავისებურებით.

სამეგრელოში ეთნოგრაფიული კვლევით გამოვლენილია ნიადაგების ლარებად ათვისების ტრადიცია, რაც მთლიანად საქართველოს მიწათმოქმედების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ლ ა რ ი / მ ა რ ი ფერდობზე განვად გამოვავებული ბრტყელი ზედაპირის მქონე ადგილია. ნახნავი ლარებით ფერდობი სიგრძეზე ზოლებადაა დაყოფილი, რომელთაც ტერასული განლაგება აქვთ, შემაგრების გარეშე. ერთი ლარი — ტერასის ერთი საფეხურია თავიდან ბოლომდე, ისე რომ ფერდობი, ტერასებად მოწყობილი ლარების მეშვეობით სახნავად არის ათვისებული. ლარიცაჲო სწორიე — ლარივით სწორია — იტყვიან მეგრელები; ეს ნიშნავს სიგრძეზე მდებარე მონაკვეთის აგებულებას, განლაგებას. გ. ელიაეას ცნობით. ზიგზაგოვანი ფერდობის ლარებად გაკაფვის დროს იქ მდებარე მცენარეული წინასწარ მონიშნული, სიგრძივი მიმართულებით იჭრებოდა. ისე რომ ერთი ლარისთვის საკმარისი ფართი შექმნილიყო. შემდეგ. სახე-

წელის მეშვეობით, ფერდობის ეს მონაკვეთი თანდათანობით სწორ ზედაპირს ღებულობდა, ისე რომ ზოგი ლარი 30-მდე მეტრი სიგანისა და შეიძლებოდა ყოფილიყო, ტერასებად მოწყობილი სავენახე ყორეები. რომელთაც „დოხურგული“, „დობიჯგული“ ეწოდებოდათ, თავისი მოცულობით უფრო მცირეა, ვიწროა და მოკლე, მდებარეობითაც სავენახე ტერასები გამორჩეულად მზის გულზეა განლაგებული<sup>113</sup>.

მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დაეასკვნათ, რომ საკვლევ რეგიონში ნიადაგის დაცვისა და ათვისების ხალხური მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენება საყოველთაო ხასიათს ატარებს. მათთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მონაცემები ცნტერესს იმსახურებს ბევრი ახალი ელემენტის დადგენა-წარმოჩენის თვალთახედვით. რაც მნიშვნელოვანია როგორც სამეგრელოს მიწათმოქმედების ცალკეული მხარეების, ასევე ზოგადად, ქართული სამეურნეო ტრადიციების საკითხების კვლევისთვისაც.

წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე სულ უფრო იზრდება საბუთიანობა კოლხეთის ტერიტორიაზე კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისი ურთიერთობის შესახებ იმდროინდელი სამყაროს მრავალ ქვეყანასთან. ამ ცნობების ღირებულება განსაკუთრებით ფასეული ხდება მათი შეჯერებით არქეოლოგიური კვლევა-ძიების მონაპოვართან, რომელთა მონაცემები დღითიდღე ამდიდრებენ ისტორიულ მეცნიერებას ახალი მნიშვნელოვანი აღმოჩენებით.

ახალი არქეოლოგიური მასალები წარმოაჩენენ ძველი წელთაღრიცხვის VI—IV სს. კოლხური საზოგადოების რთულ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურას. ამ დროს კოლხური ხელისნობა უკვე სასაქონლო ხასიათის მატარებელია და ქალაქურ ცივილიზაციასა და კოლხეთის საზოგადოების ურბანიზაციას უქმნის საფუძველს<sup>114</sup>.

ამავე პერიოდში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრება ვერცხლის მონეტები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური თეთრის“ სახელითაა ცნობილი, და კიდევ ერთი უტყუარი მოწმობაა ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე სამეფოს არსებობისა<sup>115</sup>.

113 გ. ელიავა, სამეგრელოს სამიწათმოქმედო კულტურა (ხელნაწერი).

114 თ. ლორთქიფანიძე, არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, 1976, № 2, გვ. 110—128.

115 გ. დუნდუა, კოლხური თეთრი, ე. „ძეგლის მეგობარი“, 1970, № 23, გვ. 11.

ტყით მდიდარ კოლხეთის მეურნეობაში ნიადაგის დასამუშავეზ-  
ლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თოხი. ახოების ალებისა  
და ყამირის გატეხვისას თოხი ფართოდ იყო გამოყენებული მიწის  
პირველი დამუშავებისათვის. ამიტომაც, თოხი გვიანბრინჯაოს ხანა-  
დან მოკიდებული ფართოდ ვრცელდება თითქმის მთელ კოლხეთში,  
სადაც მოსახლეობა მიწის დამუშავებას მისდევს. როგორც გ. ჩო-  
ტაია მიუთითებს — თოხი აქ მიწათმოქმედების ყველაზე საქარო  
იარაღი იყო<sup>116</sup>.

ღროთა მანძილზე ლითონის სამეურნეო იარაღის ფართო გამო-  
ყენება ტყეზე შეტევის ეფექტს ზრდიდა და ხელს უწყობდა კოლხე-  
თის ველის უფრო ფართო დასახლებას. სამოსახლო ბორცვებზე გა-  
შოვლენილი მძლავრი კულტურული ფენები მოწმობენ. რომ მოსახ-  
ლეობა აქ საკმაოდ ინტენსიურ ცხოვრებას ეწეოდა (ნახვამუსა და  
ნოსირის ბორცვები, დიხა-გუძუბას ნასახლარი, ბორცვი „ზურგა“  
და სხვ.)<sup>117</sup>.

ამდენად, კოლხეთის ტერიტორიაზე შეიძლება თვალი გავადევ-  
ნოთ კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედების უწყვეტ პრო-  
ცესს, რომელიც მისი საზოგადოების სრულყოფასა და დაწინაურება-  
ში იკვეთებოდა თანდათანობით.

არქეოლოგიური შესწავლის შედეგია ისიც, რომ კოლხეთში გა-  
შოვლენილია ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული  
რამდენიმე ასეული ძველი ნამოსახლარის ნაშთი. დადგენილია, რომ  
დაბლობში ძველი მოსახლეობა საცხოვრებლად არჩევდა ბუნებრივ  
შემალლებებს, ან ხელოვნურ ბორცვებს აგებდა. ამჟამად ხელოვნური  
ბორცვები დიდ ნაწილში დაძირული არიან მიწის ზედაპირიდან  
3—5 მ სიღრმეზე, რაც სპეციალური გამოკვლევებით თვით დაბლობს  
ქანებში მიმდინარე დაძირვითი პროცესის მოქმედებით არც ახსნა-  
ლი.

ასეთი ბორცვები სამეგრელოს ტერიტორიაზე შესწავლილი  
იქნა უკანასკნელ ხანებში აქ ჩატარებული არქეოლოგიური ექსპე-  
დიციების მიერ, რომელთა მუშაობა განპირობებული იყო ენგე-  
რის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობით. დაიხვერა და შეს-  
წავლილი იქნა რამდენიმე არქეოლოგიური უბანი. და შეძლები-  
დაგვარად ზოგი მათგანის დაცვაც განხორციელდა<sup>118</sup>.

116 გ. ჩოტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, ივ. ჭავჭავაძე-  
ლის ახ. ისტ. შრომები, IV, ტ. I., 1959, გვ. 157.

117 თ. ჭაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, „მაც-  
ნე“, 1982, 1, გვ. 62.

118 ლ. წითლანაძე, არქეოლოგიური აღმოჩენები, სოფ. ლაში, ე. „ქუ-  
ლის მეგობარი, „თბ., 1973, № 33, გვ. 65.

მათ რიცხვშია წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას ტერიტორიაზე მდებარე ბორცვი „დიდი ქირსას“ (ქრისტეს დედის ანუ ღვთისმშობლის) სახელწოდებით, რომელიც შეისწავლეს აქ. მომუშავე არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა.

სოფელი ლია<sup>119</sup> გაშენებულია მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, მის ძველ ნაკალაპოტარზე. სოფელს აღმოსავლეთის მხრიდან ბორცვოვანი ზოლი გასდევს. ერთ-ერთ ასეთ ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „დიდა ქირსას“ (ქრისტეს დედა) უწოდებს, მდებარეობს შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები. ციხის შემორჩენილი კოშკის ნანგრევები (სამი კოშკია დადასტურებული) ნაგებია რიყის ქვით, სილანარეე კირზე. მათი ძირა ფენა ნაგებია ჰორიზონტალური წყობით და საგანგებოდ შერჩეული ერთნაირი ზომის დიდრონი რიყის ქვებით. ციხის გალავნის კედლები ასევე ნაგებია რიყის ქვით<sup>120</sup>.

თვით ტაონიმი „დიდა ქირსა“ ქრისტეს დედას ანუ ღვთისმშობელს აღნიშნავს მეგრულად, ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ამ ბორცვზე თავის დროს ღვთისმშობლის სახელზე ნაგები ეკლესია იდგა, რომელიც გათხრამდე ზედაპირულად არ ჩანდა. გათხრების შედეგად ბორცვზე დადასტურდა ეკლესიის არსებობაც, აფსიდის ნაშთის მიკვლევის მეშვეობით. ეკლესია ნაგები ყოფილა რიყის ქვით და აშენებული ადრებრუნტიური ხანისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული წესით<sup>121</sup>. ციხის ტერიტორიის რელიეფი უსწორმასწოროა და შესამჩნევად დაქანებული. ციხის მშენებლებს ეს გარემოება თავიდანვე გაუთვალისწინებიათ და სათანადო ზომებიც მიუღიათ: რათა ტერიტორიაზე ნალექების დროს (წვიმა, თოვლი) წყალი არ დატბორებულყო, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ გალავნის კედელში დატანებულია ოთხი სადრენაჟო ხერელი, რომელიც ბრტყელი ქვებით არის ამოშენებული<sup>122</sup>. როგორც ვხედავთ აქ შესანიშნავად არის გამოყვანილი ამ მხარის ჰარბი წყლიანობის პირობებში მისგან დასაცავად მიღებული ხერხი, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზეა წარმოდგენილი.

ბორცვ „დიდა ქირსას“ კვერცხისებური მოყვანილობა აქვს, რომელიც საკმაოდ დამრეც კალთებს იქმნის. იგი 70—80 მეტრის სიმაღ-

---

119 „ლია-საფლობი ტალახი (ნ. საფლობი)“. საფლობის ახსნაში კი ლია განმარტებულია როგორც „ხოლო ლერწმანთა საფლობთა ეწოდებან ლია“. ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

120 ჟ. ჭღამაია, სოფელ ლიას შუა საუკუნეების ნაციხვარი, ე. „მაცნე“, თბ., 1980, № 1, გვ. 126.

121 ჟ. ჭღამაია, გვ. 128.

122 ჟ. ჭღამაია, იქვე.

ლის გორაა, რომელიც დღეისათვის ჩრდილო-დასავლეთიდან საქ-  
ბრეთ-აღმოსავლეთ-საკენ არის დამხრობილი. და აი, ექსპედიციის მე-  
შაობის პროცესში, მის ციკაბო ფერდობებზე, ალაგ-ალაგ ხელოვნუ-  
რი ტერასები იქნა მიკვლეული, რომლებიც გაკეთებულია ისტორიულ  
ხანაში<sup>123</sup> (ავტორის კალკა დატულია). ეს ფაქტი, საკვლევი საკითხის  
თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის მქონეა. ვფიქრობთ, მასთან  
უშუალო კავშირში და მთლიანობაში უნდა იქნას გააზრებული ჩვენ  
მიერ 1982—83 წლებში მუხურისა და სოფ. სალხინოს ტერიტორია-  
ზე აღმოჩენილი ტერასული უბნები, რომლებიც სამეურნეო დანიშნე-  
ლების მატარებელი არიან.

აქვე არ შეიძლება არ მიეთითოს იმ გარემოებაზე, რომ ტერა-  
სული მიწათმოქმედების გარშემო არქეოლოგიური კვლევის შედეგე-  
ბი, რომლებიც მათი დათარიღებისა და აღმოცენების პირობების შე-  
ძახებ კვლევას ითვალისწინებს, გაგვაჩნია მხოლოდ მესხეთიდან. სა-  
ხელდობრ, ეს არის წუნდის ნაქალაქარის ტერასული კომპლექსები,  
რომელთა არსებობა მესხეთში ელინისტური ხანიდან არის ნავარაუ-  
დები<sup>124</sup>, მხოლოდ მათი აღმოცენებისა და შექმნის პერიოდი შეიძლე-  
ბა დაუკავშირდეს ადრებრინჯაოს ეპოქას, როდესაც ხდებოდა ქალა-  
ქის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი<sup>125</sup>. ამდენად, მოტა-  
ნილ ასპექტში „დიდა ქირსას“ ტერასული კომპლექსის შესწავლა და  
მისი შემდგომი კვლევა ეთნოგრაფიული და ისტორიულ-არქეოლოგი-  
ური მონაცემების შუქზე, დიდი მნიშვნელობის შემცველია.

ექსპედიციის მიერ შესწავლილი იქნა ბორცვ „დიდა ქირსას“ ტე-  
რასული უბნები. და აი, ერთ-ერთ ტერასაზე გავლებულ თხრილში  
აღმოჩნდა ოთხი დიდი ქვევრის ძირგვერდი. ქვევრები დაკირულა  
იყვნენ და გვიანფეოდალური ხანით დათარიღდნენ. როგორც გაირკვა  
აქ საქმე გვაქვს ციხესთან კავშირში მყოფ ღია მარანთან<sup>126</sup>.

თუ მოტანილ ფაქტს შევეუდარებთ ჩვენ მიერ სამეგრელოს ტერა-  
ტორიაზე ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებს, მათი მო-  
შველიებით უფლება გვეძლევა გამოვთქვათ სათანადო ვარაუდიც. სა-  
ხელდობრ, აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ტერასული მევენახეობის არსე-  
ბობის დამადასტურებელი ფაქტის გამოვლენას, რასაც ერთ კომპ-  
ლექსში მოთავსებული მისი ორი ძირითადი კომპონენტის არსებობაა  
მიგვანიშნებს. ყოველ შემთხვევაში, მოტანილი ცნობები იძლევა სა-

123 იქვე, გვ. 126.

124 ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქარ-  
თელოში, თბ., 1976, გვ. 142.

125 ლ. ქილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქარელოში, I, თბ., 1969,  
გვ. 15.

126 ჯ. ჭღამაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 132.

შუალეხას საკითხის ამგვარ ასპექტში გააზრებისა, და იქნეს დიდ მნიშვნელობას კვლევის არეულის გაფართოებისათვის მთელი სამეცნიერლოს მასშტაბით.

არქეოლოგიური კვლევის პროცესში ყურადღება აქვს დათმობილი ბორცვ „დიდა ქირსას“ ძირას, მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, „მშრალი ხევის“ დასაწყისში კლდე-კარს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „გოხორხილს“ უწოდებს<sup>127</sup>. ეს მშრალი ხევი უძველესი ნაგებობაა და ეხლაც, წალენჯიხისაკენ მიმავალი უმოკლესი გზაა. აქ სავარაუდოა, რომ ტერმინი „გოხორხილი“ უშუალო კავშირშია ჩვენს მიერ ეთნოგრაფიული მასალებით მოძიებულ ნაგებობასთან, რომელსაც ხარხილი ეწოდება. ამაზე უკვე გვქონდა აღნიშნული. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ხარხილი//ხირხალი ნიადაგის დასაცავად უკეთდებოდა არა მხოლოდ სამეურნეო ნაკვეთებს, არამედ სხვა დანიშნულებითაც იხმარებოდა: ამაგრებდა გზისპირებს, ღელისპირებს, სამოსახლოს ჩამონაქცევ ადგილებს და სხვ<sup>128</sup>. სავარაუდებელია, რომ „დიდა ქირსას“ მიდამოში არსებული ტოპონიმი „გოხორხილი“, „ხირხალთან“ გარკვეულ კავშირში უნდა იმყოფებოდეს, რაც მის ფართო პრაქტიკულ გამოყენებაზე მიუთითებს.

„დიდა ქირსას“ ფერდობებზე დიდი რაოდენობით შეგროვილი ადგილობრივი კერამიკა — პითაისები, დოქები, ქოთნები, დერგები, ფიალები, კეცები, ასევე სამკაულები და ჩამორეცხილი კულტურული ფენების სისქე, სხვა მონაცემებთან ერთად, შეტყვევებს მოსახლეობის სიმრავლეზე და ხანგრძლივი ცხოვრების კვალზე<sup>129</sup>. „დიდა ქირსას“ ბორცვზე ნაპოვნი სხვადასხვა დროის კულტურული ნაშთები — დაწყებული ელინისტური ხანიდან, გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით — მიუთითებენ ამ ბორცვზე, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიმდინარე უწყვეტ ცხოვრებაზე. მოძიებული მასალების შემდგომი კვლევა დიდად პერსპექტიული იქნება სამეგრელოს ძველი სამიწათმოქმედო კულტურის კომპლექსური შესწავლისათვის.

ამგვარად, სამეგრელოში ხალხური ნიადაგდასაცავი ნაგებობის მრავალფეროვნება გამოიხატება მათი როგორც კონსტრუქციული,

<sup>127</sup> იქვე, გვ. 138. გოხორხილი -- შტრ. გეხორგილი — сваливать в хучу; ი. ყიფშიძე. დასახ. ნაშრომი; ხერგი — ძელნი მდინარეთ მონატანი—ს.-ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 419.

<sup>128</sup> დ. ნოსოვიჩის გამოკვლევაში მათი გამოყენების შესახებ შემდეგია ნათქვამი: „Каждый крестьянин имеет достаточный запас лесных материалов для топлива; устройства изгородей вокруг усадьбы и разбросанных мелких участков пашни...“, МИЕБГКЭК, Т. II, Тифл. 1886, с. 279.

<sup>129</sup> ლ. წითლანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

ასევე სამშენებლო მასალის სხვადასხვაობით, რაც საშუალებას გვაქ-  
ლევს საკვლევი რეგიონის ფარგლებში დადგინდეს მათი ტიპოლო-  
გია. საკითხის შესწავლის თვალთახედვით დიდ მნიშვნელობას იძენს  
სამეგრელოს ტერიტორიაზე ქვისკედლიანი ტერასული უბნების გამოკ-  
ლენა და ნიადაგების ლარებად ათვისების ტრადიციის დადასტურქ-  
ბა, რომელიც მსგავსება-ანალოგიას ამჟღავნებს ამავე სახის მეურნე-  
ობის ფორმებთან სხვაგან საქართველოში (მესხეთი, ქართლი). ამის  
საფუძველზე უფლება გვეძლევა აღნიშნული სახის მეურნეობის  
ფორმა სამეგრელოსათვის ტრადიციულად მივიჩნიოთ. ეთნოგრაფიუ-  
ლი ცნობების შეჭერება რაიონის ტერიტორიაზე ჩატარებული არქე-  
ოლოგიური სამუშაოების შედეგებთან, შესაძლებლობას იძლევა სა-  
კითხის ისტორიულ კრილში წარმოჩენისათვის და მეურნეობის ცალ-  
კეული დარგის დაწინაურება-სიძველის საკითხებს წამოჭრის. სამეკ-  
რელოს სხვადასხვა რაიონში მოძიებული ტერასული უბნები და ნა-  
დაგდასაცავი საშუალებანი ურთიერშორის მსგავსება-ანალოგიის გარ-  
და ამჟღავნებენ ცალკეულ ელემენტთა სხვადასხვაობას და სპეციფი-  
კურობით ხასიათდებიან, რაც ბუნებრივ-სამეურნეო უბნებს ლოკა-  
ლური თავისებურებებით არის შეპირობებული და ხალხური ცოდნის  
უძველეს, მაღალგანვითარებულ დონეს ასახავს.

მეურნეობრივი კულტურის ზოგადი საკითხები

ტერასული მიწათმოქმედება, როგორც მთური მიწათმოქმედების ერთ-ერთი სახეობა ფართოდ არის გავრცელებული საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის სუბტროპიკულ სარტყელში. ყველაზე ხანგრძლივი ისტორია მას აქვს შუა აზიის რესპუბლიკებში (დასავლეთ შამირი), ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ჩრდილო კავკასიაში.

მსოფლიოში ტერასული მეურნეობა დაკავშირებულია ისეთ უძველეს ცენტრებთან, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი, სირია, პალესტინა, სამხრეთი აფრიკა, არაბეთი<sup>1</sup>. ფართოდაა დაწვრილი იგი ასევე ბირმაზე, იავაზე, ცეილონზე<sup>2</sup>. ევროპაში ტერასები საყოველთაოდაა გამოყენებული თითქმის ყველა ქვეყანაში (იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია და სხვაგან,) სადაც ისინი ძირითადად ვაზის კულტურასა და ციტრუსებს ეთმობა<sup>3</sup>. ამერიკის კონტინენტზე ტერასები უკავშირდება მაიასა და აცტეცების უძველეს ცივილიზაციებს. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ კონტინენტზე, რომელ რეგიონში პოვა თავდაპირველი გამოყენება მეურნეობის ამ სახეობამ, არ არის გარკვეული. არსებობს მოსაზრება, რომ ტერასული მიწათმოქმედება წინა აზიაში, კავის გამოყენებასთან ერთად, ადრე-ბრინჯაოს პერიოდს განეკუთვნება და საწარმოო ძალების მკვეთრ აღმავლობასთან არის დაკავშირებული<sup>4</sup>. ცხადია, ფართო გავრცე-

<sup>1</sup> Жуховский П. М. Культурные растения и их сородичи, М., 1950; Клинген И. Н., Среди патриархов земледелия народов Ближнего и среднего Востока, М., 1960.

<sup>2</sup> Пуляркин В. А. Цейлон, М., 1959, с. 41; მისივე, Кешмир, М., 1956, с. 145.

<sup>3</sup> Международный конгресс „Земледелие на склонах“, Тбилиси, 1968.

<sup>4</sup> Клик Х. А. Восточное средиземноморье в древнейшую эпоху, Л., 1970, с. 43. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. გლუკი პალესტინის ტერასებს ნეოლითთ ათარიღებს და მათ აღმოცენებას ქვით ნაშენი სამარხების, დოლმენების მშენებლობის ტექნიკას უკავშირებს.



ლება მიწათმოქმედების აღნიშნულ ფორმას უკვე განვითარებულ საზოგადოებაში უნდა მიეღოს.

სპეციალური კვლევით დადგენილია, რომ ტერასები ძირითადად მთის რელიეფის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებასა და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს (ჰიდროგრაფია, ნიადაგებს ეროზია, ტემპერატურული რეჟიმი...) უკავშირდება. მორწყვა აქ მეტად სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც დამოკიდებულია მთის წყარო-ნაკადულებით რწყვაზე, და თავის მხრივ ამ რესურსების რეგულირებისა და დაცვის რთულ სისტემას გულისხმობს. ამ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება ლანდშაფტის ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა ტყის საფარი, რომელიც ნიადაგების დამცველ და წყლის მარაგის დამცველ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ბუნებაში. ამის კარგი მაგალითია ი. კლინგენის დაკვირვება ჩინეთის ფუნძიანის პროვინციის ერთ-ერთ ტერასულ უბანზე: ტერასებზე განლაგებული ბრინჯის პლანტაციების დიდი მასივები მიტოვებული აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ამის მიზეზი გახდა წყლის მარაგის დაკლება, რაც გამოწვეული იყო ამ რაიონში ტყის საფარის განადგურებით. ამიტომ ვიდრე ტყე ამა თუ იმ ტერასული ფართობის მახლობლად ხელშეუხებელია — ბრინჯის ნათესები შეუფერხებლად ვითარდება, და როგორც კი იწყება ტყის გაკაფვა — წყლის მარაგი კლებულობს და მთლიანად იკარგება, რასაც მეურნეობის მოშლა მოსდევს<sup>5</sup>. აღნიშნული გარემოება საქართველოს ტერასულ მიწათმოქმედებაზეც უნდა გავრცელდეს, რომლის დეგრადაცია და საბოლოო დაკნინება სწორედ სარწყავი სისტემის მოშლითა და მათი მასაზროვებელი ტყის მასივების განადგურებით უნდა აიხსნას. ტერასების აღმოცენებისა და განვითარების პროცესში ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს თავისებურებათა კომპლექსს უაღრესად დიდი როლი ენიჭება. ამიტომ ტერასული მიწათმოქმედების კერებს თავისი ლოკალურად მახასიათებელი ნიშნები გააჩნია. ამ მხრივ კავკასიაში უნდა გამოიყოს მისი დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი, სადაც შავი ზღვის სიახლოვე და ტემპერატურული ინვერსია მისი კლიმატის ზომიერებასა და სირბილეს განსაზღვრავს. განსხვავებული პირობებია შექმნილი მაგალითად. დაღესტანში, სადაც ჰაერის სიმშრალე მაღალმთის ზოლშიც ვრცელდება და გვალვიანი თვეების სიხშირით

<sup>5</sup> Косвен М. О. Очерки истории первобытной культуры. М., 1957, с. 92—93.

<sup>6</sup> Клинген И. Н. Среди патриархов земледелия народов Ближнего и Среднего Востока, М., 1960, с. 534.

აღინიშნება<sup>7</sup>. ანალოგიური ვითარება შეინიშნება სომხეთის, ჩეჩენო-ინგუშეთის და ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში<sup>8</sup>.

ჩრდილო კავკასიის ხალხების მეურნეობაში ტერასულ მიწათმოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქ მიწის სიმცირისა და სიმწირის გამო, მოსახლეობა ძეულებული იყო მთის კალთებზე მოეძებნა გამოსადეგი ნიადაგები და ტერასირების მეშვეობით აეთვისებინა. უმეტესად ასეთ ნაკვეთებში ნოყიერი მიწის შეტანა იყო მიღებული, რომელიც მარხილებზე ან ურმებზე დამაგრებული სათავსებით მოჰქონდათ. განსაკუთრებით ხშირი იყო ტერასების მოწყობა ბალყარეთში, ჩეჩენო-ინგუშეთში და ყარაჩაიში<sup>9</sup>. სპეციალური კვლევით დადგენილია, რომ ამ კუთხეებში ტერასების ორი სახეობა იყო გავრცელებული — უკედლო, სპეციალური სახენელით გავლებული კვლის მეშვეობით, და ქვის კედლით შემაგრებული<sup>10</sup>. ხშირად მათ მოსაწყობად ტყის გაჩეხვა იყო საჭირო, ან ბუჩქნარისაგან ფერდობას გაწმენდა და ქვისაგან მისი განთავისუფლება. ხელოვნური ტერასები უმეტესად წყლით იყო მომარაგებული, რისთვისაც გაყვანილი იყო ხელოვნური სადინარები. იყო ასევე ურწყავი ნაკვეთები, სადაც მხოლოდ მარცვლეული ითესებოდა, მრავალწლიანი კულტურები იქ ვერ ხარობდა. ასეთი ნაკვეთები სოფლიდან უმეტესად დიდი მანძილით იყო მოცილებული რაზეც ბევრი მკვლევარი თუ მოგზაური მიუთითებს.

განსაკუთრებით ფართო გავრცელება მიიღო ტერასულმა მიწათმოქმედებამ დაღესტანში. დაღესტნის ტერასების კლასიფიკაცია მოცემულია ზ. ნიკოლსკაიასი და ი. შილინგის მიერ, რომელსაც ისინი 3 ძირითად კატეგორიად გამოიყნავენ, ნიადაგების ხასიათისა და ხარისხის, ასევე გაკულტურების დონისა და მოცულობის მიხედვით. უფრო დეტალურად და ღრმად დაღესტნის ტერასულ უბნებს ახასიათებენ მ. აღლაროვი, რომელიც შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით აყალიბებს მათ კონსტრუქციულ ტიპებსა და აღმოცენების ხასიათს: — 1. ბუნებრივი ტერასები; 2. ზღვრებიანი ტერასები; 3. კედლიანი ტერა-

<sup>7</sup> Магакян Г. Л., Василенко Г. В. Горное орошение в Дагестане, Махачкала, 1938.

<sup>8</sup> Гегешидзе М. К. Террасное орошаемое земледелие на Кавказе, М., 1964 (ამონაბეჭდი).

<sup>9</sup> ა. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, კვკ, 1, თბ., 1964, გვ. 31—46; Калоев Б. А., Земледелие народов Северного Кавказа, М., 1981.

<sup>10</sup> Кантария М. В. Агркультурные способы полеводства в Чечено-Ингушетии, КЭС, VI, Тбилиси, 1985.

სები<sup>11</sup>. ამავე ავტორთან დაწვრილებით არის გადმოცემული ყველა ის თავისებურება, რომელიც დალესტინის ტერასულ მიწათმოქმედებას ახასიათებს.

ტერასული მიწათმოქმედება დამახასიათებელია ასევე მთიანი ოსეთისათვის, თუმცა დალესტანთან შედარებით მცირე მოცულობითა და მნიშვნელობით. იგი აქ ძირითადად, მარცვლეული კულტურებასათვის იყო გამოყენებული. ოსების მასიურმა გადასახლებამ ბარში ჭერ კიდეც XIX ს, I ნახევარში ტერასული ნაკვეთები სრულ განაღ-გურებადღე მიიყვანა<sup>12</sup>. ასეთივე ბედი ეწვია მათ სხვა მეზობელ რეგიონებშიც. კავკასიის მთიანეთში ტერასული მიწათმოქმედება, ძირითადად, მემინდვრეობის დარგს უკავშირდება და მხოლოდ დალესტანში, ნაწილობრივ კი ბალყარეთში ითიავსებს საბაღე კულტურებს, — ზოგან — ვაზს<sup>13</sup>.

ასევე საჭიროა მიეთითოს, რომ ჩრდილო კავკასიის მაღალ-მთიანი რეგიონების მეურნეობა მთური მეურნეობა იყო, რომელიც მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზს წარმოადგენდა. ამ ურთიერთგანპირობებული დარგების მიმართება ქვეყნის ეკონომიკაში გამოიხატება მესაქონლეობის წამყვენი როლით და მემინდვრეობის ინტენსიური ფორმით<sup>14</sup>.

საქართველოს ტერასული მეურნეობა მისი მიწათმოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია, რომელიც განსაკუთრებით გამოი-ირჩევა თავისი სიძველითა და ტრადიციულობით. ჭერ კიდეც ჰაგიო-გრაფიულ ძეგლებშია დაცული ცნობები, რომლებიც ხელოვნური პლატფორმის, სიბრტყის შექმნას მიუთითებს. ამ ცნობების მიხედვით, რომელიც ეკლესიებისა და მონასტრების აშენებას ეხება, ირკვევა რომ სამშენებლო ადგილის მომზადება, „ქუეყნისა დავაკებაში“ გამოიხატებოდა და მას „შემზადება ადგილისა“ ეწოდება. გრ. ხანძთელის ცხოვრებაში, ერთ-ერთი ეკლესიის აგების დაწყებისას ნათქვამია, რომ ხანძთის წინამძღვრის, მამა არსენის „განზრახვითა იქნა დაწყება ახლისა მის შუენიერისა ეკლესიისა ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქუთითკირითა მყართა მრავალთა ეაქთა დაავაკეს და ესრეთ შეპრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაო“<sup>15</sup>. ამა-

11 А г л а р о в М., Андийская группа племен...

12 К а л о е в Б., А. დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

13 შუა აზიის რესპუბლიკებში გამოყენებულია როგორც მემინდვრეობისათვის. ასევე ბალისა და ვაზის კულტურისათვის, М у х и д д и н о в, И. Особенности традиционного земледельческого хозяйства припамирских народностей, Душ. 1984.

14 Т. ჭ ა ნ თ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

15 გ. მ ე რ ჯ ლ ე, შრომა და მოღვაწეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი... (ამონაწერი მოგვავებს ს. ჭ ა ნ ტ უ რ ი შ ვ ი ლ ი ს წიგნიდან „ყოფა

ვე წყაროში აღნიშნულია, რომ „იწყებს საქმეთ სენაკებისათვის ქუეყანისა დავაკებად“ და „ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიო და ავაკა“. ამავე დროს გ. მერჩულეს ამ ნაწარმოებში, სადაც სამხრეთ საქართველო აღწერილი, ბუნებრივ-სამეურნეო პირობების შეფასებაა გადმოცემული და მისი ათვისებისათვის შექმნილი ვითარებაა ასახული.

იმავე გარემოების დახასიათებაა გადმოცემული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების აღწერაში, სადაც ნათქვამია: „და იხილეს რაიმე ბორცვ მცირეი უმაღლესი სხუათა მათ ადგილთაი და აღმოსავლით ბორცუსა მას წყალი აღმომცენარეი, მდინარე და შუენიერი... და არა იხილა ადგილი ველოანი და ფართობით შემწყნარებელი მათი და უბრძანა წმიდამან მან, რაითა საშუალ წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღშენოს მცირე ტალავარიო“<sup>16</sup>. აქაც მიწის მოსწორების სამუშაოები იგულისხმება: „ადგილის დავაკება“ რომ სამშენებლო ადგილის „შემზადების“, სიბრტყის შექმნის მნიშვნელობას შეესატყვისება, ეს კარგად ჩანს ადრე შუა საუკუნეების ეკლესიების ერთი ნაწილის ჩვენამდე მოღწეული ნაგებობების უშუალო შესწავლითაც. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით, მცხეთის ჭვრას ორივე — მცირე და დიდი ეკლესიები აგებულია ისე, რომ მათი ცალკეული ან ყველა კედლის, ანუ ფასადების ამოსაყვანად წინასწარ შექმნილია სუბსტრუქციები, ანუ საგანგებოდ ამ მიზნით ამოშენებული პლატფორმის ხასიათის შემავრებანი, რაც შეეხება მცხეთის ჭვრას დიდ ტაძარს, იგი მთლიანად ხელოვნურად შექმნილ სუბსტრუქციაზეა აგებული<sup>17</sup>. მსგავსი გარემოება დასტურდება ატენის სიონშიც, სადაც მისი მდებარეობის გამო ეს სურათი კარგადაა გამოხატული, განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი ფასადიდან.

კლარჯეთში, ნაგებობათა ტერასებზე მოწყობის შესახებ ნ. მარცხვანი ამახვილებს ყურადღებას... „ყველა კულტურული ნაგებობა შატბერდში, ისევე როგორც მეტნაკლებად მთელ კლარჯეთში, განლაგებულია ერთმანეთის თავზე, ტერასისებურად, ზოგჯერ ამფითეატრის მსგავსად... თანამედროვე ხის სახლებიც კი ქვემო პორტაში

---

და კულტურა V—X საუკ. საქართველოში“ სხვაგან ამავე ნაშრომში ნათქვამია — „ერთობით ჭუარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქვეყნისა დავაკებად...“.

16 ბასილ ზარზმელი, ცხოვრება ნეტარისი შამისა ჩუენისა სერაპიონისი. (ე. ქველიძის გამოც.) თბ., 1935, გვ. 112.

17 Чубинашвили Е. Н.; Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948, с. 7. ციტირებულია წიგნიდან — ს. ჭანტურიშვილი, ყოფა და კულტურა V—X საუკ. საქართველოში, თბ., 1984.

ტერასებზეა აგებული<sup>18</sup>. აქვე მითითებულია, რომ პორტის ეკლესია-აც ტერასაზეა გაშენებული და „... სატიბის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვედა ქარაფზე გამართულ ტერასაზე მდებარეობს“<sup>19</sup>. ე. თაყაიშვილის ცნობით, ტაოს ცნობილი სამონასტრო კომპლექსის — ოთხთა ეკლესიის ნაგებობებისათვის გამიზნული ადგილი საგანგებოდ მოუქწორებიათ<sup>20</sup>.

არქეოლოგიური მონაცემები ტერასული მიწათმოქმედების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანწილად უწყობენ ხელს მათი ჩამოყალიბებისა და გავრცელების სურათის წარმოჩენას, ასევე მეურნეობრივი ტერასული კულტურის საკითხის გარკვევას. ტერასული მიწათმოქმედების ერთ-ერთი უძველესი უბანი გამოავლინა მესხეთის არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა. ტერასების არსებობა დადგინდა ახალციხის „ამირანის გორის“ ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე და ამ ფერდობის გადაღმაც, სადაც ჩანს ძველი ტერასები და იქვე არსებული კულტურული ფენები, ასევე ქერს ნაგებობის ნაშთი<sup>21</sup>. ამირანის გორა დახასიათებულია როგორც მთის ტიპური დასახლება, რაზეც საცხოვრებელი სახლების ტერასული განლაგება და აღნაგობის ზოგი თავისებურება მიუთითებს: მთის სამხრეთ კალთაზე არსებული ნასოფლარი ტერასულადაა გაშენებული, ნასოფლარის შემორჩენილი ნაწილი 10-ზე მეტ ტერასას შეიცავს, რომელსაც სიგრძე 25 მ და სიგანე 7—10 მეტრი უნდა ჰქონოდა საშუალოდ. ტერასებზე გაშენებულ სახლებს სამეურნეო დანიშნულების ფართობი (ეზო, ბაღ-ბოსტანი) თითქოს არ უნდა ჰქონოდა, მხოლოდ ერთგან აღმოჩნდა ორმოსამარხი თიხის ჭურჭლის ნატეხებითა და ცხოველთა ძვლებით. დასაშვებია, რომ ტერასულად განლაგებულ საცხოვრებელ სახლებში, ეზოდ წინა ტერასაზე არსებული ნაგებობის ბანური სახურავი გამოიყენებოდა<sup>22</sup>.

აქვე ყურადღებას იქცევს ტერასებზე აგებული სახლების მდებარეობა — ყველას ფასადი მიმართულია სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ე. ი. მზის სხივებით უფრო უხვად მომარაგებულ მხარეს<sup>23</sup>.

<sup>18</sup> М а р р Н. Я. Дневник поездки в Шавшетню и Кларджетню, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, СПб., 1911, с. 6.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 75.

<sup>21</sup> ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 22—23.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 24.

ამირანის გორის ტერასული დასახლების უბანი მომარაგებულნი ჩანს ნიაღვარდასაცავე მოწყობილობით: შენობის უკანა კედლის გასწვრივ, ზედა ტერასაზე, დამატებით იგებოდა კიდევ ერთი კედელი, რომელიც კუთხით მიემართება. ავტორის აზრით, იგი ნიაღვრის ასაქცევ ქვის კედელს წარმოადგენდა<sup>24</sup>. ამგვარი ნიაღვარდამცველი კედლები თუ თხრილები უძველეს ტერასულ უბნებზე სხვაგანაც არის გამოვლენილი, რაც მათ ფართო გამოყენებაზე მიუთითებს. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი ტრადიცია ნიაღვარსაწინააღმდეგო ნაგებობათა ფართო გავრცელებისა, ამასვე ადასტურებს.

ამირანის გორის მასალები, რომლებიც მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებს განეკუთვნება, იმაზე მიუთითებს, რომ მათთვის მიწათმოქმედების მაღალი დონეა დამახასიათებელი. ამირანის გორის ნასახლარზე შინა საქმიანობასთან და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ნივთიერი კულტურის კომპლექსებში გვხვდება არა მარტო ქვის იარაღები (კაყის ნამგლის ჩასართები, ტუფის ქვის სანაყები, რიყის ქვის სასრესები, ბაზალტის საფხეკები და მრავალრიცხოვანი საფქვეავი), არამედ სპილენძის ნამგალიც, რომელიც უფრო ქმედითი უნდა ყოფილიყო კაყის ანალოგიურ იარაღთან შედარებით და მისი გამოყენება მიწათმოქმედების მაღალ დონეს გვაგულისხმებინებს<sup>25</sup>. აქვე სათანადო ადგილი უნდა სჭეროდა ტერასული მიწათმოქმედების ადრეულ ფორმებს, რომელთა ჩანასახოვანი ელემენტების განვითარების მასშტაბები გვიანდელ კულტურაშია ჩამოყალიბებული. მას უნდა მივაკუთვნოთ ნიადაგების ლარებად ათვისების მესხეთში დადასტურებული და საყოველთაოდ გამოვლენილი პრაქტიკა, რომელიც მარცვლეული კულტურების წარმოების უძველეს ჯიშებს უკავშირდება (ასლი, ფეტვი, ცერცვი).

მესხეთის ტერიტორიაზე ტერასული მიწათმოქმედების საერთო სურათის დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ცალკეულ კომპლექსებად წარმოდგენილი არქეოლოგიური ძეგლების გათვალისწინებაც. ასეთია სოფ. თმოგვის მახლობლად მდებარე ვ ერთ ან ანუ ბ ერთ ან ა, რომელიც წუნდის ველის მიმართულებით ძევს მტკვრის ხეობაში. თვით ტერასები აგებულია უძარმაზარი „ციკლოპური“ ბაზალტის ლოდებით, რაშიც მელავნდება მშენებლობის ტექნიკის უძველესი ხერხები<sup>26</sup>. ბერთა ყანის ტერიტორიაზე აღრიცხულია უამრავი სხვადასხვა ზომის ყორღანული ქვაყრილები, დარნის ტი-

24 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, გვ. 21—22.

25 ი ქ ე ე, გვ. 85—86.

26 ო. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე, მესხეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის, 1958 წ. (ბელნაწერ).

პის ნაგებობები, ბუნებრივი ბორცვები. ყურადღებას იმსახურებს ასევე უ რ ა ვ ე ლ ი ს ხეობაში ე ლ ი ა ს მთის აღმოსავლეთ ფერდობის გაყოლებაზე მრავალფენიანი ძეგლი „ლოდობანა“<sup>27</sup> და დაწყობილი „ყანები“; რომლებიც ამფითეატრის მსგავსად დიდ ფართობზე ძველად ნაკეთებ ტერასებს შეიცავს<sup>28</sup>. ამავე თვალთახედვით საინტერესოა სოფ. ა ფ ნ ი ი ს მიდამოებში ადგილი „ნავარძიევი“, რომელიც აღსანიშნავია ხელოვნური ტერასებითა და ენეოლითის ეპოქის ზედაპირული მასალით<sup>29</sup>.

ტერასული სამოსახლოსა და შესატყვისი მეურნეობის ფორმათა დადასტურება შიდა ქართლის ტერიტორიაზეც ვლინდება. მაგალითად, ქალაქი ს ა რ კ ი ნ ე მთის ფერდობზეა შეფენილი; საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ნაგებობანი ტერასებად ყოფილა განლაგებულნი<sup>30</sup>.

ტერასების გამოყენება ქალაქების მშენებლობაში სხვა ობიექტებზეც დასტურდება. ასეთია ნაქალაქარი ს ა მ ა დ ლ ო, რომლის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს სწორედ მისი ტერასული დაგეგმარება წარმოადგენს: ელინისტური დროის ყველა ნაგებობა სამადლო I უბანზე განხორციელებულია წინასწარ შემზადებულ ხელოვნურ ტერასებზე<sup>31</sup>. ხელოვნური პლატფორმა — სუბსტრუქტურა გამოყენებული ყოფილა ნაქალაქარ სამადლოს უძველეს არქიტექტურულ ნაგებობებში, როგორცაა კოშკისმაგვარი ტაძარი, აშენებული არა უგვიანეს ძვ. წ. V საუკუნისა; ელინისტური დროიდან დაწყებული ტერასირებულია უკვე სამადლოს ყველა ფერდობი. აღსანიშნავია, რომ ყველა ტერასა, ისევე როგორც სხვადასხვა დანიშნულების შენობები, ადგილობრივი სამშენებლო მასალითაა ნაგები, რისთვისაც გამოყენებულია თიხაფიქალები, რიყის ქვა, თიხა და ხე<sup>32</sup>.

რელიეფური პირობების შესატყვისად, ტერასები სამადლოში 4,5 მ სიმაღლისა და 5—11 მეტრამდე სიგანისა დასტურდება. საყრდენი კედლები ფერდობის მიმართ განივადაა განლაგებული და ერთი ბოლოთი კლდეს ებჯინება, რომლითაც გრუნტში 0,3 მეტრამდე ღრმავდება (ისევე როგორც ეს სამეურნეო ტერასების მშენებლობაშია საყოველთაოდ მიღებული). შექმნილი მოედნები ქვითაა ამო-

27 შ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ძეგლები ელიას მთის მიდამოებში. სამეცნ. სესიის თეზისები, ქ. ახალციხე 1962 წ., გვ. 25—26.

28 ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

29 ი. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, თ. ლამბაშიძე, არქეოლოგიური დაზვერვები ვარძიის მიდამოებში, (ხელნაწერი).

30 ა. ბ ო ხ ო ჩ ა ი ძ ე, ნასტაქისი, სარკინე, ძალისი, „ძეგლის მეგობარი“, №33, თბ., 1973, გვ. 37.

31 Гагошидзе Ю. М. Самадло, Тбилиси, 1979, с. 53.

32 ი ქ ვ ე, გვ. 54.

ყორილი და მოსწორებული; ამგვარ სუბსტრუქტურებს ემყარება სხვადასხვა დანიშნულების შენობები<sup>33</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოში სამადლო არ არის გამოჩენილი, იგივე პრინციპი დამახასიათებელია ბევრი სხვა ნაქალაქარისათვის, როგორცაა ს ა რ კ ი ნ ე, ბ ა გ ი ნ ე თ ი და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ხელოვნური ტერასები, როგორც ცნობილია, უკვე ძვ. წ. III ათასწლეულშია დადასტურებული<sup>34</sup>. რაც შეეხება ქვისკედლიან სარწყავ სამეურნეო ტერასებს, რომლითაც საქართველოს მთელი მთისწინეთია მოფენილი, ზოგი მათგანი გვიანბრინჯაოს უნდა განეკუთვნოს ან ურარტული ეპოქით დათარიღდეს<sup>35</sup>. მცირე სარწყავი სისტემები ყველგან საქართველოში ასევე ხელოვნურ ტერასებს უკავშირდება<sup>36</sup>.

ტერასებზე განლაგებული ნამოსახლარის კულტურული ფენები შესწავლილია დას. საქართველოს ტერიტორიაზე, მდ. რიონის შუა წელზე. ასეთებია ახვლედიანების გორა, დაბლაგომი, დაფნარი. ასევე სოფ. მთისძირი, რომლის საინტერესო უბანია „ადეიშვილების გორა“, რომელსაც აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეებზე ტერასები დაუყვებია<sup>37</sup>. როგორც აღნიშნულია, „ტერასებზე ნაგებობების ნაშთების დადასტურება გვაძლევს მყარ საფუძველს ვიფიქროთ, რომ აქ სამოსახლოს ნაგებობები (V—IV სს.), ძირითადად, ტერასებზე იყო განლაგებული. ბორცვ-გორების ტერასებზე გამართული იყო გამაგრებული საცხოვრებელი ნაგებობები... ასეთნაირი, ბუნებრივი გორების ტერასებზე განლაგებული სამოსახლოების ნაშთები დადასტურებულია თითქმის მთელ — საჯავახოდან ვანამდე გაკიშულ გორა-ბორცვებზე. ამგვარად ტერასებზე გამართული სამოსახლოები, ჩანს, აზღვრის კოლხეთისათვის ისევე დამახასიათებელია, როგორც ხელოვნურ ბორცვებზე აგებული სამოსახლოები, რომლებიც ბევრია აღმოჩენილი მდ. რიონის ქვემო წელზე და საერთოდ მთელ კოლხეთის

33 ი. ქვე, გვ. 53.

34 Кушнарєва К. Х., Чубинишвили Т. Н. Древние культуры Южного Кавказа Л., 1970.

35 ი. კიკვიძე მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963 ამიერკავკასიაში აქემენიდური ზრანის გრანდიოზული ტერასების პროტოტიპად მიჩნეულია ურარტუს სინამდვილეში დადასტურებული ხელოვნური პლატფორმები, რომლებიც სიმაგრეთა ტერიტორიის გაფართოებასა და ასევე რწყვის და ვენასების მოწყობისათვის იყო გამოიზნული.

36 ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

37 გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982, გვ. 52.



დაბლობზე<sup>38</sup>. როგორც ჩანს, კოლხეთის საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა ბუნებრივ პირობებს (ბუნებრივი ბორცვ-გორების ტერასები) და თვითონაც აქტიურად შემოქმედებდა მასზე. ქრონოლოგიურად ორივე ეს ტიპი თანაარსებობდა, ის მარტო ანტიკური პერიოდისათვის არ არის დამახასიათებელი და გაცილებით ადრე იკადებს კოლხეთის ტერიტორიაზე ფეხს<sup>39</sup>.

ყურადღებას იმსახურებს ასევე კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლარები; მათ შორისაა ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლები. „ისინი წარმოადგენენ ხელოვნურ ბორცვებს, რომლის მოსახლეობას დიდი შრომა და ბრძოლა უხდებოდა ს ი მ შ რ ა ლ ი ს შესაქმნელად და დასაცავად. ასეთი ბორცვები ქმნიდა მათზე განლაგებულ ნაგებობათა ძირის ჩაღრმავებასა და მათი ტერასული განლაგების შესაძლებლობას, რაც აუმჯობესებდა სხვა სტიქიური მოვლენებისაგან თავდაცვას, ქმნიდა დასახლებათა კომპაქტურობას“<sup>40</sup>. ნოსირი-მუხურჩის ძეგლების ყველა ფენაში მრავლადაა ნაპოვნი ხელსაფეკვაები, სანაყები, სასრესები, პურის საცხობად გამოყენებული ბრტყელი რიყის ქვები და სხვ... ამავე ძეგლებზე აღმოჩენილი ხორბლეულის ნაშთები იმის მაჩვენებელია, რომ მარცვლეულ კულტურებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კოლხეთის მიწათმოქმედებაში. ნოსირის ბორცვისა და ტეხურისპირა უბნის ქვედა ფენებში აღმოჩენილია ცალკეული, მცირე გროვების სახით, კარგად დაცული ენდემური ჯიშის ხორბლის მარცვლები — დიკა (tr. carthlicum) და მახა (tr. palaeocolchicum); გარდა ამისა ნაპოვნია ფეტვის მარცვლები<sup>41</sup>. ასეთივე მრავალმეტყველი მნიშვნელობა ენიჭება ვ ა ზ ი ს აღმოჩენას ნოსირის ბორცვზე. ხოლო ყ უ რ ძ ნ ი ს წ ი პ წ ე ბ ი ს ა ს — დიხა-გუძუბა II-ზე<sup>42</sup>.

ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ტერასული მიწათმოქმედება არ არის რომელიმე რეგიონისათვის ლოკალურად დამახასიათებელი ან დაწინაურებული მხოლოდ ერთი ტერიტორიული ერთეულისათვის მოვლენა. ეთნოგრაფიული მონაცემების მეშვეობით, რო-

38 გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 123. აქვე უნდა მიეთითოს, რომ ყველა ტიპის ნაგებობაში ძირითადად გამოიყენებოდა ხის ძელები, თიხა, ნიწა და ქვა. მთელი კოლხეთისათვის ხის ძელებიანი, თხილთა შელესილი ჯარჯვალის ტიპის ნაგებობაა დამახასიათებელი. იქვე, გვ. 123.

39 ი ქ ვ ე .

40 ე . გ ო გ ა ძ ე, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა (ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით), თბ., 1982, გვ. 81.

41 ე . გ ო გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

42 ი ქ ვ ე .

მელიც ეხება საქართველოს ბევრ კუთხეს, ასევე არსებული ცნობების საფუძველზე, შესაძლებელი ხდება მისი ადგილისა და მასშტაბების განსაზღვრა ტრადიციულ მეურნეობაში. საქართველოს ტერიტორიაზე, ტერასული მიწათმოქმედება გავრცელებას პოულობს გარდამავალი ზოლის სარტყელში, მის ყველა რეგიონში. ამაზე მიუთითებენ უძველესი ტერასული კომპლექსები ცხავატისა და ალევის ხეობებში; მესხეთის ტერასები — განვითარებული ასევე ხეობათა მთისწინეთის ზოლში; შესანიშნავი ტერასული კულტურა ვენახისა დადასტურებულია ატენის ხეობაში, მისი შემდინარე ხევებითვე (წეროს, ვერეს, ნათლისმცემლის ხევები) და სხვ. ტერასული კომპლექსები დასტურდება და დამახასიათებელია მთლიანად შიდა ქართლის ხეობათა სარტყელში, მთიულეთ-გუდამაყრისა და დუშეთის მონაკვეთში, ერწოშო, ხევში, ქვემო ქართლში, კახეთში, ქიზიყში. მათი შემონახვის და დაცვის ხარისხი ამ პუნქტებში განსხვავებულია, ეს თავისთავად ართულებს საერთოდ დამახასიათებელი ბევრი ელემენტის გამოვლენასა და დადგენას, რაც ცალკეული მონაცემების შეჯერების მეშვეობით არის განხორციელებული.

ტერასული მიწათმოქმედება დამახასიათებელ მოვლენად იქნა გამოკვეთილი დასავლეთ საქართველოს მთაგორიანი რელიეფური გარემოსათვის. არსებული მონაცემების საფუძველზე შექმნილ ამ დასკვნას განსაკუთრებით აძლიერებს და მატებს საბუთიანობას სამეგრელოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტერასული ფორმები, რომლებიც გეოკლიმატური რეჟიმის ადგილობრივი ხასიათიდან გამომდინარე მოთხოვნილებებს პასუხობენ. ამდენად, საქართველოში ტერასული მეურნეობის სიძველე, მისი საყოველთაო გავრცელება, მისი განსხვავებული სახეობანი (ბაქანი, ლარი), მისი ლოკალური კონსტრუქციები და ბევრი სხვა მონაცემი უფლებას გვაძლევს იგი განვითარებული ნიადაგსარგებლობის, მისი ინტენსივობის მაღალი კულტურის შედეგად მივიჩნიოთ. მ. გეგეშიძე, იხილავდა რა ამ საკითხს ეკოლოგიის თანამედროვე ამოცანების კვლევისას, წერდა: „... ქართული ეთნოგრაფიის წინაშე კარგა ხანია დგას საკითხი, რომელსაც პასუხის გაცემა სჭირდება — რატომ არის რომ საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის ორ მესამედზე მეტი მთაგორიანია, მთური მეურნეობის ტერასული ტიპი ისტორიულად მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში დამკვიდრდა. დანარჩენ მთის კუთხეებში კი, სადაც მიწათმოქმედება თავისთავად ძველთაგანვე მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო ტერასული მეურნეობის ფორმა არ გავრცელებულა. იგი არ იყო დამკვიდრებული ზემო და ქვემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, არც აღმოსავლეთ საქართველოში. მარტო გეოგრაფიული სიმაღლის ფაქტორი აქ ვერაფერს გვეტყვის. სხვა მიზეზების ძებნას კი საბოლოო ჯამში

იქით მივყევართ, რომ ტერასული მეურნეობის ამ მაღალინტენსიური ფორმის წარმოსაქმნელად და დასამკვიდრებლად, რომელიც ჩვენ მესხეთ-ჭავჭავეთის მაგალითზე ვიციტ, საჭირო ყოფილა ბუნებრივი საწარმოო ძალების განსაზღვრული ელემენტების თანაარსებობისა და ადამიანის მიზანმიმართული შრომის საფუძველზე მათი მეურნეობრივი შეთანაწყობა. მეურნეობრივ კეთილშეთანაწყობაში ჩართული ბევრი საწარმოო ელემენტიდან ამ შემთხვევაში მაინც პირველ რიგში მზე და წყალი უნდა გამოვყოთ, მზე გამოსხივების რეჟიმის სპეციფიკითაც უნდა იქნეს განხილული და მოცემულ — გარემოში მზიანი, უღრუბლო დღეების თვალსაზრისითაც<sup>43</sup>, მკვლევარს მიაჩნია, რომ საქართველოს სხვა მთიან კუთხეებშიც შესაძლოა იყო ჩამოთვლილი პირობები ტერასული მეურნეობის აღმოცენებისათვის, მაგრამ ყველა ერთად არა, ან ხარისხობრივად ნაკლები ეფექტის მქონე იყო. იგი მესხეთის ტერასებს ერთგვარი „მეურნეობრივი ექსპერიმენტის“ გამოკვლინებად მიიჩნევს. (მ. გეგეშიძე ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ. 1982, გვ. 143).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დასმულ კითხვას, საკითხის სპეციალური კვლევის ფონზე, რომელიც მთლიანად საქართველოს შეეხება, შეიძლება გაეცეს პასუხი: ტერასული მეურნეობის ტიპი დამახასიათებელ მოვლენად იქნა დადასტურებული მთელი საქართველოსათვის, მისი როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი რეგიონების ტერიტორიაზე, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს ჩაუღრმავდებით, საჭიროდ მიგვაჩნია მივცეთ ზუსტი განმარტება, თუ რომელი კულტურული მცენარე უნდა ყოფილიყო ტერასული მიწათმოქმედების მთავარი ობიექტი (რომლის სამეურნეო პოტენციალი აღემატებოდა ყველა დანარჩენს). ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების გათვალისწინებით, ამ კულტურად ვაზი უნდა იქნას მიჩნეული. იმისათვის, რათა ამ თეზისის საბუთიანობა გავაძლიეროთ, მოკლედ შევეხებით ვაზის კულტურის გარშემო ზოგ მონაცემს.

საქართველოში ვაზი უძველესი კულტურაა. მის ტერიტორიაზე კულტურული მევენახეობის სათავე ენეოლითის ხანაშია ნავარაუდები. ადამიანი ვაზის ნაყოფს ჯერ საქმელად, ხოლო უფრო გვიან, ღვინის დასამზადებლად იყენებდა. ნ. ვავილოვს წინა აზია მიაჩნია კულტურული ვაზის სამშობლოდ, სადაც იგი აქამდეა დადასტურებული ველურ პირობებში<sup>43</sup>. ამიერკავკასია კულტურული ვაზის წარმოშობის ერთ-ერთი ცენტრია. სპეციალური ლიტერატურით ირკვევა, რომ კავკასიას, და განსაკუთრებით საქართველოს კულტურული ვაზის

<sup>43</sup> Н. И. Вавилов, Селекция как наука, т. I, сборник, М.—П., 1935, с. 42.

წარმოქმნაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამას ხელს უწყობდა მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი: შესაფერისი ბუნებრივი პირობები, ზომიერი კლიმატი, მთის რადიაციის ხარისხი, ნალექების რაოდენობა, ტენიანობა, ნიადაგური საფარი და სხვ. საქართველო განსაკუთრებით მდიდარია გარეული ვაზით, ასევე მისი გარდამავალი ფორმებით. კოლხეთის ტყეებში, აღმოსავლეთ საქართველოში, მტკვრისა და მისი შენაკადების ქალებში გავრცელებულია კულტურული ვაზის წინაპრის უახლოეს მონათესავე — იგი განსაკუთრებით ხშირია მდინარეთა ხეობებში და გარდამავალი ზონალობის ტყის არეში (1500—1800 მ-მდე ზ. დ)<sup>44</sup>. როგორც პ. ჟუკოვსკი მიუთითებს, — „დას. საქართველოში მისი სიმრავლეა აფხაზეთში, სამეგრელოში, აჭარაში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, განსაკუთრებით მუხისა და წაბლის ტყეებში... აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია უმეტესად მდინარეთა მოსაზღვრე ტყეებში — ლიახვის, ქსნის, არაგვის, ალაზნის, იორის, თეძმის, ხრამისა და სხვა ხეობებში“<sup>45</sup>. იხილავს რა ყურძნის წარმოშობის პირველადი კერებისა და დღემდე იქ დატული აბორიგენული ჯიშების საკითხს, პ. ჟუკოვსკი, ნეგრულის მონაცემებზე დაყრდნობით, მათი ფორმების რაოდენობაზე მიუთითებს: აბორიგენული ჯიშები დადასტურებულაა საქართველოში 400-ზე მეტი, აზერბაიჯანში — 200-ზე მეტი, სომხეთში — 90, შუა აზიაში — 200, მოლდავეთში — 30, ყირიმში — 50<sup>46</sup> და სხვა.

ივ. ჭავჭავაძის მიერ 413 ვაზის ჯიშია აღნიშნული საქართველოსათვის; ამპელოგრაფიული ლიტერატურით იგი აშკამად 500-ზე მეტია. საქართველოს ვაზის ჯიშობრივი მრავალფეროვნების შექმნას აპირობებდა მისი რელიეფისათვის დამახასიათებელი ცვალებადობა მცირე მოცულობის ფარგლებში, რაც არსებითად მოქმედებდა მის სიმრავლეზე. ეკოლოგიური პირობების ხშირი ცვალებადობის შესაბამისად, საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავდა და ჩამოყალიბდა მიკრორეგიონალური რეჟიმის პირობებით განსაზღვრული ვაზის დიფერენცირებული ასორტიმენტი, რომელიც არ სცილდებოდა პირველ წარმოშობის ადგილს, მისთვის სპეციფიკურ გარემოს. ვაზის ჯიშების ასეთი თავმოყრა მევენახეობის ცალკეული რაიონების მიხედვით, სრულ უფლებას გვაძლევს მივიჩნიოთ ისინი კახეთის, იმერეთის,

<sup>44</sup> ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960, გვ. 1.

<sup>45</sup> П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, М. 1959, с. 376.

<sup>46</sup> იქვე; გვ. 380.

ქართლის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, აფხაზეთის, აჭარისა და სხვა რაიონების ვაზის ადგილობრივ ჯიშებად; ეს ჯიშები ხანგრძლივი ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის წყალობით კარგად შეეჯუნ თავისი გავრცელების პირვანდელ რაიონს და ამრიგად მოაღწიეს დღევანდლამდე<sup>47</sup>.

საქართველოს მევენახეობის ისტორიის იმ პერიოდზე, როდესაც დამწერლობა არ არსებობდა, ან ვერ მოაღწია ჩვენამდე, არქეოლოგიური ძიებით გამოვლენილი მასალები მიუთითებენ: ყურძნის დასამუშავებელი მოწყობილობანი, სხვადასხვა ფორმისა და ზომის თისა-ქვევრები, ქვაში ნაკვეთი საწნახლები, მრავალრიცხოვანი ღვინის ჭურჭელი, ქვევრის ძირში დაცული ვაზის წიპწები და ბევრი სხვა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები გარკვევით მიუთითებენ მიწათმოქმედების დარგების განვითარებასა და მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საზოგადოების ჩამოყალიბებისა და წინსვლის პროცესში<sup>48</sup>. დიდი მნიშვნელობისაა ასევე სხვადასხვა ხალხებში დაცული ლეგენდები და თქმულება-გადმოცემანი ვაზის კულტურის წარმოშობისა და მისი გავრცელების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა გ. ჩიტაიას მიერ აღნიშნული საკითხის მოცემულ ჭრილში განხილვის დროს მოხმობილი ირანული და ებრაული გადმოცემები, რომელთა მიხედვით ვაზის კულტურის წარმოშობის სამშობლოდ ამიერკავკასიაა მიჩნეული<sup>49</sup>. ამავე დროს მნიშვნელოვან მონაცემებს გამოავლენს ყოფაში შემონახული ცნობები, რომელთა დადგენა და შესწავლა ქართველი ეთნოგრაფების მიერ რეგიონალურად წარმოებს. ამ ძიებით დადასტურებულია მრავალი ჯიშის და სახეობა, ვაზის მოვლა-პატრონობის, ვენახის გაშენების, გამრავლების, დაცვის წესები. როგორც ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის — მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგან უცილობლად საქართველოც უნდა იყოს მიჩნეული.

მევენახეობა თავის არსებობას იწყებს მას მერე. რაც იგი კულტურული მევენახეობის სახეს იღებს და ხელოვნურად მრავლდება ადამიანის საცხოვრებლის სიახლოვეს, კულტურულ მევენახეობაზე გადასვლა მოხდა ისეთ ადგილებში, განსაკუთრებით შდინარეთა სა-

<sup>47</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბ., 1935.

<sup>48</sup> ძვ. წ. VI საუკუნიდან საქართველოს ახლანდელ ტერიტორიაზე ჩნდება „ქვევრსამარხები“. ამ წეს-ჩვეულების ფართო გავრცელება მიუთითებს ანტიკურ საქართველოში მეღვინეობის განვითარების მაღალ დონეზე — საქართველოს, არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 236.

<sup>49</sup> გ. ჩიტაია, ძველი ლეგენდები ვაზის კულტურის წარმოშობის შესახებ, „ქეგლის მეგობარი“, № 16, თბ., 1949.

ნაპირო ზოლში, სადაც ამისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო და მჭიდროდ დასახლებული სოფლები არსებობდა<sup>50</sup>. სწორედ ასეთ გარემოს წარმოადგენდა მთისწინა ზოლი, რომელიც მევენახეობის კულტურული ფორმების აღმავლობის პერიოდში მჭიდროდ ჩანს დასახლებული (ეს პერიოდი არქეოლოგების მიერ II—I ათასწლეულების მიჯნას განეკუთვნება).

საქართველოში დადასტურებული ვაზის კულტურის ეტაპობრივი ფორმები (მაღლარი, ოლიხნარი დაბლარი) მიუთითებს მისი მოშინაურებისა და კულტურული სახეების ჩამოყალიბების ხანგრძლივ პერიოდზე ენეოლითის დასასრულიდან მიწათმოქმედების განვითარების ვიდრე იმ ხანამდე, როდესაც მიწათმოქმედება უკვე მალალ სფეროზეა ასული.

როგორც ი. კიკვიძე აღნიშნავს, ადრეანტიკურ ხანაში ქართლში ინტენსიური ცხოვრება კვლავ მთისძირა ზოლშია. ვენახის კულტურაში შეყვანის, მისი საყოველთაო გავრცელებისა და ჭიშთა წარმოქმნის პროცესი საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებასთან, მის აღმავლობასთან არის უშუალო კავშირში. მიწათმოქმედების ინტენსივობის გაზრდა, რომელიც მარცვლეული კულტურების განსხვავებული ფორმებისა და ჭიშთა შექმნა-სრულყოფაში შედგენდებოდა, მევენახეობის როლის გაზრდაშიც გამოიხატებოდა, რომელსაც მიწის საუკეთესო ნაკვეთები უნდა დაეჭირა.

ვენახისა და ბაღის განვითარება, ბუნებრივია, საყანე ნაკვეთებზე ხარჯზე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს უკანასკნელი არსებობისათვის იმდენად მთავარი და აუცილებელი პროდუქტების შემცირებას განიწვევდა, რასაც არავინ შეეგუებოდა და არც იყო მიზანშეწონილი. ამდენად, საყანე ნაკვეთების სავენახეებად შეცვლა ბუნებრივად აყენებდა დღის წესრიგში აუცილებლობას, პირველის დაუზარალებლად განხორციელებულიყო მეორის გაზრდა და გაფართოება. ეს უნდა მომხდარიყო სამიწათმოქმედო სავარგულების გაზრდის მეშვეობით; რადგან ვენახის ინტენსიური მოშინაურება და მისი კულტურის წინსვლა რწყვის გარეშე გაძნელებოდა, ახალი სარწყავი საშუალებების გამოჩნებისა და არსებულის გაზრდის საჭიროება იქმნებოდა. მოსახლეობის ზრდას და მეურნეობის ინტენსიფიკაციას მიწის სულ ახალი და ახალი ფართობი უნდა მოეთხოვა. ამ ფართობის ძიებაში მიწათმოქმედნი უნდა მიდგომოდნენ ბარს<sup>51</sup>.

<sup>50</sup> ნ. კეცხოველი, ნ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 25.

<sup>51</sup> ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში თბ. 1976, გვ. 121.

ამ პერიოდში ირიგაციას, მთისძირა ზოლის დასახლებისათვის, მარტივი ხასიათი ჰქონდა და არ შეეძლო მოეცვა მთელი მიწათმოქმედება, ის ნაკადულებითა და ხევის წყლებით რწყვას ჯერ არ გასცილებია. სარწყავი ნაკვეთების გვერდით არსებობდა ურწყავი ნაკვეთები, რომლებზეც მიწათმოქმედება არანაკლები ინტენსივობით წარმოებდა მათთვის შესაფერისი ჯიშების შერჩევისა და თესლბრუნვის განხორციელების მეშვეობით; ამისი დადასტურება ეთნოგრაფიულ ყოფაში შესაძლებელი ხდება.

ბარის ინტენსიური ათვისება შეუძლებელი იყო დიდი საირიგაციო მშენებლობის გარეშე. მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბარი მშრალი კლიმატის შემცველია. მის უმეტეს ნაწილში სინოტივის დეფიციტი საგრძნობია, ისე რომ მევენახეობის გარდა მემინდვრობაც სარწყავი წყლის გარეშე ექსტენსიურია. ცხადია აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მიწათმოქმედება მთლიანად განსაზღვრული იყო ირიგაციით. ამიტომ ბარის ინტენსიური დასახლება გვიან იწყება, უკვე აღრეკლასობრივი საზოგადოების პირობებში, როდესაც დიდი მასშტაბის სამუშაოების საორგანიზაციოდ შესაბამისი ინსტიტუტი არსებობს<sup>52</sup>. ბარის ათვისების პროცესში სარწყავი წყლის დიდი ნაწილი ვენახებს უნდა წაეღო, რაც სავსებით ბუნებრივია. შემდგომ დიდი ველების სარწყავად ათვისებას ქართული საისტორიო ტრადიცია სწორედ ვენახებს უკავშირებს<sup>53</sup>, რომ ვენახი იყო უპირველესა, ახლად ათვისებულ მიწებზე გაშენებულ კულტურათა შორის, და ამ მიწების დიდი ნაწილი ეჭირა, კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალებიდან, რომლებიც საშუალებას იძლევიან საქართველოს ბარის სარწყავი სისტემების მშენებლობაზე დაკვირვებისა. მაგალითად, შიდა ქართლის ვაკე სამი დიდი ველით არის წარმოდგენილი — დოღლაურის, ტირიფონის და მუხრანის, რომლებიც სარწყავად ძნელად ასათვისებელი ობიექტებია და რუსხმულებით არის განხორციელებული.

მოტანილი მცირე მიმოხილვა ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა გარემოში ხდებოდა ვაზის კულტურის მოშინაურება და მისი შემდგომი განვითარება. თუ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვაზის კულტურაში შემოსვლის პერიოდში მიწათმოქმედებისა და ადამიანთა ცხოვრების მთავარი არეალი მთისწინა ზოლია, მაშინ ლოგიკურად იქმნება შესაძლებლობა ტერასული მეურნეობის გავრცელება დაუკავშიროთ პერიოდს მთისწინეთის ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის აღმავლობისა. ვაზი მრავალ-

52 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

53 იკვე, გვ. 116.

წლიანი კულტურაა. მის მოშენებას გარკვეული ნიადაგობრივი და კლიმატური შეხამების მქონე ბუნებრივი გარემო ესაჭიროება; მაგრამ ხშირად, ამგვარად შეზავებული რელიეფური პირობები ტეროტორიის ძლიერი დახრილობის გამო არ იძლევა ვენახის გაშენებას შესაძლებლობას. ამიტომ, საჭირო ხდება არსებული მიკრორეგიონალური პირობების შესატყვისად მისი ტერასული ფორმით ათვისება. აქვე უნდა მიეთითოს, რომ ამის მაგალითი თვით ბუნებაში არსებობდა და როგორც აღვნიშნავდით, მისი გამოყენება საცხოვრებლისათუ სამეურნეო ნაკვეთების მოსაწყობად ადრეულ ეპოქებშიც დასტურდება. გარდა ფერდობისა და მთის კალთების ათვისების საჭიროებით შექმნილი აუცილებლობისა, რომელიც ვაზის გასაშენებლად იყო გამიზნული, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ მთა-გორების წყლით მომარაგებას წყარო ნაკადულების სახით, რაც ბუნებრივად უკვე იყო განხორციელებული. ამგვარად ახლად შექმნილი ტერასული უბნისათვის წყლის მიწოდება დიდ სიძნელეს არც შეხვდებოდა (ამას კარგად ასახავს ეთნოგრაფიული მასალა); აქვე უნდა გავსვა ხაზი იმასაც, რომ ბარის ინტენსიური ათვისების დროს მიმდინარე საირიგაციო მშენებლობა (რომელიც როგორც ინჟინრული ნაგებობას რთული ობიექტი მრავალი ტექნიკური დეტალის სირთულით ხასიათდება) დიდი მასშტაბით ვერ იქნებოდა განხორციელებული, რომ არ ყოფილიყო საამისოდ არსებული ფართო და ხანგრძლივი გამოცდილება. ამის კარგი მაგალითია მესხეთი, სადაც ამირანის გორაზე გამოვლენილი ადრეული ეპოქების ტერასული კულტურა მის შემდგომ სამეურნეო პრაქტიკაში უკვე განვითარებული სახით გამოყენების ფაქტთან უშუალო კავშირში უნდა განვიხილოთ.

ამდენად, ტერასული მიწათმოქმედება თავისი აღმოცენების საწყისი ეტაპიდან გაქრობის პერიოდამდე უშუალოდ ჩანს განპირობებულ ვაზის კულტურისათვის შესაფერისი გარემოს ათვისების, შექმნის საჭიროებით. მხოლოდ ისეთი რანგის კულტურულ მცენარეს, როგორც ვაზია, შეეძლო მოეხვეჭა ის უზარმაზარი პრესტიჟი და აღიარება, რითაც იგი არა მარტო ძლიერი მეურნეობრივი პოტენციალის მქონე, არამედ თაყვანისცემის ობიექტიც გახდა<sup>54</sup> და შეიძლებოდა დასთმობოდა საქარველოში ადამიანის კოლოსალური შრომის შედეგად შექმნილი ხელოვნური სავარგულები, რომელთა გავერანებული ნაშთი დღეისდღეს ყველაზე რელიეფურად მესხეთს შემორჩა.

<sup>54</sup> Бардавелидзе В. В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, с. 57.



დავებრუნდებით დასმულს კითხვას, თუ რამ გამოიწვია ამ რეგონისათვის (მხოლოდ მისთვის) ტერასული მეურნეობის შემონახვის ამგვარი სურათი. ჩვენი აზრით, ამისი პასუხი უნდა ეძიოთ იმავე ბუნებრივ-სამეურნეო პირობების ლოკალურ-რეგიონალურ თავისებურებაში, რომელიც საქართველოს ცალკეულ კუთხეს გააჩნია. საქართველოს ყოველი რეგიონის შიგნით არსებული სამეურნეო ცხოვრება შეპირობებულია მთლიანად რეგიონისათვის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების ხასიათით და მის ადგილობრივ კანონზომიერებას ემყარება. ყოველ მათგანს მთა ბარობის ადგილობრივი, რეგიონისშიგნითა რეჟიმი გააჩნია. იმ პერიოდში. როდესაც ვენახის კულტურამ საქართველოს ბევრ რეგიონში (აღმ. და დას. საქართველოს მევენახეობის ტრადიციული ყველა რაიონი) განიცადა ზონალური მიგრაცია და მთისწინეთიდან დაბლობში, გაშლილ ვაკეებში გადაინაცვლა, მისი ტერიტორიის ლოკალურ მონაკვეთებში ამგვარ მიგრაციას, განსახლებას არა ჰქონდა ადგილი, მისი რელიეფური გარემოს თავისებურებისა და შეზღუდულობის გამო. ამის მაგალითად. მესხეთის გარდა, თამამად შეიძლება დავასახელოთ ქსნის ხეობის განსახლებული მონაკვეთი, არაგვის ხეობა და ხევის ტერიტორიულ-ეთნიკური რეგიონი; შიდა ქართლში ატენის ხეობა და ბევრი სხვა. ასე რომ, საქართველოს ბარის ფართოდ ათვისების პერიოდში, რომელიც ქვეყანაში ზოგადად მიმდინარე პროცესია, ამ განსახლებამ ცალკეულ ლოკალურ გარემოში თავისებური ხასიათი მიიღო. მესხეთა, კერძოდ მისი ტერიტორია, სადაც ტერასების ინტენსიური კულტურა დასტურდება ამგვარ შესაძლებლობას მოკლებული აღმოჩნდა. თავისი რელიეფის ხასიათიდან გამომდინარე მესხეთის ტერასული უბნები განლაგებულია მტკვრის ხეობაში და მისი შემდინარე დიდ-პატარა ხეობების ტერიტორიებზე. ამ ხეობების ამგებ მთათა ხასიათი, მათი სტრატეგია და მთლიანად მიწა-წყლის ეს მონაკვეთი, მხოლოდ ფერდობის ათვისების მეშვეობით მიღწეულ მიწათმოქმედებას ითვალისწინებს მის უმეტეს ნაწილში და მით უმეტეს მევენახეობას, მხოლოდ ფერდობის მევენახეობის სახით. მტკვრისა და მის მეზობელ მცირე ხეობებში ტერასული მევენახეობის გავრცელების ზოლში, ვახის ადგილობრივი ჯიშები მაღალმთის კულტურას განეკუთვნება და ზონალურად ვენახის მაღალი სარტყლის კუთვნილებას წარმოადგენს. მესხეთში, მტკვრის ხეობის იმ მონაკვეთში, სადაც ტერასული მევენახეობის ინტენსიური გავრცელებისა და ღვინის წარმოების კერებია დადასტურებული, მიწათმოქმედებისათვის სხვა რელიეფური რეზერვი არ არსებობს ტერიტორიის მთაგორიანობისა და მკვეთრად დასერილი მდებარეობის გამო. ამდენად, ისტორიულად მიმდინა-

რე, მთისძირიდან ბარში კულტურათა მიგრაციის პროცესი, მესხეთში ვერ განხორციელდებოდა საქართველოსათვის ზოგადად დამახასიათებელი ფორმით, რადგანაც მესხეთის მიწა-წყლის ამ ნაწილში მისი მთის წინეთი, ამავე დროს მისი ბარიციუო.

გარდა ამისა, მესხეთის ტერასული მევენახეობის უბანი თავისი მეურნეობრივი პროფილით, (მიმართებით შესატყვისობაში) ბარული ხასიათის მატარებლად გვევლინება და მთლიანად, რეგიონის ტერიტორიის იმ ნაწილისათვის, რომელიც მოკლებული იყო როგორც მევენახეობის, ასევე მებაღეობა-მებოსტნეობისა და რიგი სხვა დარგის განვითარების პირობებს, ბარს წარმოადგენდა, ამის მაგალითია მესხეთის ტერიტორიის მაღალ ზონალურ არეში მოქცეული ჭავახეთი, რომელიც ისტორიულად თავისი ბუნებრივი გარემოს თავისებურებათა ხასიათიდან გამომდინარე, შედარებით მდორედ ვითარდება; აქ „ფეოდალიზაციის პროცესიც უფრო შეზღუდულ ხასიათს ატარებს ვიდრე მის „ბარში“ (ხერთვისი, თმოგვი, ტოლოში, სარო...), რომელიც თავისი მევენახეობა-მეხილეობით, მებოსტნეობით, შედარებათ ნაკლებმიწიანობის პირობებში მაღალგანვითარებული ტერასული მეურნეობით ქმნიდა პირობებს ფეოდალური საგვარეულოების სამამულო მფლობელობისათვის... შემდგომი, ახალმოსულნიც ძველი ფეოდალური სახლების ნაოხარს უფრო ეტანებიან, ვიდრე ჭავახეთას ზევანს. იქ მათ საძოვრები, სათიბები და სახნავები ჰქონდათ, მაკრამ რეზიდენციებს კი მტკვრის ხეობასა და მის შენაკად ხეობებში იტოვებდნენ“<sup>55</sup>.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, მესხეთს არ გააჩნდა ტერიტორიის ის შესაძლებლობა, რომ მისი ვენახის კულტურა ვაკის, გაშლილი მინდვრების ათვისების ხარჯზე მათა ტერასულ უბნებს ჩამოშორებოდა და ზვრებში განვითარებულიყო ფართო მასშტაბით. სწორედ ამის გამო მესხეთში ვაზის ტერასული კულტურა კვლავ განაგრძობდა არსებობას, სხვაგან კი მან დაკნინება განიცადა. მაშინ როდესაც მევენახეობა საქართველოში და, საკუთრივ ქართლში, უკვე ბარისათვის საყოველთაოდ დამახასიათებელი და ინტენსიური კულტურა გახდა, მესხეთში იგი კვლავ ტერასულ ხასიათს ატარებდა (მხოლოდ ამ სახით ინარჩუნებდა ვენახი აქ არსებობის შესაძლებლობას). ამიტომაც მესხეთში ტერასულმა მევენახეობამ სხვასთან შედარებით ხანგრძლივად შემოინახა თავი და საუკუნეთა მანძილზე კვლავ ფუნქციონირებდა, სხვაგან კი, კულტურის ბარში მიგრაციის ფართო მასშტაბების გამო, აღრინდელი მნიშვნელობა და ხვედრითი წონა უკვე დაკარგული ჰქონდა. შემდგომ, როდესაც საქართველოში მევენახეობა უკვე ბარისათვის ზოგადად დამახასიათებელი ინტენსიური კულ-

<sup>55</sup> დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

ტურა სულ უფრო მეტ გასაქანს იღებდა და ხალხური სელექციით გამოყვანილი ახალი ჯიშებით მდიდრდებოდა, ამ დროს მესხეთში იგი კვლავ ტერასული ფორმით განაგრძობდა არსებობას, რაშიც მდგომარეობს მისი თანდათანობითი დაკნინებისა და შემდგომ სრული განადგურების მიზეზი.

დროთა მანძილზე, ახალი ფორმაციული ეტაპებისა და მათგან გამოწვეული ძვრების შედეგად, ტერასული მევენახეობის კულტურას საფუძველი გამოეცალა და მასიური ზონალური მიგრაციის დამო მხოლოდ ოაზისური ფორმით განაგრძობდა არსებობას. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მესხეთში ვენახის ზონალური მიგრაციის შესაძლებლობა არ არსებობდა, ფერდობის დამუშავება აღარ იყო რენტაბელური, ვაზი კი ისევ მხოლოდ ფერდობის მევენახეობად რჩებოდა, — ამან შეაპირობა ის გარემოება, რომ მესხეთში ვაზის, ვენახის კულტურა მთლიანად განადგურდა და აბორიგენული ჯიშებით მდიდარი, წალკოტად ყოფილი კუთხე მევენახეობის მამოწმებლ ნანგრევებად გადაიქცა.

ინტერესს იმსახურებს აგრეთვე ტერასების გავრცელების საკითხი სვანეთში. — შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ იგი ადგილობრივი მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებლად? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნიადაგის ტერასირება (თუ მისი ელმენტები) სვანეთისათვის უცხო არ იყო. მათი ეთნოგრაფიული ფიქსაცია ამჟამად დიდ სიძნელეებს უკავშირდება. გასული საუკუნის ბოლოს ქვ. სვანეთში (ჩოლურის თემი) ა. დოლგუშინის მიერ დადასტურებული იქნა ტერასული სამეურნეო უბნები, რომელთაც იგი შემდეგნაირად აგვაწერს: „...ზოგან ვიწრო ხეობა ფართოდება, სადაც განლაგებულია სოფლები, რომელთაც სახნავ-სათიბები ეკვრის. ჩვენ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაეინახეთ, რომ ხეობის ორივე მხარე ასეთ ადგილებში სწორ ტერასებად ეშვება და თითოეულის ნაპირი გულდაგულ ქვითაა ამოშენებული. უკიდურესი იყო ჩვენი გოცება მაშინ, როცა გავიგეთ, რომ ყველა ეს ტერასა ხელოვნურია. მოაქვთ ნიადაგი ამ ნაკვეთებზე, და ადრე სრულიად გამოუყენებელა ფერდობები გადაქცეულია საუკეთესო მიწადრებად, სადაც თესვენ სიმინდს, ფეტვს, ხორბალს, ხოლო მაღალ კალთებზე — ქერსა და ჭავჭავს“<sup>56</sup>.

საკითხის კვლევისათვის საყურადღებოა აგრეთვე ე. კალვეიტის მიერ ზემო სვანეთის სოფლის მეურნეობის აღწერა, რომელიც საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. სახნავ-სათესი ნაკვეთების დახასია-

<sup>56</sup> Долгушин А. Л., Через Сванетию к Эльбрусу, СМОМПК, 1900. с. 146—147.

თებისას ნათქვამია: „...სახნავე მიწები განლაგებულია მდინარეთა ხეობებში სწორ მონაკვეთებზე და უახლოესი მთების ფერდობებზე, რომელთაც სამხრეთის მდებარეობა აქვთ და მზიითა და სითბოთი კარგად არიან მომარაგებული“<sup>57</sup>. შენიშნულია აგრეთვე შემდეგი გარემოება — „სახნავე ნაკვეთები გზის მხრიდან მუდამ შემოსაზღვრულია ქვის მშრალი წყობით ნაგები ზღუდით ან წნულით. ამისათვის საჭირო კვამ ნაკვეთიდანვეა ამოკრეფილი და ნაწილიც უახლოესი ადგილებიდან მოაქვთ“<sup>58</sup>.

სვანური კავის დახასიათებისას, ავტორი მიუთითებს დამუშავებული მიწების მდებარეობაზე, რომელთაც ბევრგან ძლიერი დახრილობა აქვთ<sup>59</sup>, რითაც განპირობებულია ნიადაგის დამუშავების ხასიათი — „ფერდობზე, სადაც ხენა უხდებათ თითქმის ჰორიზონტალურად. საჭირო ხდება კვალის გაყვანა სახვნელის ჯერ მარჯვნივ და მერე მარცხნივ გადაწვენის მეშვეობით... ისე რომ ფერდობზე ხენა ორ პარალელურ — საწინააღმდეგო მიმართულებით წარმოებს და კავის მუშაობა საბრუნავი გუნთით მუშაობას გვაგონებს“<sup>60</sup>.

როგორც ცნობილია, სვანეთში საყანე მიწები არ ირწყვება, სარწყავია მხოლოდ სათიბი. ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენს სვანეთში სათიბი მიწების სახელწოდება ლ ა რ - ლ ა რ ე . ლ ა რ ი საქართველოში ზოგადად გავრცელებული მემინდვრეობის ტერასული ფორმის აღმნიშვნელი ტერმინია და სვანური ლარეც მასთან გარკვეულ მიმართებაში უნდა იყოს.

როგორც აღრეც მიკუთითებდით, ტერასირების ტრადიცია დამახასიათებელია საქართველოს მთური რეგიონებისათვის და მქლავნდება როგორც მისი დასახლების ფორმაში, ასევე სამეურნეო ნაკვეთების ტერასებად მოწყობაში (თუშეთი, ხევსურეთი, ხევი, მთის რაქა, აქარის მთიანეთი...). მაგრამ მთიანეთში მას ფართო მასშტაბებისათვის არ მიუღწევია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზომიერი სარტყელის არეში. მთის პირობებში ტერასირება მარცვლელი კულტურების ინტერესებს ემსახურებოდა და გარკვეულ პერიოდში მეურნე-

<sup>57</sup> Кальвейт Э. М., Очерк сельского хозяйства Верхней Сванетии—ЗКОИРГО, кн. XXVI, Тифл. 1911, с. 8.

<sup>58</sup> Кальвейт Э. М., იქვე.

<sup>59</sup> ბერია საყანე თუ სათიბი 40—45° დახრილობისაა.

<sup>60</sup> Кальвейт Э. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

ობის ინტენსივობის გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მიწათმოქმედების მასშტებებისა და სამიწათმოქმედო კულტურის აღმავლობამ მემინდვრეობის სარბიელი მკვეთრად გაზარდა და მას ახალი რესურსები შესძინა. ტრადიციული წესი ტერასათა მოწყობისა გარკვეული დროიდან მემინდვრეობაში არახელსაყრელად იქნა მიჩნეული, ხოლო მთიდან ბარისაკენ მიგრირების პროცესის ზრდამ მათი სრული დაკნინება გამოიწვია.

ნიადაბსარბებლოვის ტრადიციული საშუალებები  
და თანამედროვეობა

მონოგრაფიაში განხილული პრობლემები, რომელთა კვლევა ტრადიციული მიწათმოქმედების ბევრ მნიშვნელოვან მხარეს წარმო-ჩენს, თანამედროვეობასთან უშუალო მიმართებაში იმყოფება. მე-20 საუკუნის დასასრულს, კაცობრიობის წინაშე ყველაზე მტკიუნულ ამოცანად დედამიწის ეკოლოგიური სტაბილურობის დაცვისა და შენარჩუნების საკითხი დადგა. მზარდი ეროზიების გავლენით წლითწლობით იკარგება ასეულობით ჰექტარი მიწის ფართობი, დეკრადაციას განიცდის ლანდშაფტი და მისი მთავარი, არააღგენადო კომპონენტი — ნიადაგური საფარი. ამ პროცესის შეჩერებას ადამიანთა აქტიური ჩარევა ესაჭიროება. ამიტომ თანამედროვე თაობათა სადღეისო ამოცანაა გამოიხილოს სათანადო საშუალებანი ტექნიკური პროგრესით გამოწვეული ბუნებათსარგებლობის მავნე შედეგებისა და, რაც მთავარია, მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისათვის.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 და 2000 წ-მდე პერიოდის მიმართულების, პროექტში დასახულია, რომ მოსახლეობის საარსებო საშუალებათა უზრუნველყოფის რეალიზაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გზით უნდა განხორციელდეს. ჩვენ არა გვაქვს თავისუფალი მიწება. ამიტომაც უკვე არსებული რესურსების ხარჯზე უნდა გატარდეს საწარმო-ეკონომიკური ეფექტის მიღწევა; პროგრესული, რაციონალური მეთოდების გამოყენებით, მიწათმოქმედების პროდუქტიულობის ამაღლებით, მისი ტექნიკური და სამეცნიერო ბაზის სრულყოფით უნდა მივალწიოთ დასახულ მიზანს.

ტრადიციული მიწათმოქმედების მრავალსაუკუნოვანი ცოდნის მარაგი ბევრი სასარგებლო და სამეურნეოდ ეფექტური ღონისძიებების შემცველია. მათი შესწავლა და ათვისება სისტემური მიდგომით უნდა განხორციელდეს, რაც მეურნეობის ძირითადი პროფილის სტაბილურ დარგებშია წარმოდგენილი და გარკვეული მოდელირების შესაძლებლობას ქმნის. ხალხის შრომითი გამოცდილება ცოცხალი

ფუნქციის მქონე დღევანდელი სოციალური მოვლენა, რომელსაც სპეციალური შესწავლა სჭირდება<sup>1</sup>, როგორც ბ. ანდრიანოვი მიუთითებს — „ეთნოგრაფის მოვალეობაა — მიაქციოს ყურადღება მთურა სამიწათმოქმედო მეურნეობის განსაკუთრებით სასარგებლო და პრაქტიკულ ჩვევებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ეთნოგრაფი სწავლობს არა მხოლოდ სამუზეუმო უნიკუმებს, არამედ ხალხურ საწარმოო გამოცდილებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სოციალისტურ მეურნეობაშიც“<sup>2</sup>.

ამრიგად, გარდა მეცნიერული ღირებულებისა, ხალხური ტრადიციით შემონახული ნიადაგსარგებლობის წესებისა და საშუალებათა შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული ღირებულებით უნდა შეფასდეს. მთაგორიანი რელიეფის პირობებში ბევრია ისეთი ფართობი, რომელიც სათანადო ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ შეიძლება კვლავ იქნას ათვისებული და გამოყენებული. აქ, ხალხური გამოცდილების გამოყენების გარეშე გაძნელება ეფექტური ღონისძიებების გამონახვა და მათი პრაქტიკული განხორციელება. გათვალისწინებას საჭიროებს აგრეთვე საქართველოს ცალკეული კუთხის მიკრორეგიონალური თავისებურებანი, რომელთა გამოვლენა შესაძლებელს გახდის სათანადო ეფექტური ღონისძიებების შემუშავებას და მათ გატარებას ტექნიკის თანამედროვე ღონის პირობებში.

ტრადიციულ მეურნეობაში მიწის დამუშავება მის მოვლასაც ითვალისწინებდა. იმისათვის, რომ მთიანი ქვეყნის ძნელად ასათვისებელ რეგიონალურ პირობებში მიწათმოქმედების ინტენსივობა გაეზარდათ, საჭირო იყო სათანადო რაციონალური მეთოდების გამომუშავება და მათი სიზუსტით დაცვა, რაც საუკუნეთა მანძილზე ივსებოდა ახალი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე მიგნებული ახალი ღონისძიებებით, რომელთა გამოყენება არსებული მიწის ფონდის სტაბილური, უდანაქარგო ექსპლუატაციის შესაძლებლობას ქმნიდა. ამისათვის კომპლექსური მიდგომით იყო შეფასებული როგორც სახნავი ნაკვეთების თვისებები, ასევე სამეურნეო კულტურათა ხასიათი და მათი ბიოლოგიური მახვენებლები. ხალხური ცოდნის შედეგია ისიც, რომ ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად ჰქონდა ადგილი კულტურათა განლაგებას და მისგანვე გამომდინარე, დასამუშავებელი იარაღებისა და აგროტექნიკური საშუალებების დიფერენცირებული გამოყენების პრაქტიკას. ფართოდ იყო დანერგული მრავალი ეფექტური ღონისძიება — ნიადაგების დასვენება, გა-

<sup>1</sup> მ. გეგეშაძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1982, გვ. 143.

<sup>2</sup> А н д р и а н о в Б. В., СЭ, №1, 1978, с. 177.

ტყიანება, განოყიერება, თესლობრუნვა, მორწყვა, ჰარბწყლიანი ნიადაგების დაშრობა, ეროზიისაგან დაცვა და სხვა<sup>3</sup>.

დღეისათვის, როდესაც ქიმიზაციის მეშვეობით ნიადაგების ექსპლოატაციის ახლებური ფორმები მოქმედებს, ხალხური ტრადიცია დავიწყებას მიეცა. სოფლის მეურნეობის ხასიათი. კულტურათა და ნერგვის ახალი მეთოდები სხვა საფუძველს უქმნის დღევანდლობას: დაუმუშავებელი. აუთვისებელი და განადგურებამდე მისულია მიწის ნაკვეთები, რომლებიც ცალკეულ მიკროზონალურ მონაკვეთებად არის გაბნეული და გაფართოებული ექსპლუატაციის მასშტაბებს ვერ აკმაყოფილებენ.

წინათ გლეხს თავისი კუთვნილი მიწა რამდენიმე ადგილას ჰქონდა — იქ ეწერიც იყო და მძიმეც, ფერდობიცა და ზეგანიც. ინდივიდუალური მიდგომა ნიადაგის ყოველი ცალკეული სახეობისადმი, თითოეული ნაკვეთის შეფასების აუცილებლობა მისი თვისებებისა და დასანერგი კულტურების მომთხოვნელობის შესაბამისი ზუსტი განსაზღვრით — ოდითგან აპირობებდა საქართველოში მეურნეობის ინტენსივობის ხარისხს. ნიადაგების ეროზიას ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ სამეურნეო ნაკვეთებს გამანადგურებელ ზარალს ვერ აყენებდა, რადგან მიწის ყოველი ნაკვეთი დამუშავებული იყო მცხეთის შესატყვისი წესითა და სამეურნეო იარაღით, სათანადო კულტურათა შერჩევით, და, რაც მთავარია, სათანადო განწყობით: მიწა იყო აღმიანის საარსებო საშუალება, მისი სიცოცხლისა და კეთილდღეობის წყარო და ამ მიდგომით იყო განპირობებული მიწისადმი დამოკიდებულება, მისი თავგანწირული დაცვა და მოვლა-პატრონობა.

თანამედროვე პირობებში ეროზიის მზარდი ხასიათი იმითაც აიხსნება, რომ ტრადიციულ მეურნეობაში გამოყენებული სამეურნეო ფართობები საბოლოოდ მიტოვებულია, ათვისებული მიწები კი ყოველწლიურ ექსპლუატაციას ექვემდებარება, სადაც მოსავლიანობა მხოლოდ ქიმიური სასუქის ჰარბი მოხმარებით არის უზრუნველყოფილი. 40-იან წლებში კოლმეურნეობა თუ კერძო მოსახლეობა ტრადიციულ სახნავ მიწებს ჯერ კიდევ იყენებდა დასამუშავებლად. ამჟამად კი მიწაზე მუშაობა, მით უმეტეს ძნელად მისადგომ და ასათვისებელ ნიადაგებში, არავის არ უნდა. კერძო მოსახლე ახლა ვერც მოერევა ამ საქმეს თავისი ძალებით. ამ ვითარების სავალალო ხასიათს აპირობებს შიდა მიგრაცია, რომლის შედეგად შიდა ქართლის მთისწინეთის დიდი ნაწილი მკვიდრი მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. ამის შედეგია ისიც, რომ ადრე ახოდ ათვისებული მამულები, რომელთა

<sup>3</sup> Читая Г. С. Горное земледелие на Кавказе, Материалы по этнографии Грузии, XI, Тбилиси, 1960.



ხედრითი წონა ტრადიციული მიწათმოქმედების 50%-ზე მეტს შე-  
დგენდა, სრულიად ამოვირდნილია სარგებლობიდან. ეთნოგრაფიული  
ძიების მეშვეობით ამის მამოწმებელი მრავალი ფაქტია გამოვლენა-  
ლი.

ზემოთ აღნიშნული ვითარების დასადასტურებლად მხოლოდ რა-  
დენიმე მაგალითით შემოვიფარგლებით: ქსნის ხეობასა და  
მასში შემდინარე ხეების ტერიტორიებზე, სადაც ტრადიციული სა-  
ნავი მიწების დიდი ნაწილი მიტოვებულია, მემინდვრეობის დონე  
მინიმუმამდეა დაყვანილი. ალექსის ხეობაში მკვიდრი მოსახლეობა  
მიუთითებს ძველ სახნავ ადგილებს, რომელთა მოცულობა 400 ჰა  
აღემატება, სადაც ვუთანი 30 წელია აღარ გასულა — ნასტლარი, ჩა-  
ლახევი, თავარანგელოზი, ბესო-აწო, ზური-ახო, ყანა-გურგელა, ჭოჭი-  
ლაური, გრძელა, შვინდი-წყარო და ბევრი სხვა. ამჟამად ხეობაში, კე-  
ნახის გავრცელების ზონალურ საზღვრებში, ვაზის კულტურა ბევრ-  
ჯან აღარ მოწმდება; ეთნოგრაფიული მონაცემები კი ამ პუნქტებში  
გამოავლენენ ყურძნისა და ღვინის წარმოების მრავალ ელემენტს,  
როგორცაა — საწნახლები, ქვევრები, ყურძნის ჭიშების სახელები,  
ღვინის დამზადების წესები, მდიდარი ტერმინოლოგია, მდიდარი უო-  
პონიმიკური მასალა და სხვ. იგივე ვარემოებაა დამოწმებული არაგვის  
ხეობაში, ივრის ხეობის, ალაზნისა და მისი შემდინარე ხეობებს  
ტერიტორიებზე.

მსგავსი ვითარებაა დღეისთვის ქვაბურის მონაკვეთში. მისა  
მდიდარი და არა მკაცრი ბუნების მთა-ფერდობები. რომლებიც ქვა-  
ბურის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ სრულიად აუთვისებელია  
(ბოლოები, ზემო დამპალა, ქონანთ კარი, დუშურ-ახოები, გრძელები  
და სხვ.) ადრე ლარებად ათვისებული ფართობები ასევე მიტო-  
ვებულია. აღნიშნულ ვითარებას ბევრად აპირობებს სამთო სახვნელის  
უქონლობა, რომლის სრულყოფილი მოდელი დღემდე არაა შექმნილი.  
მაგალითად, სოფ. ბაზალეთში კოლმეურნეობის რეციტიციით 80-იან  
წლებში მოხნეს პარკაულთ გვერდას ფერდობის მიწები და  
პური დათესეს. მაგრამ მომწიფებული ჭირნახული ველარ გამოიტანეს,  
სამანქანო გზის უქონლობის გამო (ურემი და გამწევი ძალა კოლმე-  
ურნეობას აღარ გააჩნია), და მოსავალი საქონელს მოაძოვეს. ასევე  
მთლიანად მიტოვებულია სოფ. კონტილის კუთვნილი ადრე საბ-  
ნავი ფართობები, 400 ჰა-ზე მეტი; სამოვრადაა ქცეული ე. წ. მთაწმინ-  
დის მიწები. გრემის-ხევის ფერდობებზე საუკეთესო სახნავ-  
სათესი მიწები უმოქმედობის გამო იფიტება და იხრამება. ხშირად  
ადგილი აქვს სასოფლო კულტურათა დაგეგმარების კურობულ შემ-  
თხვევებს, რაც სწორედ ტრადიციული წესების არცოდნისა და

უგულვებელყოფის შედეგია; არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე. იმ ფართობებში, სადაც წინათ მხოლოდ საგაზაფხულო მარცვლეული ითესებოდა. 1968 წლიდან დაიწყეს ხილის ბაღების გაშენება. ბუნებრივია აქ, სრულფასოვანი განვითარება ხილის ხეებმა ვერ შესძლო, ამიტომ მათი ნაწილი დაიღუპა, რომელიც ამოძირკვეს და გადახნეს, ნაწილი კი უხვირო ბაღებადაა დარჩენილი (ცნობა მოგვწოდა ია ლევანის ძე ებიტაშვილმა, 100 წ.). ამავე რიგისაა მლეთის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე მოცდენილი სახნავი ფართობები, იმის გამო, რომ შემოტანილი მარცვლეული ვერ ეგუება არსებულ გეოკლიმატურ პირობებს, შესაფერისი ქართული ჯიშები კი სასელექციო სადგურებს აღარ გააჩნია ან — მცირე რაოდენობით.

ასეთივე ვითარებას აქვს ადგილი დასავლეთ საქართველოს კუთხეებში. მთლიანად მოცდენილია ძველი საპურე ადგილები ზემო იმერეთში. მაგალითად, სოფ. ჩხარისა და ალისუბნის საზიარო მიწები საზანოს ქედზე განლაგებულ ვაკობზე, 60-მდე ჰექტარი ამჟამად მიტოვებულია. დაუმუშავებულია სოფ. ალისუბნის კუთვნილი 100 ჰა ფართობი — თხელთა-წყარო, მაჩიტურები, ხეკეპილი, მეფის წყარო და სხვა (ცნობა მოგვწოდა გიორგიძე გ. დ., 94 წ.). ძველად ამ სოფლების მინდვრები ქარსაკავი ტყის ზოლებით იყო დატული და უხვი მოსავლით ხასიათდებოდა (დღემდეა ხალხში შემონახული თქმულება — „ქარმა უთხრა ქარსაო, მამიციადე ჩხარსაო“, რაშიც მისი სამეურნეო ხასიათიც არის გადმოცემული. ამავე ადასტურებს წყაროებში დატული მონაცემები. იხ. მონოგრაფიის თავი III — ზ. იმერეთი). მიტოვებულია ასევე ძველი ნაღობარი ადგილები, სადაც გვიან სიმინდის თესვას მიჰყვეს ხელი; მათი საერთო მოცულობის 50 % ამჟამად აღარ იხვნება. სპეციალური კვლევით დადგენილია, რომ მაგ., ზესტაფონის რაიონში უძლიერესად ეროზირებული ნიადაგის ფართობი 10—15 %-ს შეადგენს, საშუალოდ ეროზირებული კი — 30—35 %-ს<sup>4</sup>.

დაუმუშავების გარეშეა დატოვებული ძველი სავარგულების დიდი ნაწილი გურიის რაიონშიც. მართალია, ჩაის კულტურისათვის ფერდობების მიწები ბევრგანაა ათვისებული, მაგრამ შედარებით მაღალი ექსპოზიციის ნაკვეთები, სადაც ადრე ღომი და მერე სიმინდი მოჰყავდაი, დაუმუშავებელია. გურიის სინამდვილეში ადგილი აქვს ტყის საფარის განადგურებას მოსახლეობის სხვადასხვა მოთხოვნებისათვის (ძირითადად. ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონები). ტყეების

<sup>4</sup> ფერდობების არასწორი ექსპლუატაციის გამო, ეროზიის შედეგად, 1965—74 წლებში სვანეთის რაიონებში სათესი ფართობი 116 ჰექტარით შემცირდა ა. თ. შლიანი, სვანეთის სოფლის მეურნეობა, „სვანეთი“, II, თბ., 1979, გვ. 25.

გაკაფვა და გამეჩხერება მიმდინარეობს მეციტრუსეობის დარგის გაფართოებული მოთხოვნილებით. რეგიონის ჰარბტენიანი კლიმატის პირობებში, ტყის მნიშვნელობა როგორც ნიადაგდამცველი და წყლისმარეგულირებელი საშუალებისა, უდიდესია. ამიტომ შეუწყნარებელი უნდა იყოს დღევანდელი ეკოლოგიური კრიზისის გარემოცვაში ბუნებრივი საფარის ხელყოფა თუგინდ სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებისათვის.

ყველა მონაცემების შეჯამებით აშკარა ხდება, რომ ძველად ათვისებულ კულტურულ ნიადაგებს სრული განადგურება ემუქრება, რაკ დიდი დანაკარგია ადამიანთა როგორც დღევანდელი, ასევე მომავალი თაობებისათვის. როგორც ირკვევა, კოლმეურნეობები და, მით უმეტეს, საბჭოთა მეურნეობები ამ რიგის პრობლემებს თავს ვერ გაართმევენ, კიდევ რომ დადგეს დღის წესრიგში მათი რეალიზების აუცილებლობა. წინათ ყოველ კოლმეურნეობას გააჩნდა ტრადიციული სახვნელი და გამწევი ძალა, რომელთა მეშვეობით ძნელად მისადგომობიექტებს ამუშავებდა. ახლა არა თუ ძველებური სახვნელი, ხარი და ცხენიც კი იშვიათობად იქცა. პარადოქსია, მაგრამ დღემდე ვერც სასოფლო ტექნიკა აღიჭურვა მთისათვის გამოსადეგი „მცირე“ მექანიზაციით.

დასმული ამოცანის თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგ რაიონში აქა-იქ ოაზისურა ფორმით შემორჩენილია სამეურნეო მობილურობის მქონე მეურნეობები, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელების პირადი ენთუზიაზმითა და ინციატივითი ტრადიციული მეურნეობის ბევრი სასიკეთო და ეფექტური ღონისძიებაა დანერგული და გამოყენებული. ამის თვალსაჩინო მაგალითია წალენჯიხის რაიონის სოფელი ჩქვალერა. შესანიშნავი ტრადიციების ეს უძველესი სოფელი დღემდე ინარჩუნებს თავისი ძველი სახნავ-სათესი სავარგულების ათვისებისა და დამუშავების შესაძლებლობას. ამის განხორციელება იმითაა მიღწეული, რომ სოფლის კოლმეურნეობას გააჩნია 30 მთური სახვნელი და შესაბამისად 30 უღელი და მეტი გამწევი ძალა (მძიმე მიწებში 2—3 უღელს უბამენ). ამგვარი ფაქტი, ჩვენ, რესპუბლიკაში მხოლოდ ერთგან დავამოწმეთ, რის გამოც მას „ჩქვალერის ფენომენი“ გვინდა ვუწოდოთ.

ტრადიციული, რაციონალური ნიადაგსარგებლობის თვალთაზრდვით ყურადღებას იმსახურებს სოიას კულტურა, რომელიც დას. საქართველოს ზოგ რაიონშია ამჟამად გამოყენებული. ამ მარცვლულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ნიადაგების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ასევე თავისი შესანიშნავი კვებითი ღირებულე-

ბით<sup>5</sup>. ამასთან, საქიროა აღინიშნოს, რომ ტრადიციულ მიწათმოქმედებაში პარკოსანი კულტურები ფართოდ იყო დანერგილი ნიადაგდაცვით თესლბრუნვაში. მე-20 საუკუნის დასაწყისში კერძო მეურნეობაში მხოლოდ ცერცვის კულტურამ შეინარჩუნა პრიორიტეტი, სხვა კულტურები კი (მუხუდო, ოსპი, ხანჭკოლა, ხაჯი, მაში და სხვ.) ყოფიდან გაქრა და მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალითაა შესაძლებელი მათი დადასტურება. მთის რეგიონებში ძლიერი დახრილობის ფერდობებზე ძველი მეურნე ვენახს აშენებდა; ვაზი ძლიერ ფესვთა სისტემას იეითარებდა. ხშირი გადაწვევის მეშვეობით, და ნიადაგურ ფენას საიმედოდ იცავდა. ასეთ ნიადაგებში მათ გასანაოყიერებლად ვენახში შენაცვლებით ცერცვისნაირების თესვა იყო მიღებული.

ნაშრომში განსაკუთრებული მნიშვნელობით არის შეფასებული ზეავისა და წყალდიდობისაგან ნიადაგების დამცველი ღონისძიებების შექმნის ხალხური გამოცდილება. დადგენილია რომ მეურნის მიერ, მრავალი მონაცემის გათვალისწინებით, წინასწარ იყო გაანგარიშებული სამოსახლოსა თუ სავარგულისათვის მოსალოდნელი საშიშროების წყარო (ღვარი, ღვარცოფი, ლეკი, შვაფი, მეწყერი, ზვავი და ა. შ.) და მისი ხარისხი. განსაკუთრებით „საშიშ“ ადგილებში მეურნე არც სახლს აშენებდა, არც ვენახსა თუ ყანას აწყობდა; ამგვარად თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს გაფრთხილება, რომელიც ერთგვარი „ტოპონიმიკური კოდის“ მეშვეობით იყო განხორციელებული. მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილი ფართობების დაცვა წარმოებდა ყოველი კონკრეტული ნაკვეთის მოთხოვნილებათა შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ადგილი ჰქონდა ნიადაგდამცველი ნაგებობების კონსტრუქციულ დიფერენციაციას, მათ მრავალფეროვნებას. სადღეისოდ ამ ნაგებობათა შემცველი ტოლფასოვანი საინჟინრო მოწყობილობები არ გაგვანია (მხოლოდ წყლისპირების დაცვაა განხორციელებული ბეტონის ფილაქნის მეშვეობით), ძველის აღდგენაზე კი არავინ არ ზრუნავს.

ცალკე შეფასებას მოითხოვს საქართველოს ტერასული მიწათმოქმედების მდგომარეობა. როგორც წინამდებარე ნაშრომშია გამოკვლეული ტერასული მეურნეობა მთელი საქართველოსათვისაა დამახასიათებელი; აქამდე დას. საქართველოსათვის იგი ფრაგმენტული მასალით იყო ცნობილი, ახლა კი ამის სათანადო დასაბუთება უკვე არსებობს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს განსხვავებულ გეოკლიმატურ პირობებში ჩამოყალიბებული მიწათმოქმედების აღნიშნული სახეობა, მიწათსარგებლობის განსხვავებულ

<sup>5</sup> განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოიას მეშველი საქონლისათვის, ივამას წველას მატებს.

რეიქსს ემყარება, და თუ აღმოსავლეთ საქართველოში იგი რწყვის ხელშემწყობ და მარეგულირებელ საშუალებას წარმოადგენს, დას. საქართველოში, ჰარბწყლიანი ნიდაგების ათვისების ეფექტური ღონისძიებაა. განსხვავებული გეოკლიმატური და მეურნეობრივი სპეციფიკის მიუხედავად, საქართველოს ტერასული მიწათმოქმედება თავისი ბუნებითა და მთავარი შემადგენელი ელემენტების ხასიათით, ზოგადქართული კულტურის მონაპოვარია და თავისი ფესვებით საუკუნეთა სიღრმეში იღებს დასაბამს. ჩვენს სინამდვილეში მოღწეული მეურნეობის აღნიშნული ფორმა. რომელიც ქართული მიწათმოქმედების ინტენსივობის დონესა და ხარისხს წარმოაჩენს, ამჟამად დაკნინებას განიცდის და სრული განადგურება ელის მომავალში. გამოწვევი მიზეზების სიმრავლის გამო, აღნიშნული პრობლემის მარტივად გადაწყვეტა რეალურობას მოკლებულია. ამისდა მიუხედავად, თანამედროვე პირობებში, სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ფართო პროგრამის შექმნე, აღნიშნული უბანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. სათანადო კვლევისა და მომიჯნავე სპეციალობების ერთობლივი მონაწილეობით საჭიროა გამოინახოს ძველი ტერასული უბნებისა და მათი სამეურნეო მიმოქცევაში შეყვანის ოპტიმალური საშუალებანი. აქვე, უფრო ფართო მასშტაბითა და ტექნოლოგიური სრულყოფის დონეზე უნდა განხორციელდეს ახალი ტერასული ნიდაგდაცვითი უბნების შექმნა და საექსპლუატაციო მიზნებით მათი გამოყენება.

გარდაქმნის მასშტაბურ ღონისძიებებს უნდა უშუალოდ დაუკავშირდეს და დაედოს საფუძვლად ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ბაზაზე შექმნილი რაციონალური, ეფექტური ღონისძიებანი — აქ იგულისხმება როგორც გარემოს ეკოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე ბუნებასარგებლობის ადგილობრივი სპეციფიკის შეფასების აუცილებლობა, ასევე მაჩვენებლების მთელი კომპლექსი — და მასში შემავალი ცალკეული კომპონენტის თავისებურებათა გავალისწინების საჭიროება: მაშინ აღარ ექნება ადგილი კუროზულ შემთხვევებს, როდესაც ვენახის გაშენება საგაზაფხულო კულტურებისათვის განკუთვნილ ფართობებში იგეგმება. ფერდობის ტრადიციული მევენახეობის საუკეთესო სავარგულები კი სრულ განადგურებამდეა მიყვანილი. ყველა მონაცემის შეჯამებით აშკარა ხდება, რომ

რესპუბლიკის ფარგლებში, დიდი პროცენტული მოცულობის მიწები უმოქმედოდაა დატოვებული. ამის შედეგად ნადგურდება მცენარეული, იკარგება ნიადაგური საფარი. დიდ ზარალს განიცდის ჩვენი სახალხო მეურნეობა. ამიტომაც, ალბათ, უკვე დროა დაისვას საკითხი, რათა სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ გაწეული სასარგებლო შრომა, კვლევის მნიშვნელოვანი შედეგები და წამოქრილი პრობლემები მხოლოდ ქალაქებში არ რჩებოდეს, და სათანადო კოორდინირების მეშვეობით, მიენიჭოს პრაქტიკული ღირებულება.

## ТРАДИЦИЯ ОСВОЕНИЯ И ЗАЩИТЫ ЗЕМЛИ ГРУЗИИ

### Резюме

Одной из фундаментальных научных проблем современной этнографии является культура земледелия. Изучение отдельных сторон хозяйственной деятельности человека, помимо научной ценности имеет большое практическое значение.

На сегодняшний день, отрицательное воздействие технического прогресса на биосферу, приняло глобальный характер. Возникла сложная экологическая обстановка, в связи с которой охрана окружающей среды и природных ресурсов превратилась в главную задачу всего человечества.

За последнее десятилетие, вопросы природопользования разрабатываются различными научными дисциплинами. Настоящая монография является первой попыткой этнографического изучения традиционных способов освоения и защиты земли и связанных с данной проблемой вопросов. Полученные выводы опираются на полевые этнографические материалы и являются результатом проведенного автором поиска, в отдельных регионах Грузии, за 1960—86 гг.; из них большая часть впервые становится объектом специального исследования.

В работе дается обширная характеристика особенностей зональной специфики природных ресурсов Грузии, которым, в свою очередь, подчиняются как зональное распространение культурных растений, так и культурно-хозяйственная направленность традиционных отраслей земледелия. Показано, что в зависимости от многообразия и многоплановости микро-региональной зональной среды, в соответствии с особенностями горных, предгорных и равнинных специфических показателей, дифференцированы отдельные отрасли сельского хозяйства. Их зональный характер хорошо прослеживается в годовом земледельческом цикле, в динамичности хозяйственных приемов, орудий труда и др.,

выражающихся в стадильном соотношении систем и природно-хозяйственных форм земледелия.

Этнографические материалы наглядно показывают, что низменность, как и горная полоса, для Грузии не является понятием однозначным; поэтому трудно, подчас и невозможно установить для них точные границы. Исходя из этого, распределение культурных растений и форм земледелия не носит локальный характер и колеблется в большом зональном диапазоне. В этой среде предгорная полоса, среднегорье предстает перед нами отдельной, независимой категорией, носителем древних культурных традиций с выполняемой ею огромной ролью в историческом развитии общества.

В работе должное внимание уделяется вопросам антропогенной эрозии, возникновение которой непосредственно связано с трудовой деятельностью человека. Анализ этнографического материала позволяет автору категорию «заброшенных земель» классифицировать по состоянию и сохранности почвенного покрова по трем видам: 1. Полноценные для освоения участки; 2. Частично осваиваемые участки; 3. Сильно эрозированные нарушенные почвы. В подтверждение этому приводятся фактические данные из различных регионов Грузии.

Центральное место в монографии занимает изучение одной из отраслей горного земледелия — террасного земледелия.

Показана картина распространения данного вида земледелия в республиках Закавказья и на Северном Кавказе, в сравнительном сопоставлении характера и степени их развития.

Установлено, что на территории Грузии террасы наибольшего распространения достигают в предгорьях Восточной Грузии. На это указывают остатки древнейших с. х. террас в Цхаватском и Алевском ущельях; дошедшие до нас фрагменты классических террас Южной Грузии — Месхети; повсеместно распространенная практика террасирования склонов в Шида Картли и Квемо Картли, Кахети, Мтиулети, Эрцо, Хевц, Кизпки и др., функционирование которых в настоящее время доведено до минимума.

Террасная форма земледелия охватывает также территорию Западной Грузии. Этнографические изыскания свидетельствуют в пользу широкого распространения террас в предгорной полосе, что подтверждается и результатами археологического изучения древней Колхиды. В зависимости от своеобразия различных природохозяйственных условий, террасы в Восточной Грузии широко использовались под орошаемые культуры, в то время, как в Западной Грузии, в зоне обильных осадков, предохраняли почву от перенасыщения влагой. В целом, террасное хозяйство Грузии,

возникшее на основе интенсивной культуры земледелия, является достижением общегрузинской культуры и берет начало в глубь веков.

В исследовании данной проблемы особый интерес представляет вопрос о главном хозяйственном профиле террасного хозяйства: под какие культуры возводились стены укрепленных участков, требующих мобилизации и колоссальных затрат производительных сил общества? Комплексное осмысление полевых этнографических материалов и литературных источников позволяет автору широкое распространение террасного земледелия в Грузии связать непосредственно с интересами возделывания главной культуры региона — виноградной лозы, до настоящего времени сохранившей мощный хозяйственный потенциал. В этом же должна заключаться основная отличительная черта и специфическая особенность террасного земледелия Грузии. В пользу этого заключения свидетельствует и факт повсеместного распространения винограда, в сравнении с другими культурами на сохранившихся террасных участках.

В работе особое внимание уделяется изучению народных способов освоения земли для полеводческих культур т. н. лареби. Лари-террасами расположены пашни, впервые выявленные и изученные автором в Месхети (1961), стали объектом специального исследования в объеме всей территории Грузии. Обработка земли способом создания ларов (в научной литературе их именуют как напашные валы — террасы), представляет характерную особенность горного земледелия Грузии, имеющего в прошлом большой хозяйственный потенциал.

Впервые в научной литературе объектом специального исследования стали народные почвозащитные сооружения, которым в монографии отводится значительное место. Этнографические материалы свидетельствуют, что защита почвы от различных видов эрозий и оползней, является органической составной частью традиционного хозяйственного быта грузин. Эта традиция создавалась и совершенствовалась на основе эмпирических знаний, вследствие развития и поэтапного практического усовершенствования различных ее видов. Становится очевидным, что наряду с эффективными мероприятиями в интенсификации отдельных областей земледелия, народом были созданы и широко внедрены в практику сооружения по борьбе с разрушительными явлениями природы. Изучение этих способов раскрывает перед нами



обширную программу природопользования, сыгравшей большую роль, помимо стабилизации освоенных земельных угодий, в охране окружающей природной среды.

В работе должно внимание отводиться анализу практической стороны изученных вопросов, которые рассмотрены в непосредственной связи с современностью. Показано, что поставленная перед нашей страной задача реконструкции сельского хозяйства, не может быть осуществлена без использования богатого народного опыта и традиционных производственных навыков, испытанных временем.


В проекте экономического и социального развития СССР с 1990 г. по 2000 г. специально указано, что обеспечение населения жизненными средствами должно осуществляться путем интенсификации сельского хозяйства. Внедрение на современном уровне традиционных рациональных способов пользования землей создаст возможность освоения новых угодий, а также введения в эксплуатацию заброшенных культурных почв, имеющих большое практическое значение в осуществлении продовольственной программы нашей страны.

## ტაბულების აღწერილობა


- ტაბულა I. მუხურის ტერასები (ჩხოროწყუს რაიონი).  
ტაბულა II. ატენის ტერასები (გორის რაიონი).  
ტაბულა III. ცხავატის ტერასები (მხატვარი ნ. თენიშვილი).  
ტაბულა IV. სურ. 1. საწნახელი ატენში.  
სურ. 2 ვერეს ხეობის ტერასები (გორის რაიონი).  
ტაბულა V. სურ. 1 ეტები სოფ. ნიჩბისში (მცხეთის რ-ნი).  
სურ. 2 გავერანებული ტერასები სოფ. თელათგორში (კასპის რ-ნი)  
ტაბულა VI. სურ. 1. ეტები სოფ. წინარეხში (კასპის რ-ნი).  
სურ. 2. ტერასები სოფ. ბობნევის ეკლესიასთან.  
ტაბულა VII. სურ. 1. ტერასული უბანი სოფ. ბობნევეში (გორის რ-ნი).  
სურ. 2. ტერასული კედელი (ფრაგმენტი). სოფ. ბოშური.  
ტაბულა VIII. სურ. ტერასები სოფ. ახალქალაქში (მცხეთის რ-ნი).  
სურ. 2. ტერასები სოფ. ხოვლეში (კასპის რ-ნი).  
ტაბულა IX. სურ. I ხერთვისის ტერასები (მესხეთი).  
სურ. 2. წუნდის ტერასები (მესხეთი).  
ტაბულა X. სურ. 1. დამბა ზესტაფონის რ-ნში.  
სურ. 2. დამბა გორის რაიონში.  
ტაბულა XI. სურ. 1. ქვაბის-ზევის ტერასები (მესხეთი).  
სურ. 2. „სანაყავი ქვა“ ტერასაზე (მესხეთი).  
ტაბულა XII. სურ. 1. ყორე (ფრაგმენტი) ზესტაფონის რ-ნში.  
სურ. 2. ტერასული სამოსახლო სოფ. თელათგორში.

## სურათები ტექსტში

1. ატენის სიონი (ხედი სამხრეთიდან).
2. ტერასები ნათლისმცემლის ხევში.
- 3 სახედაზე ქვევრი ტერასაზე (სოფ. ბიისი).
4. ძველი საწნახელი ტერასაზე (სოფ. ბობნევი).
5. ატენის სიონის სარკმლის მორთულობა.
6. ტერასული სასაფლაო (სოფ. დიდი ატენი).
7. ტალავერი სოფ. ძეგვის ტერასებზე.
8. ვენახი სოფ. წინარეხის ტერასებზე.







IV




1



2



VI



1







1



2

VIII





1




2



1



2



XII



1



2

## შინაარსი

შესავალი	3
თავი I საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს თავისებურებანი და სამიწათმოქმედო კულტურაჲა ზონალური განლაგების ტრადიცია	17
თავი II ტერასული მეურნეობა, ნიადაგების ათვისებისა და დაცვის ტრადიცია შიდა ქართლში	38
თავი III ტერასული მეურნეობა, ნიადაგების ათვისებისა და დაცვის ტრადიცია ზემო და ქვემო ქართლში	85
თავი IV ტერასული მეურნეობა, ნიადაგების ათვისებისა და დაცვის ტრადიცია კახეთსა და მთიულეთ-გუდამაყარში	119
თავი V. ტერასული მეურნეობა, ნიადაგების ათვისებისა და დაცვის ტრადიცია იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში	155
თავი VI მეურნეობრივი კულტურის ზოგადი საკითხები	208
თავი VII ნიადაგების ათვისებისა და დაცვის ტრადიციული საშუალებები და თანამედროვეობა	230
Традиция освоения и защиты земли Грузии (Резюме)	238
ტაბულების აღწერილობა	243

Бериашвили Лиана Константиновна  
ТРАДИЦИЯ ОСВОЕНИЯ И ЗАЩИТЫ  
ЗЕМЛИ В ГРУЗИИ

(по этнографическим материалам)  
на грузинском языке

ТБИЛИСИ  
«МЕЦНИЕРЕБА»  
1989

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3770

გამომცემლობის რედაქტორი ც. თოღუა  
მხატვარი გ. ლომიძე  
ტექნორედაქტორი ნ. ხოკერიძე  
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი  
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 3. 11. 1988; ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი 1;  
ბეჭდვა მაღალი; გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 15. 75;  
პირ. სალ. გატ. 16.13; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.18;

ტირაჟი 1300; შეკვეთა № 781;

ფასი 2 მან. 90 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ.,  
Типография. АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შეცდომების გასწორება

პმ.	სტრიქონი		არის	უნდა იყოს
	ქვ.	ზემო-დან		
13	6		მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975.	მისივე, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1976.
18		14	თავისუფლად	თავისთავად
18	5		мировогорий	мирового
21		15	ცხრაშის	ცხრაშმის
60	17		ემბაზე	ემბაზი
96	19		დავაკებული	დავაკებული
130	5		არბოში	არბოშვი
134	2		კ. ყოჩაშვილი	კ. ყოჩაშვილი
136		2	ტახტბს შორის	ტახტბს შორის
155	8		სახელის -ხევი	სახელის-ხევი
193		16	ქვების მთაზე	ქვიბის მთაზე
238		2	земли Грузим	земли в Грузии

დ. ბერიაშვილი